სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო
პედაგოგიური უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

თამარ მალაზონია

# მოძღვრის ჰუმანურ-აღმზრდელობითი სახე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სასულიერო პერიოდიკასა და მხატვრულ ლიტერატურაში

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

## დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი გ. სიხარულიძე

თბილისი
2005

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი;

თავი პირველი: თვალსაჩინო მოძღვარნი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში;

§1. საბჭოთა იდეოლოგია რელიგიისა და სამღვდელოების შესახებ;

§2. ეპისკოპოსი ალექსანდრე;

§3. ეპისკოპოსი გაბრიელი;

§4. ეპისკოპოსი კირიონი;

§5. ეპისკოპოსი ლეონიდი;

§6. დავით ღამბაშიძე, ივანე გვარამაძე;

თავი მეორე: მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პედაგოგიური პრობლემები და ქართველი სამღვდელოების პოზიცია (სასულიერო პრესის მიხედვით);

§1. განათლების პრობლემა;

§2. სწავლების ენისა და ეროვნული სახელმღვანელოების პრობლემა;

§3. მასწავლებლისა და პედაგოგიურ ურთიერთობათა პრობლემა;

თავი მესამე: მოძღვრის სახე მე-19 საუკუნის ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებაში;

§1. სკოლისა და მასწავლებლის ადგილი თერგდალეულთა ძირითადი მიზნების განხორციელებაში;

§2. მოძღვრის სახე ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში;

§3. მოძღვრის სახე აკაკი წერეთლის შემოქმედებაში;

§4. მოძღვრის სახე ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში;

დასკვნები;

ლიტერატურა.

# შესავალი

**თემის აქტუალობა.** ქრისტიანობას უდიდესი როლი აქვს შესრულებული ქართველი ხალხის ისტორიაში. ქრისტიანული სულისკვეთებით არის შექმნილი არა მარტო აგიოგრაფიული ლიტერატურა, ეს რწმენა და მასთან დაკავშირებული ზნეობრივი მრწამსი ამოძრავებს საერო ლიტერატურის არაერთი ნაწარმოების გმირებს. ქართველი ხალხი კანონიერად ამაყობს ქრისტიანული ხუროთმოძღვრებითა და საგალობლებით. სასულიერო მოღვაწეებს არა მარტო რწმენა და მაღალი ზნეობა შეჰქონდათ ხალხში, ისინი ფართო საგანმანათლებლო მოღვაწეობასაც ეწეოდნენ.

დღეს საქართველოში განათლების ძირეული რეფორმა მიმდინარეობს, რომელიც მრავალ სიახლესა და სასიკეთო ცვლილებას გვპირდება. განათლების ისტორიამ არაერთხელ ცხადყო, რომ რეფორმის წარმატებასა და შედეგიანობას განსაზღვრავს მისი დაფუძნება ადგილობრივ გამოცდილებაზე, ადაპტირება ეროვნულ ტრადიციებთან და თავისებურებებთან. «ხალხურობის პრინციპის» გაუთვალისწინებლობა, რაც იგივე ეროვნული გამოცდილების უგულვებელყოფაა, გაუცხოებასა და ჩავარდნას უქადის ნებისმიერ საინტერესო ჩანაფიქრს. ჩვენს ისტორიულ სინამდვილეში საგანმანათლებლო-კულტურული საქმიანობის ყველაზე ხანგრძლივი გამოცდილება სამღვდელოებას ჰქონდა. შესაბამისად, XIX საუკუნეში მოღვაწე სასულიერო პირების პედაგოგიური ნააზრევი მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკული გამოდილებითაა განმტკიცებული, რითაც იზრდება მთელი ამ მემკვიდრეობის ისტორიული და სადღეისო მნიშვნელობა – ქართველი სამღვდელოების მიერ შექმნილი საუკეთესო პედაგოგიური ტრადიციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს თანამედროვე ვითარებით ნაკარნახევი რთული, მაგრამ შეუქცევადი პროცესების სწორად დაგეგმვასა და განხორციელებას.

დღეს ასევე აქტუალურია მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილის განსაზღვრა ჩვენს სახელმწიფოში, რასაც, ჩვენი აზრით, საფუძვლად უნდა დაედოს ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება-შენარჩუნებასა და განვითარებაში ეკლესიის მიერ გაწეული ღვაწლის ყოველმხრივი და ობიექტური ანალიზი. მით

უმეტეს, რომ ქართული ეკლესია დღესაც ეროვნული პოზიციების დამცველია, რასაც ერთგვარ საფრთხეს უქმნის გლობალიზაციის პროცესი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებაც – როგორც ცნობილია, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია სამღვდელოებას საზოგადოების ზედმეტ ბარგად, რეგრესის ფაქტორად, დრომოჭმულ ძალად აღიარებდა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ფიზიკურად მოსპეს ათასობით სასულიერო პირი, ხოლო დევნა-შევიწროებას აღნიშნული რეჟიმის პირობებში მუდამ განიცდიდა სამღვდელოება. დაუშვებელი იყო მათი ღვაწლის სათანადოდ წარმოჩენა, პირიქით, ხშირად უსაფუძვლო კრიტიკის სამიზნეს წარმოადგენდნენ.

დღეს ჩვენ შეგვიძლია ობიექტური თვალით გადავხედოთ წარსულს და რეალურად შევაფასოთ სამღვდელოების ნამოღვაწარი.

თვალსაჩინო სასულიერო მოღვაწეებზე დღეისათვის არაერთი გამოკვლევა არსებობს. გაბრიელ ეპისკოპოსზე, XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში საყოველთაოდ აღიარებულ მღვდელმთავარზე, თავის დროზე საინტერესო წიგნი შექმნა მელიტონ კელენჯერიძემ, ამავე მოღვაწეზე საინტერესოა ივ. ზურაბიშვილის მოგონებებიც; აღსანიშნავია ილ. ნებოძირელის თხზულება ეპისკოპოს ლეონიდზე. სამცხე-ჯავახეთში მოღვაწე მღვდლის ივანე გვარამაძის თავდადებას ეროვნების შენარჩუნებისათვის ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში უძღვნა მონოგრაფია ზაქარია ჭიჭინაძემ. ამგვარი ლიტერატურა სათანადოდ ასახავდა სახელოვანი მოძღვრების ღვაწლს მამულისა და სამწყსოს წინაშე. საბჭოთა პერიოდში კი არავინ ახალისებდა მსგავს გამოკვლევებს, ხოლო თუ მაინც ახსენებდნენ მათ, როგორც წესი, უარყოფით კონტექსტში. საბჭოთა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ქვეყნდება საყურადღებო შრომები (მხედველობაში გვაქვს ს. ვარდოსანიძის, ა. ნიკოლეიშვილის, ქ. პავლიაშვილის, ხ. ქოქრაშვილის, ი. ბასილაძისა და სხვათა ნაშრომები), რომლებშიაც სათანადოდ ფასდება მე-19 საუკუნის სასულიერო მოღვაწეთა საქმიანობა. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მოძღვარზე, როგორც ლიტერატურულ პერსონაჟზე, მის მისიასა და ზნეობრივ დატვირთვაზე ლიტერატურის კრიტიკოსებსაც უწერიათ (გ. ქიქოძეს, დ. ბენაშვილს, გ. ასათიანს, ა. ბაქრაძეს, ფ. კოტეტიშვილს და სხვებს). ეს შრომები აღბეჭდილია ავტორთა ფართო ერუდიციითა და ნიჭიერებით, რაც საგულისხმო დასკვნებს განაპირობებს. მაგრამ მოძღვრის სახე საკუთრივ

პედაგოგიური თვალთახედვით სადისერტაციო ნაშრომის დონეზე კვლევის საგანი ჯერ კიდევ არ გამხდარა. მოძღვარში ჩვენ ვგულისხმობთ სასულიერო პირს, რომელიც გარკვეულ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა, ან – მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა სკოლებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნისა და ხალხში ცოდნის გავრცელების საქმეში. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია პედაგოგიური თვალთახედვითაც იქნას შესწავლილი სასულიერო პირთა მრავალმხრივი ღვაწლი, რათა საბოლოოდ ჩამოშორდეთ საბჭოთა იდეოლოგიის მიერ შეთხზული აბსურდული შეფასება, და აგრეთვე წარმოვაჩინოთ, რომ სამღვდელოების კულტურულ-საგანმანთლებლო საქმიანობას, ისევე როგორც ილიას პლეადის განმათავისუფლებელ ბრძოლას, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის, მთელი საზოგადოების განათლებისა და ზნეობრივი ტრადიციების განმტკიცებისათვის. ამან განაპირობა ჩვენი საკვალიფიკაციო თემის – «მოძღვრის ჰუმანურ-აღმზრდელობითი სახე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სასულიერო პერიოდიკასა და მხატვრულ ლიტერატურაში» – არჩევა.

**კვლევის მიზანია** ვაჩვენოთ ის დიდი საგანმანათლებლო როლი, რომელსაც სამღვდელოება ასრულებდა საქართველოს ცხოვრებაში როგორც ისტორიულად, ისე, კერძოდ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, და ცხადვყოთ, რომ იგი არ იმსახურებდა იმ უარყოფით დამოკიდებულებას, რასაც საბჭოთა იდეოლოგიასა და პრაქტიკაში ჰქონდა ადგილი.

**კვლევის საგანია** თვალსაჩინო სასულიერო პირთა ნაწერები, მათი მოღვაწეობის შესახებ არსებული პუბლიკაციები, ლიტერატურული ნაწარმოებები და კრიტიკული წერილები, რომლებშიც მოძღვრის სახე ფიგურირებს. **ობიექტი** კი არის ის სამსახური, რაც სამღვდელოებას საქართველოსათვის გაუწევია ქრისტიანული რწმენისა და ზნეობის განმტკიცების, ხალხში განათლების შეტანისა და კულტურის წინსვლის საქმეში. საგნისა და ობიექტის განსაზღვრა არსებითად **კვლევის წყაროებზე** მიუთითებს. ეს არის, კონკრეტულად: მე-19 საუკუნის სასულიერო და საერო პერიოდიკა და რიგი საარქივო დოკუმენტები; სასულიერო პირთა შესახებ არსებული გამოცემები, საკვალიფიკაციო ნაშრომები და მონოგრაფიები, რომლებშიაც გაშუქებულია XIX საუკუნის II ნახევრის რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკა და მისი შედეგი საქართველოსთვის;

ილიას, იაკობის, აკაკის, ალ. ყაზბეგის სათანადო თხზულებები, ლიტერუტურ-კრიტიკული წერილები მათ შესახებ.

ჩვენს წინაშე იდგა შემდეგი ძირითადი **ამოცანები**:

– მოგვეპოვებინა რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია სასულიერო პირთა მოღვაწეობის შესახებ;

– შეგვესწავლა მათი მოძღვრული საქმიანობა (პედაგოგიური მოღვაწეობა სკოლაში, ქადაგებანი მრევლში);

– ამ საფუძველზე ისტორიზმის პრინციპის გამოყენებით შეგვეფასებინა მათი პედაგოგიური ღირსებები;

– გაგვეანალიზებინა მოძღვართა პედაგოგიური იდეები, გვეჩვენებინა მათი პროგრესულობა და, რიგ შემთხვევებში, აქტუალობაც ჩვენი თანამედროვეობისათვის;

– დაგვეზუსტებინა მოძღვრის ფუნქციები:

– მოძღვარი – ფუნქციების სიმრავლით, პოპულარობით, პროგრესული პედაგოგიური და სოციალური იდეებითა და სწავლებაში დოგმატიზმის დაძლევით – დაგვიპირისპირებინა ოფიციალური სკოლის ტიპიური მასწავლებლისათვის და გვეჩვენებინა, რომ იგი (როგორც რეალური, ისე ლიტერატურის ნაწარმოებში ასახული) შეუდარებლად მაღლა დგას, ვიდრე იმდროინდელი ოფიციალური სკოლის დოგმატიკოსი, კონსერვატორი, რუსიფიკატორი, როზგის მეთოდით მოქმედი მასწავლებელი.

– შეგვესწავლა საბჭოთა-ათეისტური ლიტერატურა, რათა უფრო ღრმად დავრწმუნებულიყავით სამღვდელოების როლის არაადეკვატურ შეფასებაში კომუნისტების მიერ და პედაგოგიური პოზიციიდან გვემხილებინა მათი ცილისწამებანი.

კვლევის **მეთოდოლოგიური საფუძველია** თერგდალეულთა იდეოლოგია, პედაგოგიკის კლასიკოსების უმთავრესი დებულებები და ისტორიზმის პრინციპი, რომელიც მოითხოვს, რომ ნებისმიერი მოვლენა განვიხილოთ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად პროგრესული იყო იგი მოცემული ეპოქისათვის.

ჩვენი ნაშრომი პედაგოგიკის ისტორიის სფეროს განეკუთვნება, რაც განსაზღვრავს კიდეც **კვლევის მეთოდიკას** – ეს არის სასულიერო (ძირითადად) პერიოდიკის მასალების, სასულიერო მოღვაწეებზე არსებული პუბლიკაციების,

სათანადო მხატვრული ნაწარმოებებისა და კრიტიკული ლიტერატურის **შესწავლა-გაანალიზება**, რის შედეგადაც ნათელი წარმოდგენა ჩამოგვიყალიბდა სასულიერო წოდებაზე.

გამოკვლევის **მეცნიერული სიახლე** გამოიხატება იმით, რომ საკუთრივ პედაგოგიური პოზიციიდან არის განხილული სამღვდელოების არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის მოღვაწეობა. დაწვრილებით არის ნაჩვენები როგორც მათი სამასწავლებლო საქმიანობა, ისე პედაგოგიური იდეების სიღრმე და აქტუალობა არა მარტო იმ დროისათვის. წარმოჩენილია მოძღვრის ფუნქციების სიმრავლე და ნაირგვარობა, კაცთმოყვარეობა და ქველმოქმედება, როგორც მისი განუყრელი თვისება, პროგრესული სოციალური პოზიცია (ანტიბატონყმური განწყობილება), პატრიოტული სულისკვეთება (ბრძოლა მშობლიურ ენაზე სწავლებისა და წირვა-ლოცვის უფლების მოპოვებისათვის), უბრალოება და სხვა თვისებები, ნაჩვენებია, რომ ლიტერატურული ნაწარმოებების მოძღვართა მისწრაფებები და საქმიანობა სრულ შესაბამისობაშია რეალურ მოძღვართა ქადაგებასთან და კონკრეტულ საგანმანათლებლო და კულტურულ მოღვაწეობასთან. მათ აერთიანებთ უდავოდ პროგრესული მრწამსი – «ქვეყნის მსახურება (კაცთა მსახურება) იგივე ღვთის მსახურებაა». სხვაგვარად – მოძღვართა იდეები თერგდალეულთა იდეების იდენტურია. ეს დასკვნები (მეცნიერული სიახლეები) თავისთავად მეტყველებს ნაშრომის **თეორიულ ღირებულებაზე. პრაქტიკული ღირებულება** კი ის არის, რომ დიდძალი ინფორმაცია სამღვდელოების ფასდაუდებელ საგანმანათლებლო ღვაწლზე ხელმისაწვდომი ხდება პროფესორ-მასწავლებელთა და სკოლის პედაგოგთათვის, რომლებიც სათანადო კონტექსტში გამოიყენებენ მას სწავლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში.

დასაცავად გამოგვაქვს შემდეგი დებულებები:

1. სასულიერო წოდების თვალსაჩინო წარმომადგენლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ სამღვდელოება იღვწოდა ქრისტიანული რწმენის დანერგვისა და განმტკიცებისათვის, რაც, იმავდროულად, მაღალი ზნეობის ქადაგებაც იყო.

2. სამღვდელოების გამოჩენილ წარმომადგენლებს, ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძის «გლახის ნაამბობის» მოძღვარს, აკაკი წერეთლის არსენ კათალიკოსს

(«თორნიკე ერისთავიდან»), ალ. ყაზბეგის მოძღვარს ონოფრესა და სხვებს – მიაჩნდათ, რომ ქვეყნის მსახურება ღვთის მსახურებაა. ამიტომ მათი უპირველესი თვისება იყო კაცთმოყვარეობა, უბრალოება, გაჭირვებულებზე ზრუნვა, ქველმოქმედება.

3. სამღვდელოებისათვის ასევე ნიშანდობლივია პატრიოტიზმი, ბრძოლა მშობლიურ ენაზე სწავლებისა და წირვა-ლოცვის უფლებისათვის, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, ახალშემოერთებულ სამცხე-ჯავახეთში ეროვნული სულის შენარჩუნებისათვის. მისი პოზიციები თერგდალეულთა იდეების იდენტური იყო და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვან ნაკადად აღიქმებოდა.

4. სამღვდელოება ზრუნავდა ხალხის განათლებისათვის, აარსებდა სკოლებსა და ბიბლიოთეკებს, მატერიალურად ეხმარებოდა ხელმოკლე მოსწავლეებს.

5. ეპისკოპოსებს – გაბრიელსა და კირიონს, დეკანოზ დავით ღამბაშიძეს, სამცხე-ჯავახეთში მოღვაწე მღვდელს ივანე გვარამაძესა და სხვებს ჰქონდათ საინტერესო პედაგოგიური იდეები, სასკოლო პრაქტიკაში კი უარყვეს უაზრო ზეპირობა და შეგნებულ სწავლებას ახორციელებდნენ.

6. სამღვდელოება მხარს უჭერს ქალის როლის გააქტიურებას საზოგადოებრივ ასპარეზზე. ივანე გვარამაძეს, მაგალითად, აუცილებლად მიაჩნდა გოგონების არამარტო სწავლება, არამედ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობაც საზოგადოებასა და ოჯახში, რითაც მნიშვნელოვნად უსწრებდა დროს.

7. სასულიერო წოდების თვალსაჩინო მოღვაწენი ხელს უწყობდნენ მეცნიერების წინსვლა-განვითარებას და თვითონაც (ალექსანდრე, გაბრიელი, კირიონი ...) თვალსაჩინო სწავლულები იყვნენ.

8. გაბრიელ ეპისკოპოსი საქვეყნოდ ილაშქრებდა ბატონყმობის წინააღმდეგ. ასეთსავე განწყობას ვხვდებით ილიას მოძღვართანაც («გლახის ნაამბობი»).

9. ქართველ სასულიერო მოღვაწეთა პედაგოგიური იდეები მათი თანამედროვე პროგრესული პედაგოგიური აზრის თანმხვედრია, რიგი აქტუალური საკითხების დაყენებაში კი პირველობა სწორედ მათ ეკუთვნით. ამასთან მათი ნააზრევი მხოლოდ ეპოქის გამოძახილი, ილიას, აკაკის, იაკობის

იდეათა ასახვა როდია, არამედ ლოგიკური მემკვიდრეობაა იმ საუკუნოვანი მოღვაწეობისა, რასაც სამღვდელოება საგანმანათლებლო ასპარეზზე ეწეოდა.

10. როგორც რეალურად მოღვაწე სამღვდელოება, ისე ილიას, აკაკის, ალ. ყაზბეგის მიერ მოცემული მოძღვართა სახეები ძალზე შორს დგანან მარქსისტულ-ლენინური შეფასებებისაგან. ისინი იყვნენ არა ბნელეთის მოციქულები და რეაქციონერები, არამედ საზოგადოებაში სინათლის შემტანი, ჰუმანური და საქვეყნო საქმეებისათვის მზრუნველი ფენა, რომლის დიდი დამსახურება არ უნდა იქნას დავიწყებული.

ნაშრომის **აპრობაცია** ხდებოდა სამეცნიერო კონფერენციებზე მოხსენებებითა და მისი ძირითადი შინაარსის პუბლიკაციით სეს-ის მიერ მითითებულ გამოცემებში.

**დისერტაცია შედგება** შესავლისაგან, სამი თავისაგან (13 პარაგრაფი) დასკვნებისა და ბიბლიოგრაფიისაგან.

## თავი პირველი

## თვალსაჩინო მოძღვარნი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში

### §1. საბჭოთა იდეოლოგია რელიგიისა და სამღვდელოების შესახებ.

საბჭოთა იდეოლოგები მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდნენ ძველი, რევოლუციამდელი (1917) სკოლის მიმართ. აკრიტიკებდნენ მას ცხოვრებისაგან მოწყვეტისათვის, ცარისტული რეჟიმის ერთგულებისათვის, სწავლების დოგმატიკურ-სქოლასტიკური ორგანიზაციისა და აღზრდის ზედმეტად მკაცრი მეთოდიკისათვის. ეს კრიტიკა, რა თქმა უნდა სამართლიანი იყო. მაგრამ შენიშვნას იწვევს ის, რომ საბჭოთა მეცნიერებს სიტყვაც არ დასცდენიათ სამღვდელოების პოზიტიურ როლზე საზოგადოებაში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა ღვთაებრივ ცნებებსა და მაღალ ზნეობას, ნერგავდა ჰუმანიზმს, თავმდაბლობას, ხალხში შეჰქონდა ცოდნა და კულტურა, გადამწყვეტ როლს ასრულებდა მშობლიური ენის, ეროვნული ტრადიციებისა და თავისთავადობის შენარჩუნების საქმეში. ეს ყველაფერი მე-19 საუკუნეშიაც შეადგენდა სასულიერო წოდების მოღვაწეობის შინაარსს, პერიოდში, რომელიც კომუნისტი იდეოლოგების კრიტიკის ძირითადი სამიზნე იყო.

საბჭოთა-კომუნისტური იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი იყო საკუთარი ბელადების ნააზრევის გაფეტიშება, ერთადერთ სწორ იდეოლოგიად გამოცხადება, და აბსოლუტური უარყოფა ყოველგვარი განსხვავებული იდეოლოგიისა, მათი რაციონალური მარცვლების დაუნახავობა და დაუფასებლობა.

კარლ მარქსის მიხედვით «რელიგია ხალხის ბანგია», რომელსაც საზოგადოების გაბატონებული ფენები მშრომელთა გასაბრუებლად იყენებენ, რათა მორჩილებაში ჰყავდეთ ისინი. შეიძლება მოთმონების ქადაგება არ ემთხვეოდეს რევოლუციურ ენთუზიაზმს, მაგრამ ქრისტიანული რელიგია ხომ ძმობას, ერთობას, თანასწორობას, ადამიანის სიყვარულს ქადაგებდა, და არა ექსპლოატაციას. ქრისტიანული რელიგია სწორედ დაბალი ფენების, უბრალო ადამიანთა სარწმუნოება იყო იმთავითვე.

პროფ. დ. გეგეშიძე წერდა: მარქსმა აჩვენა, რომ რელიგია, ქრისტიანული პრინციპები ყოველთვის ამართლებდნენ როგორც მონობას, ასევე შუასაკუნეობრივი ბატონყმობის ინსტიტუტს (30, 286). ვ.ი. ლენინის მიხედვით კი «ყველა მჩაგვრელ კლასს ბატონობის შესანარჩუნებლად ორი სოციალური ფუნქცია აქვს: ჯალათის ფუნქცია და ხუცესის ფუნქცია. ჯალათი აქრობს ჩაგრულთა ყოველგვარი სახის პროტესტს და აღშფოთებას, ხუცესი კი ანუგეშებს ჩაგრულებს, აშორებს მათ რევოლუციური მოქმედებისაგან, ტეხს მათ რევოლუციურ გამბედაობას» (30, 283).

უკიდურესად ტენდენციურია პროლეტარიატის ორივე ბელადის თვალსაზრისი. ტრადიციების ერთგულება, მათი დაცვისათვის ზრუნვა დამსახურებად უნდა შეფასდეს, და არა რეაქციულ გამოვლინებად. ლენინის მიერ სასულიერო წოდების მშვიდობიანი პოზიციის უარყოფითი ინტერპრეტაცია იმით არის განპირობებული, რომ მას აუცილებლად მიაჩნდა ახალ ფორმაციაში საზოგადოების ნახტომისებური გადასვლა, ე.ი. რევოლუცია. სამღვდელოება კი ძალადობისა და სისხლის ღვრის წინააღმდეგი იყო, ისევე როგორც თერგდალეულთა თაობა; მათი იდეალი სოციალური თანასწორობის თანმიმდევრული და თანდათანობითი დამკვიდრება იყო, ე.ი. საზოგადოების განვითარების ევოლუციური გზა, რომელიც ბევრად უფრო უმტკივნელოა, ვიდრე კაცობრიობის მიერ გადატანილი ნებისმიერი რევოლუცია თავისი უზომო მსხვერპლითა და ნგრევით. ასე რომ რევოლუციის მიუღებლობა, როგორც კომუნიზმის იდეოლოგები ირწმუნებოდნენ, არ ნიშნავდა საზოგადოების პროგრესული განვითარების მიუღებლობას, მისთვის ხელის შეშლას.

მარქსისტ-ლენინელები აუცილებლად თვლიდნენ არა მარტო თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის (როგორც კლასების), არამედ სამღვდელოების მოსპობასაც. ისინი თითქოს რწმენისა და სინდისის თავისუფლებას აღიარებდნენ, სიტყვით გმობდნენ მორწმუნეთა გრძნობების შელახვას და ახსნა-განმარტებით მუშაობას, ათეისტურ საუბრებს უჭერდნენ მხარს, მაგრამ სინამდვილეში ბევრად უფრო მძიმე იყო რელიგიასა და ეკლესიის მსახურებთან ბრძოლის სურათი. სტ. სახაროვს მოჰყავს საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი აქტები, რომლებიც სულ უფრო ავიწროებდა ეკლესიის გავლენას საზოგადოებაზე: 1917 წლის 26 ოქტომბრის დეკრეტით მოისპო კერძო საკუთრება

მიწაზე. ყველა მიწა, «მათ შორის საეკლესიო და სამონასტრო, სახალხო საკუთრებად გამოცხადდა». «რუსეთის ხალხთა დეკლარაციამ» 1917 წლის 26 ნოემბერს გააუქმა ყოველგვარი რელიგიური პრივილეგია. 1918 წლის 14 იანვარს გაუქმდა «სასახლის სასულიერო უწყება», ხოლო იმავე წლის 26 იანვარს დაშლილ იქნა «არმიის სასულიერო უწყებათა სამმართველო». 1918 წლის 18 იანვარს სახელმწიფოებრივი მზრუნველობის სახალხო კომისრის ბრძანებით შეწყდა კულტის მსახურთა და რელიგიური ორგანიზაციების შესანახი ხარჯების გაღება» (30, 364).

აქ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ რევოლუციის პირველსავე წლებში, ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში, ფიზიკურად მოსპეს მილიონობით სასულიერო პირი. საბჭოთა ხელისუფლების აქტივისტებმა დახურეს, დაშალეს, გაძარცვეს ბევრი ეკლესია. დახურულ ეკლესიებს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ – კლუბებად, საწყობებად, აბანოებად. ნგრევას მხოლოდ ყველაზე თვალსაჩინო არქიტექტურული ძეგლები გადაურჩა, რომელთა უმრავლესობაშიც წირვა-ლოცვა გაუქმებულ იქნა.

საბჭოთა იდეოლოგიამ მღვდლისაგან შექმნა სიმართლის, წინსვლის მოწინააღმდეგე, შენიღბული მტრის ხატი, სათაკილო ელფერით შემოსა სამღვდელოებაცა და ღვთისმსახურებაც.

ყველა ეპოქის მოაზროვნეები მოზარდთა ჩამოყალიბების პროცესში უპირველეს ამოცანად მაღალი ზნეობის დანერგვას თვლიდნენ. კომუნისტებმა, კერძოდ – ვ. ლენინმა სკოლის უმთავრეს ამოცანად მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა გამოაცხადა. ყველა მასწავლებელი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის მატარებელი და მქადაგებელი უნდა ყოფილიყო, რაც თავისთავად გულისხმობდა რელიგიისა და ეკლესიისადმი უკომპრომისო პოზიციას.

კომუნისტურმა იდეოლოგიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ რელიგიასთან ერთად ის ზნეობრივი პოსტულატებიც უარყვეს, რომლებიც რელიგიას უკავშირდებოდა, ღვთის მცნებებად მიეწოდებოდა საზოგადოებას და მრავალი საუკუნის მანძილზე გამაკეთილშობილებულ ზემოქმედებას ახდენდა მასზე: არა კაც ჰკლა, არა იმრუშო და სხვა შეგონებები საზოგადოებაში ინერციის წესით ცოცხლობდა, ოფიციალურ წრეებსა და სწავლების შინაარსში კი მათი ხსენებაც

აღარ იყო. მარქსისტებს ზნეობაზეც თავისებური წარმოდგენა ჰქონდათ. ლენინი, მაგალითად, აღნიშნავდა, რომ ზნეობრივია ყოველივე ის, რაც ხელს უწყობს ძველი საზოგადოების ნგრევასა და ახლის შენებას. ასე პრაგმატულ-ტენდენციური მოსაზრებებიდან გამოჰყავდათ კომუნისტებს ზნეობის ცნება. აქედან გამომდინარე, კომუნისტები ზნეობაზე მსჯელობისას არ სჯერდებოდნენ სიკეთის, სამართლიანობის, ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის ზოგადკაცობრიულ, ჩვეულებრივ გაგებას და ამ ცნებებს მათთვის ხელსაყრელი შინაარსით ავსებდნენ.

მათ არ მიიღეს «არა კაც ჰკლა» მისი ქრისტიანულ-პაციფისტური გაგებით, რადგან ასეთ შემთხვევაში ყოველგვარ ომზე უნდა ეთქვათ უარი. ისინი კი ხელს უწყობდნენ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი და სოციალური ომების გაჩაღებას, რა თქმა უნდა, სხვის ქვეყნებში, რათა ამ გზით თავიანთი გავლენა გაეფართოებინათ მსოფლიოს ხალხებზე. შექმნეს ახალი ტერმინი – სოციალისტური ანუ რევოლუციური ჰუმანიზმი, რომელიც ამგვარ ომებს, სისხლისღვრასა და უსასრულო რეპრესიებს «ნათელი მომავლის» დაპირებით ამართლებდა.

საბჭოთა კავშირში გაყალბებული იყო პატრიოტიზმის ცნებაც. თუ ადრე ქართველი სამღვდელოება საზოგადოების სხვა შეგნებულ ფენებთან ერთად, ეროვნული კულტურის გადარჩენისა და განვითარებისათვის იბრძოდა, საბჭოთა ხელისუფლების დროს გეზი აღებული იყო ერთიანი ერის ჩამოყალიბებაზე, და პატრიოტიზმშიც, ფარისევლურად, ასობით ეროვნების, მთელი უკიდეგანო ქვეყნის ერთნაირი სიყვარული იგულისხმებოდა. სინამდვილეში კი საბჭოთა იდეოლოგებს მიზნად ჰქონდათ ყურადღების შესუსტება არარუსი ხალხების კულტურისადმი, მათი ენებისა და ისტორიისადმი – რუსული ენისა და კულტურის გავლენის გაძლიერებისათვის, რომლებსაც საბოლოოდ მთლიანად უნდა განედევნათ სხვათა ენები და ეროვნული ტრადიციები.

სამღვდელოება, ტრადიციებისა და ეროვნული თავმოყვარეობის ხელისშემწყობი ფენა, ამ მხრივაც მიუღებელი იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის, რომელიც საკუთარი ერის სასიკეთოდ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს საბჭოეთის ერთიანობისადმი მტრულ გამოვლინებად და დრომოჭმულ ნაციონალიზმად თვლიდა.

კომუნიზმის იდეოლოგები საბჭოთა ხელისუფლებას წარმოადგენდნენ, როგორც ყველა პროგრესულად მოაზროვნის, ყველა მამულისშვილის (მათ შორის – ილია ჭავჭავაძისა და მისი პლეადის) ოცნების განხორციელებას. ამ რწმენით იზრდებოდნენ თაობები, რაც აგრეთვე არ შეესაბამებოდა სიმართლეს. ილიასა და მისი თანამოაზრეების (აკაკი, იაკობი და სხვები) წარმოდგენა საზოგადოების უკეთეს მომავალზე სრულიადაც არ უკავშირდებოდა რევოლუციურ გადატრიალებასა და რიგი კლასების ლიკვიდაციას. ისინი თანმიმდევრული რეფორმების გზით გეგმავდნენ სოციალური სამართლიანობის დამყარებას; ცნობილია ილიას თხზულება «სიმვოლო სარწმუნოებისა», სადაც ირონიით საუბრობს ადამიანებზე, რომლებსაც მარქსიზმი აბსოლუტური ჭეშმარიტების რანგში აჰყავდათ და სხვა არაფერი სწამდათ: «მრწამს ერთი მარკსი, ტომით ურიასტანელი, თავბრუდამსხმელი ყოველთა უმეცრებით ჩვილთა და უპოვართა, მამა-შემქმნელი ყოვლისა მეცნიერებისა, არსისა და უარსისა, გარეშე რომელსა არა იყვნენ მეცნიერნი უცხონი  სოფელსა ამას შინა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე...» (63, 1)

ცნობილია აკაკი წერეთლის კრიტიკული შენიშვნა, რომ მარქსისტებს (სოციალ-დემოკრატებს) მხოლოდ მუშები მიაჩნიათ ადამიანებად.

შორსმჭვრეტელური აღმოჩნდა იაკობ გოგებაშვილის მოსაზრება, რომ კომუნისტური იდეების განხორციელება საზოგადოებრივი ცხოვრების მოსაწყენ, «გულსაკლავ ერთფეროვნებას» მოასწავებდა. სწორედ ასეთი იყო საბჭოთა სინამდვილე – ერთადერთი ლეგალური იდეოლოგიით, განათლების სისტემით, პრესით, რიგითი ადამიანების შემოქმედებითი ინიციატივის დათრგუნვით.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მკვლევარები ერიდებოდნენ სამღვდელოების მოღვაწეობის კვლევას, ან იდეოლოგიური წნეხის ზემოქმედებით კრიტიკულად აფასებდნენ მას.

ჩვენი მიზანია ობიექტურად წარმოვაჩინოთ ქართული სამღვდელოების ნამოღვაწარი, მათი ადგილი და როლი საზოგადოების ცხოვრებაში; ილიას და მისი თანამოაზრეების დამოკიდებულება სამღვდელოებისადმი, რაც მათ მხატვრულ შემოქმედებასა და პუბლიცისტიკაში აისახა, ვაჩვენოთ რეალურ სასულიერო პირთა პრაქტიკული საქმეები. ჩვენ გვსურს დამაჯერებლად ცხადვყოთ, რომ სამღვდელოება სრულიადაც არ იყო ბნელეთის მოციქული, და

ხელი შევუწყოთ იმ აბსურდული შეფასების საბოლოოდ ჩამოშორებას, რასაც სრულიად უსამართლოდ, მაგრამ თავგამოდებით უქმნიდა საბჭოთა პროპაგანდა.

## §2. ეპისკოპოსი ალექსანდრე

მე-19 საუკუნის ქართველ სასულიერო პირთა შორის ეპისკოპოსი ალექსანდრე ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაა. მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ქართული ეკლესიისა და ქართველი ხალხის დაუღალავი და თავდადებული სამსახურია.

ალექსანდრე დაიბადა 1824 წელს გორის მაზრაში, სოფლის მღვდლის – დავით ოქროპირიძის ოჯახში. დაწყებითი და საშუალო განათლება გორის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში მიიღო, რომლის დამთავრების შემდეგ (1845) ბერად აღიკვეცა.

1846–1850 წლებში სწავლობდა ყაზანი სასულიერო აკადემიაში, რომელიც ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაასრულა. ალექსანდრე ერთ-ერთი პირველი იყო იმ ქართველთაგან, ვინც ამ აკადემიას აღუზრდია.

ცნობილია, რომ მისი სტუდენტობის პერიოდში ყაზანს ქოლერის ეპიდემია მოედო. აკადემიის ხელმძღვანელობის მიერ შერჩეულ რამდენიმე სტუდენტთან ერთად ბერ-მონაზონი ალექსანდრე ოქროპირიძეც თავდაუზოგავად იბრძოდა საშინელი სენით შეპყრობილი ამხანაგებისა და მასწავლებლების გადასარჩენად.

საქართველოში დაბრუნებულ ალექსანდრე ოქროპირიძეს სხვადასხვა კუთხეში უხდებოდა მოღვაწეობა და ყველგან ეს მოღვაწეობა ხასიათდება რწმენის გაძლიერებით, ხელმოკლეთათვის უნგარო დახმარებით, განათლების გავრცელებაზე მუდმივი ზრუნვით და, რაღა თქმა უნდა, კაცთმოყვარეობის და გულმოწყალების თესვით, რომლის განსახიერებასაც თავად წარმოადგენდა.

1856 წელს ალექსანდრე არქიმანდრიტად იკურთხა. 1862 წელს უკვე აფხაზეთის ეპისკოპოსია. 1869 წლიდან კი ქართლ-კახეთის ქორეპისკოპოსი და გორის ეპისკოპოსი. 1882-1886 წლებში გურია-სამეგრელოს ეპარქიას განაგებს.. 1898 წლიდან კი ისევ გორის ეპარქიის მღვდელმთავარია.

სავსებით გულწრფელი იყო «ივერიის» ერთ-ერთი ცნობილი თანამშრომელი ა. ახნაზაროვი, როცა აღნიშნავდა: ეპისკოპოსი ალექსანდრე მისი ღვაწლისათვის საქართველოში განუზომლად უყვარდა დიდსა და პატარას, მისი ცხოვრება იყო განსახიერება სახარებისეული სიტყვებისა – «მოვედით ჩემდა ყოველი მაშვრალი და ტვირთმძიმენი და მე განგისვენოთ თქუენ» (122, №89).

პირველ რიგში შევჩერდებით ალექსანდრე ოქროპირიძის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე. 1851 წელს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაბრუნდა იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის «დაბალ განყოფილებაში» საღმრთო წერილსა და ლათინურ ენას ასწავლიდა, უფროს კლასებში კი «ზნეობრივ ღვთის მეტყველებასა» და არქეოლოგიას. ამავე წლის 15 თებერვალს ილორის (აფხაზეთი) სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა.

გარდა იმისა, რომ თავადაც ასწავლიდა, დიდ ნივთიერ დახმარებას უწევდა სასწავლებელს: თავისი «მცირე საშუალებით მთელს პანსიონს ინახავდა ... აფხაზთა შვილებს პირველად მისგან მოეფინათ სხივი სწავლა-განათლებისა» (129, №155).

მომდევნო წელს ეს სასწავლებელი გარკვეული პერიოდით დაიხურა სამხედრო მდგომარეობის გამო. მოგვიანებით, როცა ალექსანდრე აფხაზეთის ეპისკოპოსი გახდა, კვლავ განაგრძობდა მასზე ზრუნვას. ცნობილია, მაგალითად, რომ 1868 წელს მან სასწავლებელს 200 მანეთი შესწირა (122, №89).

1854 წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად და უფროსი განყოფილების მასწავლებლად გადაიყვანეს. აქაც განაგრძობდა ხელმოკლე მოსწავლეთა შემწეობას. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მთელ მის ბიოგრაფიას თან სდევს ღარიბ მოწაფეებზე გაუნელებელი ზრუნვა, რასაც არაერთგზის ადასტურებს ქართული პრესა.

1867 წელს ალექსანდრეს თბილისის სასულიერო სემინარიისათვის 2500 მანეთი შეუწირავს, რომლის ყოველწლიური სარგებლით სტიპენდიანტი უნდა აღზრდილიყო.

ყაზანის ღარიბ სტუდენტთათვის გაუღია 300 მანეთი (129, №192).

1878 წელს კვლავ გადაურიცხავს თანხა თბილისის სასულიერო სემინარიის სასარგებლოდ.

1880 წელს თავადაზნაურთა სკოლის ხელმოკლე სტუდენტთათვის შეუწირავს 5 თუმანი (111, №105).

გორის სასულიერო სასწავლებლის ღარიბი მოსწავლეებისათვის სტიპენდიის დასაარსებლად გაუღია 1200 მანეთი (119, №204).

ამავე მიზნით თბილისის დედათა საეპარქიო სასწავლებელს 3000 მანეთი შესწირა (129, №192).

1897 წელს თბილისის სასულიერო სასწავლებელს გადაურიცხა 2500 მანეთი (122, №180).

1898 წელს თეკლათის მონასტერში გახსნილ ქალთა სკოლას 100 მანეთი შესწირა (123, №223) და ა.შ. ალექსანდრე ეპისკოპოსზე, როგორც უშურველ პიროვნებაზე, როგორც დიდ ქველმოქმედზე მეტყველებს იმ საზოგადოებათა ჩამონათვალიც, რომელთა წევრიც ის იყო. ეს არის «წითელი ჯვრის», «ბრმათა სამზრუნველო», «წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენელთა», «პირუტყვის მფარველთა», ქ.შ.წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოებები, წმინდა ანდრიასა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ძმობანი. ეპისკოპოსი ალექსანდრე ყოველწლიურად სწირავდა 200 მანეთს სევასტოპოლის გმირთა ოჯახების დასახმარებლად. იგი არა მარტო ქართველთათვის იყო სიკეთის მთესველი.

«სამაგალითოა მისი მოქმედება», – წერდა «დროება», – წელიწადი არ გავა, ასი-ორასი თუმანი არ შესწიროს კეთილ საქმეს ... თავისთავს კი, ეკონომიის მიზნით, ყველაფერს აკლებს, თავის მცირე ჯამაგირს რომ ქველმოქმედებისათვის მეტი გადაარჩინოს» (111, №105).

მიაჩნდა რა სწავლა-განათლების ფართოდ გავრცელება ერის მთლიანობისა და კეთილდღეობის უმნიშვნელოვანეს პირობად, ეპისკოპოსი ალექსანდრე აჭარის მოსახლეობის განათლებაზეც განუხრელად ზრუნავდა. სწორედ მან აღძრა შუამდგომლობა 1900 წელს კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების წინაშე აჭარაში სკოლის გახსნის შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნულ გათვითცნობიერებას, ნდობისა და კეთილმოსურნეობის დანერგვას სხვადასხვა სარწმუნოების ქართველთა შორის. ამ დროს ბათუმში უკვე ფუნქციონირებს ქ.შ.წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებული ქართული სკოლა, მაგრამ ქალაქში აჭარელთაგან, ძირითადად, ბეგები ცხოვრობდნენ. ამიტომ ბათუმის

სკოლაში მაჰმადიანთა არცთუ დიდი პროცენტი იყო. წარმოიშვა აზრი, რომ ეროვნული კონსოლიდაციის თვალსაზრისით ბევრად აჯობებდა სკოლის დაარსება სოფლად, სადაც მოლა-ხოჯები პროთურქულ პოზიციაზე იდგნენ და ხალხს აშინებდნენ – არ გაეშვათ შვილები სახელმწიფო სკოლებში, სადაც თითქოსდა ძალით გააქრისტიანებდნენ. ხსენებული საზოგადოების საბჭომ მიიღო ეს წინადადება და სკოლის გახსნისათვის მიზანშეწონილი ადგილის შერჩევას შეუდგა (132, №111).

ეპისკოპოსი ალექსანდრე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქალის, როგორც ერისა და ოჯახის ბურჯის სათანადოდ აღზრდას. თეკლათის დედათა მონასტერთან გახსნილ სკოლაში მან წარმოთქვა სიტყვა: «ბოლო 20-30 წლის განმავლობაში დაეცა განთქმული, ოჯახის, ქმარ-შვილის ერთგული და ღვთისმოყვარე ქართველი ქალი – ცრუ სწავლა-განათლების გამო. თუ ეს ახალდაარსებული სკოლა მოსწავლეთა გულში შთაბერავს ძლიერ სულს ღვთისმოყვარებისასა და განთქმულ მხნეობას ძველი ქართველი დედებისას, იგი დიდ სარგებლობას მოიტანსო» (123, №223).

ერის წინაშე დედათა უდიდესი ღვაწლის სწორი ხედვა კარნახობდა მას, სამოღვაწეოდ გურიაში გადასულს, სათავეში ჩადგობოდა ქალთა ეპარქიული სასწავლებლის დაარსებას. რომელსაც ყოველწლიურ დახმარებად 500 მანეთი აღუთქვა, ხოლო დაარსების შემდეგ გარკვეულ პერიოდში მთლიანად თავისი ხარჯით ინახავდა ამ სასწავლებელს. მისივე ინიციატივით დაარსდა ფოთში სამეგრელოს ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი (123, №245). «ივერიის ერთ-ერთი ავტორი, რომელსაც, გარდა ქველმოქმედებისა, მხედველობაში აქვს ეპისკოპოსის გაუნელებელი ზრუნვა ხალხში განათლების გავრცელებაზე, ძველ მღვდელმთავრებს ადარებს მას, რომელნიც თავიანთ საღმრთო მოვალეობად თვლიდნენ ეპარქიის ეკლესია-მონასტრებთან სკოლების დაარსებას, რის გარეშეც ვერ დაიმსახურებდნენ ვერც მეფისა და ვერც კათალიკოსის ყურადღებას. (121, №180).

ალექსანდრე ეპისკოპოსს მკვეთრად უარყოფითი განწყობა ჰქონდა ქართული ენის უფლებათა შეკვეცის მიმართ. თუ ადრე ქართულ ენაზე იმართებოდა სახელმწიფო, ტარდებოდა წირვა-ლოცვა და ქადაგებანი, იქმნებოდა მდიდარი სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა, მე-19 საუკუნეში ცარიზმის

ასიმილატორული პოლიტიკის ძალმომრეობით ქართული ენა თანდათან თმობდა პოზიციებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. როგორც მღვდელმთავრისათვის, მისთვის განსაკუთრებით აღმაშფოთებელი იყო ის, რომ სასულიერო სემინარიაშიც კი, რომელიც სამღვდელოებას ამზადებდა, ქართული ენა იდევნებოდა. სამღვდელოების ერთ-ერთ კრებაზე მან განაცხადა, რომ სურს 20000 მანეთი შესწიროს თბილისის სასულიერო სემინარიას – ქართული ენის კათედრის გასახსნელად. სამწუხაროდ, იმპერიული წნეხის მიზეზით ამ პატრიოტულ ინიციატივას განხორციელება არ ეწერა.

ნიშანდობლივია «დროების» შემდეგი ცნობაც: გურია სიხარულით შეხვდა ეპისკოპოს ალექსანდრეს ჩამობრძანებას, და მისი პირველი «ბაასი საზოგადოებასთან» ქართულ ენასა და მისი სწავლების გაუმჯობესებას ეხებოდა სასწავლებლებში. აქვეა ნათქვამი, რომ გურიის ეპარქიის დედათა სასწავლებელში (რომლის დაარსების ინიციატორი და მზრუნველიც თავად ეპისკოპოსი იყო – თ.მ.) სწავლება ქართულად იქნებოდა (113, №119).

«ივერიის» ცნობით, ფოთის საყდარში დეკანოზმა მაჭაროვმა რუსულად მიმართა იქ ჩაბრძანებულ ეპისკოპოსს. მას კი საპასუხო სიტყვაში უთქვამს: «რადგან აქ სულ ქართველობაა, უმჯობესია სიტყვა გასაგებ ენაზედ იყოს წარმოთქმულიო, და თვითონ ქართულად გამოსულა», – მგზნებარე, გრძნობით სავსე სიტყვით, რომელიც სარწმუნოების მტკიცედ დაცვის დიდ მნიშვნელობას ეძღვნებოდა) (123, №105).

ეპისკოპოს ალექსანდრეს მაღალი შეგნება და ურყევი პატრიოტიზმი შემდეგი ეპიზოდიდანაც კარგად ჩანს. ცნობილი არქეოლოგის – გრაფ უვაროვის მეუღლემ ეგზარქოს ალექსისაგან ითხოვა მარტვილის ტაძრის ძველი სამკაულების მოსკოვში გადაგზავნა, სადაც მუზეუმში უკეთ იქნებოდა დაცული – ამ წინადადების საპასუხოდ, სიძველეთა საქართველოსთვის შენარჩუნების მიზნით, ეპისკოპოსმა ალექსანდრემ დაუყოვნებელი რეაგირება მოახდინა და ეგზარქოსს აუწყა, რომ 1500 მანეთი უკვე გადადო მარტვილის სამკაულთათვის მტკიცე თავშესაფრის ასაგებად. გარდა ამისა, იქვე აღნიშნა, რომ სიწმინდეთა გატანას სარწმუნოების მხრივაც დაუშვებლად მიიჩნევდა, რადგან წინაპრებს ეკლესიები და საეკლესიო სამკაულები სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად შეუქმნიათ და არა მიზეუმებში შესანახად (128, №38).

აღსანიშნავია ეპისკოპოს ალექსანდრეს ზრუნვა ქართული **საგალობლების** მოძიება-შეკრებასა და ნოტებზე გადატანაზე, რასაც ჩვენი კულტურის ეს საგანძური დავიწყება-დაკარგვისაგან უნდა ეხსნა. მისი სახით ქართულ გალობას ღირსეული დამფასებელი და ქომაგი გამოუჩნდა. «ცნობილია, როგორ მფარველობს იგი გალობას. თუ წირვაზე კარგ ქართულ გალობას მოჰკრავს ყურს, მთელი გულისყური იქეთ აქვს ხოლმე მიპყრობილი და კეთილი, სათნო სახე უბრწყინავს», წერდა «ცნობის ფურცელი» (129, №183). გალობის გადარჩენაზე ზრუნვა ალექსანდრემ ქართლში დაიწყო, შემდეგ კი გურიასა და სხვა რეგიონებში მოღვაწეობისასაც აქტიურად განაგრძო.

ქართული (კარბელაშვილების) და გურული საგალობლების ნოტებზე გადასატანად 2000 მანეთი გაიღო (73, №20). გარდა ამისა, თბილისსა და ოზურგეთში დააარსა გალობის შემსწავლელი კაბინეტები, სადაც მსურველებს მუქთად ასწავლიდნენ გალობას – ნოტებით თუ ზეპირად, და პერიოდულად სოფლებშიც გადიოდნენ ამავე მიზნით.

1884 წლის ერთ-ერთ ნომერში «დროება» იუწყებოდა, რომ ეპისკოპოს ალექსანდრეს განუზრახავს გალობის სამი მასწავლებლის დაქირავება სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლისათვის (114, №171).

ყურადღებას იქცევს ალექსანდრე ეპისკოპოსის **საგამომცემლო** საქმიანობაც. მას თავისი სახსრებით გამოუცია ანტონ კათალიკოსის «სწორმეტყველება» (1885) და «მზამეტყველება» (1892), სულხან-საბა ორბელიანის «ლექსიკონი ქართული» (1884), გ. ავალიშვილის «ხმა ცოდვილისა ღვთისადმი» (1884), ამბროსი ნეკრესელის «სიტყვანი და მოძღვრებანი» (1881), რაფიელ ერისთავის ლექსიკონი «სამთა სამეფოთაგან» – მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური სიტყვარი, «ისტორიული საბუთები შიოღვიმის შესახებ» (1896), «საგალობლები», შედგენილი ძმები კარბელაშვილების მიერ (1899); «იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი». შედგენილი პოლიევტიკოს კარბელაშვილის მიერ (1900); ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები», შედგენილი თ.ჟორდანიას მიერ (127, №48).

გარდა ამისა, ეპისკოპოსმა ალექსანდრემ 2200 მანეთი გადასცა ეპისკოპოს ლეონიდეს სასულიერო ლიტერატურის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლების გამოსაცემად, როგორიც არის შატბერდის კრებული (XI საუკუნე), მიქაელ

მოდრეკილის საგალობლების ნოტებიანი წიგნი (X საუკუნე), სრული ნომ-კანონი 1217 დღისა, მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილება, თარგმანი წმინდა ეფთვიმე მთარგმნელისა (132, №135). იგივე გაზეთი – «ცნობის ფურცელი» – იუწყებოდა მის განზრახვას – გამოეცა ს.-ს. ორბელიანის «მოგზაურობა ევროპაში».

ეპისკოპოს ალექსანდრეს ე. თაყაიშვილისათვის და ა.ქუთათელაძისათვის მიუნდვია პლატონ იოსელიანის თხზულებათა მოძიება და მათი სრული კრებულის მომზადება გამოსაცემად, რადგან ზოგიერთი მათგანი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულიყო (121, №214).

«ცნობის ფურცლის» ახალ ამბებში საუბარია ალექსანდრე ეპისკოპოსის განზრახვაზე თავისი სახსრებით დაბეჭდოს ქართველთა გამაჰმადიანების ისტორიული მასალები. რადგან ბათუმში «გამოჩენილან ქართველები, რომლებიც თავიანთი «გათათრების» ისტორიას გამუდმებით იხვეწებიან». ტირაჟის ნახევარი უფასოდ უნდა დარიგებოდა წერა-კითხვის მცოდნე მაჰმადიან ქართველებს (131, №766). გასაგებია, ასეთი გამოცემის დადებითი როლი ეროვნული ცნობიერების გაღვიძების საქმეში.

მარტოოდენ ეს ზრუნვაც ფასდაუდებელი სასულიერო და ისტორიული ძეგლების გამოცემაზე დიდი მამულიშვილის სახელს შეუქმნიდა ნებისმიერ მოღვაწეს. ეპისკოპოს ალექსანდრეს მოღვაწეობა კი ბევრად უფრო მრავალმხრივი და საოცრად ინტენსიური იყო.

«ივერიის» ერთ-ერთი ავტორი ნ. ურბნელი, მაგალითად, ეპისკოპოს ალექსანდრეს უპირველეს და განსაკუთრებულ დამსახურებად **ეკლესია-მონასტრების შენება-აღდგენასა და მონასტრული ცხოვრების გამოცოცხლებაზე ზრუნვას** მიიჩნევს. მაშინ, როცა საზოგადოებაში ბერ-მონაზვნობისადმი ინტერესი საგრძნობლად იყო დაქვეითებული, ეპისკოპოსი ალექსანდრე, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, პირდაპირ კავშირს ხედავდა ეკლესია-მონასტრებისა და ქართული სახელმწიფოს ძლიერებას შორის, და ზრუნავდა რა მათ აღორძინებაზე, ქვეყნის მოღონიერებას, მის სულიერ ამაღლებას ესწრაფოდა, რასაც ყოველთვის ახლავს სათანადო მატერიალურ-პრაქტიკული ძვრები.

ალექსანდრე ეპისკოპოსმა 1888 წელს თავისი ხარჯით აღადგინა ძველი ტაძარი სოხუმიდან ორ ვერსზე, განაახლა სოხუმის მახლობლად, ზღვისპირას მდებარე სასაფლაოს ქვითკირის ეკლესია (122, №89).

გორის ეპარქიის ხელმძღვანელობისას შეაკეთებინა დავით გარეჯის მონასტრის კედლები, რომლებიც იმდენად დაზიანებულიყო, რომ წყალი ჩადიოდა (ხელმძღვანელობდა სოფელ არბოს წმინდა გიორგის «აღშენების კომიტეტს», იყო იკორთის ტაძრის აღდგენის კომიტეტის თავმჯდომარე (120, №188). 1500 მანეთი გაიღო მცხეთის ჯვრის განახლებისათვის (რომლის გამაახლებელი კომიტეტის თავმჯდომარეც თვითონ იყო), ზედაზენს კი – 11700 მანეთი შესწირა (76, №16, 14), რაც ხელუხლებლად იქნა შეტანილი ბანკში, მონასტერს ამ თანხის ყოველწლიური სარგებელი ხმარდებოდა (129, №192).

გარდა ამისა, ეპისკოპოს ალექსანდრეს თხოვნით შიომღვიმის უდაბნო, რომელიც თბილისის ფერისცვალების მონასტერს ეკუთვნოდა, დამოუკიდებელი მონასტრის ხარისხსში იქნა აყვანილი, მას დაუბრუნდა საკუთრება (მამულები, ძეგვის ბაღი) და გადაწყდა რომ ეპისკოპოს ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგაც, შიომღვიმის მონასტერი ქართველ მღვდელმთავართა ხელში უნდა ყოფილიყო (117, №138).

აღსანიშნავია, რომ ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, ხალხისათვის რომ სალოცავებში მისვლა, შემლებისდაგვარად გაეადვილებინა, თავისი ხარჯით გაამართვინა სოფელ ძეგვთან სარკინიგზო ბაქანი, შიომღვიმის მონასტრის პირდაპირ (118, ¹70), მტკვარზე კი ინგლისიდან საგანგებოდ გამოწერილი ბორანი აამუშავებინა, რომელსაც ურემიც გადაჰყავდა, საქონელიც და ხალხიც (119, ¹98).

მისი სისტემატური ზრუნვის საგანს სვეტიცხოველი წარმოადგენდა. გარდა საკუთარი შემოწირულობებისა, ის ცდილობდა საერო და სასულიერო ხელისუფალთა ყურადღება მიეპყრო ამ უძველესი ძეგლისათვის, რათა იგი ეროვნული ხუროთმოძღვრების სასიქადულოდ მომავალშიც ამაყად მდგარიყო (123, №69).

100 მანეთი შესწირა ჯუმათის მონასტერს – ეკვდერებისა და სამრეკლოს შესაკეთებლად (131, №880)., ხოლო, ხობის მონასტრის სიწმინდეებისათვის (ღვთისმშობლის კვართი, ძელი ჭეშმარიტი, კვირიკესა და მარინეს მარჯვენა მკლავები) დასაცავად ეპისკოპოსმა 1000 მანეთი გაიღო (130, №559).

ბათუმის ქართველობის მხარდასაჭერად, რომელთაც ეკლესიის აგება განეზრახათ, მაგრამ საქმე საძირკვლის კურთხევაზე წინ ვერ მიჰყავდათ (შემოწირულობათა სიმცირისა და სხვა ორგანიზაციული პრობლემების გამო) ეპისკოპოსი ალექსანდრე ჩაბრძანდა ბათუმს და წირვის შემდეგ მხურვალე სიტყვით მიმართა ხალხს: «ღმერთმა მოგვასწრო ამ კუთხის შემოერთება და სწორედ სირცხვილი იქნება, რომ ერთი პატარა ეკლესიაც ვერ ავაშენოთო იქ, სადაც ჩვენს წინაპრებს უხვად უშენებიათ ტაძარ-მონასტრები», აქ ხომ ადრე ქრისტიანობა ჰყვაოდაო. მან 500 მანეთი შესწირა ამ ეკლესიის მშენებლობას. (116[1], №234).

ალექსანდრე ეპისკოპოსის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ღვთისა და ერის სამსახურის ერთიანობისა და განუყოფლობის მაგალითია. საღმრთოსა და საეროს შეუთავსებლობის შემთხვევაში, სწორად წერდა ჟურნალი «კვალი», სასულიერო მოღვაწესა და სამწყსოს შორის უფსკრული ჩნდება. ალექსანდრე კი გულწრფელი სიყვარულით სარგებლობდა საქართველოში, ყველა კუთხეში, სადაც კი უმოღვაწია, როგორც მრავალმხრივ მზრუნველი და გულუხვი სულიერი მამა. «ქართული ტაძარი, წირვა-ლოცვა, ქართული მოძღვრება, ქართული გალობა, ქართული სასულიერო მწერლობის განვითარება, ქართველი ერის გულში მშობლიურ სიწმინდეთა სიყვარულის გაღვიძება და ღრმად ჩანერგვა – აი საგანი, რომელსაც მხურვალედ ემსახურებოდა ღვთივგაბრძნობილი მწყემსმთავარი» (128, №256).

ა.ახნაზაროვი წერდა: ეპისკოპოს ალექსანდრესნაირი მღვდელმთავრით ნებისმიერი ერი იამაყებდა. «მისი მეუფება ეპისკოპოსი ალექსანდრე ერთ იმ დიდბუნოვანთაგანია, რომელიც თავის ერს, თავის სამშობლოსაც მადლს ჰფენს და თავის სიკეთით თვით ერსაც სახელს უკეთებს» (122, №89).

ნ. ურბნელის აზრით, ალექსანდრე ეპისკოპოსს ოდესმე «ალექსანდრე აღმდგებელს» უწოდებენ.

«ასეთი უშიშარი და გულადი მთქმელი დიდი ხანია აღარ ჰყოლია ჩვენს სამშობლოს. სადაც და ვისთანაც ჯერ არს, იგი მხილებას არ უფრთხის, რისხვასა და მსჯავრს არა ჰზოგავს» (122, №89).

ალექსანდრე ეპისკოპოსის კაცთმოყვარეობა, მისი სასულიერო და საერო მოღვაწეობა ყველა შეგნებულ პატრიოტს აღაფრთოვანებდა. მოგვყავს, დაბოლოს,

ამ ღვაწლის ილიასეული შეფასება: «თქვენი ცხოვრების წმინდათა წმინდად ორი დიდი საგანია: ერთი ღმერთი და მეორე სამშობლო ქვეყანა. ღმერთს ღმრთისას აძლევდით და ქვეყანას ქვეყნისას ... ერთი წუთიც არ ვიცით თქვენის სიცოცხლისა, რომ ცხოველმყოფელი შუქი ამ ორკეც სიყვარულისა არ მოჰფენოდეს თითოეულს თქვენს საქმეს. ქვეყანას ემსახურებოდით ღმრთისათვის, ღმერთს ადიდებდით ქვეყანისათვის, რადგან ღმერთი არს სიყვარული და სიყვარული მსხნელია ქვეყნისა.

გციოდათ და არ იცვამდით, გშიოდათ და არ ჭამდით, მწირად ცხოვრობდით არა იმიტომ, რომ ვერცხლი შეგეგროვებინათ, არამედ იმისთვის, რომ რაც თავისთვის არ გემეტებოდათ, სამშობლოსათვის შეგემატებინათ» (123, №103).

ამგვარად, ეპისკოპოსი ალექსანდრე – სასულიერო წოდების წარმომადგენელი, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის თვალსაჩინო ფიგურაა – კეთილი მოძღვარი, დაუღალავი მამულიშვილი, რომლის სიტყვაც და საქმეც ჰაერივით ასულდგმულებდა მრავალჭირნახულ ქვეყანას.

## §3. იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი

გერასიმე (ბერობაში – გაბრიელ) ქიქოძე დაიბადა 1825 წლის 15 ნოემბერს გურიაში, სოფელ ბახვში. დაწყებითი განათლება ოჯახში, მამისაგან მიიღო. თბილისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ (1839) სწავლობდა თბილისის, 1842 წლიდან ფსკოვის, 1844 წლიდან კი პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში, რომელსაც ამთავრებს 1845 წელს. 1849 წელს დაასრულა პეტერბურგის სასულიერო აკადემია. 1849-1858 წლებში მსახურობდა თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად და რექტორის თანაშემწედ. ასწავლიდა ფიზიკასა და მათემატიკას. პარალელურად მუშაობდა თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში საღრმთო რჯულის მასწავლებლად.

ოჯახური ტრაგედია (მოკლე დროში დაეღუპა მეუღლე და სამივე შვილი) ღვთის მინიშნებად მიიღო და მღვდელ-მონაზვნად აღიკვეცა (1856). 1858 წელს დაინიშნა დავით გარეჯის არქიმანდრიტად, შემდეგ (1858-1860) გორის ეპისკოპოსად, 1860 წლიდან იმერეთ-სამეგრელო-გურია-სვანეთის ეპისკოპოსია. მალე აფხაზეთიც შემოუერთდა მის სამწყსოს.

ქადაგებით, წირვა-ლოცვით, სიტყვისა და საქმის ერთიანობით, რეალური ზრუნვით მოსახლეობის განათლებასა და კეთილდღეობაზე, გაჭირვებულთა დახმარებითა და სხვა სასიკეთო საქმეებით მან მრევლის უსაზღვრო ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. «კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისა» – იტყოდა დიდი მწყემსმთავარი, და მართლაც, მის შეგნებასა და მოღვაწეობაში ორგანულად იყო შერწყმული შემოქმედის თაყვანისცემა და ამქვეყნიური პრობლემების მოგვარებისათვის ბრძოლა.

გაბრიელ ეპისკოპოსმა თავისი მოღვაწეობა პედაგოგობით დაიწყო. თბილისის სასულიერო სემინარიაში იგი გამოჩნდა, როგორც გაბედული მასწავლებელი და აღმზრდელი, რომელიც ამსხვრევდა უნაყოფო სტერეოტიპებს, ახალ გზებს ეძებდა პედაგოგიური პროცესის გაჯანსაღება-გაუმჯობესებისათვის და, არაჩვეულებრივი ნიჭიერებისა და საქმის ერთგულების მეოხებით, აგნებდა კიდეც მათ.

პირველ რიგში აღსანიშნავია ცვლილებები, რომლებიც ახალგაზრდა ინსპექტორმა სწავლების სფეროში გაატარა. ცნობილია, რომ იმდროინდელ სკოლებში დოგმატიზმის პრინციპი ბატონობდა, რომელიც პედაგოგს არ ავალდებულებდა დაწვრილებით და ნათლად აეხსნა მოსწავლეებისათვის სასწავლო მასალა, გამოეყენებინა თვალსაჩინო საშუალებები და მათ მიერ მისი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაცნობიერებისათვის მიეღწია. მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ სწავლება უცხო, რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ყოველივე ამის შედეგი იყო სახელმძღვანელოს ტექსტების უაზრო ზეპირობა, შეუგნებელი ზუთხვა, რაც აკაკი წერეთლისა და სხვა სამოციანელთა სიტყვებით, «კაჭკაჭური ზეპირობა» იყო და არა თუნდაც მინიმალური ცოდნის დაუფლება. მასწავლებლის ცოცხალ, გასაგებ ახსნას მოკლებულ მოსწავლეებს წიგნის იმედიღა რჩებოდათ, რომელსაც ისინი, ვისაც როგორ შეეძლო, იზეპირებდნენ. მასწავლებლებს სავსებით აკმაყოფილებდათ ზეპირი («უშეცდომო») პასუხი, და ასეთ მოპასუხეს მაღალ ნიშანსაც უწერდნენ. არ ინტერესდებოდნენ იმით, ესმოდა თუ არა მოსწავლეს გაზეპირებული ტექსტის აზრი.

ასეთი იყო სკოლაში სწავლების საერთო სურათი. იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც ბედნიერება ჰქონდა გერასიმე ქიქოძის მოსწავლე ყოფილიყო, საკმაოდ დაწვრილებით აღგვიწერს მის მეთოდიკას, რომლის შემოღებას დიდი გამბედაობა და საკუთარი ძალებისა და სიმართლის ურყევი რწმენა სჭირდებოდა. მასწავლებელმა მოსწავლეებს აუკრძალა მის საგნებში წიგნების შეძენაც და მისი მონათხრობის ჩაწერაც. მათ ყურადღებით უნდა მოესმინათ ახსნა-განმარტება და ასე აეთვისებინათ გაკვეთილები. «გაკვეთილს ხსნიდა მთელი სიმარტივით, ზედმეტი სიტყვებისა და გამოთქმების გარეშე გაიმეორებდა მას რამდენიმეჯერ და შემდეგ კი იმასვე გაამეორებინებდა საუკეთესო მოსწავლეებს».... გაკვეთილის დამთავრების შემდეგ ეს მოსწავლეები, თავის მხრივ, ვალდებული იყვნენ ასევე აეხსნათ მოცემული გაკვეთილის შინაარსი დანარჩენი ამხანაგებისათვის – მის სრულ შეთვისებამდე (12, 158-159).

ამ სისტემამ, მართალია, პროგრამის სანახევროდ შეკვეცა მოითხოვა, მაგრამ ყოველივე მნიშვნელოვანს კლასი შეგნებულად ითვისებდა, რაც უცხო ხილი იყო მაშინდელი სკოლისა და მასწავლებელთა უდიდესი უმრავლესობისათვის.

გერასიმე ქიქოძის მეთოდიკა რამდენადმე სწავლების კომენსკისეულ ორგანიზაციას გვაგონებს. როცა კომენსკი თხრობით ახსნიდა ახალ მასალას, მოსწავლეებისაგან მოითხოვდა – ზუსტად მოეთხროთ იგივე. პირველად ცოტა ვინმე ბედავდა ხელის აწევას, მაგრამ მასალის კიდევ და კიდევ მოსმენის კვალდაკვალ მსურველთა რიცხვი იზრდებოდა.

საინტერესოა, რომ კომენსკისაგან განსხვავებით, გერასიმე ქიქოძე განმეორების სიზუსტეს არ მოითხოვს, რაც გარკვეულ ასპარეზს უქმნის დამოუკიდებელ აზროვნებას, საკუთარი სიტყვებით იმავე საკითხის გადმოცემას.

საყურადღებოა ისიც, რომ ქიქოძის ძლიერ მოსწავლეებს, რომლებიც გაკვეთილის ჩარჩოებშივე ეუფლებიან სასწავლო მასალას, პასუხისმგებლობა აკისრიათ – შედარებით სუსტ შეგირდებსაც გააცნობიერებინონ მისი არსი. ესეც კომენსკის დეკურიონებს გვაგონებს, რომლებიც კონტროლს უწევდნენ თავიანთი ათეულების სასწავლო მუშაობას, ამოწმებდნენ მათ ცოდნას და შედეგებს მასწავლებელს მოახსენებდნენ.

ოღონდ კომენსკი, თხრობისა და საუბრის გარდა, ახსნითი კითხვის მეთოდსაც იყენებდა, ე.ი. სახელმძღვანელოს არ უარყოფდა.

წიგნებით სწავლას უარყოფდა ჟან-ჟაკ რუსო, რომელსაც მოსწავლის სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობა დამოუკიდებელ მუშაობაზე დაჰყავდა. რა თქმა უნდა, აქაც იზღუდებოდა ცოდნის მოცულობა, მაგრამ, სამაგიეროდ, სწავლა შეგნებული იყო, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ასე რომ გერასიმე ქიქოძის მეთოდიკა უდავოდ პროგრესული მოვლენა იყო: გაბატონებული უაზრო ზუთხვის პირობებში ბავშვებს «კაჭკაჭური ზეპირობის» ნაცვლად აზროვნება დააწყებინა და ნაფიქრ-ნააზრევის მარტივად და გასაგებად გადმოცემის ჩვევა გამოუმუშავა.

ჩვენ ხაზგამით აღვნიშნავთ, რომ ეს მისაღები და მისასალმებელი იყო დოგმატიკური ტიპის სწავლების პირობებში. დღეს კი, როცა ახსნითი ტიპის სწავლება ბატონობს, რომლის მთავარი პრინციპი ცოდნის შეგნებულად დაუფლებაა, საჭიროა არა სახელმძღვანელოების აკრძალვა, არამედ საუკეთესო (მეცნიერულად გამართული, მისაწვდომი) სახელმძღვანელოების შედგენა. დღეს არაერთი ხერხი და საშუალებაა მასწავლებლის მეთოდიკურ არსენალში, რომლებიც გაკვეთილის დასაწყისიდანვე უზრუნველყოფენ მოსწავლეთა

სასწავლო განწყობას და სათანადო აქტივობას, და «წიგნის იმედი», რომელიც, გარკვეულ პირობებში, მართლაც გვევლინება გაკვეთილზე მოსწავლეთა უყურადღებობისა და პასიურობის ფაქტორად, უმრავლეს შემთხვევაში უარყოფით როლს ვეღარ ასრულებს.

«ცოცხალი სწავლების ეს ხერხი გადაიღო ზოგიერთმა სხვა ახალგაზრდა მასწავლებელმაც და ძველი მკვდარი ზუთხვა გაუქმდა» (12, 159).

იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ მანამდე ფიზიკასაც კი ზუთხვით «სწავლობდნენ», არც კაბინეტი ჰქონდათ და არც რაიმე ცდების დემონსტრირებას ახდენდნენ. «ქიქოძემ დაუყოვნებლივ დაიწყო ზრუნვა ფიზიკის ისეთი სრული კაბინეტის შესაძენად, რომლის მსგავსი მაშინ თბილისში არ იყო და რომლითაც დროგამოშვებით საერო სასწავლებლებიც კი სარგებლობდნენ»: შეიძინეს ზოგიერთი ასტრონომიული ხელსაწყოც, რომლებითაც საღამოობით მნათობებს აკვირდებოდნენ.

«სემინარიაში დაიწყეს აგრეთვე მიღება საუკეთესო საერო ჟურნალებისა, იწერდნენ უახლეს თხზულებებს ცოდნის სხვადასხვა დარგიდან, რის შედეგად გონებრივი საქმიანობა მოსწავლეთა შორის ფართოდ გაჩაღდა» (12, 159-160).

მოსწავლეთა გონივრული განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პედაგოგთა კამათის მოსმენას მათ მიერ; «ყოველ საღამოს სემინარიის აივანი წარმოადგენდა გაცხოველებული დავის ასპარეზს... ეს გონებრივი საქმიანობა, რომელიც ხშირად მიმდინარეობდა მოსწავლეთა თვალწინ, ძალიან კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენდა მათზე და უღვივებდა მათ ცნობისმოყვარეობას და ინტერესს გონებრივი შრომისადმი» (12, 160).

დიდი იყო გერასიმე ქიქოძის როლი საკუთრივ აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეშიაც. პირველი ამოცანა, რა თქმა უნდა, სკოლისათვის წესრიგის დამყარება, სასწავლო დისციპლინის განმტკიცება იყო. ჯერ კიდევ კომენსკი აღნიშნავდა, რომ «სკოლა იგივეა უდისციპლინოდ, რაც წისქვილი უწყლოდ». ეს კარგად ესმოდა ქართველ მოძღვარსაც. ამიტომ, «შეუდგა თუ არა ინსპექტორის თანამდებობის შესრულებას, მან გააუქმა დისციპლინის ყველა წვრილმანი წესი, უფრო ნათლად, მკვეთრად და კატეგორიულად განსაზღვრა კეთილგონივრული ყოფაქცევის მნიშვნელოვანი და არსებითი წესები, რომელთა შესრულებას ის მთელი მგზნებარებით მოითხოვდა» (12, 157).

გერასიმე ქიქოძე, როგორც ჭეშმარიტი მოძღვარი, პირველ რიგში თავისი მაგალითით ზრდიდა სემინარიელებს. იგი გამოირჩეოდა უბრალოებითა და ჰუმანურობით, აღსაზრდელებს ეპყრობოდა როგორც ადამიანებს, და პოლიციელივით როდი უყურებდა მათ – როგორც საეჭვო პირებს. იყო წრფელი, მართალი და სამართლიანი, რომლის სიტყვა და საქმე არასოდეს დაშორებია ერთმანეთს. ამის დადასტურებაა სემინარიის რექტორის – არქიმანდრიტ იზრაელის სიტყვები სემინარიელის მიმართ, რომელმაც მის წინაშე იცრუა; «როგორ არ გრცხვენიათ, ასე როგორ ცრუობთ, აიღეთ მაგალითი თქვენი ინსპექტორისაგან, რომელშიც არავითარი სიყალბე არ არის» (12, 160).

აღზრდის საშუალებათა სისტემაში გერასიმე ქიქოძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თამაშებს. «წინათ თამაშობას სემინარიაში უყურებდნენ როგორც გარდაუვალ ბოროტებას და ყოფაქცევის მხრივ წინ აყენებდნენ იმ მოსწავლეებს, რომლებიც თამაშობაში სრულებით არ მონაწილეობდნენ და თაი მოჰქონდათ მშვიდ და უწყინარ არსებად» (12, 159). ესეც ძველი სკოლის ერთ-ერთი სტერეოტიპია. თამაში, რა თქმა უნდა, ვერც სწავლას და ვერც აღზრდის სხვა საშუალებებს შეცვლის, მაგრამ თუ იგი მოზარდს არავითარ ფიზიკურ ზიანს არ უქადის, ეწყობა საამისოდ განკუთვნილ დროს და ხასიათდება ზომიერებით, ასეთ შემთხვევაში თამაში აკმაყოფილებს მოზარდის დიდ მოთხოვნილებას ფიზიკურ აქტივობაში, თანატოლებთან ურთიერთობაში და ხელს უწყობს არა მარტო ფიზიკურ განვითარებას, არამედ ფსიქოლოგიურსა და გონებრივსაც, მხნეობას და ხალისს მატებს მოთამაშეებს.

გერასიმე ქიქოძეს კარგად ესმოდა სათანადოდ ორგანიზებული, შინაარსიანი თამაშების საჭიროება. «ის თამაშობას თვლიდა უცილობლად სასარგებლო მეცადინეობად არა მარტო სხეულისათვის, არამედ სულისთვისაც, და ეჭვით უყურებდა იმ აღსაზრდელებს, რომლებიც უქმად ატარებდნენ დროს, როცა მათი ამხანაგები მხიარულად თამაშობდნენ სემინარიის ეზოში. ყოველდღე, ნასადილევს, რამდენიმე საათის განმავლობაში ეს ეზო წარმოადგენდა ფრიად მრავალფეროვან, მაგრამ სავსებით წესიერ თამაშობათა ასპარეზს და ჰაერში გაისმოდა მოთამაშე ბავშვთა თავისუფალი წკრიალა ხმები. ინსპექტორი ამ დროს ან შეშას აპობდა მოთამაშეთა ახლოს, ანდა აივნიდან უყურებდა ბავშვებს, აქებდა იმათ, ვინც თამაშობაში უფრო მეტ მოხერხებულობასა და ღირსებას იჩენდა»...

ვახშმის შემდეგაც, განსაკუთრებით, ნათელ, მთვარიან ღამეებში, ისევ იმართებოდა თამაშები «რამდენიმე ხნით» (12, 158).

აქ საინტერესო ისიც არის, რომ პედაგოგი (ინსპექტორი) ქიქოძე არა მარტო საჭიროდ თვლის თამაშებს, იგი საუკეთესო მოთამაშეთა წახალისებასაც მიმართავს, რითაც სხვებსაც აქეზებს – იყვნენ უფრო მოქნილი და მახვილგონიერი.

სემინარიის ცხოვრებაში სიახლე იყო ისიც, რომ ინსპექტორ ქიქოძეს ადამიანის ცხოველმოქმედების ნორმად მიაჩნდა გონებრივი და ფიზიკური შრომის მონაცვლეობა. მას, როგორც შესანიშნავ ფსიქოლოგს, კარგად ესმოდა ერთფეროვანი შრომის დამთრგუნველი მოქმედება მისდამი ინტერესზე. მაგრამ შრომის სახეების მონაცვლეობას არა მარტო ინტერესის შენარჩუნების მისია ეკისრება, იგი აუცილებელია ადამიანი ჰარმონიული განვითარებისათვის – რათა თანაბრად შეეწყოს ხელი მოზარდის როგორც სულიერ (გონებრივ), ისე ფიზიკურ განვითარებასა და სიჯანსაღეს. «ამ წესს იგი თვითონ მკაცრად იცავდა. თავის ინტენსიურ გონებრივ შრომას ის ცვლიდა შეშის დაჭრით, რასაც ყოველდღე მიმართავდა რეგულარულად, განსაზღვრულ საათებში. მოსწავლეები ბაძავდნენ თავიანთ ინსპექტორს და თვითონაც ხშირად ჭრიდნენ შეშას, მონაწილეობდნენ სამეურნეო სამუშაოებში და ამით უმსუბუქებდნენ მსახურთ ფიზიკურ შრომას» (12, 157).

გერასიმე ქიქოძე აღიარებული მეცნიერიც იყო. ის არა მარტო მათემატიკასა და ფიზიკას ფლობდა, არამედ ფსიქოლოგიაშიც გაითქვა სახელი მთელ ყოფილ რუსეთის იმპერიაში. XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ჟურნალ «სოვრემენიკსა» და «რუსსკი ვესტნიკს» შორის ცხარე პოლემიკა გაიმართა ადამიანის ბუნების საკითხის გამო. «პირველი ატარებდა მატერიალისტურ შეხედულებას ადამიანზე, ხოლო მეორე – იდეალისტურს. მთელი მოაზროვნე რუსეთი გაიყო ორ მოწინააღმდეგე ბანაკად. «სოვრემენიკის» მხურვალე მიმდევრებად და იურკევიჩის გაშმაგებულ დამცველებად» (12, 155). «სოვრემენიკის» შეხედულებას ყველაზე სრულად გამოხატავდა ნ. ჩერნიშევსკის სტატია «ანტროპოლოგიური პრინციპი ფილოსოფიაში», რომელსაც ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებოდა კიევის სასულიერო აკადემიის პროფესორის იურკევიჩის ტრაქტატი – «მეცნიერებიდან ადამიანის სულის შესახებ». ამ

ნაშრომმა მმართველ წრეებში დიდი პოპულარობა მოუტანა ავტორს – იგი მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის მესვეური ხდება. «სოვრემენიკმა» კი, რომელიც რევოლუციონერ-დემოკრატთა ორგანო იყო, დაცინვითა და შეურაცხმყოფელი ტონით მოიხსენია იურკევიჩის ნაშრომი, ისევე, როგორც ყველა მისი თანამოაზრის პუბლიკაციები.

სწორედ ამ მწვავე და დაუნდობელი პაექრობის დროს გამოვიდა არქიმანდრიტ გაბრიელ ქიქოძის მეცნიერული ნაშრომი «ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები». «მოსალოდნელი იყო, რომ ამ ნაშრომსაც იგივე ბედი ეწეოდა, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, დუმილით აუვლიდნენ გვერდს. მოხდა კი პირიქით: «სოვრემენიკმა» არა თუ აღნიშნა ამ ნაშრომის გამოსვლა, არამედ თავისი საუკეთესო კრიტიკოსის – ნ. დობროლიუბოვის სახით გამოიჩინა მისდამი სრული გულწრფელობა და პატივისცემა და უსურვა ავტორს შემდგომი წარმატება ფილოსოფიური საკითხების დამუშავებაში» (12, 155-156). მეორეს მხრივ, იურკევიჩიც აღტაცებული იყო ამ ნაშრომით, რომელიც დიდხანს სახელმძღვანელოდ იხმარებოდა რუსეთის სემინარიებში.

გერასიმე ქიქოძის მეცნიერული და პედაგოგიური პორტრეტის შეფასებისას გვერდს ვერ ავუვლით მოძღვრის დიდი თანამედროვის ი.ჭავჭავაძის სიტყვებს, რომელიც სრულად ასახავს მისი მოღვაწეობის მრავალმხრივობასაც და ეპოქალურ მნიშვნელობასაც: «თითოეული წამი მისის ცხოვრებისა – მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის, ერთად კი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალ-სათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა. განსვენებული ღრმად-მიწევნილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე ღრმადმორწმუნეცა... მთელი მოძღვრება აწ განვენებულის სახელოვანის მღვდელმთავრისა რომ ავიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება – მეცნიერებისათვის. პირიქით, იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა და მთელი სიბრძნე მისი ამაშია გამოსახული.... ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორც ნიუტონი და სხვები მისებრნი, ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნებისმეტყველნი» (62, 930). მისი მარტო სახელის ხსენებაც კი გვწვრთნის, მისი ბაგით თვით ღმერთი მეტყველებდა».

ასეთი გახლდათ მოძღვარი გერასიმე ქიქოძე – აღჭურვილი მრავალმხრივი ღრმა ცოდნითა და იშვიათი პედაგოგიური ალღოთი, რომელსაც მისი ჰუმანური ბუნება და პროგრესული მისწრაფებები ედო საფუძვლად.

«იშვიათად შეხვდებით ასეთს ჰუმანურ პირს, ასეთ კეთილშობილებას, როგორსაც იჩენს გერასიმე შეგირდებთან დამოკიდებულებაში. უმეტეს ნაწილად ასეთი ბიუროკრატიული, ასეთი პოლიციური სამახური აფუჭებს კაცის გულს, ხდის ცივად, უგრძნობლად, აჩვევს ფორმალისტობას, გაიძვერობას, შეუბრალებლობას, ცბიერობას, თვალთმაქცობას. ვერავითარ ამის მსგავს საქციელს ვერ ვპოულობთ ჩვენ გერასიმეს მოღვაწეობაში ინსპექტორად ყოფნის დროს. ხუთ წელიწადს იყო ინსპექტორად. ამ ხნის განმავლობაში ათასმა სულმა შეგირდმა გამოიარა მის ხელში, მაგრამ არც ერთთან უსიამოვნება არ შეხვედრია, არც ერთი არ მომდურებია. პირიქით, ყველას ლმობიერად, მამობრივი სიყვარულით და მზრუნველობით ეპყრობოდა» (24, 41).

გ. ქიქოძის პედაგოგიურ მოღვაწეობას სავსებით რეალური, ხელშესახები შედეგები ჰქონდა;

მოსწავლეებმა დაიწყეს ცოდნის შეგნებულად შეთვისება, საგრძნობლად ამაღლდა მათი წარმატება;

თამაშების წახალისებისა და ფართოდ დანერგვის, შრომის საქმიანობაში ჩაბმის შედეგად «აშკარად შემცირდა ბავშვთა საიდუმლო ბიწიერებანი», რომელიც ასე გავრცელებული იყო დახურულ სასწავლებლებში;

შემცირდა დაავადებათა რიცხვი, ბავშვები უფრო ჯანმრთელად გამოიყურებოდნენ (130, 158).

თუ ადრე ხშირი იყო კონფლიქტები პედაგოგებსა და სემინარისტებს შორის, ქიქოძის ინსპექტორობის პერიოდში რაიმე «აჯანყებას», ან, მით უმეტეს, ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია.

შეგნებული სწავლება, საერო გამოცემების მისაწვდომობა და აღმზრდელთა მეცნიერული კამათის ყურისგდება აფართოებდა სემინარიელთა ჰორიზონტს, უვითარებდა გონებრივ ძალებს.

ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ ამონაწერი რუსული პრესიდან, რომელშიც სათანადოდო არის შეფასებული როგორც გერასიმე ქიქოძის პედაგოგიური ღირსებები, ისე აღსაზრდელთა განწყობა მისდამი; «როგორც პედაგოგმა, ყველაზე

საუკეთესო მოგონებები დატოვა თავის მოწაფეებში. ორატორის ტალანტი საშუალებას აძლევდა მეცნიერებისადმი ცხოველი ინტერესი აღეძრა მათში, და მისი ზნეობრივი თვისებებიც მისდამი სიყვარულსა და პატივისცემას ჩააგონებდათ» (110, №9, 330).

მის თვისებებს, არახელსაყრელი საერთო ვითარების მიუხედავად, კოლეგებს შორისაც უჩნდებოდნენ დამფასებლები.

როგორც ვიცით, დიდი ოჯახური ტრაგედიის შემდეგ (1856) გერასიმე ქიქოძე ბერად აღიკვეცა «საქართველოს მაშინდელი ეგზარქოსის ისიდორესა და ბევრ სხვათა გასახარებლად, რომელნიც მას ახლოს იცნობდნენ და მასში ხედავდნენ საქართველოს ეკლესიის მომავალ მნათობს» (12, 162).

33 წლის გაბრიელი უკვე ეპისკოპოსია (გორის), 1860 წელს კი დაინიშნა იმერეთ-სამეგრელო-გურია-სვანეთის საეპისკოპო კათედრაზე, რომელსაც მალე აფხაზეთიც შეუერთდა.

«ახალგაზრდა ეპისკოპოსის სამოღვაწეო სარბიელი ისე ფართო, რთული და ძნელი იყო, რომ მოითხოვდა მისი უხვად დაჯილდოებული ნატურის მთელი ძალ-ღონის დაძაბვას. მიუხედავად ამისა, მან თავის მაღალ მოწოდებას ხელი მოჰკიდა მისთვის დამახასიათებელი კეთილშობილური გატაცებით და მთელი თავდადებით, ამასთან განაგრძობდა მეცნიერული საკითხების დამუშავებას, (გარდა მშობლიური ქართულისა და რუსული ენისა, სრულყოფილად ფლობდა ფრანგულს, კითხულობდა გერმანულადაც – თ. მ.), რაშიც ის ჭეშმარიტ სიტკბოებას პოულობდა» (12, 164).

მისი წირვა და ლოცვა, ქადაგება, რომელსაც ყოველთვის ინტერესით ისმენდნენ, იმედს და მხნეობას უნერგავდა მრევლს, არა მარტო სულიერად ამაღლებდა მას, - ყოფაცხოვრების უკეთ მოწყობაშიც ეხმარებოდა.

რა თქმა უნდა, მისი მოღვაწეობის უპირველესი მიზანი რწმენისა და მაცხოვრისადმი სიყვარულის განმტკიცება იყო. ამასთან იგი თავისი ეპოქის ყველა საჭირბოროტო საკითხს ეხმაურებოდა და, როგორც თავისი ერის ღვიძლი შვილი, ყოველთვის სამართლიან თვალსაზრისზე იდგა და ისევე, როგორც თერგდალეულები, ერთადერთ სწორ გზას უჩვენებდა საზოგადოებას – არც თუ იშვიათად – მათზე ადრე. გამოდიოდა მისთვის ჩვეული პრინციპულობითა და უკომპრომისობით, მისი ქადაგებებისათვის უცხო იყო თვითმიზნურობა და

ტრაფარეტულობა. გაბრიელ ეპისკოპოსი თავის შთამბეჭდავ ქადაგებებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ოჯახის სიმტკიცეს, ტრადიციული პატიოსნების შენარჩუნებასა და მოვალეობათა პირნათლად შესრულებას. ყურადღებას ამახვილებდა კარგად აღზრდილ ქალთა უდიდეს მნიშვნელობაზე საზოგადოებისათვის, აღზრდის უმცირესი ასაკიდან დაწყების საჭიროებაზე, შრომითი საქმიანობის მრავალმხრივ სასიკეთო მნიშვნელობაზე, საზოგადოების ყველა ფენაში განათლების გავრცელების აუცილებლობაზე, სკოლებში მოსწავლეთა სიბეჯითისა და აქტიურობის, წესრიგისა და დისციპლინის პრობლემაზე, მასწავლებელთა დიდ პასუხისმგებლობაზე ღვთისა და ერის წინაშე, ბატონყმურ ურთიერთობათა უსამართლობაზე და სხვ.

ეს ქადაგებები ყოველთვის უსაფრთხო როდი იყო, მაგრამ ეპისკოპოსს არასოდეს უღალატია თავისი რწმენისა და ჰუმანური იდეებისათვის. იგი ხანგრძლივად ჩერდებოდა დასავლეთ საქართველოს ყოველ კუთხეში, რომლებიც მის სამწყსოში შედიოდა, ლოცულობდა, ქადაგებდა, ახლოს ეცნობოდა ხალხის ცხოვრებას და რჩევა-დარიგებებით აუმჯობესებდა მის საერთო მდგომარეობას, გაჭირვებულებს კი თავად აღმოუჩენდა სხვადასხვა სახის დახმარებას.

პირველ რიგში აღვნიშნავთ ეპისკოპოს გაბრიელის ბრძოლას ქართული ენის უფლებების აღდგენისათვის ეკლესიასა და სკოლაში. ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკა მრავალი ასპექტით იჩენდა თავს. სასულიერო იერარქიის მაღალ საფეხურებზე, ისევე როგორც სემინარიებისა და სხვა ტიპის სასწავლებელთა ხელმძღვანელებად, მხოლოდ რუსები ინიშნებოდნენ. მალე გამოიკვეთა ქართველ სასულიერო და პედაგოგ მოღვაწეთა შემდგომი შევიწროების ტენდენცია, მათ უცერემონიოდ ცვლიდნენ რუსი ჩინოვნიკებით. რუსულ ენაზე მიმდინარეობდა არა მარტო სწავლება, ქართულ ქადაგებასაც კი ვეღარ გაიგონებდით – გეზი აღებული იყო გლობალურ ასიმილაციაზე, რაშიც ეკლესიის გარუსებას უდიდესი როლი ეკისრებოდა. ამას საბოლოოდ უნდა დაერწმუნებინა ქართველობა, რომ დედა ენას არავითარი გამოყენება და ფასი არა აქვს და შეერიგებინა ისინი ყველა სფეროში რუსული ენის დანერგვასთან.

ასეთ ვითარებაში გაბრიელ ეპისკოპოსი ქართულ ენაზე ეწეოდა ქადაგებას და ოფიციოზის მითითებებისა და რეალური მდგომარეობის საწინააღმდეგოდ მოითხოვდა, რომ სწავლებაც მშობლიურ ენაზე წარმოებულიყო, თანაც არა

მარტო დაწყებით კლასებში, არამედ სწავლების ყველა საფეხურზე. გაბრიელი დასწრებია კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველის, ცნობილი რეაქციონერის კ.პ. იანოვსკის ინიციატივით მოწვეულ ქუთაისის მასწავლებელთა კრებას და გაკვეთილების მოსმენის შემდეგ ასეთი აზრი გამოუთქვამს: «თუ სწავლა სკოლაში მშობლიურ ენაზე არ სწარმოებს, ფუჭია ყოველი შრომა და მეცადინეობა. არა თუ დაბალ სკოლებში, გიმნაზიაშიც სწავლება სამშობლო ენაზე უნდა იყოს. რა დიდი შეცდომაა, როცა ზოგიერთების აზრით არა თუ სხვა საგნები, ასე გასინჯეთ, საღვთო რჯულიც უცხო ენაზე უნდა ისწავლებოდეს» (71, №1, 12-13). ეს არა მარტო სიმართლე იყო, არამედ დიდი გამბედაობაც. სიმართლე და უკომპრომისობა, როგორც გაბრიელ ეპისკოპოსის განუყოფელი თვისება, განსაკუთრებული სიცხადით გამოვლინდა იმპერატორ ალექსანდრე III-დმი მიმართვაში. 1888 წელს, საქართველოში ყოფნისას, ის ქუთაისსაც ეწვია და, გელათის მონასტერში პარაკლისზე შესული, ამბიონისაკენ გაემართა. იგი შეაჩერა ეპისკოპოსის ხმამ: «შესდექ, რუსეთის ხელმწიფევ! ეს ქვეყანა უძვირფასესი მარგალიტია შენს გვირგვინში, და სხვა ყურადღებისა და სხვა ზრუნვის ღირსია, სხვა მოპყრობასაც მოითხოვს, ვიდრე ის, რომელსაც ადგილი აქვს» (20, 70). დამსწრეთა ცნობით, ამგვარი სიტყვების შემდეგ იმპერატორი თავადაზნაურთა ნადიმსაც არ გაუმხიარულებია.

ქართველ სასულიერო მოღვაწეთა რუსებით ჩანაცვლებაზე გაბრიელ ეპისკოპოსის რეაქცია ხასიათდება სამართლიანობითა და ჰუმანურობით და გამორიცხავს ეროვნულ დაპირისპირებას: «ქართულის უცოდინარი ქართველი რა ქართველია?! ისიც მღვდელი» – ამბობდა იგი. ამასთან მიაჩნდა, რომ მღვდელი შეიძლება არაქართველიც იყოს, თუკი მას ქართული ენა ჯეროვნად ესმის.

ქართული ენის დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია გაბრიელ ეპისკოპოსის საპასუხო წერილი რენეგატ გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელის ბროშურაზე «ეროვნული ინდივიდუალობის არსისა და დიდ ხალხების საგანმანათლებლო მნიშვნელობის შესახებ», რომელშიც ავტორი უპერსპექტივოდ თვლიდა მცირერიცხოვან ხალხთა ენებსა და კულტურას, და დიდ ერში გათქვეფას უწინასწარმეტყველებდა მათ, ამით არსებითად რჩევას აძლევდა თანამემამულეებს – შერიგებოდნენ ეროვნული პოზიციების დაკარგვას თვით ეროვნულობის გაქრობამდე.

გაბრიელ ეპისკოპოსი თავის საპასუხო წერილში აღნიშნავდა, რომ სწორია გიორგი მუხრან-ბატონი, როცა ენის დიდ მნიშვნელობაზე წერს ხალხისათვის. მაგრამ ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს მას მცირე ხალხებისათვისაც. ეპისკოპოსს მოჰყავს ბასკების მაგალითი, რომლებიც ორი ათასი წელია ინარჩუნებენ თავიანთ ენას საფრანგეთის სახელმწიფოს ფარგლებში. გაბრიელი აღიარებდა არაერთი მცირე ერის მოსპობის ფაქტს, რასაც მტრისაგან შევიწროებითა და ძალადობით ხსნიდა და არა ბუნებრივი კანონზომიერებით (16,74) (ბაგრატიონ-მუხრანელი სწორედ კანონზომიერებად მიიჩნევდა მცირე ერების გაქრობას). რა თქმა უნდა, აქ დამაჯერებლად არის გაბათილებული გიორგი მუხრან-ბატონის რენეგატული თეორია. ამასთან, ეს დასკვნა თავისებური ფსიქოლოგიური შეტევაც იყო რუსეთის იმპერიის ასიმილატორულ პოლიტიკაზე, აგრეთვე წარმოადგენდა მოწოდებას მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ დიდ და მცირერიცხოვან ხალხებს შორის.

გაბრიელ ეპისკოპოსი, როგორც დიდი ჰუმანისტი, ვერ ეგუებოდა ბატონყმურ წყობას და ეს მის ქადაგებებშიც იჩენდა თავს: «თავადაზნაურობაზე კაი შეხედულების არ იყო. არ მოსწონდა მათი უსაქმურობა და ყმების აწიოკება... მუდამ ყმების განთავისუფლებისათვის ამზადებდა ნიადაგს», იგონებს დეკანოზი ალექსი გიორგობიანი (24, 288). არსებობს დოკუმენტური მასალები, მოგონებები, რომლებიც მოწმობენ, რომ ეს პრინციპული ხაზი სიცოცხლის რისკის ტოლფასი. ჟურნალ «კვალის» ინფორმაციით (126, ¹42) – «გათავდა თუ არა წირვა, გაბრიელი დადგა ამბიონზე და დაიწყო ბატონყმობის წინააღმდეგ ქადაგება. მისმა სიტყვამ მოხეთქა ნიაღვარსავით ძლიერად. მან ცოცხლად დახატა გლეხის უნუგეშო მდგომარეობა ბატონის ხელში. თავადაზნაურობამ დაიწყო დრტვინვა. იგი თანდათან ღელდებოდა. მოისმა საყდარში მოქადაგის გმობა, მაგრამ გაბრიელი არ შეშინდა, მან დაასრულა თავისი ძლიერი სიტყვა. მიიხედ-მოიხედა და შეამჩნია, რომ აღარც ერთი ბატონი დარჩენილი არ იყო, მის წინაშე მხოლოდ გლეხები იდგნენ და ღვრიდნენ მდუღარე ცრემლს (33, 35).

საინტერესო ცნობას ვაწყდებით დ. კლდიაშვილის მოგონებაში: გაბრიელის ქადაგებას ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში განურისხებია აზნაური კანდელაკი – «ამ ლეკურით გავათავებ აქვე ამ ჩვენს დამღუპველსო!» გაბრიელს ურჩიეს ტაძრიდან არ გასულიყო, ის კი «გავიდა ეკლესიიდან და გაბედულად,

უშიშრად ჩაუარა კანდელაკს. გაბრიელის მოსაკლავად გამზადებული კანდელაკი სახტად დარჩა და ხელი ხმალზე შერჩა» (25, 112).

ეს მოგონებები ნათლად მეტყველებს, თუ რა ძვირად უღირდა თავადაზნაურობას ბატონყმური წყობილება და რაოდენ შეურიგებელი იყო მასთან გაბრიელ ეპისკოპოსი, აგრეთვე ჩანს საზოგადოებაზე ზემოქმედების უნარი. აღწერილი ფაქტი უდავოდ მოგვაგონებს დავით წინასწარმეტყველის სიტყვებს. «არა შევიდეს შენდა ძვირი, და გუემაი არა მიეახლოს საყოველთა შენთა, რამეთუ ანგელოზთა მისთადა უბრძანებიეს დაცვად შენდა ყოველთა შინა გზათა შენთა»... (46, 136).

როგორც ვხედავთ, ეპისკოპოს გაბრიელს ბრძოლა უხდებოდა როგორც მთავარი ეროვნული განძის – ენის დაცვისათვის, ისე მშრომელი ხალხის ბატონყმობის უღლისაგან გათავისუფლებისათვის. «სწავლული არქიერი» როგორც მას უწოდებდნენ, მებრძოლი არქიერიც იყო (ეს ეპითეტი პირველად ილია ხონელმა იხმარა), რომელიც ყოველთვის საზოგადოების მართალ ნაწილს ედგა მხარში და მიუძღოდა ყველაზე მწვავე პრობლემათა გადაწყვეტისას.

აღსანიშნავია გბრიელის დამოკიდებულება შრომისადმი. ეპისკოპოსობის დროსაც, უამრავი საქმითა და საზრუნავით დატვირთული, «თოხნიდა, პირუტყვს საზრდოს უზიდავდა, ქათმებს აპურებდა, ხაბაზთან ან მეჯინიბესთან ერთად შეშას ხერხავდა» (24, 135). ეპისკოპოსი იმაზეც ზრუნავდა, რომ ხალხს არატრადიციული შრომაც ესწავლა და ამით შემოსავლის დამატებითი წყაროც გასჩენოდა. მ. კელენჯერიძის ცნობით, ლეჩხუმში მოგზაურობისას მას შეუტყვია, რომ ხალხი მეაბრეშუმეობას ხელს არ ჰკიდებდა: «სახლში რომ ჭია შევიყვანოთ, სეტყვა და მეხი ამოგვაგდებსო»... ეპისკოპოსმა არა მარტო ქადაგებით უარყო ეს უსაფუძვლო ცრურწმენა, მეტი დამაჯერებლობისათვის აბრეშუმის ჭიაც მოაყვანინა და დაარწმუნა მრევლი, რომ იგი არავითარ სტიქიურ უბედურებას არ იწვევს (24, 114).

გაბრიელ ქიქოძის მიზანმიმართული ქადაგებების, რომელიც შრომის სიყვარულს და პატივისცემას უნერგავდა ხალხს, შედეგად მიაჩნია ი. გოგებაშვილს ის, რომ დასავლეთ საქართველოში შეუდარებლად უფრო მეტმა გლეხმა შეძლო მემამულეებისაგან მიწების გამოსყიდვა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში (12, 165).

კაცთათვის მსახურებას, რომელსაც იგივე ღვთის მსახურებად თვლიდა, უპირველეს ყოვლისა, სკოლებისა და ბიბლიოთეკების გახსნასა და განთლების ფართოდ გავრცელებაში ხედავდა მეცნიერი ეპისკოპოსი.

«განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა გაბრიელ ეპისკოპოსი სწავლა-განათლების მიმართ. მისი თაოსნობით დასავლეთ საქართველოში **ასზე მეტი სკოლა და ბიბლიოთეკა გაიხსნა**. მისივე ხელშეწყობით ქუთაისში 1890 წელს დაარსდა ქალთა სასწავლებელი, 1894 წელს კი – სასულიერო სემინარია. გ. ქიქოძის შემწეობითა და დახმარებით მრავალმა ღარიბმა მოსწავლემ მიიღო განათლება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ (85, №3,4).

დეკანოზი ი. ჭეიშვილი ჟურნალ «მწყემსში» წერდა: «იგი მრავალ მოსწავლე ყმაწვილს ხელს უწვდიდა, მრავალს თავის სახლშივე ინახავდა. აბარებდა მათ სასწავლებელში და სწავლის ქირასაც მათ მაგიერ იხდიდა. ისე სიყვარულით და უბრალოდ ექცეოდა ამ ყმაწვილებს, რომ მათთან ბაასობდა და ხალისობდა იმ მიზნით, რომ მათში გაეღვიძებინა ყოველივე კეთილშობილური აზრი, დაენერგა მათ ნორჩ გულში სიყვარული სიმდაბლისადმი» (85, №3,4). როგორც ბახველი გლეხის – იოსებ გორდელაძის სიტყვიდან ჩანს (სიტყვა წარმოთქმულია გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე), მღვდელმთავარს მშობლიურ სოფელში თავისი ხარჯით აუგია «ჩინებული ტაძარი და ორკლასიანი სასწავლებელი ბაღითურთ», სადაც მიმდებარე სოფლების მოზარდებიც ღებულობდნენ განათლებას (81, №6,10).

გ. იოსელიანი იგონებს, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ეპისკოპოს გარმანის დროს «დიდი უწესრიგობა» სუფევდა. ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა, ხშირი ავადმყოფობა უსუფთაობის გამო, ზოგ მასწავლებელს კლასში გაკვეთილზე ეძინა. «განსვენებული მღვდელმთავრის (გაბრიელის) მობრძანების შემდეგ ჩვენს სკოლას საუკეთესო ცვლილება დაეტყო: როზგით ცემა მოისპო. კლასებს უფრო სუფთად ინახავდნენ და მასწავლებლებიც ერთგულად ეკიდებოდნენ თავიანთ მოვალეობას. თვითონ გაბრიელი ხშირად შემოდიოდა გაკვეთილებზე, ბევრ რამეს გვკითხავდა და როცა მასწავლებლის განმარტება ან შეგირდის პასუხი არ მოეწონებოდა, თვითონ ჩაერეოდა საქმეში. განსვენებული ყველას ლმობიერად ეპყრობოდა და დარიგებებს აძლევდა» (24, 107).

როგორც სასულიერო ისე საერო სასწავლებლებში ქართველი მოსწავლეების გარიცხვას მასიური ხასიათი ჰქონდა, რაც ეროვნული დისკრიმინაციით იყო განპირობებული, თუმცა ადმინისტრაცია უსამართლოდ უთითებდა ადგილობრივ აღსაზრდელთა სიზარმაცესა და უნიჭობაზე. საზოგადოების აღშფოთება ხმამაღლა გამოხატა ეპისკოპოსმა გაბრიელმა.

ქუთაისის გიმნაზიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში მან მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანდასწრებით იქადაგა: «ზარმაცის, გაუგონარის, ცუდი ყოფაქცევის ბავშვის თავიდან მოშორება, დათხოვნა და ხელის დაბანვა – ამაზე ადვილი რა იქნება. მაგრამ ეს არ არის აღმზრდელის დანიშნულება. მას მეტი მოთმენა სჭირია, ვიდრე რაც  გინდა სხვა ხელობის კაცს, და მეტი კიდევ სიყვერული მათდამი, ვინც ხვალინდელ საზოგადოებას წარმოადგენს. უდიდესია მოვალეობა იმათი, ვინც მომავალი თაობის აღმზრდელობას კისრულობს, და აღმზრდელს არ აქვს უფლება სთქვას, რაც შემეძლო, ვქენ, და მეტი აღარ შემიძლიანო. დასაχეთ, გაუχავრდით, დატუქსეთ ზარმაცი და გაუგონარი, და უფრო კიდევ შეეცადეთ სიყვარულით და მოთმინებით მიაგნოთ მისი ბუნების კეთილ მხარეებს და მისი ნაკლოვანებების მიზეზებს»... (20, 69).

გაბრიელი პედაგოგებს მოუწოდებს მოთმინებისაკენ, მაღალი პასუხისმგებლობისაკენ, იმის გაცნობიერებისაკენ, რომ ისინი ხვალინდელ საზოგადოებას ზრდიან. ისინი აღსაზრდელებში დადებით თვისებებს უნდა ეძებდნენ და აძლიერებდნენ, ასევე უნდა იკვლევდნენ უარყოფით გამოვლინებათა მიზეზებს და მათ აღმოფხვრას ცდილობდნენ.

«უნდა გენახათ, რა დღე დაადგათ ჩვენს მასწავლებლებს, დირექტორს. ეპისკოპოსის სიტყვები გახურებული შანთივით ხვდებოდა მათ დამნაშავე სინდისს» (20, 70). დიდი მღვდელმთავარი, როგორც ზემოთაც ვნახეთ, შეუპოვარი მებრძოლი იყო და ვერ შეურიგდებოდა გულგრილობას ქვეყნის მომავლისადმი, მოზარდი თაობისადმი.

სავსებით ბუნებრივია, რომ ქ.შ.წ.-კ.-გ. საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და აღზრდა-განათლების დიდი მოამაგე  გაბრიელ ეპისკოპოსი ერთხმად იქნა არჩეული ამ საზოგადოების საპატიო წევრად.

გაბრიელი, როგორც თანამედროვენი აღნიშნავენ, საკმაოდ უბრალოდ უმასპინძლდებოდა «ზემდგომ» სტუმრებს. სამაგიეროდ ხელგაშლილი იყო

ქველმოქმედებაში, საზოგადოების სასიკეთო საქმეებში, გაჭირვებულთა დახმარებაში.

იოსებ წერეთელი მოწმობს, რომ გაბრიელს უარი უთქვამს ნააღდგომევს საზოგადოებისა და კრებულისათვის სადილის გამართვაზე, სამაგიეროდ ყოველ წელიწადს 300 მანეთს გზავნიდა სატუსაღოში პატიმართათვის სააღდგომო სადილის მოსამზადებლად (24, 146).

«მისი გული ღია იყო ყველა გაჭირვებულისა და საზოგადო საქმისათვის. ობოლი და ქვრივი, ღარიბი და სნეული, გასათხოვარი ქალი და თვალცრემლიანი დედა, დამწვარი და ბრმა, მონათლული, ურია და თათარი – ყველა თანაგრძნობას პოულობს ამ მღვდელმთავრის გულში. აგერ ხიდი ჩაინგრა და გაკეთება უნდა, იქ ეკლესიას სამკაული ან გუმბათზე ჯვარი აკლია, იქ სკოლას ალეგრა ან კონცერტი გაუმართავს საქველმოქმედო მიზნით... ყველა ამ მოვლენას ჩვენი მღვდელმთავარი ერთგულ გუშაგად უდგას, და ხან ეკლესიას აშენებს, ხან სკოლას, ხან მასწავლებლებს მუდმივ ჯამაგირს უნიშნავს, ხან ომში დაჭრილთათვის ფულს სწირავს, ხიდების კეთებაში მონაწილეობს, კონცერტზე და წარმოდგენაზე რამდენიმე ბილეთს ასაღებს. სასწავლებლებში წლიურ აქტებზე ისე როგორ დაესწრება, რომ ხუთი, ათი თუმანი არ შესწიროს» (24, 150).

სისტემატურად გზავნიდა ფულს სვანეთსა და აფხაზეთში ბავშვების აღსაზრდელად (იქვე).

უსაზღვრი ჰუმანიზმი ჩანს მის დამოკიდებულებაში ყაჩაღისადმი, რომელმაც ლამის სიცოცხლეს გამოასალმა. მან იგი არა თუ არ დასაჯა, არამედ ქუთაისში დაიბარა და პედაგოგიური განათლება მიაღებინა, რის შემდეგაც ნაყაჩაღარი მასწავლებელი, მადლიერი მღვდელმთავრისა, გულმოდგინედ ასრულებდა თავის საპატიო მოვალეობას ერთ-ერთ მივარდნილ სოფელში (10, 415-418).

საყურადღებო საკითხია გაბრიელ ეპისკოპოსის განუხრელი ზრუნვა ეკლესიის მსახურთა ზნეობრივ სისპეტაკესა და განათლებაზე. არქიმანდრიტი გაბრიელი «სამღვდელო და სადიაკვნო ადგილების მაძიებელთა გამომცდელად დანიშნეს. მანამდე გამოცდები არც კი იყო, არამედ იყო მხოლოდ ძღვენი. ადგილს ღებულობდა არა ის, ვინც მეტი იცოდა და უფრო ღირსი იყო, არამედ ის, ვისაც სახსრები ნებას აძლევდა მოეგო გამომცდელის გული» (12, 162-163). ეს გამხრწნელად მოქმედებდა სამღვდელოებაზე და, შესაბამისად,

საზოგადოებაზედაც. გაბრიელმა შეიმუშავა მარტივი, მაგრამ ზუსტად განსაზღვრული საგამოცდო პროგრამა, და მკაცრად მოითხოვდა მის **შეგნებულ** ცოდნას. «ვერც ერთი უღირსი ვეღარ ღებულობდა ადგილს, ვიდრე გამომცდელი იყო არქიმანდრიტი გაბრიელი, რომელიც გამომცდელად დარჩა საქართველოს ქორეპისკოპოსად კურთხევის შემდეგაც. ასე ამაღლებდა, აცოცხლებდა და აუმჯობესებდა ის ყველაფერს, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა» (12, 163). აღსანიშნავია, რომ გაბრიელი სასულიერო პირთა გამწესებებისას კატეგორიულად გამორიცხავდა ყოველგვარ პროტექციას და გადამწყვეტად მომავალი მოძღვრის ღირსებებს მიიჩნევდა (24, 122). უპირატესობას, რა თქმა უნდა, სემინარიადამთავრებულებს ანიჭებდა, რომელთაც შედარებით საფუძვლიანი ცოდნა და მომზადება ჰქონდათ.

გაბრიელის ქადაგებები, რომლებსაც მეცნიერებისა და სარწმუნოების ორგანულ შეხამებად თვლიდნენ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვა მოაზროვნეები, უცხო ენებზეც (ინგლისურად, ბულგარულად, რუსულად) იყო თარგმნილი, რამაც ფართო პოპულარობა მოუპოვა ავტორს არა მარტო სასულიერო წრეებში. ივ. ზურაბიშვილი იგონებდა, რომ უნივერსიტეტში სწავლისას ერთ-ერთი ბულგარელი სტუდენტი საქართველოს მხოლოდ გაბრიელ ეპისკოპოსით იცნობდა. «გაბრიელ ეპისკოპოსის სახელი დიდად არის ცნობილი ბულგარეთში, როგორც შეუდარებელი მქადაგებლისა და მისი ქადაგებანი ბულგარულ ენაზე ნათარგმნია და გამოცემულიო» (20, 72), ხოლო ჟურნალი «რუსკაია მისლ» წერდა: «ბოლო დროს ინგლისში საქართველოს ისტორიითა და ლიტერატურით დაინტერესდნენ. ქართულ ლიტერატურასთან ინგლისელების გაცნობას საფუძველი დაუდო ქუთაისელი ეპისკოპოსის გაბრიელის ქადაგებების თარგმანმა» (109, XII, 16).

ამრიგად, გერასიმე ქიქოძის შრომა მეტად შედეგიანი იყო სემინარიაში მუშაობისას – წარმოგვიდგა, როგორც პროგრესულად მოაზროვნე, მრავალი ეფექტური სიახლის დამნერგავი პედაგოგი.

მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგებით ხასიათდება მისი საეპისკოპოსო მოღვაწეობაც. იაკობის შეფასებით – «მისი სამწყსო ამაღლდა ზნეობრივ-რელიგიური, გონებრივი და ეკონომიური მხრივ» (12, 165). როგორც ღვიძლი მამა, დაუღალავად უქადაგებდა სიტყვითა და საქმით მას (სამწყსოს – თ.მ.) მხნეობას,

თავდაჭერილობას, მოთმინებას, წმინდა ზნეობას, მარტივ ცხოვრებას, სწავლის სიყვარულს, და ყოველ ღონეს ხმარობდა თავის ღვიძლს სამწყსოში გაევრცელებინა სარწმუნოებაცა და ცოდნაც» (12, 147).

სავსებით სამართლიანია ნიკო ნიკოლაძის სიტყვებიც: «Это одна из достойнейших фигур нашего времени, цельная и безупречная, живьем воспроизводящая в наши дни и видом, и делами своими образ святителей лучших эпох церковной истории» (24, 313).

მოსე ჯანაშვილი: «წარსული საუკუნის 60-იან წლებიდან იმერეთს კეთილ ანგელოზად მოევლინა მსოფლიოში უდიდეს მქადაგებლად მიჩნეული გაბრიელი, ეს ნამდვილი ცოცხალი აკადემია დასავლეთ საქართველოსათვის» (45, 90).

აბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობა, წარმატებული როგორც სარწმუნოებრივ-ზნეობრივი, ისე საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, სრულიად აშკარად ხდის საბჭოთა იდეოლოგების ტენდენციურობას სამღვდელოების როლის შეფასებაში. მით უმეტეს, რომ გაბრიელი, მიუხედავად თავისი უნიკალური ღვაწლისა, ერთადერთი არ ყოფილა.

## §4. ეპისკოპოსი კირიონი

სასულიერო წოდების სახელოვან მოღვაწეთა მორის ღირსეული ადგილი უკავია ეპისკოპოს კირიონს (გიორგი საძაგლიშვილს 1855-1918), ქართველი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის უშიშარ მებრძოლს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მონაწილეს, აღორძინებული დამოუკიდებელი ქართული ეკლესიის პირველ კათალიკოს-პატრიარქს, გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს.

კირიონის სამოღვაწეო ასპარეზი თანაბარი მასშტაბით მოიცავდა, როგორც ქვეყნისა და ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის უკომპრომისო ბრძოლას, ისე განათლებისა და მეცნიერების სფეროებს. ჩვენ, პირველ რიგში მისი მრავალმხრივი საქმიანობის პედაგოგიური მხარე გვაინტერესებს.

სამშობლოში დაბრუნებული (კიევის აკადემიის დასრულების შემდეგ) კირიონი მოღვაწეობას პედაგოგიური სარბიელით იწყებს. 1883 წელს იგი თელავის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორის თანაშემწედ ინიშნება, სადაც საღვთო სჯულსა და კატეხიზმს ასწავლიდა. პარალელურად მუშაობდა წმინდა ნინოს სახელობის თელავის ქალთა სასწავლებელში რუსეთის სამოქალაქო ისტორიის მასწავლებლად. 1885 წლიდან გორის სასულიერო სასწავლებელში გადადის ზედამხედველის თანაშემწედ. 1890 წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგია, ხოლო 1891 წელს მას თბილისის სასულიერო სასწავლებლებში ვხედავთ ქართული ენის მასწავლებლად. ამავე დროს ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელშიც ასწავლის.

გიორგი საძაგლიშვილი სრულებით არ ჰგავდა მასწავლებელთა იმ ტიპებს, რომლებიც დამახასიათებელი იყო მე-19 საუკუნის ოფიციალური სკოლებისათვის და რომლებიც, დამსახურებისამებრ, მუქი ფერებით დაგვიხატეს ილიამ, აკაკიმ და ქართული ლიტერატურის სხვა კლასიკოსებმა. მისი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის უცხო იყო დოგმატიზმი და ბუნდოვანება, გულგრილობა და უყურადღებობა აღსაზრდელთა ცოდნის ხარისხისა და შემეცნებითი ძალების განვითარებისადმი. გიორგი საძაგლიშვილის ფართო განათლებაზე,

სამასწავლებლო მონაცემებსა და პედაგოგიურ პასუხისმგებლობაზე თბილისის სემინარიის მასწავლებლის – ა.ნატროშვილის მოგონებაც მეტყველებს: «არ დარჩენილა თითქმის საგანი, რომელიც არ ესწავლებინოს ამ ხნის განმავლობაში ყოვლად სამღვდელოს... ყოველს საგანს იგი ეძლეოდა სრულის გულითა და სულით... სრულს თავის ძალ-ღონეს ანდომებდა, რომ გაეხარებინა მოსწავლე, გაეხსნა მისთვის თვითცნობიერების (ე.ი. შემეცნების – თ.მ.) სურვილი და შეეყვარებინა მისთვის საგანი» (123, №187)... იმ დროის პედაგოგთა უმრავლესობისაგან განსხვავებით გიორგი საძაგლიშვილი ცდილობს «სიხარულის სახლად» აქციოს სასწავლებელი, რომელიც ტანჯვასთან ასოცირდებოდა მოსწავლეთათვის (გავიხსენოთ ილიას, აკაკის, გიორგი წერეთლის, ვასილ ბარნოვისა და სხვათა მოგონებები სწავლის წლებზე, მათ მასწავლებლებზე). იგი უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლის სწავლის, შემეცნების ინტერესის გაღვივებას მოსწავლეებში, მათთვის სასწავლო საგნების შეყვარებას.

ეს თანამედროვე პედაგოგიკისთვისაც უმნიშვნელოვანესი ამოცანებია, შემეცნების სიხარული და წარმატებით გამოწვეული კმაყოფილება თითოეულ მოსწავლეს უნდა განაცდევინოს მასწავლებელმა, სასწავლო პროცესი აღსაზრდელთათვის უნდა იყოს არა მომაბეზრებელი და მძიმე ტვირთი, არამედ სახალისო შრომა, რომელშიც თავადაც აქტიურად მონაწილეობენ და, რაც მთავარია, მასში ინტერესების დაკმაყოფილების წყაროს ხედავენ. სწავლების ამგვარი მეთოდიკისაკენ კვალავდნენ გზას გაბრიელ ეპისკოპოსი, კირიონი და მათი მიმდევრები, რომლებიც ერთმანეთს უბრალოდ კი არ იმეორებდნენ, არამედ შემოქმედებითად ითვისებდნენ წინამორბედის «რაციონალურ მარცვლებს» და საკუთარი მოსაზრებებით ამდიდრებდნენ ახსნითი ტიპის სწავლების მეთოდიკის არსენალს.

კირიონის მეთოდიკის თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ შეგნებული სწავლებისა და ინტერესის უზრუნველსაყოფად «ხშირად ძალიან მცირე დროს უთმობდა გაკვეთილის გამოკითხვა-გამოძიებას, წინააღმდეგ საკვირველის ხელოვნებით უკითხავდა მოსწავლეთ წიგნებს, უამბობდა ყურადღების მიმზიდველსა და მომხიბვლელს ამბებს, ავარჯიშებდა, ახელოვნებდა მათ საგნების აღწერისა და და სურათხატების საქმეში» (123, №187).

უეჭველია, რომ გიორგი საძაგლიშვილის გაკვეთილები პატრიოტული გრძნობის დანერგვასაც ემსახურებოდა. საამისოდ საუკეთესო საფუძველს ქმნიდა მშობლიური ენის სწავლება. თუმცა ნამდვილი პატრიოტი სხვა საგნების სწავლების დროსაც ახერხებს, ერის საკეთილდღეოდ განაწყოს აღსაზრდელები.

ამგვარი გულწრფელი, კეთილსინდისიერებითა და სიყვარულით აღსავსე საქმიანობისათვის, განსხვავებით დოგმატიკოსი პედაგოგებისაგან, «უყვარდათ გატაცებით ყოვლად სამღვდელო კირიონი თავის მოსწავლეებს განურჩევლად ქალთა და ვაჟთა ყველგან, სადაც კი მას მოხდომია მასწავლებლობა». (123, 187).

გიორგი საძაგლიშვილი არა მარტო ცოდნის შეგნებულად ათვისებისა და გონებრივი განვითარებისათვის იბრძოდა, იგი სასწავლებლების ქსელის გაფართოებასაც გადაუდებელ საჭიროებად თვლიდა ერის გამოღვიძებისათვის.

ამ თვალსაზრისით განსაკუთებით ნაყოფიერი იყო შრომა ბერად აღკვეცის შემდეგ (1898). უმაღლესი სასულიერო თანამდებობები საქართველოს სხვადასხვა ეპარქიაში მას საშუალებას აძლევდა რეალურად ეზრუნა სკოლებისა და ეკლესიების დაარსებისათვის. ცნობილია, რომ ეპისკოპოსმა კირიონმა თავისი ხარჯებით ააშენა სკოლა და ბიბლიოთეკა მშობლიურ სოფელ ქვემო ნიქოზში, რომელსაც ძვირფასი წიგნები გადასცა. მან მრავალი საეკლესიო-სამრევლო სკოლა დააარსა ახალციხის, გორის, თბილისის მაზრებში. ზრუნავდა მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მის, როგორც ეპისკოპოსისა და კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სკოლების ზედამხედველის დაქვემდებარებაში მყოფ სასწავლებლებთან აარსებდა წიგნსაცავებს, რომლებსაც სათანადოდ ამარაგებდა ლიტერატურით, ხშირად საკუთარ წიგნებსაც კი შესწირავდა ხოლმე.

«ინსპექტორად ყოფნის სულ მცირე ხანს დააარსა ერთი აცერისხევის ერთკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლა, სამი სკოლა გადაკეთდა ერთკლასიან სკოლითგან ორკლასიან სკოლად – ახალციხისა, გორისა და ტფილისის მაზრებში, ამის გარდა აღაშენა სადგომები აცერისხევში, ვანათაში და თიანეთში.» (123, №187).

განსაკუთრებით ზრუნავდა მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რის შედეგადაც კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი

საზოგადოების უწყების სკოლებში ჯამაგირმა საგრძნობლად იმატა, რაც, რა თქმა უნდა, სწავლების ხარისხზეც ისახებოდა.

სოხუმის ეპარქიაში გადაყვანილი (1906) კირიონი განაგრძობდა სამრევლო სკოლების დაარსებას, რითაც აქაურ ქართველობას მშობლიურ ენაზე სწავლისა და აღმსარებლობის საშუალება ეძლეოდა.

კირიონი, როგორც ქველმოქმედი, კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგება იმ ფაქტით, რომ მისი მატერიალური დახმარებით რუსეთსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში უმაღლესი განათლება მიიღო 300-მდე ქართველმა ახალგაზრდამ, მათ შორის სახელგანთქმულმა მეცნიერმა კორნელი კეკელიძემ, რომელსაც იგი რეკომენდაციითა და ფულადი სახსრებით დაეხმარა, რათა კიევის სასულიერო აკადემიაში განეგრძო სწავლა.

კირიონს ხშირად უცვლიდნენ სამოღვაწეო ადგილს, თან, უმთავრესად, რუსულ ეპარქიებში. ამასაც სამშობლოს საკეთილდღეოდ იყენებდა. სწორედ მისი წყალობით ორიოლის სასულიერო სემინარიაში 400-მდე ქართველი სწავლობდა. სისტემატურად ეხმარებოდა მთხოვნელებს.

უდავოდ აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთ-იაპონიის ომის დროს კირიონმა იმავე ორიოლში წითელი ჯვრის ფონდისთვის 67000 მანეთი შეაგროვა, რისთვისაც ორჯერ მიიღო რუსეთის დედოფლის მადლობა. ამავე ქალაქში მოაწყო ლაზარეთი ომში დაჭრილი მეომრების სამკურნალოდ, რომელიც, ომის დამთავრების შემდეგ, საკუთარი სახსრებით გადააკეთა ეკლესიის მოხუც მსახურთა თავშესაფრად, რომელსაც, მისი მოამაგის პატივსაცემად, «კირიონოვსკი» დაერქვა – სინოდის გადაწყვეტილებით (135, №155,1).

კირიონის მოღვაწეობაში დიდი ადგილი უკავია მეცნიერულ გამოკვლევებს. იგი საქართველოს ისტორიის შესწავლის მნიშვნელობას სწორად აფასებდა როგორც მეცნიერული, ისე აღმზრდელობითი თვალსაზრისით. განსაკუთრებულ ინტერესს ქართული ეკლესიის ისტორიისადმი იჩენდა. მისი პირველი გამოკვლევა, რისთვისაც ღვთისმეტყველების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიიღო, წმინდა ნინოს მისიონერულ მოღვაწეობას ეძღვნებოდა.

კირიონს კარგად ესმოდა, რომ პირველ რიგში წარსულის ამსახველი დოკუმენტების მოძიება და თავმოყრა იყო საჭირო. იგი თავად აგროვებდა ისტორიული მნიშვნელობის ნაირგვარ მასალებს, რომელთაც ქ.შ.წ.-კ.

გამავრცელებელი საზოგადოების სიძველეთა მუზეუმს გადასცემდა. როგორც «ივერია» იუწყებოდა (1891, 28 აპრილი), მას ამ მუზეუმისათვის ჩაუბარებია ძვირფასი განძი: სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, ტრიოდიონი (მარხვანი), ცხოვრება და მოქალაქეობა ნეტარისა ანდრია სალოსისა, მსოფლიო ისტორია, აპოკრიფი ყოვლად წმინდა მარიამსა და იოსებზე, XVIII საუკუნის ხელნაწერი ლიტურგია ოქროპირისა, სხვადასხვა ხელნაწერი წიგნის ფურცლები, ძველი და ახალი აღთქმა და მრავალი ისტორიული დოკუმენტი, თელავის ეკლესიის ეზოში ნაპოვნი ძველი ვერცხლის მონეტები, მინის სამაჯურები და სხვადასხვა არქეოლოგიური მასალა.

დიდი წვლილი აქვს შეტანილი საკუთრივ საეკლესიო მუზეუმის გამდიდრებაში. 1899-1902 წლებში, როდესაც თვითონ იყო ამ მუზეუმის კომიტეტის თავმჯდომარე, იგი უშუალოდ და ძალზე შედეგიანად ხელმძღვანელობდა ფასდაუდებელ სიძველეთა მოძიებასა და შესწავლა-დასისტემებას (საკმარისია აღინიშნოს, რომ მან ამ მუზეუმს შესწირა კახეთის ეკლესია-მონასტრებში მოპოვებული 68 ხელნაწერი, რომელთა შორის 1089 წელს გადაწერილი სახარებაც იყო) – ღრმაშინაარსიან შრომებს აქვეყნებდა ჟურ. «მწყემსში», «დუხოვნი ვესტნიკსა» და სხვა გამოცემებში საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ქართული ხუროთმოძღვრების, ქართული ლიტერატურისა და ხალხური სიტყვიერების, წყაროთმცოდნეობის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ლექსიკოლოგიისა და პედაგოგიკის საკითხებზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კირიონი 40-მდე მონოგრაფიის ავტორია, რომლებიც შესრულებულია მეცნიერული კეთილსინდისიერებით, და ამავე დროს, პრობლემატიკის ეროვნული ხასიათის გამო, დიდი პატრიოტული და ჰუმანური ხასიათის მატარებელიც არის. ეს შრომებია «ქართული ეკლესიის ისტორია», «ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიისათვის», «დავით გარეჯი და მისი მღვიმე», «ქართველი სამღვდელოებისა და ეკლესია-მონასტრების როლი საზოგადოებისა და ეროვნული ეკლესიის წინაშე», «ლიახვის ხეობის ისტორიული ძეგლების აღწერა» და მრავალი სხვა. ნიჰილისტთა საპირისპიროდ კირიონს სწამდა, რომ ეკლესიას ჯერ კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლო ერისა და ქვეყნისათვის.

აქვე აღვნიშნავთ კირიონის ღვაწლს საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წინაშე, რომლის თავმჯდომარე, ექვთიმე თაყაიშვილი, იგონებდა: «ეპისკოპოსმა კირიონმა ჯერ კიდევ ექსორიაში ყოფნის დროს შემოსწირა საზოგადოებას თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნებისა, მრავალი საარქეოლოგიო ნივთი, ალბომები, სურათები და ნუმიზმატური კოლექცია. წელიწადი არ გავიდოდა ისე, რომ რაიმე ნივთი, ხელნაწერი თუ ფული არ გამოეგზავნა ახალი საზოგადოებისათვის» (29, 89).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხელისუფლება კირიონს კვლევით მუშაობაშიც უშლიდა ხელს (არ დართეს იერუსალიმში გამგზავრების ნება). მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი მეცნიერული თხზულებები რუს სწავლულთა შორისაც კი მოწონებასა და გაკვირვებას იწვევდა. ჟურნალ «ბოგოსლოვსკიე ენციკლოპედიის» რედაქტორი გლუბოკოვსკი წერდა: «მე არასოდეს ერთმანეთში არ ვურევ პოლიტიკასა და მეცნიერებას, ხოლო ეპისკოპოს კირიონის სამეცნიერო მოღვაწეობა ყველგან და ყველასაგან დაფასებულია» (34,199).

კირიონი დიდ ყურადღებას უთმობდა ტაძრების რესტავრირება-შეკეთებას.

იყო თანმიმდევრული და უკომპრომისო მებრძოლი ქართული ენის უფლებათა გაფართოებისათვის. კირიონს მიაჩნდა, რომ მშობლიური ენის შეცვლა უცხო ენით ბუნების საწინააღმდეგო მოვლენა და დანაშაულია. მისთვის აქსიომასავით ნათელი იყო მშობლიურ ენაზე სწავლებისა და ღვთისმსახურების აუცილებლობა: «საჭირო არ არის მტკიცება, რომ სამშობლო ენის შესწავლა და ცოდნა დიდი განძია ყველა ერისათვის. ყველა შეგნებული ელემენტის ვალია მეცადინეობა იმისათვის, რომ ჯეროვანი ადგილი მივუჩინოთ დედა ენას სკოლებში» (115, №96).

ქართულ ენაზე სწავლებისა და წირვა-ლოცვის აღსრულების მოთხოვნისას, კირიონს, რა თქმა უნდა, ქართული ეკლესიისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენაც ჰქონდა მხედველობაში.

კირიონმა გრ. ყიფშიძესთან თანაავტორობით ქართული სიტყვიერების ისტორია შეადგინა XIX საუკუნის 90-იან წლებში, მაშინ, როცა ქართული ენა აშკარად იდევნებოდა სასწავლებლებიდან. სწორედ ამ ხანებში წერს კირიონი: «საჭიროა რაც შეიძლება მეტი ადგილი დაეთმოს ქართულს, არა მარტო პირველ დასაწყის სკოლებში, არამედ საშუალოსა და უმაღლესშიც. საჭიროა სკოლამ

მტკიცე ეროვნული ხასიათი მიიღოს და სწავლა საგნებისა ქართულად წარმოებდეს, ხოლო ეს მაშინ მოხდება, როცა მთლიანად საქართველოს ცხოვრება ეროვნულ საფუძველზე მოეწყობა და ქართული ენა უაღრესად საჭირო შეიქმნება ყოველ დაწესებულებაში» (18, 17). ეს გამონათქვამი თამამად შეიძლება ჩაითვალოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროგრამის უმნიშვნელოვანეს დებულებად. იგი არაორაზროვნად მეტყველებს კირიონის სისხლხორცეულ კავშირზე ამ მოძრაობასთან. სწორედ ამგვარი უკომპრომისო პოზიციებით იყო განპირობებული მისი გაუთავებელი დევნა. გამორიცხული არ არის, რომ კირიონის ტრაგიკული აღსასრულიც ამ შეურიგებელი ბრძოლისათვის ანგარიშსწორება იყო.

კირიონი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, კიევის აკადემიაში სწავლისას ავლენდა ღრმა პატრიოტიზმს, შეურიგებლობას საქართველოს კულტურის, მისი საკაცობრიო როლის ყოველგვარ დამცირებასთან. დავით კლდიაშვილი, რომელიც იმავე ხანებში კიევის სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა, იგონებს: «იმ ოთახში, სადაც საძაგლიშვილი იყო, მუდამ ყვირილი და ჩხუბი ისმოდა. თურმე სტუდენტებს საძაგლიშვილი ედავებოდა ქართული კულტურის შესახებ – მაღლა აყენებდა მას, რუს სტუდენტებს კი ეს არ სჯეროდათ და უარსყოფდნენ» (25, 28). ამგვარად, ეპისკოპოსი კირიონი, სასულიერო მოღვაწეობის პარალელურად უაღრესად აქტიური საზოგადო მოღვაწეც იყო, რომლის ყოველი მოქმედება ეკლესიისა და ქვეყნის აღორძინებასა და დამოუკიდებლობას ემსახურებოდა.

## §5. ეპისკოპოსი ლეონიდი

სახელოვან ქართველ სასულიერო პირთა შორის არის ეპისკოპოსი ლეონიდი (ლონგინოზ ოქროპირიძე). იგი ღვაწლმოსილი მღვდელმთავრის – ალექსანდრე ეპისკოპოსის ძმისწული და, გარკვეული აზრით, მისივე გამოზრდილი იყო. ამასვე მოწმობს ილიას სიტყვები, წარმოთქმული ალექსანდრე დაკრძალვის დღეს: «მარტო ისიც საკმარისია თქვენი მადლობით ხსენებისათვის, რომ თქვენის მეოხებით, თქვენის ღვაწლით, თქვენის მამობრივი სიყვარულით გამოუზარდეთ ჩვენს ქვეყანას იმისთანა შვილი, როგორიც ახალნაკურთხი ეპისკოპოსი

ლეონიდია» (123, №103). აქ ჩანს როგორც მწყემსმთავარ ალექსანდრეს ღვაწლი ეპისკოპოსი ლეონიდის აღზრდა-ჩამოყალიბებაში, ისე თვით ლეონიდის ღირსებათა მაღალი შეფასება ილიას მიერ.

ლონგინოზ ოქროპირიძე დაიბადა 1862 წელს გორის მაზრის სოფელ დისევში. თავიდანვე გამოირჩეოდა ნიჭიერებით, სათნო ხასიათითა და მორწმუნეობით. ამაზე, განსაკუთრებით, მის უახლოეს წრეს, სასულიერო პირთა გარემოცვას უნდა ემოქმედნა.

სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ იქვე ჩაირიცხა სასულიერო სემინარიაში (1877), მაგრამ სწავლისათვის არახელსაყრელი ვითარების გამო (არეულობა, დაძაბული ურთიერთობა მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის) ბიძამ ურჩია სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში გადასვლა, რომლის დამთავრების შემდეგ (1884) სწავლას აგრძელებს კიევის სასულიერო აკადემიაში. ყოველთვის, სასულიერო განათლების ყველა საფეხურზე, საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. გარდა სავალდებულო წიგნებისა (ოფიციალური სახელმძღვანელოები) «საქვეყნო წიგნებსაც» ფართოდ ეცნობოდა.

იგი სწავლის პერიოდში აღიკვეცა ბერად (1887). აკადემიის დამთავრების შემდეგ (1888) ბრუნდება საქართველოში და იწყებს დაუღალავ და მრავალმხრივ მოღვაწეობას ქვეყნისა და ეკლესიისათვის. ჩვენ პირველ რიგში ლეონიდი გვაინტერესებს როგორც მოძღვარი, რომელიც ხალხში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება-განმტკიცებისა და ცოდნა –განათლების შეტანისათვის თავდაუზოგავად ზრუნავდა.

1888 წელს ლეონიდი «კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენი საზოგადოების» მისიონერად და ამ საზოგადოების სკოლების ინსპექტორად დაინიშნა. იგი ამ საქმის მნიშვნელობის სრული შეგნებით შეუდგა მოღვაწეობას, რაც სასიკეთოდ დაეტყო საინგილოს, ფშავ-ხევსურეთს, მთიულეთ-გუდამაყარს, თუშეთს, ჯავახეთს, ოსეთს, პანკისელ ქისტებს.

ხსენებული საზოგადოების უპირველეს ინტერესს, ცხადია, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური აღმსარებლობის აღდგენა წარმოადგენდა კავკასიის იმ რეგიონებში, სადაც მაჰმადიანობამ მოიკიდა ფეხი. მათ შორის იყო საინგილო,

უძველესი ქართული მიწა-წყალი, რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სპარსეთში გაასახლეს, ნაწილი კი გაამაჰმადიანეს. ამ კუთხის გამაჰმადიანებულ მოსახლეობას, როგორც ერის ნაწილს, სრული გადაგვარება, თავისი წარსულისა და ეროვნული კუთვნილების დავიწყება ელოდა. მოლა-ხოჯები, რომელთა უმრავლესობას არაქართველები შეადგენდნენ, ინგილო მოზარდებს მეჩეთებთან გახსნილ სკოლებში ასწავლიდნენ – არაბულად, ქართულის კი ხსენებაც არ იყო. მათ სურდათ მოზარდ თაობაში რუსებისა და ქართველების როგორც ქრისტიანი ერების, მტრობა ჩაენერგათ. «საინგილოს მოლები ცდილობდნენ, რომ ინგილოთა ახალ-თაობამ არა გაიგოს რა თავისი მამა-პაპების, ეროვნებისა და დედა ენის შესახებ... ჩვენს დროში ისინი დგანან უეჭველის დაღუპვის უფსკრულის პირსა, და ამის გამო ჩვენი ზნეობითი ვალია ვუშველოთ მათ... დავკეტოთ მეჩეთებთან არსებული სკოლები და შემოვიღოთ სავალდებულო სწავლება მთავრობის მიერ დაარსებულ სკოლებში», წერდა ლეონიდი (32, 10).

1891 წელს მან აკურთხა კახის დედათა სკოლის საფუძველი, რომლის აშენებაში მისივე თაოსნობით ფართოდ მონაწილეობდა ამ სოფლის მოსახლეობა. ადვილი წარმოსადგენია ის დიდი ძალისხმევა და დარწმუნების იშვიათი უნარი, რაც ლეონიდს უნდა გამოეჩინა ამ სკოლის დასაარსებლად, რადგან საინგილოში დაბალი წამოდგენა ჰქონდათ ქალზე, რომელსაც «სრულ ადამიანად» არც კი თვლიდნენ და მის სწავლა-განათლებასაც შესაბამისად სრულიად ზედმეტად მიიჩნევდნენ. სავსებით სწორია ილია ნებოძირელი, როცა წერს, რომ მით უფრო დასაფასებელია ლეონიდის მიერ აქ დედათა სკოლის დაარსება. «ინგილოები ფიქრობენ, რომ ქალი სრული ადამიანი არაა და მისთვის განათლება მეტი ბარგია. ამისთვის დედათა სკოლის გახსნა ამ მხარეში სასიხარულო მოვლენაა, ღირსი სრული ყურადღებისა და დახმარებისა» – წერდა ლეონიდი კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების საბჭოს და სთხოვდა, ქალი მასწავლებელი გაეგზავნათ იქ (102, №17), რაც დაკმაყოფილებულ იქნა.

მართლაც დიდი ღვაწლი დასდო ლეონიდმა ინგილოებში ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება-გაღვიძებას. ზედმეტი არ არის  არც იმის აღნიშვნა, რომ ლეონიდის გულწრფელი ქადაგების შედეგად 62-მა ინგილომ უარი თქვა მაჰმადიანობაზე და მამა-პაპათა რწმენას, ქრისტიანობას დაუბრუნდა.

ლეონიდი, როგორც მისიონერი მარტოოდენ საინგილოში არ იბრძოდა ქრისტიანული და ეროვნული ცნობიერების აღორძინებისათვის – «გულმხურვალედ ეპყრობოდა ჯავახეთის ქართული სკოლების საქმეებს, მათი შვილების დაწინაურების საქმესაც დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ემსახურებოდა... ვინაიდან მესხეთ-ჯავახელ ქართველთა ვითარებასაც კარგად იცნობდა» (65, 293).

მან დიდი ღვაწლი დასდო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს – ფშავ-ხევსურეთს, მთიულეთ-გუდამაყარსა და თუშეთს, სადაც, რა თქმა უნდა, მაჰმადიანობას არ შემოუღწევია, მაგრამ საკმაოდ იყო კერპთაყვანისმცემლობის გადმონაშთები, და თითქმის არ იყო განათლების არავითარი კერა. ქრისტიანობის განმტკიცებისა და ეროვნული კონსოლიდაციის შემდგომი გაღრმავებისათვის მას, სხვა ღონისძიებებთან (ქადაგება) ერთად, სამრევლო სკოლების ქსელის ფართოდ გაშლაც მიაჩნდა აუცილებლად, რითაც დიდი ამაგი დასდო ცენტრებისაგან საკმაოდ დაშორებული კუთხეების კულტურულ წინსვლას, წიგნიერი და განათლებული ხალხის აღზრდას ამ რეგიონებში. აქ არაერთი სკოლა გაიხსნა ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების დაფინანსებით, რომელთა წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღოდა მღვდელ-მონაზონ ლეონიდს. მისი მუდმივი ზრუნვა და კონტროლი სკოლებზე დიდ სტიმულს წარმოადგენდა სწავლების ჯეროვნად წარმართვისათვის.

პირადად მისი ინიციატივითა და მონდომებით გაიხსნა ქართული სკოლები ბარისახოში, აგრეთვე ხირსისა და იოანე ნათლისმცემლის მონასტრებთან, რომლებსაც თავისი ხარჯით ინახავდა.

ილია ნებოძირელი ნათლად წარმოგვიდგენს ლეონიდის თავდაუზოგავ შრომას დაკისრებული მისსის პირნათლად შესრულებისათვის: «ახალგაზრდა ბერ-მონაზონი მისიონერად ყოფნის დროს მოციქულებრივი თავგანწირვით დადიოდა სოფლიდან სოფელში, დაბიდან დაბად, კლდე-ღრეებში, მთებს შორის, უშიშრად და შეუპოვრად ბნელსა და აჩრდილსა სულიერის სიკვდილისასა მსხდომარე ერთა უქადაგებდა ადვილად გასაგების ქართულის ენით სახარების დიდს სწავლასა. მან გაამხნევა ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მასწავლებლები, გაუღვივა მოწაფეებს ცნობისმოყვარეობა, აშკარად შეაგნებინა

მოწაფეთა მშობლებს ბავშვების ქრისტიანულ სარწმუნოებაზე აღზრდის უპირატესობა და საჭიროება» (32, 6).

უაღრესად დიდი როლი შეასრულა ლეონიდმა ოსთა განათლებასა და კულტურულ წინსვლაში. გაზეთი «ივერია» წერდა: «ამ თხუთმეტიოდე წლის წინ ჩრდილოეთს ოსეთში სულ ათი-თხუთმეტი სკოლა მოიპოვებოდა და ისიც «კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების ხარჯით აღშენებული. მაშინდელი ოსები დიდის ხალისით კი არ გზავნიდნენ შვილებს სკოლებში, არამედ თითქმის საყვედურით. მაგრამ ჩრდილოეთის მხარის ოსებმა სწავლის მნიშვნელობა მალე შეიგნეს, მომეტებულად მას დღეს აქეთ, რაც აქაურ სკოლათა ინსპექტორად დანიშნეს დიდად პატივცემული ეხლანდელი იმერეთის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ლეონიდი, მაშინ ისევ მღვდელ-მონაზონი. მათი მეუფება მობრძანდებოდა თუ არა აქაურს სოფლებში, მაშინვე სოფლის ყრილობას ახდენდა და მცხოვრებთ ტკბილის მოძღვრებით ესაუბრებოდა, თუ სწავლა-განათლებას რა მნიშვნელობა აქვს. ასე ექცეოდა მათი მეუფება ლეონიდი ოსებს ყოველს წელს, როცა კი სკოლების სარევიზიოდ მობრძანდებოდა ხოლმე. კეთილმა თესლმა ნაყოფი კეთილი გამოიღო და ეს რჩევა-დარიგება უნაყოფოდ არ დარჩა... დღეს კი აქ სკოლაში ბავშვებს კენჭისყრით ღებულობენ, დღეს ჩრდილოეთ ოსეთის ყველა სამრევლოში არსებობს სკოლა» (124, №61).

ლეონიდი ოსთა შორისაც აღიარებითა და სიყვარულით სარგებლობდა. სოფელ ბესლანში იქაურმა მცხოვრებმა გუთიევმა იგი მის მიერ დაარსებული სკოლისა და ეკლესიის საკურთხევლად მიიწვია (103, 36-37).

პირადად ლეონიდმა ოს მოსახლეობას სკოლები დაუარსა როკში, ეთისში, ხუმაგალაში, გალიათში.

ლეონიდი პანკისში ჩამოსახლებული ქისტებისთვისაც ხსნიდა სკოლებს.

გვინდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტიც: 1901 წლის 23 ენკენის თვეს ეპისკოპოსმა ლეონიდმა აკურთხა ორკლასიანი სამრევლო სკოლის ეკლესია სოფელ ხარაგაულში. ეს სკოლასაც და ეკლესიაც სოფლის მღვდელმა – მამა რომანოზ დეკანოსიძემ ააგო თავისი ხარჯით. ეს მაგალითი (და არა მარტო ეს) მეტყველებს, რომ არა მარტო მღვდელმთავრები იღვწოდნენ ხალხში რწმენისა და განათლების შესატანად, არამედ რიგითი სასულიერო პირებიც, რაც მთელი ამ

წოდების – სამღვდელოების – დიდ დამსახურებაზე მეტყველებს ერისა და ქვეყნის წინაშე.

ეპისკოპოსი ლეონიდი გულწრფელი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა საზოგადოებაში, რაც მისი დაუღალავი სასულიერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობით, მშობელი ერის სამსახურით იყო განპირობებული. საინტერესოა  თავად მისი თვითშეფასებაც: «ჩემმა ხანგრძლივმა სიცოცხლემ განვლო ქართველების თვალთა წინაშე, სამსახურში შესვლის პირველი დღიდან მოყოლებული აქამდე განუწყვეტლივ დავდივარ საქართველოს მთასა და ბარში სახარების სიტყვის, ჰუმანიტარული სწავლა-განათლების და ეროვნული შეგნების ხელგაშლით სათესად ქართველი ერის მაშვრალთა კლასის ფართო წრეებში. პირველად მე წავაკითხე «დედა ენა» მთის შვილებს და პირველად მე ავამღერე ჰანგზე (მხედველობაში აქვს გალობის სწავლება – თ.მ.) დაბეჩავებული ჩვენი მოძმენი» (19, 4).

ეპისკოპოს ლეონიდის ურყევ ეროვნულობაზე მეტყველებს არაერთი სხვა ფაქტიც. ისევე როგორც თერგდალეულები ლეონიდი კოსმოპოლიტიზმის მიმართ შეურიგებელი იყო და აღშფოთებით რეაგირებდა ეროვნლი ნიჰილიზმის ყოველგვარ გამოვლინებაზე. «სიყვარული პირველად ქვეყნიერებისა და არა სამშობლოსი, შორეულისა და არა მახლობლისა, გარეშესი და არა შინაურისა ემსგავსება წაღმა წარწერის უკუღმა კითხვას, მუხის დარგვას კენწეროთი და გადაბრუნებული ტანის სამოსით პამპულაობას. ღმერთმა დაიხსნას საქართველო ამგვარის მანკიერ შვილთაგან და სამგზის კურთხეულ იყოს მშობელი ერისა და მამულის თავდადებით მოსიყვარულე ქართველი» (19, 11).

როგორც ცნობილია, ეპისკოპოსი ლეონიდი აქტიურად იბრძოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. პეტერბურგში ამ პრობლემისადმი მიძღვნილ ხსდომაზე ავტოკეფალიის მოთხოვნის სამართლიანობა შემდეგი არგუმენტითაც დაასაბუთა: «ეკლესიის სათავეში იქნება ისეთი კაცი, რომელსაც ეცოდინება თავისი სამწყსოს ენა, ჩვეულება და ფსიქოლოგია. განა ეს არ გააუმჯობესებს საქმეს?!» (19, 10).

როცა ქართულ სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის საფუძვლიანი სწავლება იქნა დაშვებული (1905 წლის მოვლენების შემდეგ), სწორედ ეპისკოპოს ლეონიდს დაევალა ქართული ენისა და გალობის სწავლებისათვის თვალყურის

დევნება და შენიშნულ ხარვეზთა აღმოსაფხვრელად გადამჭრელი ზომების მიღება. მისი თავმჯდომარეობით შეიქმნა კომისია, რომელსაც ქართული ენის ახალი პროგრამა უნდა შეემუშავებინა.

ეპისკოპოს ლეონიდს, როგორც ეროვნულ მოღვაწეს, ახასიათებს შემდეგი მომენტიც: ქართლ-კახეთის ეპარქიის სასკოლო საბჭომ მას მიანდო გადამწყვეტი სიტყვა საყმაწვილო ჟურნალის «ჯეჯილის» შესახებ. ლეონიდმა მოიწონა მისი შინაარსი «და წინა დროებში საბჭოს მიერ დაწუნებული «ჯეჯილი» კვლავ რეკომენდებულ იქნა საეკლესიო-სამრევლო სკოლების მოწაფეთა საკითხავად» (32, 14).

ეპისკოპოსი ლეონიდი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საეკლესიო გალობას, როგორც ღვთისმსახურების აუცილებელ ატრიბუტს, ზრუნავდა მივიწყების საფრთხის წინაშე მდგარი ქართული გალობის აღდგენაზე – ჩამოაყალიბა ქართველ მგალობელთა გუნდი, რომელსაც ცნობილი ლოტბარი ალ. კავსაძე ხელმძღვანელობდა. გუნდი თბილისის ეკლესიებში გალობდა ხოლმე, როცა წირვა-ლოცვას მღვდელმთავარი ლეონიდი აღავლენდა (32, 19).

ლეონიდის მისიონერული მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქრისტიანული მოძღვრებისა და სწავლა-განათლების აუცილებლობის ქადაგებასთან. მიჩნეულია, რომ იგი, გაბრიელ ეპისკოპოსის შემდეგ, საუკეთესო მქადაგებელი იყო იმ პერიოდის ქართველთა შორის.

ლეონიდი მნიშვნელოვან კვლევით საქმიანობასაც ეწეოდა. მისი კვალიფიციური ხელმძღვანელობით არქეოლოგიურად შესწავლილ იქნა არაერთი ეკლესია-მონასტერი, განსაკუთრებით აღსანიშნავია მათ საცავებში მიკვლეული ძველი ხელნაწერები, რომლებიც შემდგომი შესწავლისა და სათანადოდ დაცვის მიზნით თბილისის საეკლესიო მუზეუმს გადაუგზავნა (ამ მუზეუმსაც იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა) (32, 13-14).

ლეონიდმა ქართული ეკლესია მონასტრების აღდგენა-განახლებასაც თვალსაჩინო ღვაწლი დასდო. მისი თაოსნობით შეგროვდა შეწირულობანი და შეკეთდა თიღვის, მცხეთის, სამების, ქურმუხის (საინგილო), ყორნისის ტაძრები, ზედაზნისა და ხირსის მონასტრები (19, 5). მისი მეცადინეობით 70000 მანეთი შეგროვდა მცხეთის ტაძრის განახლებისათვის.

ეპისკოპოს ლეონიდის – შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრირქის მოღვაწეობა, ღვთისა და ერის წინაშე უმწიკვლო სამსახურს წარმოადგენს: მისთვის, ისევე როგორც ყველა შეგნებული სასულიერო მოღვაწისათვის, ეს ორი სფერო განუყოფელი იყო.

ქართველ ხალხს თავისი მოღვაწეობით, გარდა ხსენებული მღვდელმთავრებისა, დიდი ამაგი დასდეს ეპისკოპოსებმა: დავით კაჭახიძემ, გიორგი ალადაშვილმა, ამბროსი ხელაიამ, კალისტრატე ცინცაძემ და სხვებმა, რომლებიც ფხიზლად იდგნენ ქართული ეკლესიის, კულტურის, ქართველი საზოგადოების ინტერესების სადარაჯოზე.

## §6 დავით ღამბაშიძე, ივანე გვარამაძე...

დიდი ეროვნული საქმეებით მხოლოდ მღვდელმთავრები არ ხასიათდებოდნენ. გვინდა შევჩერდეთ დეკანოზ **დავით ღამბაშიძის** (1824-1910) ღვაწლზე, რომელიც უბრალო სოფლის მღვდელი იყო, მაგრამ ცოდნამ, ნიჭმა, დაუზარელმა შრომამ და მამულიშვილურმა მიზანსწრაფვამ დამსახურებული აღიარება მოუტანა. ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ ქართველთა შორის, რომელთაც მხოლოდ ლაპარაკი უყვართ, ხოლო სიტყვას საქმედ არასოდეს აქცევენ: «დეკანოზი შესანიშნავს გამონაკლისს წარმოადგენდა. მისთვის მადლიანს ბუნებას დაუნათლებია დაუცხრომებლი უნარი, ძლიერი წადილი, აქტიური ნება... მის აზრსა და საქმეს შორის მანძილი თითქმის არ არსებობდა.» (13, 419). ამის რეალური შედეგი იყო ჟურნალი «მწყემსი», რომელიც მისი ხელმძღვანელობით ოცდახუთ წელიწადს გამოდიოდა. თავისი მრავალმხრივი, ყოვლისმომცველი შინაარსით, ღრმა ეროვნული სულისკვეთებით, პრინციპული ხასიათით ჟურნალი «მწყემსი» ზ. ჭიჭინაძის სწორი შეფასებით მარლაც რომ მწყემსად მოევლინა არამარტო ქართველ სამღვდელოებას, არამედ მთელ საზოგადოებას (65, 47). გარდა ამისა დეკანოზი ღამბაშიძე იყო საღვთო რჯულის სახელმძღვანელოებისა და არაერთი ბროშურის ავტორი, რითაც სარწმუნოებისა და ზნეობის განმტკიცებას ემსახურებოდა.

აღსანიშნავია, რომ დ. ღამბაშიძეს უბრალო გლეხობა განსაკუთრებულად უყვარდა და ამიტომ სამღვდელმსახურო და პედაგოგიური მოღვაწეობის ასპარესად სოფელი არჩია, მიუხედავად იმისა, რომ კათედრალურ ტაძარშიც სთავაზობდნენ დეკანოზობას. განუხრელად ზრუნავდა სამრევლო სკოლების დაარსებასა და ხალხში სწავლისადმი მისწრაფების გაძლიერებაზე. «უსწავლელობის ისე უნდა გეშინოდეთ, როგორც ველური ნადირის... კაცს თუ ცოტაოდენი სწავლა აქვს მტკაველი მიწაც რომ არ ჰქონდეს შიმშილით არ მოკვდება» (91, №10,3). ჩააგონებდა იგი შორაპნელ გლეხებს. სწავლა-განათლების გარდა დ. ღამბაშიძე, როგორც ჭეშმარიტი მოძღვარი სამწყსოზე სხვა მხრივაც ზრუნავდა – 1909 წელს საქმე წამოიწყო შორაპნის მაზრის უფროსის წინააღმდეგ, რომელსაც ყვირილელებზე გადასახადი არაკანონიერად გაეწერა. და მიუხედავად მთავრობის უკმაყოფილობისა, მაინც სამართლის ძიებაში დალია სული (1910 წელს გარდაიცვალა) (116, №4).

დავით ღამბაშიძეს სწამდა, რომ სარწმუნოება ზნეობის საფუძველია. სარწმუნოება კი, თავის მხრივ, მხოლოდ დედა ენაზე შეიძლება გაძლიერდეს. ამიტომაც იგი პრინციპულად არ დაემორჩილა ზემდგომთა მოთხოვნას ყვირილის «ნორმალურ სკოლაში» რუსულ ენაზე ესწავლებინა საღვთო სჯული და სამსახური დატოვა (93, №22, 7).

«მკითხველო წარმოიდგინე რა მოხდებოდა, თუ მამა დავითის უნარი გამოეჩინა... ყველა ქართველს მღვდელს და უარი ეთქვა საღმრთო სჯულის სწავლებაზე მუნჯური ენით? მოხდებოდა ისა, რომ ახლა მთელს საქრთველოში გამეფებული იქნებოდა ქართულს ენაზე სწავლება...» – წერდა ღამბაშიძის მოქმედებით აღფრთოვანებული იაკობი (13, 421).

ქართული ენისა და ეროვნულობის დასაცავად შეუპოვარი პოზიცია, რა თქმა უნდა, რეაგირების გარეშე არ რჩებოდა თვითმპყრობელობის ერთგულ მოხელეთა მხრიდან. სასწავლო ოლქოს მზრუნველმა კ. იანოვსკიმ უმაღლესი მთავრობის წინაშე ოფიციალურად აღძრა საკითხი ღამბაშიძის საქართველოდან გადასახლების შესახებ. აგრეთვე ცნობილია, რომ «დანოსის» საფუძველზე გაჩხრეკილ იქნა ქუთაისში სტამბა და ყვირილაში მისი სახლ-კარი (116, №4).

დ. ღამბაშიძეს კარგად ესმოდა, რომ სამეგრელო ქართული ეროვნული ორგანიზმის განუყოფელი ნაწილია და მთელ შეგნებულ საზოგადოებასთან

ერთად იბრძოდა იმისათვის, რომ ამ კუთხეშიც საერთო ლიტერატურულ ენაზე ყოფილიყო სწავლება. როგორც ცნობილია, თვითმპყრობელობა ხელს უწყობდა საქართველოში კუთხურ განკერძოებას, რაც გააიოლებდა რუსიფიკატორული პოლიტიკის წარმატებას. ამგვარმა დამოკიდებულებამ განსაკუთრებით თავი სამეგრელოში იჩინა, რომლისადმი, როგორც «მცირე ერისადმი», ზრუნვა მეგრული ანბანისა და ღვთისმსახურების დაკანონების მცდელობაში გამოიხატა, ამგვარ ანტიეროვნულ გამოხდომას ქართველი სამღვდელოება ერთხმად აღუდგა წინ. ჟურნალ «მწყემსში» სისტემატურად ქვეყნდებოდა პუბლიკაციები, სადაც მხილებული იყო ამ წამოწყების აბსურდულობა, უსაფუძვლობა და ამავე დროს სახიფათო, ვერაგული ხასიათი.

დ. ღამბაშიძე სტატიათა სერიაში – «მეგრულ ენაზე ლიტერატურის შექმნის შესახებ» მეგრული ანბანის შექმნას «ახირებულ მოსაზრებას» უწოდებს, რაც თვით მაშინაც კი, როცა სამეგრელოს მთავრები განკერძოებას ცდილობდნენ არავის მოსვლია აზრად. რადგან ისტორიულად სამეგრელოში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში სახელმწიფო და საღვთისმსახურო ენა სწორედ ქართული იყო. ხოლო მეგრული «იგივე ქართული ენა, მხოლოდ ცოტა შეცვლილი, ... გადასხვაფერებული» მხოლოდ და მხოლოდ შინაურულ-საოჯახო მნიშვნელობას ატარებდა. ამას მიუთითებს ეკლესია-მონასტრებზე შემორჩენილი ქართული წარწერები, ქართული სიგელ-გუჯრები, სამეგრელოს მღვდელმთავართა ქადაგებანი, სადაც ქართული ენა იშვიათი სიწმინდითაა დაცული და ისეთი უძველესი სიტყვებიც მოიპოვება, დღეს რომ ხმარებაში აღარაა (81, №20, 1).

მეგრელ-ქართველთა განუყოფლობას დ. ღამბაშიძე არა მხოლოდ ისტორიულად ასაბუთებს – გარდა ამისა სახალხო სკოლების წლიური ანგარიშები ცხადყოფენ, რომ მეგრელი ბავშვების აკადემიური მოსწრება მკვეთრად დაქვეითდა სწორედ მას შემდეგ, რაც ქართული ენის ნაცვლად მეგრულად სწავლება შემოიღეს. გარდა ამისა შეინიშნება, რომ მოსწავლეები მასიურად ტოვებენ სახალხო სკოლებს და თავს სამრევლო სკოლებს აფარებენ, სადაც სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს (81, №21,6). უდავოდ საყურადღებოა ისიც, რომ «მეგრელისათვის ქართული ენის შესწავლა დიდ შრომას არ შეადგენს, საჭიროა ერთი-ორი კვირა მოათიოს ქართველის ოჯახში ანუ საზოგადოებაში, რომ სრულად შეისწავლოს, ... ვის შეუძლია შეისწავლოს

რომელიმე უცხო ენა ორ-სამ კვირაში? რას გვიმტკიცებს ეს? რასა და იმას, რომ მეგრული ენა ქართულის სისხლი და ხორცი ენაა და თუ იგი ქართულ ენას უთმობდა და უთმობს ალაგს იმიტომ, რომ მეგრულ ენას დედა ენის ნიადაგი სამეგრელოში არასოდეს ქონდა სარწმუნოების, ლიტერატურის, სახელმწიფოს და ხალხის განათლების საქმეში, და არც ამის შემდეგ ექნება!» (81, №20, 1).

განსაკუთრებულ საშიშროებას დ. ღამბაშიძე ღვთისმსახურების ენად მეგრულის დამკვიდრებაში ხედავდა, რასაც ისევე შეიძლებოდა საქართველოში მწვალებლობის გავრცელება მოჰყოლოდა, როგორც რუსეთში, როცა საეკლესიო-სლავიანური ენის შეცვლა სცადეს. «ზოგიერთ ჩვენს ნაცარქექია პედაგოგს ისე ადვილად მიაჩნიათ სხვადასხვა ცვლილებათა შემოღება წირვა-ლოცვისა და სარწმუნოების საქმეში, როგორც რომელიმე სახელმძღვანელო წიგნის ხმარებიდან გამორიცხვა და შემდეგ ორი-სამი წლისა ხელახლადვე მიღება... შეუძლებელ საქმედ მიგვაჩნია 16 საუკუნის განმავლობაში ხალხისაგან მიღებული და ხმარებული ლოცვების შეცვლა, რადგან ამ შეცვლილ წირვა-ლოცვას ხალხი ვეღარ შეითვისებს» (78, №9,3).

ამრიგად დეკანოზ დავით ღამბაშიძის მოღვაწეობაც უაღრესად ღირსეული და მრავალმხრივი იყო და თანაბრად მოიცავდა ქართველი ხალხის ყველა მტკივნეულ საკითხს. სავსებით გადაუჭარბებელი იყო ჟურნალ «განათლების» (რედაქტორი ლუარსაბ ბოცვაძე) შეფასება: «(დ. ღამბაშიძე) ... იმდენად თვალსაჩინო პიროვნებას წარმოადგენდა ჩვენში თავის მედგარი და შეუპოვარი ბრძოლით ჩვენი ერის სიწმინდის დაცვაში, ჭკუით, მოხერხებით და ხასიათის სიმტკიცით, რომ უნებლიედ მოგაგონებს იმ წარჩინებულ წინაპართ, რომელთაც ცალ ხელში ჯვარი ეჭირათ, მეორეში ხმალი მტრის მოსაგერიებლად, ხოლო განსვენებულ დეკანოზის ხმალს მისი კალამი, გაბედული სიტყვა და გამჭრიახი გონება შეადგენდა, რასაც მოწინაარმდეგენი ანგარიშს უწევდნენ» (80, №1).

უნდა აღინიშნოს, რომ დეკანოზ დ. ღამბაშიძესთან ერთად არაერთი უბრალო ქართველი მღვდელი იღწვოდა განათლების გავრცელებისათვის, აარსებდა სკოლას და ქართულ ენაზე სწავლებით ხელს უწყობდა როგორც ხალხის ცნობიერებისა და ზნეობის ამაღლებას, ისე ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. მოცემული პერიოდი, როგორც ცნობილია, საეკლესიო-სამრევლო სკოლების გავრცელებით ხასიათდება, რომელთა დაარსება

და მატერიალური უზრუნველყოფა ძირითადად მთლიანად სოფლის მღვდელს ეკისრებოდა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ქართველი სამღვდელოებისა და გლეხობის ხელმოკლეობისა, საეკლესიო სკოლების ქსელი განუხრელად ფართოვდებოდა. ჩვენ შორს ვართ აზრისაგან, რომ ყოველი ამგვარი სკოლა სასურველ სიმაღლეზე იდგა, მაგრამ როგორც სასწავლო ეპარქიალური საბჭოს ცნობები თუ ბლაღოჩინთა რევიზიის შედეგები მოწმობს მათი ძირითადი ნაწილი ღირსეულად უძღვებოდა დაკისრებულ მისიას. ამგვარი იყო მაგალითად სოფელ თირძისში მღვდელ სპირიდონ კასრაძის მიერ დაარსებული სკოლა (104, №14, 4), მ. კელენჯერიძის სკოლა სოფელ ალისუბანში, (რომელმაც გაბრიელ ქიქოძეზე დაწერილი მოგონებებითაც დასდო ღვაწლი ქართველ ხალხს) (105, №1), იოსებ მირიანაშვილის, ლაზარე ხელაშვილის, ზაქარია ქევხიშვილის, ნიკოლოზ ბაკურაძის, იოანე ქავჟარაძის და სხვათა საეკლესიო-სამრევლო სკოლები (106, №20).

საყურადღებოა, რომ ი. გოგებაშვილი მოუწოდებს რა თავადაზნაურობას მეტი ხარჯი გაიღონ განათლებისათვის, სამაგალითოდ სწორედ სამღვდელოებას მიუთითებს, როგორც ამ მხრივ საზოგადოების ყველაზე ქმედითუნარიან და აქტიურ ნაწილს: «როგორ იშოვა სახსარი ღარიბმა და ღატაკმა საქართველოს სამღვდელოებამ, რომელიც ინახავს მარტო თავის ხარჯით შვიდს კლასიანს ექვს სასულიერო სასწავლებელს ვაჟებისათვის და ორს ქალებისათვის, რაზედაც წელიწადში ათი ათას თუმანზედ მეტი ეხარჯება? როგორ მოახერხა იმერეთის ნივთიერად უღონო სამღვდელოებამ შეეგროვებინა ოცდა ათი ათასი მანეთი ქუთაისში სემინარიის დაარსებისათვის? ნუთუ რაც უძლურმა სამღვდელოებამ მოახერხა, ის არ შეუძლიან მასზედ შემძლებელ თავად აზნაურობასა?» (12, 79).

ჩვენი კვლევის მიზნად მართალია უმთავრესად ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთა საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი საქმიანობა დავისახეთ, მაგრამ კათოლიკე მოძღვრის, <u>იოანე გვარამაძის</u>, მოღვაწეობის მნიშვნელობა და სიდიადე არ გვაძლევს უფლებას, რომ მას გვერდი აუაროთ.

ივანე გვარამაძე ვალეში, ძველი მესხეთის მიწაზე დაიბადა (1831წ). სწორედ ამან განაპირობა მისი მოღვაწეობის განსაკუთრებული სიძნელე.

თურქეთის უღლისაგან თავდახსნილ მესხეთ-ჯავახეთს თითქოს თავისუფლად უნდა ამოესუნთქა, მაგრამ რეალურად ერთი დამპყრობლის ნაცვლად მეორე დამპყრობლის ხელში აღმოჩნდა, რომელიც შეგნებულად ართულებდა ქართველთა ეროვნულ თვითგამორკვევას, და მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში მიზანსაც აღწევდა.

რუსული ადმინისტრაცია მესხეთ-ჯავახეთის მაჰმადიან ქართველებს თათრებს უწოდებდა, და მათ მშობლიურ ენადაც, შესაბამისად, თურქული გამოაცხადა. კათოლიკე ქართველები კი სომხებად იქნა მონათლული, რომელთა დედა ენადაც სომხური ჩაითვალა. ორივე გადაწყვეტილება მიზანმიმართული არასწორი მიდგომის ნაყოფი იყო, რასაც პირველ სავალალო შედეგად ის მოჰყვა, რომ ქართველები აქ ეროვნულ უმცირესობად იქცნენ...

ახალ პოლიტიკურ სივრცეში მოხვედრილ ადამიანთა შეგნებაში სინათლე სკოლასა და სწორად დაყენებულ აღზრდა-განათლებას უნდა შეეტანა. მაგრამ მთავრობა აქ მხოლოდ რუსულ სკოლებს ხსნიდა, რომელთა ნამდვილი მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის გარუსება იყო.

აუცილებელი იყო ქართული სკოლების დაარსება, რომლებიც ქართულ სხეულს ქართულ სულს შთაბერავდა. საჭირო იყო მაღალი შეგნების მოძღვარი, რომელიც ამ მისიას შეასრულებდა. სწორედ ამგვარი მოძღვარი იყო ივანე გვარამაძე. ივანე გვარამაძეს კონსტანტინოპოლში ჰქონდა მიღებული სასულიერო განათლება. იგი მრავალმხრივ მომზადებული, ღრმად მოაზროვნე პიროვნება იყო, რასაც ისიც უწყობდა ხელს, რომ, გარდა მშობლიური ქართულისა, თავისუფლად ფლობდა ლათინურ, ფრანგულ, თურქულ და სომხურ ენებს. სათნო ქრისტიანული ბუნების მიუხედავად, პრინციპული და უდრეკი იყო ასიმილატორული პოლიტიკის გამტარებელთა მიმართ. იგი სვხადასხვა ეკლესიასა და სასწავლებელში მოღვაწეობდა – უანგაროდ, მშობლიურ კუთხეში ქართული სულიერების აღორძინების შეგნებით (ასწავლიდა საღმრთო ისტორიას, ქართულ ენასა და კატეხიზმოს). მაგრამ ხელისუფლება თანმიმდევრულად ახორციელებდა ჩანაფიქრს: 1881 წლის 13 იანვრის ბრძანებით სკოლებში (რომელთა კონტინგენტს კათოლიკეთა შვილები შეადგენდნენ) აიკრძალა ქართული ენის სწავლება, 1886 წლის 27 თებერვლის ბრძანებით კი – ქართულ

კათოლიკურ ეკლესიებში წირვა-ლოცვის ქართულად შესრულება. სწავლებაცა და ღვთისმსახურებაც სომხურად უნდა წარმართულიყო.

ქ.შ.წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება ამ მხარეშიც აარსებს სკოლებს, მაგრამ მათი რიცხვი (ეს საზოგადოება მუდმივ ხელმოკლეობასა და ხელისუფლებისაგან მტრულ დამოკიდებულებას განიცდიდა), ქვეყნის სხვა კუთხეებთან შედარებით მცირე იყო.

აღნიშნულ ბრძანებულებათა მიზეზით თანდათან გასომხდა მრავალი ქართული სოფელი – ტურცხი, ბავრა, კარტიკამი, ხულგუმო და სხვა. ეროვნება შეინარჩუნა ცნობილმა სოფელმა ხიზაბავრამ, იმის წყალობით, რომ ხელისუფლებას არ შეეპუა და აქ ქ.შ.წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ხელშეწყობით ქართული სკოლა დაარსა ივანე გვარამაძემ. იგი მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურებითა და სწავლებით აღრმავებდა ხალხში ქართველობის შეგნებას. «ჩვენ გვატყობინებენ, რომ ახალციხის კარგა მოშორებით სოფელ ხიზაბავრაში ივანე გვარამაძეს გაუმართავს სკოლა, რომელშიდაც სწავლას დაიწყებენ ამ შემოდგომაზედ» – წერდა «დროება» (112, №39).

ივანე გვარამაძე აქტიური მონაწილე იყო რაბათში – ახალციხის ძველ ნაწილში – ბიბლიოთეკის დაარსებისა. გარდა ამისა, მან იოანე ნათლისმცემლის კათოლიკურ ეკლესიასთან გახსნა სამრევლო დაწყებითი სკოლა, სადაც ბავშვები მშობლიურ ენაზე ეზიარებოდნენ პატრიოტულ და მაღალზნეობრივ იდეებს. ივანე გვარამაძეს აქვე დაუარსებია»წმინდა სავარდის ძმობა», რომლის მიზანი ამ სკოლის შენახვა იყო.

როცა სომხურ ენაზე ღვთისმსახურების მოთხოვნა გამკაცრდა (1880-1890-იანი წლები), ივანე გვარამაძეს ამგვარი გამოსავალი გამოუნახავს: იგი ჯერ სომხურ ენაზე ატარებდა წირვას (რადგან განსაკუთრებული აქცენტი წირვის სომხურად ჩატარებაზე მახვილდებოდა), შემდეგ კი ქართულად ქადაგებდა და კითხულობდა სახარებას. ამისათვის ისევ მაზრის უფროსთან დაასმინეს, რომლისთვისაც უთქვამს: «მაშ რა ენაზე ჩავაგონოთ მრევლს ხელმწიფის ერთგულება, თუკი ქართულის მეტი სხვა ენა არ ესმითო». ხოლო ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აკრძალვის შემდეგ სხვა საშუალებისათვის მიუმართავს: მისი მითითებით ხალხი სამრევლო სკოლაში იკრიბებოდა და ქართულად ლოცულობდა.

1894 წლის 1 ნოემბერს ივანე გვარამაძემ თვითნებურად დაარღვია აღნიშნული ბრძანება და სახარება-სამოციქულო ქართულად წაიკითხა. მისი რჩევითა და წაქეზებით სხვა კათოლიკე მღვდელებმაც აღადგინეს ეკლესიაში ქართული წირვა-ლოცვა (56, 48).

ეს, რა თქმა უნდა, საოცრად თამამი ნაბიჯი იყო, რაც მის დიდ მამულიშვილურ თავდადებას ცხადყოფს ეროვნების შენარჩუნებისათვის. სწორედ უდრეკი პატრიოტული პოზიციისათვის დაითხოვეს იგი სამსახურიდან, რამაც მალე (1912) მოუსწრაფა სიცოცხლე.

ივანე გვარამაძის თავდადება თურქეთის ტყვეობიდან დაბრუნებულ სამცხე-ჯავახეთში ეროვნული სულის გადასარჩენისათვის მჭიდროდ უკავშირდებოდა მის მრავალმხრივ ცოდნას და იშვიათ ტალანტს. იგი, მიუხედავად მრავალი არახელსაყრელი ფაქტორისა, თავისი დროის უგანათლებულესი ადამიანი იყო. დიდია მისი ღვაწლი სამცხე-ჯავახეთის ისტორიული ძეგლების კვალიფიციურ შესწავლაში (სრული საფუძველი ჰქონდა დაეწერა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო – «ქართლის ცხოვრება» – 1881წ.), მხარის გეოგრაფიულ გამოკვლევაში. იყო ეთნოგრაფი და ფოლკლორისტი (მის მიერ მოპოვებული ხალხური სიტყვიერების ნიმუშები გამოიყენეს თვით აკაკიმ და იაკობმა), ლექსიკოლოგი («ბუნებითი მეცნიერება», «ქართული ლექსიკონი», «თათრული სიტყვების განმარტებითი ბარათი», «ლექსიკონი ფრანგულიდან ქართულად»), მწერალი და ჟურნალისტი. აქვს უაღრესად საყურადღებო პუბლიკაციები პედაგოგიკურ პრობლემებსა და მესხეთ-ჯავახეთის კრიტიკულ მდგომარეობაზე, რომლის ეროვნული გადარჩენის მთავარ საშუალებად ქართული სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ფართო ქსელის შექმნა მიაჩნდა. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც (ხშირად – ცნობილი ისტორიკოსების – მიხეილ თამარაშვილისა და პეტრე ხარისჭირაშვილის დაკვეთით) – სომხურიდან – ქართულად, ქართულიდან – ფრანგულად. იყო მესხური მუსიკის კარგი მცოდნე და გულშემატკივარი, 40-ზე მეტი სოლიდური შრომის ავტორი, ჰქონდა უნიკალური ექსპონატებით მდიდარი საოჯახო მუზეუმი, რომლის ბაზაზედაც 1937 წელს მესხეთ-ჯავახეთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი ჩამოყალიბდა.

ჩვენ განსაკუთრებით ივანე გვარამაძის პედაგოგიკურ შეხედულებებზე შევჩერდებით. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ მისი დამოკიდებულება დედა ენისადმი განსაზღვრულია ფართო ერუდიციითა და პატრიოტიზმით. ესმოდა რა მშობლიური ენის მრავალმხრივი მნიშვნელობა, ივანე გვარამაძე გულისტკივილით წერდა: «ოსმალოს ხელში, მღელვარებისა და ვაების დროს, ქრისტიანებმა დავიცავით დედა ენა, და ახლა, მშვიდობის დროს კი გვტაცებენ. დროა, ქართველებო, გაარჩიოთ მტერი მოყვრისაგან, სტუმრად მოსულთ მასპინძლობის უფლებას ნუ მისცემთ... დროა აღადგინოთ, დაიცვათ თქვენი ძველთაძველი, მდიდარი და საამაყო დედა ენა» (56, 78).

თუ იაკობმა დედა ენას ეროვნების ბურჯი უწოდა, ივანე გვარამაძემ იგი «ერის თავმოყვარეობის დამცველად» გამოაცხადა. გვარამაძის სიტყვით, «ენის სიძლიერე ერის სიძლიერის ტოლფასია» (გავიხსენოთ გრ. ორბელიანის – «რა ენა წარხდეს, ერიც დაეცვეს»...).

გვარამაძე მშობლიური ენის აღმზრდელობით ძალაზეც მიუთითებდა.

როგორც ზემოთ ვნახეთ, სამღვდელოება, ისევე როგორც თერგდალეულები, ხალხის განათლებას გადამწყვეტ როლს ანიჭებდა როგორც ეროვნული გამოღვიძების, ისე სოციალური წინსვლის საქმეში. ასევე დიდად აფასებდა განათლების მნიშვნელობას ივანე გვარამაძე. განათლებაზე იყო დამოკიდებული ამ მხარეში თითოეული სოფლისა და თითოეული ადამიანის ეროვნების შენარჩუნება.

გვარამაძე, რა თქმა უნდა, ეროვნული ხასიათის განათლებას მოითხოვდა. მისთვის უცხო იყო კოსმოპოლიტური იდეა «ზოგადკაცობრიული აღზრდისა». «ნუ გაზრდი შვილებს უცხოთ წესზე, მონური სულით», – მოგვიწოდებდა იგი. მხოლოდ ეროვნული (ქართული) სკოლის გავლის შემდეგ მიაჩნდა მას მიზანშეწონილად ევროპული განათლების მიღება, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენი დროის პედაგოგებისა და მშობლებისათვისაც საგულისხმო უნდა იყოს.

ივანე გვარამაძეს სკოლა აღზრდის მეორე კერად მიაჩნდა (პირველ კერად ოჯახს თვლიდა). ჟან-ჟაკ რუსოსა და ჯონ ლოკისაგან განსხვავებით, იგი სწორედ სასკოლო აღზრდა-განათლების მომხრე იყო, საზოგადოების წევრი საზოგადოებაში უნდა აღიზარდოსო. სკოლამ, მასწავლებლებმა უნდა

განავითარონ ოჯახში მიღწეული დონე, და თან საოჯახო აღზრდის ნაკლოვანებებიც უნდა გაასწორონო.

მასწავლებელი აუცილებელია სწავლების უკეთეს ხერხებს ეძებდეს და მუდამ ზრუნავდეს თვითგანვითარებაზე.

საგულისხმოა მისი გაფრთხილება: «მასწავლებელი წინ არ უნდა წავიდეს მანამ, სანამ არ დარწმუნდება, რომ გავლილი მასალა მოწაფეებმა მტკიცედ შეითვისეს» (56, 85). ეს დებულება სრულ თანხმობაშია იან ამოს კომენსკის მოთხოვნასთან – «ნუ აჩქარდებით საფუძვლების სწავლებისას».

ზნეობრივ აღზრდას, ივანე გვარამაძის სწორი აზრით, ქრისტიანული მოძღვრება უნდა ედოს საფუძვლად. მას საჭიროდ მიაჩნდა მოსწავლეთა მორიდება «ზნეწამხდარი თანატოლებისაგან». ცნობდა მაგალითის უდიდეს სააღმზრდელო ძალას. ზნეობის კრიტერიუმად კი, სავსებით სწორად, პრაქტიკული საქმეები მიაჩნდა.

ივანე გვარამაძეს ადამიანის განვითარების ასაკობრივ პერიოდიზაციაზედაც საინტერესო შეხედულება აქვს. ჯერ ის გამოჰყოფს სამ პერიოდს – დაბადებიდან ზრდასრულობამდე, მოწიფულობასა და სიბერეს. შემდეგ კი დაწვრილებით განიხილავს ამ სამი ეტაპის თვისებრივად განსხვავებულ მონაკვეთებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჩვილის შედარება სანთელთან. «ჩვილნი სანთელივით რბილნი არიან. რბილ სანთელზედ რანაირ ბეჭედსაც დასვამ, იმნაირივე დაეტყობა. ქრისტეს სახეს დასვამ, ის დააჩნდება, ეშმაკის სახეს დასვამ, ეშმაკი დაეტყობა». ეს დიდი გაფრთხილებაა ყველას მიმართ, ვისაც ბავშვებთან ურთიერთობა უხდება, და საკითხის არსსაც, ჩვენი აზრით, უკეთ ასახავს, ვიდრე არისტოტელესა და ჯონ ლოკის ფრიად ცნობილი შედარება სუფთა დაფასთან.

ეხება რა საოჯახო აღზრდას, ივანე გვარამაძე აფრთხილებს მშობლებს, რომ არცერთ შვილს არ მიანიჭონ უპირატესობა, უფრო ტკბილად ანჩხლთა და ჭირვეულთ უნდა მოეპყრან, როგორც სნეულთო. საოჯახო აღზრდაშიც კი სასჯელის წინააღმდეგი იყო და დარწმუნების მეთოდს სთავაზობდა მშობლებს.

პროგრესული პოზიცია ეკავა ქალთა განათლების საკითხშიაც. მოითხოვდა ქალებისა და ვაჟების ერთად სწავლებას, აღიარებდა ქალისა და მამაკაცის

თანასწორობას არ მარტო განათლების სფეროში, არამედ ოჯახშიაც. ეს, რა თქმა უნდა, დროის მნიშვნელოვანი გასწრება იყო.

ფიზიკური აღზრდისადმი მიძღვნილ წერილებში ივანე გვარამაძე აღწერს სპორტის ტრადიციულ ქართულ სახეებს: მკლავის გასამაგრებელ ვარჯიშებს, ჭიდაობას, შურდულის და თოფის სროლას ნიშანზე, ცხენის ჭენებას, რბენას. აღწერილი აქვს ძველი თამაშობებიც – «ქოფი», «თულო წრე», «ჯორებუნა», «თავმოვლიანა», «ხელობანი», «კუნძითრევანი». რა თქმა უნდა, ურიგო არ იქნებოდა მათი გაცოცხლება და ფიზიკური არზრდის თანამედროვე საშუალებებში ჩართვა.

გვარამაძე მკვეთრად გამოდიოდა სწავლის ქირის გადიდების წინააღმდეგ, რადგან ამაში სკოლის კარის დახშვას ხედავდა ღარიბთათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ივანე გვარამაძემ ღირსეული შვილები აღუზარდა სამშობლოს – კონსტანტინე გვარამაძე (მისი ვაჟი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო მხარის კულტურულ წინსვლას), გამოჩენილი ისტორიკოსი მიხეილ თამარაშვილი და სხვები.

ივანე გვარამაძეს ღირსეულად აფასებდა ყველა შეგნებული ქართველი. ზაქარია ჭიჭინაძემ მას ჯერ კიდევ სიცოცხლეში მიუძღვნა მონოგრაფია. თბილისში დაიბადა აზრი მისთვის იუბილის მოწყობის თაობაზე, სათანადო მზადებაც დაიწყო, მაგრამ მან ეს წინადადება კატეგორიულად უარყო.

ასეთი იყო, ძალზე მოკლედ, ივანე გვარამაძის ცხოვრება და მოღვაწეობა. მან პირველმა თქვა, რომ სამცხე-ჯავახეთის კათოლიკე მოსახლეობა, რომელიც ქართულად ლაპარაკობს, მაგრამ სომეხად თვლის თავს, სინამდვილეში ქართველია. იგი თავგანწირვით იბრძოდა ქართული თვითშეგნების შენარჩუნებისათვის მთელ ამ მხარეში, მაგრამ მტრული ძალების მოქმედება დიდად აღემატებოდნენ ივანე გვარამაძისა და მის თანამოაზრეთა შესაძლებლობებს. მიუხედავად ამისა, მას ჰქონდა გარკვეული წარმატება, და თუ მესხეთ-ჯავახეთში დღეს არ გამქრალა ძველი ქართული ტრადიციები, ეს, პირველ რიგში, ივანე გვარამაძის თავგანწირული ბრძოლის შედეგი იყო.

## თავი მეორე.

## მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პედაგოგიური პრობლემები და ქართველი სამღვდელოების პოზიცია (სასულიერო პრესის მიხედვით).

აქ ჩვენ შევეხებით მოცემული პერიოდის ძირითად პედაგოგიურ პრობლემებს – სასულიერო პრესის თვალთახედვით, რომელიც სამღვდელოების აზრის გამოხატულებას წარმოდგენს. მხედველობაში გვაქვს ჟურნალები «საქართველოს სასულიერო მახარობელი» (1864-1868), «მწყემსი» (1883-1910), «ჯვარი ვაზისა» (1906), «დუხოვნი ვესტნიკ გრუზინსკოგო ეგზარხატა» (1891-1906).

პუბლიკაციების მრავალფეროვნებით, სიღრმით, ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით და საერთო პროგრესული პოზიციით «მწყემსი» გამოირჩეოდა, აქედან გამომდინარე ძირითად აქცენტს სწორედ ამ ჟურნალზე ვამახვილებთ. ცნობილი ქართველი პედაგოგები ი. გოგებაშვილი, ლ. ბოცვაძე, ი. ფერაძე და სხვა მოღვაწეები სისტემატურად თანამშრომლობდნენ ჟურნალ «მწყემსთან», შესაბამისად, მათი აქ მოცემული შეხედულებები სამღვდელოების აზრადაც მიგვაჩნია.

ჟურნალი «დუხოვნი ვესტნიკი» ოფიციოზის საგანმანათლებლო პოლიტიკის გამტარებელი იყო, მაგრამ წმინდა პედაგოგიური ხასიათის საყურადღებო მასალები აქაც მოგვეპოვება. იმ შემთხვევაში, როცა გარკვეული იდეა (საკითხისადმი მიდგომა) კონკრეტული ჟურნალისათვის არის ნიშანდობლივი, ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ გამოცემას ვუთითებთ, ხოლო როცა საკითხის ინტერპრეტაციაში ერთიანობას ვხედავთ, ზოგადად ვწერთ «ქართული სასულიერო პრესის მიხედვით».

### §1. განათლების პრობლემა.

ქართველი საზოგადოების პროგრესული ნაწილი ვერ ეგუებოდა რუსეთთან იძულებით ინტეგრირებას. ეროვნულ-განმათავისუფლებელი გამოსვლების წარუმატებლობამ ძალისმიერი მეთოდის უშედეგობა ცხადყო. ამიტომ გეზი განათლების ფართოდ გავრცელებაზე იქნა აღებული. ისევე, როგორც ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და მათი თანამებრძოლები, სამღვდელოების თვალსაჩინო

წარმომადგენლებიც განათლებას ანიჭებენ გადამწყვეტ მნიშვნელობას საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესისათვის. შესაბამისად სამღვდელოება აქტიურად იღწვოდა სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დასაარსებლად და სხვა უწყების სკოლებთანაც თანამშრომლობდა, სისტემატურად ეწეოდა განათლების პოპულარიზაციას საზოგადოების დაბალ ფენებში. მაგრამ, პირველ რიგში, თავად სამღვდელოება უნდა ყოფილიყო საკმაო ცოდნისა და პედაგოგიური უნარ-ჩვევების მფლობელი. სწორედ აქეთკენ მოუწოდებს მას დეკანოზი დ. ღამბაშიძე: «ეცადეთ შეითვისოთ ახალი სინათლე განათლებისა – მიმართავს იგი ქართველ სამღვდელოებას, – რათა უმეტესად შეგეძლოთ განავრცელოთ ესრეთი ნათელი თქვენ გაუნათლებელ და უმეცრების ბნელით მოსილს სამწყსოს შორის, მოკიდეთ ხელი თვითგანვითარებას, იკითხეთ, დაუკვირდით ყველაფერს, შეეჩვიეთ მსჯელობას და აზროვნებას, ისწავლეთ და ასწავლეთ...» (78, №17).

სასულიერო პრესაში, განსაკუთრებით ჟურნალ «მწყემსში» მოიპოვება არაერთი პუბლიკაცია, რომლებიც ნათლად ასახავს სამღვდელოების შეხედულებებს განათლების არსზე, მნიშვნელობასა და სასურველ მიმართულებაზე.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სასულიერო ავტორები განათლების გავრცელებას ერთხმად უკავშირებენ საერთო პროგრესს. «ჩვენი ცხოვრების ავკარგიანობა მხარდამხარ მისდევს ჩვენი გონების ფარგალს, რამდენადაც ეს უკანასკნელი ფართოვდება და ბრწყინვალდება, იმდენად ჩვენი ცხოვრება უმჯობესდება, მრავალფეროვნდება და ვითარდება. გონებით დახშულ ხალხს ცხოვრებაც დახშული აქვს და იმდენად მარტივია, რომ ბევრად არ განირჩევა პირუტყვის ცხოვრებისაგან (79, №20, 6). ნიშანდობლივია, რომ დ. ღამბაშიძე საქართველოს გადარჩენის, მისი ღირსეული მომავლის საწინდარს სწორედ ქართველი ხალხის სწავლა-განათლებისადმი სიყვარულსა და სწრაფვაში ხედავდა (77, №17, 1). ამასთან ვლინდება სასულიერო წოდების სწორი პოზიცია – ხალხის დაბალი ფენების განათლებასთან ზიარების აუცილებლობა. სასულიერო პრესაში არაერთგზის გაჟღერდა სამღვდელოების სიამაყე, რომ მათ, სამრევლო სკოლების დაარსების გარდა, სასულიერო (წოდებრივ) სასწავლებელშიაც გაუხსნეს გზა გლეხის შვილებს. «ყოველი ერის ძალღონე და

სახსრები მიმართული უნდა იყოს სწავლა-განათლების საყოველთაო მოფენაზე – წერს ჟურნალი «მწყემსი» – ... დაბალი ერით სულდგმულობს სახელმწიფო და ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ იგი ამაღლდეს განათლებით და ეროვნული აღზრდით, რომ შემდეგ უფრო ძლიერი შეიქმნეს ერიც და სახელმწიფოც» (79, №26, 6).

სამღვდელოების უმთავრესი სასოება, რასაც იგი განათლებას უკავშირებდა, ხალხის ზნეობრივ ამაღლებასა და სულიერ გაკეთილშობილებაში მდგომარეობდა. ეროვნული ცნობიერების, მომავლის რწმენის, ერთიანობის, გამტანობის, მოქალაქეობრივი შეგნების განმტკიცება ურთულეს მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას გამოღვიძებისა და აღორძინების გზაზე დააყენებდა: «სადაც კი განათლების სხივი ჩავარდნილა საზოგადოებაში, ყველგან უეჭველად სწამთ და აღიარებენ, რომ საზოგადო კეთილდღეობას უნდა მიეცეს უპირატესობა პირად სარგებლობასთან» (78, №1, 7), რადგან «განათლება კაცის ზნეობის ამამაღლებელია... ცუდ ზნე-ჩვეულებას უსპობს, ხასიათს უსწორებს, ხალხს ერთმანეთთან აახლოვებს» (79, №2, 12). «სწავლის მეოხებით შენ უფრო ადიდებ ღმერთს, შეიყვარებ შენს სამშობლოს და მეგობრებს» (84, №1, 5).

საინტერესოა, რომ აქ ზნეობრიობის უცილობელ ნიშნად დასახელებულია «საზოგადოს» პრიორიტეტი პირადულის წინაშე, რაც შეგნებისა და მორალის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ქართველი სამღვდელოება ძირითადად, ისევე როგორც ანტიკური მოაზროვნეები, (სოკრატე, პლატონი და სხვ.) ზნეობას უშუალოდ უკავშირებს ცოდნას. ისინი უზნეო ქცევას უვიცობით ხსნიდნენ. ილია ჭავჭავაძე კი უფრო მასშტაბურად მსჯელობდა და მიგვითითებდა, რომ ხალხის განათლების პარალელურად მის ზნეობრივ აღზრდაზეც იყო საჭირო ზრუნვა, ე. ი. ზნეობა მას ცოდნა-განათლებაზე არ დაჰყავდა.

ეს ექსკურსი ოდნავადაც არ აკნინებს სასულიერო პირთა იმედს: ზნეობა მნიშვნელოვანწილად მაინც სათანადო ცოდნითა და განათლებით განისაზღვრება.

«იმისათვის, რომ განათლება ეროვნულ საქმეს ემსახურებოდეს, იგი უნდა უზრუნველყოფდეს «ჰარმონიულ განვითარებას სულიერის ძალებისას». წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებაში ფესვგამდგარი შუღლი, ბოროტება, ფარისევლობა, თაღლითობა და სხვა მანკიერებანი კვლავაც უცვლელი და

შეურყეველი აღმოჩნდება. უნდა აღინიშნოს, რომ სამღვდელოების ნაწილი საკმაოდ კრიტიკულადაც მსჯელობს. საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს «მწყემსის» ერთ-ერთი პუბლიცისტი, რომელიც თავს სოფლის მღვდელს უწოდებს: მართალია, განათლების გავრცელება ყოველთვის საზოგადოების სულიერ ამაღლებასთან, მორალურ წინსვლასთან ასოცირდება, მაგრამ რეალურად რიგ შემთხვევაში საწინააღმდეგო შედეგი შეინიშნება. მაგალითად, შუა სპარსეთში, სადაც სწავლა-განათლების ცხოველმყოფელ სხივს ჯერაც არ შეუღწევია, «პატიოსნება და ნამუსი, მიცემული სიტყვის აღსრულება და სიმართლე» მეტად არის დაცული. «ევროპის განათლებულ ხალხთა «ჟულიკები» თავიანთი მოქმედებით გააოცებენ გაუნათლებელ სპარსელს და განცვიფრებაში მოიყვანენ მას». საქართველოშიაც, მართალია, სწავლის წყურვილიც და სასწავლებელთა რაოდენობაც მატულობს, მაგრამ ხალხის ზნეობრივ ყოფაში სასიკეთო ცვლილებები არ შეინიშნება (79, №9, 5).

მოწინავე სამღვდელოების შეშფოთებას იწვევდა ზოგიერთი «ნასწავლის», ამორალობა, რასაც შეეძლო სკოლის მიმართ ეჭვი გაეჩინა ხალხში. ზნეობრივი ნაკლოვანებების მიზეზს სასულიერო პრესა განათლების პროცესის ცალმხრივობით ხსნის, რაც ზნეობრივი ასპექტის უგულვებელყოფითა და ძირითადი ყურადღების საგანმანთლებლო-სამეცნიერო მხარეზე კონცენტრირებაში გამოიხატებოდა: «ეხლანდელი დროის წეს-წყობილებით და კანონებით უმთავრესი ყურადღება მარტო ყმაწვილის გონების განვითარებაზეა მიქცეული და ზნეობა კი სრულებით დავიწყებულია... ამ მიზეზით ... შური და მტრობა ისევ ძველებურად, ისევ ჩვენებურად პარპაშობს» (79, №9, 5).

ქრისტიანული სარწმუნოების ძირითადი პოსტულატები – სიყვარული, ქველმოქმედება, უანგარობა უნდა დასდებოდა საფუძვლად ზნეობრივ აღზრდას, რომელთა შესისხლხორცება რეალურს გახდიდა მაღალზნეობრივი, ჰუმანური თაობის აღზრდას. ამიტომაც სამღვდელოება, მართალია, ყოველგვარი ტიპის სასწავლებლებს უჭერდა მხარს (არა მარტო სასულიეროს), მაგრამ ქრისტიანული მოძღვრების სათანადოდ ათვისებას ყოველი მათგანისაგან უცილობლად მოითხოვდა.

სასულიერო პრესა განათლების გავრცელებას, გარდა გონებრივი და ზნეობრივი დონის ამაღლებისა, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც

უკავშირებს: «რამდენადაც გონებაგანვითარებულია კაცი, რამდენადაც მეტი ცოდნა და გამოცდილება შეუძენია, იმდენად მისი ეკონომიური კეთილდღეობა უმჯობესდება» (78, №19, 10). სასწავლებელში შეძენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა დახმარებოდა გლეხობას მეურნეობის უკეთ დაგეგმვასა და წარმართვაში. სწორედ ამ მიზნით არსდებოდა სამრევლო სკოლებთან სამაგალითო მეურნეობები, სადაც პატარა გლეხებს მებაღეობას, მეაბრეშუმეობას თუ მებოსტნეობას ასწავლიდნენ. საყურადღებოა ი. გოგებაშვილის შენიშვნა, რომელიც იმერელი გლეხის ნივთიერ მოღონიერებას პირდაპირ უკავშირებდა გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძის) ხანგრძლივ მოღვაწეობას ამ კუთხეში, რომელიც ქადაგებითაც და მაგალითითაც შრომის სიყვარულსა და პატივისცემას უნერგავდა ხალხს. ქართველი საზოგადოება და მათ შორის სამღვდელოება განათლების ახლებური კერის – სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას დიდი იმედითა და სიხარულით ხვდებოდა. «დღემდის ჩვენთან არ იყო ისეთი სასწავლებელი, რომელიც მიანიჭებს კაცს რიგიან ცოდნას – ადვილად იბატონოს ამ მშვენიერ ქვეყანაზე... ღმერთმა ადღერძელოს ის პირები, ვინც ამ საქმის განხორციელებას ხელი შეუწყო» – აღნიშნა ქუთაისის სამეურნეო სკოლის კურთხევაზე დ. ღამბაშიძემ (81, №13-14, 12).

როგორც ვხედავთ, სასულიერო პრესა, მისი ავტორები სწავლა-განათლებას ისეთი ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებასაც უსახავენ მიზნად, როგორიც შრომისმოყვარეობაა. ამასთან აღსაზრდელები პრაქტიკულადაც უნდა მოემზადებინათ ნაყოფიერი შრომისათვის.

სასულიერო წოდების მოღვაწეები სწორად აფასებდნენ ქალის როლს ოჯახში, საზოგადოებასა და ქვეყნის ბედ-იღბლის განსაზღვრაში. მათ მიაჩნდათ, რომ ეს როლი უნიკალურია, რომ სწორად აღზრდილ ქალებს მთელი კაცობრიობის ბედნიერი მომავლის უზრუნველყოფა შეუძლიათ.

ჟურნალ «მწყემსში» ყურადღებას იქცევს ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის სიტყვები, რომელშიც კარგად ჩანს, რომ დედა არა მარტო სიცოცხლის მომნიჭებელია, არამედ პირველი მასწავლებელი და აღმზრდელიც არის, რომელსაც განუზომელი გავლენა აქვს მოზარდის გონებრივ, ზნეობრივ და სარწმუნოებრივ ჩამოყალიბებაზე: «ყოველი ადამიანი პირველთა წელთა ცხოვრებისა თვისისათა განატარებს დედის ხელთა შინა, მისგან მიიღებს

პირველთა ჰაზრთა, მიდრეკილებათა, მისგან ისწავლის პირველსა ლოცვასა. მაშასადამე, ღირსება, თვისება და ბედნიერება ყოვლისა ადამიანისა დამყარებულ არს ქალსა ზედა» (84, №3-4, 7). ანალოგიური აზრია გატარებული ეპისკოპოს ლეონიდის მიერ ბოდბისხევის ტაძარში წარმოთქმულ სიტყვაში: «დედის გვამში იწყება ჩვენი სხეულის დასაბამი. იქვე იწყება, შეიძლება ვთქვათ, ჩვენი ზნეობა ან დაცემულობა. სუსტი და ნორჩი სხეული ახალდაბადებულისა იზრდება და ღონიერდება დედის კალთაში. ამავე კალთაში იზრდება, მტკიცდება და მაღლდება ნორჩი არსების ზნეობა, ხასიათი და მიმართულება. დედაა ბავშვის ერთადერთი მასწავლებელიც კარგა ხნობამდე. თუ დედა ნამდვილი ქრისტიანია, შემკული ქრისტიანული სიმშვიდიდთ, სიწყნარით და თავმდაბლობით, უეჭველია, ყველაფერს ამას შეამჩნევს ბავშვიც და შეიწოვს დედის რძესთან ერთად» (84, №3-4, 17). ეპისკოპოსი ლეონიდე ქალთა აღზრდა-განათლებას ვაჟების აღზრდაზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ქალის განსაკუთრებული მნიშვნელობა მხოლოდ ქრისტიანობამ შეაფასა ჯეროვნად. როგორც «მწყემსის» ერთ-ერთ (რუსულიდან თარგმნილ) პუბლიკაციაში ვკითხულობთ, ძველ საბერძნეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში არ ესმოდათ ეს, და «ამ მდაბალმა და შემცდარმა შეხედულებამ დედაკაცთა მნიშვნელობაზე გარყვნა ზნეობა აღმოსავლეთისა, შეაფერხა განათლების გავრცელების საქმე უვიცსა და სიცოცხლეს მოკლებულ აღმოსავლეთის სახელმწიფოებში და მთელი საუკუნეებით შეაფერხა და უკან დასწია ურიცხვ ერთა განვითარება» (88, №9-10, 17).

ჟურნალის პუბლიკაციებიდან აშკარად ჩანს სასულიერო პირთა რწმენა, რომ ოჯახის ავ-კარგიანობას ქალი განსაზღვრავს, როგორიც მას სურს, ისეთ ელფერს მისცემს ოჯახს. ოჯახი კი ზნეობრივი და სარწმუნოებრივი აღზრდის უმნიშვნელოვანეს კერად არის მიჩნეული. დედაკაცთა სქესს შეუძლია კაცობრიობის დიდებული მომავლის შექმნა. ამ აზრზე იდგა სამღვდელოება, რომელიც სასულიერო წოდების გოგონებს ქრისტიანი ქალის იდეალად ღვთისმშობელ მარიამსა და მოციქულთა სწორ წმინდა ნინოს უსახავდა.

სწორად ესმოდათ რა ქალის როლი საზოგადოების ზნეობრივ განვითარებასა და სარწმუნოებრივ სიმტკიცეში, ქართველი მღვდელმთავრები აარსებდნენ სხვადასხვა ტიპის სასულიერო სასწავლებლებს, რომლებსაც ამოცანად

უსახავდნენ არა დოგმატურ მეცადინეობებს, არამედ აღსაზრდელთა მომზადებას მათი რეალური პერსპექტივის შესაბამისად, – იგულისხმება, რომ ეს გოგონები, უმთავრესად, უნდა გამხდარიყვნენ სასულიერო წოდების პირთა ღირსეული მეუღლეები – ღრმად მორწმუნენი, განათლებულნი, გონებაგახსნილნი, ზრდილნი, საუკეთესო მეოჯახეები, სხვადასხვა ხელსაქმის კარგი მცოდნენი*. ჟურნალში არაერთგზის არის აღნიშნული, რომ ამ სასწავლებლებში აღზრდილმა ქალებმა მღვდელს უნდა შეუმსუბუქონ მათი საკმაოდ მძიმე შრომა.

უნდა აღინიშნოს, რომ «მწყემსის» ავტორები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ქალთა გიმნაზიებისა და მათთან გათანაბრებული (ე.ი. მაღალი დონის) ქალთა სასულიერო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გარკვეული ნაწილის მიმართ. არ მოსწონდათ მათი ზედმეტი პრეტენზიულობა, უკადრისობა, ფუქსავატური მიდრეკილებები.

«ნასწავლ» ქალთა ნაწილის ზერელობის («ქარაფშუტობის») ერთ-ერთ მიზეზად სულიერ მამებს არამშობლიურ ენაზე სწავლება და განათლების შინაარსის არცთუ ადეკვატური განსაზღვრა მიაჩნიათ. საზოგადოებრივ საქმიანობაში პასიურობას კი იმით ხსნიან, რომ მათ დღემდე გადაჭარბებულ სიმორცხვესა და მოკრძალებას უნერგავდნენ.

«მწყემსის» ავტორთა პუბლიკაციები მანდილოსანთა კარჩაკეტილობისა და პასიურობის წინააღმდეგ არის მიმართული, მაგრამ ისინი არც წრეგადასულ თავისუფლებას იწონებენ, რომელიც ხშირად გადადის უზნეობაში (ენატანიობა, ჭორიკნობა, ფუქსავატობა, სოფელში ცხოვრებასა და მღვდლის ცოლობაზე უარის თქმა). სამღვდელოების უმრავლესობას, მათ შორის ცნობილ მოღვაწეს დეკანოზ დ. ღამბაშიძეს, სასულიერო წოდების ქალთა აქტიურობა ესმის, როგორც სოფლის მოსახლეობის განათლებისა და ჯანმრთელობისათვის ზრუნვა, სოფლის მღვდლის გვერდით დგომა მის რთულ საქმიანობაში.

აქ, რა თქმა უნდა, გარკვეულ წილად, პრობლემის წოდებრივ ხედვასთან გვაქვს საქმე. აქ არ იგულისხმება აქტივობა ყოვლისმომცველი გაგებით, მაგრამ მასში ჩადებული აზრიც სასარგებლო და საპატიო იყო ამ დროისათვის.

---

* შევნიშნავთ, რომ მაღალი ზნეობისათვის ბრძოლა მოწინავე სამღვდელოებას უკვე ისეთ პირობებში უხდება, როცა ანარქისტები და რევოლუციონერები უცერემონიოდ მსჯელობდნენ ზნეობის პრობლემებზე და არსებითად ეჭვქვეშ აყენებენ მის საჭიროებას.

საინტერესოა ძველი ჩინელი ფილოსოფოსის კონფუცის გამონათქვამი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ქალის დანიშნულებას: «თუ ოჯახური მოვალეობა მტკიცედ სრულდება, მაშინ საჭირო არ არის შორს წასვლა მსხვერპლის შესაწირად», ე.ი. ოჯახურ მოვალეობათა პირნათლად შესრულება თავისთავად არის ღვთაებრივი საქმე (გავიხსენოთ ვაჟას სტრიქონებიც «შვილის ლამაზად გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა»). ამგვარივე შეგნებით უნდა აღეზარდა, ქალთა სასულიერო ეპარქიულ სასწავლებლებს თავისი კონტინგენტი (88 №1, 13).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობდა ქალთა სასულიერო სასწავლებლების მიზანი – მოამზადონ რიგიანი მეოჯახე დედები როგორც სამღვდელო, ისე სხვა პირთათვის, განსაკუთრებით სასულიერო წოდებისათვის. მათ უნდა «უჩვენონ გლეხთა მდედრობით სქესს კეთილი მაგალითი გონივრული და ღვთისნიერი ცხოვრებისა» (74, №6, 8).

აღნიშნულ მიზნებს შეესაბამებოდა ქალთა სასულიერო სასწავლებლების განათლების შინაარსი.

მცხეთის სამთავროს მონასტერთან არსებულ «სასულიერო წოდების ქალწულთა სასწავლებელში», რომელიც სამკლასიანი იყო, ისწავლებოდა: საღვთო სჯული, კატეხიზმო რუსულ და ქართულ ენებზე, ეკლესიის, განსაკუთრებით – საქართველოს ეკლესიის ისტორია, საეკლესიო და საერო ქართული ენა, რუსული და ნაწილობრივ სლავური (საეკლესიო) ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია (მსოფლიო, რუსეთის, საქართველოსი), რუსეთისა და, უპირატესად, საქართველოს ისტორია; გალობა რუსულ და ქართულ ენებზე, სუფთა წერა და ხელსაქმე (74, №12, 81).

როგორც ვხედავთ, ეროვნული, ქართული დისციპლინები აქ საკმაოდ არის წარმოდგენილი. საერთოდ, ქალთა სასულიერო სასწავლებლები მეტი ეროვნულობით გამოირჩევა, ვიდრე ნებისმიერი სხვა სასწავლებლები. გარდა იმისა, რომ აქ ქართველი სამღვდელოება მასწავლებლობდა, და არა რუსიფიკატორი ჩინოვნიკები, ეს თავისებურება გოგონების აღზრდის მიზანს სავსებით შეესაბამებოდა – მათ ხომ ქართულ სოფლებში უნდა ეცხოვრათ და ემოღვაწათ.

ქუთაისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში გეგმით ისწავლებოდა: საღვთო სჯული, რუსული ენა და ლიტერატურა, ქართული ენა, არითმეტიკა

მეთოდიკით, გეოგრაფია, ფრანგული ენა, დიდაქტიკა, ფიზიკა, გეომეტრია, რუსული ენის მეთოდიკა, ბუნებისმეტყველება, ხატვა, ხელსაქმე. აღსანიშნავია, რომ სამღვდელოება მოითხოვდა – ყოველ სასწავლებელში შემოეღოთ პედაგოგიკის სწავლება, როგორც ყველა მშობლისა და აღმზრდელისათვის საჭირო საგნისა.

უნდა ითქვას, რომ სამღვდელოებას პროტესტი არ გამოუთქვამს, როცა უწმინდესმა სინოდმა ქუთაისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის სასწავლო გეგმიდან ფრანგული და გერმანული ენები ამოიღო. ეს საგნები ზედმეტად მიაჩნიათ თავიანთი კონტინგენტისათვის (თანაც ზედმეტ ხარჯებთანაც იყო დაკავშირებული), სამაგიეროდ აქტიურად უჭერდნენ მხარს პრაქტიკული მნიშვნელობის ცოდნის გაძლიერებას, სხვადასხვა ხელსაქმის სწავლებას გოგონებისათვის. დეკანოზი დ. ღამბაშიძე ასეთად თვლის ჭრა-კერვას, ყოველგვარ საოჯახო ხელსაქმეს, მეფუტკრეობას, აბრეშუმის მოყვანას, წიწილების გამოჩეკას, ძროხის წველას, ჰიგიენურ და საექიმო რჩევა-დარიგებებს და ა.შ. (81, №7, 5).

პროგრესული სამღვდელოება, ისევე როგორც თერგდალეულები, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლიურ ენაზე სწავლებას, როგორც გონებრივი ძალების შეუფერხებელი განვითარებისა და ღრმა განათლების მიღების მთავარ პირობას.

ჟურნალ «მწყემსიდან» ნათლად ჩანს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის სასულიერო მოღვაწეები შორს დგანან დოგმატიკური სწავლებისაგან და ცოდნის შეგნებულად დაუფლებას უზრუნველყოფენ.

მცხეთის დედათა მონასტრის ქალთა სასწავლებლის აღსაზრდელებს გამოცდებზე დამსწრეები გაუოცებიათ: ბავშვები მკაფიოდ კითხულობდნენ რუსულად და ქართულად, <u>კარგად გადმოსცემდნენ შინაარსს</u> (ხაზი ჩვენია თ.მ.). განსაკუთრებით მოსწონებიათ დეკანოზიშვილის ქალის მიერ წაკითხული «სამშობლო ხევსურისა», ციციშვილის ქალის – «ვაზის ჭირიმე, ვაზისა», ლაშაურის წაკითხული «გუთანი» რ. ერისთავისა (79, №11, 3). ცოდნის შეგნებულად დაუფლების ასეთივე სულისკვეთება ბატონობს სხვა სასწავლებლებშიც.

ქალთა სასულიერო სასწავლებლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა წესრიგსა და დისციპლინას, უბრალოების, თავმდაბლობის, სათნოების დანერგვას აღსაზრდელებში. ჟურნალში აღწერილია იმავე სასწავლებლის მუშაობის დღის რეჟიმი: კვირა-უქმეებში მათთვის განკუთვნილ ადგილებზე მდგარი გოგონები ღვთისმსახურებას ესწრებიან, გარეთ იშვიათად გადიან, «უფროსი ქალის» ან მასწავლებლის ნებართვით. შემოსვლისას კრძალვით ეამბორებიან ხატებს. ზოგი დაჩოქილი ისმენს ლოცვას. წელიწადში ორჯერ მაინც უნდა ეზიარონ – დიდმარხვის პირველ და ბოლო კვირაში.

დგებიან დილის შვიდ საათზე. ალაგებენ ლოგინს, სასადილო ოთახში ისმენენ ლოცვას, სვამენ ჩაის. 9-ის ნახევარზე თავიანთი რვეულებითა და წიგნებით მიდიან კლასებში. «მოწაფენი გაკვეთილს ისმენენ დიდი ყურადღებით». მეცადინეობა მთავრდება პირველ საათზე. მოსწავლეები წყვილ-წყვილად გამოდიან კლასებიდან. ლოცულობენ, სადილობენ. «სადილობის დროს მოწაფენი თავისუფლად ლაპარაკობენ ერთამანეთში, მაგრამ ისე წყნარად, რომ საზოგადოებრივი წესრიგი დაცულია».

სადილის შემდეგ 5 საათამდე თავისუფალი დრო აქვთ. გამოდიან სუფთა ჰაერზე, ერთობიან ისეთი თამაშებით, რაც მათი ჯანმრთელობისათვის უვნებელია. ზოგი კერავს, ქსოვს, ქარგავს, წიგნსაცავიდან გამოტანილ წიგნს კითხულობს.

ხუთ საათზე შეუძლიათ მასწავლებელს ჰკითხონ, თუ გაკვეთილის (საშინაო დავალების) რომელიმე ადგილი ეძნელებათ. გოგონები რიგრიგობით მორიგეობენ საძინებელ ოთახებში, კლასებში, სასადილოში, ემსახურებიან სუფრას. ამის მეოხებით გამომუშავებული უნარ-ჩვევები მათ კარგად გამოადგებათ ოჯახურ ცხოვრებაში.

კრძალვით და პატივისცემით ექცევიან უფროსებს, მასწავლებლებს.

როგორც ვხედავთ, აუცილებელ მოვალეობებთან ერთად სასულიერო სასწავლებლების გოგონებს საკმაო თავისუფლებაც ჰქონდათ. აღსანიშნავია ისიც, რომ მათი ძალებით ხშირად იმართებოდა დღესასწაულები, შინაარსიანი და სახალისო ღონისძიებები, რაც საკმაოდ საინტერესოს ხდიდა ამ სასწავლებლების ცხოვრებას.

ჟურნალი «მწყემსი» სათანადოდ აფასებდა მანდილოსნებს, რომლებიც კეთილსინდისიერად და ღირსეულად ართმევდნენ თავს პედაგოგის რთულ პროფესიას. ქებით არიან მოხსენიებული მცხეთის დედათა მონასტრის ქალთა სასწავლებლის ქართული და რუსული ენების მასწავლებლები სოფიო დავითის ასული ციციშვილი და ანა გიორგის ასული გოლიევი (79, №11, 3), რომელნიც თითქმის უსასყიდლოდ ეწეოდნენ შრომას და მცირე ხანში საოცარ შედეგებს მიაღწიეს (როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული).

ქუთაისში «ნასწავლ ქალბატონებს» (მარიამ ვარდოსანიძეს, ვერა ჯაფარიძესა და მარიამ იოსელიანს) დაუარსებიათ საკვირაო სკოლა, სადაც განურჩევლად წლოვანებისა ასწავლიან საღმრთო სჯულს, ქართულ და რუსულ წერა-კითხვასა და ანგარიშს – «ეს ნიშნავს ჩვენი ქალების გაღვიძებას, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლას და გონებრივი შრომის სარბიელზედ წინ ნაბიჯის წარდგმას. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ ჩვენს ვაჟკაცებს საღათას ძილით სძინავთ, ჭაპანწყვეტასა და დრტვინვას მხოლოდ ლუკმა პურისათვის და სხვა მდაბალი სურვილებისათვის ეწევიან» (81, №3-4, 7). ქალებს კი გადაუწყვეტიათ, რომ სინათლე, რაც მათთვის განათლებას მიუნიჭებია, თავიანთ «დაბალ და შეუგნებელ და-ძმებსაც გაუზიარონ».

ჟურნალში სწორი მსჯელობაა მანდილოსნის გარკვეულ უპირატესობაზე: «ქალი თვით ბუნებას შეუმკია ნამდვილ სახალხო მასწავლებლად: სიმშვიდე, აზრის სინათლე, მდაბიო, გასაგები გადაცემა, თავმდაბლობა, გულწრფელობა ყოველ საქმეში – ეს ყველაფერი თავისთავად უკაფავს გზას მას ხალხის გულთან, და წარმატებით აგვირგვინებს მის შრომას განათლების ასპარეზზე» (81, №3-4, 7). ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დაწყებით კლასებში განსაკუთრებით სასურველია ქალები ასწავლიდნენ, რადგან ბავშვების მოთხოვნილებებს უკეთ ხვდებიან და აკმაყოფილებენ, ვიდრე კაცები. გულკეთილობა, სითბო, ღვთისნიერება, რაც დედებს ახასიათებთ, იზიდავს ბავშვებს, კარგად განაწყობს მასწავლებლისადმი.

ჟურნალის კორესპონდენტი ფ. მიქაძე მადლიერებით იხსენიებს დაბა სუჯუნაში მოქმედ გურია-სამეგრელოს ეპარქიის ერთადერთი ქალთა სამრევლო სკოლის მასწავლებელს ქ-ნ გუგუნაშვილს, რომელიც მუყაითად ეკიდება თავის მოვალეობას.

თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის აღწერისას ნახსენებია ამ სასწავლებლის «უფროსი ქალბატონი» ნ. ტროფიმოვისა, რომელიც მოსწავლეებს ჰყვარებიათ დედაშვილური დამოკიდებულების გამო და სხვ.

ამრიგად, სასულიერო პრესა ცხადყოფს ქართველი სამღვდელოების ძირითადი ნაწილის დამოკიდებულებას განათლებისადმი, და მისი გავრცელებისა და სწორი მიმართულებით დაგეგმვისათვის საკუთარ შეხედულებებს გვთავაზობს.

## §2. სწავლების ენისა და ეროვნული სახელმძღვანელოების პრობლემა

სკოლისა და განათლების წინაშე მამულიშვილების მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო იყო მშობლიური ენის, ლიტერატურის, ისტორიის სწავლება და მთელი სასწავლო პროცესის დედა ენაზე წარმართვა. მაგრამ იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკა იკრებდა რა ძალას, ეროვნული სულისკვეთების საგნებს თანდათან კვეცავდა, რათა საქართველოს სასწავლებლებს აღეზარდათ არა ქართველი პატრიოტები, არამედ რუსული ცნობიერების მოხელეები. ამ მიზანს ოფიციოზი არც მალავდა.

ქართული ენის უფლებათა დასაცავად არა მარტო საერო მოღვაწეები (ილიას პლეადა) იბრძოდნენ. არანაკლებ პრინციპულად და თავდაუზოგავად გამოდიოდნენ ამავე მიზნით ცნობილი სასულიერო მოღვაწეები.

სასწავლებლების გარუსების დასაჩქარებლად მშობლიური ენის გამოყენების ამკრძალველ გადაწყვეტილებათა შორის  განსაკუთრებით უარყოფითი შედეგი მოჰყვა 1874 წლის განკარგულებას, რომელმაც თვით დაწყებით სკოლებშიაც სწავლების ენად რუსული განსაზღვრა. 1880 წლის ახალი კანონი თითქოს ითვალისწინებდა პირველი კლასის სასწავლო გეგმებში ქართული ენის საათებს, მაგრამ 80-იანი წლების რეაქციის ფონზე თვით ამ ელემენტარული «დათმობის» განხორციელებაც შეუძლებელი ხდებოდა. ქართული ენის დევნამ წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია. ტიპიურია ჟურნალ «მწყემსში» გამოქვეყნებული მასალა,

რომელიც ახალსენაკის სასულიერო სასწავლებლის მდგომარეობას გვაცნობს: 1885 წლიდან აქ ქართული ენა აღარ ისწავლებოდა, რასაც ადმინისტრაცია სასწავლო ხარჯების მწვავე დეფიციტით ხსნიდა. შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ახალსენაკელთა ინიციატივას – გაეღოთ ქართული ენის სწავლების თანხა, ხელისუფლებამ მშობლიური ენის საათების ოფიციალური გაუქმებით უპასუხა (83, №13,7).

საეკლესიო სასწავლებლებში ქართული ენის აშკარა შეზღუდვა უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ მისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობას შევუფარდებთ რუსული ენის საათებს: 1879-1882 წლებში საეკლესიო სკოლების ყოველ კლასში მშობლიურ ენას ეთმობოდა ორი კვირეული საათი, რუსულ ენას კი ექვსი, ხოლო მართლწერას – ოთხი. გორის სასულიერო სასწავლებლის პროგრამით (1879წ.) ქართული ენის სწავლების ამოცანა განისაზღვრებოდა წერა-კითხვითა და საეკლესიო დამწერლობის (ნუსხურის) სწავლებით. ბევრად უფრო ფართო ამოცანებს ისახავდა რუსული ენის პროგრამა, რომელიც გულისხმობდა გრამატიკის, ლექსიკისა და ლიტერატურის საფუძვლიან დაუფლებას.

ქართველი სამღვდელოება ხაზგასმით აღნიშნავდა საღმრთო სჯულის რუსულად სწავლების მიზანშეუწონლობას, მოსწავლეთათვის დაუძლეველი ხდებოდა საგნის ისედაც რთული შინაარსი, მასალის შეუგნებელი ზეპირობა კი აფერხებდა გონებრივ განვითარებას და, რაც მთავარია, «საღვთო სჯულს» ზნეობრივ-აღმზრდელობით მნიშვნელობას მთლიანად უკარგავდა (75, №9,1). იგნორირებული იყო მშობლიური ლიტერატურის სწავლება. მეტიც, მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების საღამოებზეც კი ქართული გამოსვლები იშვიათობას წარმოადგენდა (87, №2, 10).

ცარიზმის ანტიეროვნული პოლიტიკა ამაზე შორსაც მიდიოდა – სასწავლებელთა ადმინისტრაცია მოსწავლეებს ქართულ ენაზე კერძო საუბარსაც უკრძალავდა და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სხვადასხვა სახის დისციპლინარულ სასჯელს მიმართავდა. ხელისუფლების განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა ქართველ მღვდელ-პედაგოგთა (მოძღვართა) პატრიოტიზმი, ქართული ენის უფლებათა უკომპრომისო დაცვა, რაც პოლიტიკურ დანაშაულად ცხადდებოდა. ადგილობრივ ჩინოვნიკებს ასეთი გამოვლინებების დაუყოვნებელი აღმოფხვრა და «დამნაშავეთა» დასჯა ევალებოდათ.

რუსულ ენაზე სწავლება საგრძნობლად ანელებდა მოსახლეობის ინტერესს სკოლებისადმი. სიმპტომატურია გურული გლეხობის იმედგაცრუება საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლისადმი. როცა მათ შეიტყვეს «ამ სკოლაში პროგრამის ძალით ქართულის სწავლა არ იქნებაო», კატეგორიულად განაცხადეს: თუ მასწავლებელი ქართულს არ ასწავლიდა სკოლაში, ისე განაჩენს ხელს არ მოვაწერთო (126, №41). არადა ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში მშობლიურ ენაზე სწავლების გამო მოსახლეობა სამინისტრო სკოლებთან შედარებით უპირატესობას სწორედ სამრევლო-საეკლესიოს ანიჭებდა. შემთხვევები, როცა საზოგადოება ხმამაღლა გამოხატავდა პროტესტს საგანმანათლებლო სფეროში დამკვიდრებული მანკიერებისადმი, იშვიათი როდი იყო. ახალციხის და სენაკის (126, №41) მოსახლეობამ საქართველოს ეგზარქოსისადმი საგანგებო მიმართვა შეადგინა, რომელშიც დაბეჯითებით ითხოვდნენ იქაურ სასულიერო სასწავლებლებში მშობლიურ ენაზე სწავლის უფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლებიდან შვილების გამოყვანით იმუქრებოდნენ.

თვითმპყრობელური რეჟიმის განმტკიცებისა და ეროვნებათა ჩაგვრის პოლიტიკას ერთგულ სამსახურს უწევდა რუსი საეკლესიო მოღვაწეების დიდი უმრავლესობა. სწორედ უწმინდესმა სინოდმა დაამტკიცა 1890-იან წლებში დირექტივები, რომლებიც ყველა ტიპის სასულიერო სასწავლებლისაგან მოითხოვდა: 1. ქართველი პედაგოგების დაუყოვნებელ შეცვლას რუსი მასწავლებლებით; 2. ქართული ენის სწავლებისათვის განკუთვნილი საათების სრულ ლიკვიდაციას; 3. ბიბლიოთეკებიდან ქართულენოვანი წიგნების გამოტანას (83, 110).

ხელისუფლებას ესმოდა, რომ საეკლესიო-რუსიფიკატორული პოლიტიკის წარმატება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად სწრაფად მოახერხებდა ცარიზმი ქართული ეკლესიის გარდაქმნას საკუთარი იმპერიული ამოცანების შესაბამისად. ეს კი ნიშნავდა ქართული ეკლესიისათვის ნიშანდობლივი ნაციონალური და კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულების ლიკვიდაციას, მის შეცვლას ისეთი შინაარსით, რომელიც ხელს შეუწყობდა დიდმპყრობელური იდეოლოგიის განმტკიცებას ჩვენში.

რუსეთის ეკლესია და მისი ოფიციალური წარმომადგენლობა – «საქართველოს საეგზარქოსო» ერთიანი სახელმწიფოებრივ-მმართველობითი

სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო და, ბუნებრივია, მისი პოლიტიკური პოზიცია, არსებული რეჟიმის მხარდაჭერითა და რეაქციისადმი ბრმა ერთგულებით ხასიათდებოდა.

ოფიციოზის კოლონიზატორულ კურსს მოწინავე მსოფლმხედველობრივი და პატრიოტული პოზიციით კატეგორიულად უპირისპირდებოდა ქართველი სასულიერო კრებული. სამღვდელოების უპირველესი საზრუნავი ღვთისმსახურებისა და განათლებისათვის ნაციონალური შინაარსის შენარჩუნება და ამით რუსიფიკატორული პოლიტიკის ჩაშლა იყო. მათ ესმოდათ, რომ ეკლესია აქტიური საზოგადოებრივი პოზიციით თანამედროვე ეტაპზეც შეინარჩუნებდა პროგრესულ საქვეყნო ფუნქციას. ეს კი, პირველ რიგში, უკავშირდებოდა ხალხის განათლებისა და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის საპასუხისმგებლო საქმიანობის მესვეურობას, პატრიოტული და ზნეობრივი სულისკვეთების განმტკიცებას მთელს ერში.

ქართველი სამღვდელოების უკომპრომისო ეროვნულ პოზიციას გადმოგვცემს ცალკეული გეგმა-პროექტები, რომლებსაც გარკვეული საეკლესიო ჯგუფები ადგენდნენ. ერთ-ერთი ასეთი პროექტი – «ქართული ენის სწავლების შესახებ» (83, №22, 2), ითვალისწინებდა საეკლესიო სასწავლებლებში, განსაკუთრებით კი სწავლების დაწყებით საფეხურზე, რელიგიური საგნების, აგრეთვე ლოცვისა და გალობის მშობლიურ ენაზე გადაცემას. უდაოდ პროგრესულია პროექტის ის მოთხოვნაც, რომ სასულიერო სასწავლებლებში, გარდა სპეციფიკური საგნებისა, სერიოზული ადგილი უნდა დათმობოდა ქართული ლიტერატურისა და გრამატიკის, აგრეთვე სხვა საერო დისციპლინების სწავლებას, რის შესაძლებლობასაც არ იძლეოდა იმჟამინდელი საეკლესიო სასწავლო სისტემა.

უაღრესად საინტერესოა ენის პრობლემებისადმი ეპისკოპოს ლეონიდის მიდგომა. ის უპირველეს განმავითარებელ და აღმზრდელობით საშუალებად მშობლიურ ენას აცხადებს. მის ცოდნასა და სიყვარულს უკავშირებს ახალგაზრდობის შემეცნებითი ძალების სრულყოფას, მათი სულიერი, ზნეობრივი და შემეცნებითი სამყაროს გამდიდრება-განვითარებას. მშობლიური ენის ასეთი მრავალმხრივი დანიშნულების გაუთვალისწინებლობა და იგნორირება ეპისკოპოსის სწორი შენიშვნით, სათავეშივე აკნინებს სკოლის, საზოგადოდ განათლების მნიშვნელობას. ამასთან ეპისკოპოსი ლეონიდი ხაზგასმით

მიუთითებს ჯანსაღი თაობების აღზრდის სხვა აუცილებელ საშუალებათა შესახებაც: ისტორიული და მხატვრული ლიტერატურის იდეურ-აღმზრდელობით დატვირთვაზე, სასწავლო მეთოდების სწორად შერჩევასა და გამოყენებაზე, რაც სასკოლო განათლების ხარისხის ამაღლების საუკეთესო გზაა. ამაში, წესისამებრ, საზოგადოებასთან ერთად ხელისუფლებაც უნდა ყოფილიყო დაინტერესებული. სინამდვილეში კი სასწავლო ადმინისტრაცია სრულიად საპირისპირო კურსს ახორციელებდა, რაც, რა თქმა უნდა, მმართველობის დიდმპყრობელური ტენდენციებით იყო ნაკარნახევი.

დეკანოზი დ. ღამბაშიძეც ხალხში ქრისტიანული მორალის განმტკიცების პირობად მშობლიურ ენაზე დაფუძნებულ განათლებას აღიარებდა, მასვე უკავშირებდა ჩვენში ეპოქის შესატყვისი ცოდნის გავრცელების შესაძლებლობას.

ქართული ენის დაცვისათვის ბრძოლის გამოძახილი იყო საეკლესიო პირთა ყრილობები, რომლებზეც ერთსულოვნად იღებდნენ სასწავლებლებში და ეკლესიებში მშობლიური ენის ფართოდ გამოყენების გადაწყვეტილებებს. ამ მხრივ, ნიშანდობლივია 1882 წლის კრების დადგენილება: ბერძნულისა და ლათინურის სწავლებისათვის განკუთვნილი საათები დათმობოდა ქართულს (113, №248).

ანალოგიური პათოსით აღინიშნა გურია-სამეგრელოს საეკლესიო პირთა კრება (1885წ): დასაბუთებული პასუხი გაეცა ქართველი ხალხის დაქსაქსვისა და გადაგვარების  მოსურნეებს, გამოაშკარავდა მათი ზრახვების პროვოკაციულობა (74, №1, 3).

სწავლების ენის საკითხს ღრმა თეორიულ დონეზე განიხილავდა იმდროინდელი ქართული სასულიერო მწერლობა (პუბლიცისტიკა). წერილებში ძირითადი აქცენტი გადატანილია თანამედროვე პედაგოგიურ მოთხოვნათა საფუძველზე საგანმანათლებლო სისტემის ძირეული რეორგანიზაციის საჭიროებაზე. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მთავარ პირობად კი აღიარებულია მშობლიური ენის მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესება (75, №9, 1).

ხელისუფლების საგანმანათლებლო კურსის საპირისპიროდ, წიგნიერი ახალთაობის აღზრდის სურვილი სამღვდელოებისაგან პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო

სპეციალური ფონდების დაარსება. ამ პატრიოტულ წამოწყებას ფართო რეზონანსი ჰქონდა. სხვადასხვა კუთხის სამღვდელოებამ სოლიდური თანხების გაღება ითავა ადგილობრივ სკოლებში ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად (74, №1, 3). სერიოზულ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ფონდის შექმნაც. ფონდის მიზანი იყო ქართულენოვანი სასკოლო სახელმძღვანელოებისა და საკითხავი ლიტერატურის გამოცემა, ნიჭიერი ავტორებისა და მოწინავე პედაგოგების მატერიალური წახალისება (85, №5, 3).

ქართველი სამღვდელოება სწორად ჭვრეტდა სასულიერო სასწავლებლების ძირითად მოწოდებას – მიეცა მოზარდთათვის მყარი სულიერი საზრდო, ხელი შეეწყო მტკიცე ზნეობრივ პრინციპებზე მათი აღზრდისათვის, რეალობა კი, როგორც არაერთგზის აღინიშნა, სავსებით სხვაგვარ სურათს გვიხატავდა. არც თუ იშვიათად მოიკოჭლებდა დისციპლინა, პედაგოგებისა და შეგირდების ზნეობრივი პოზიციები... უნდა აღინიშნოს სხვა მანკიერი მხარეებიც: სწავლების მდარე ხარისხი, მოცემული ცოდნის სქემატურობა და ცხოვრებისეულ პრაქტიკაში მისი გამოუყენებლობა, საერთო ჯამში აღსაზრდელებში სასიცოცხლო-შემოქმედებითი უნარების დაქვეითება – შემდგომში, საზოგადოებრივ ასპარეზზე მათი აქტივობის თავიდანვე გამორიცხვის მიზნით... ამ და სასწავლო პროცესის სხვა ნაკლოვანებათა განსჯისას ჟურნალ «მწყემსის» მოწინავე წერილებში: «ორიოდე სიტყვა გურიის სამღვდელოების საყურადღებოდ»; (83, №11, 12) «მწარე ფიქრები სოფლის მღვდლისა»; «მძიმე დრო დაგვიდგა და რა ზომები უნდა ვიხმაროთ ხალხში ზნეობის ასამაღლებლად»; (78, №23-24, 1) «რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენს მხარეში სწავლა-განათლების საქმე» ... (75, №9, 1)... კვლავაც საგანგებოდ წარმოჩინდება დედა ენისა და ლიტერატურა-ისტორიის, აგრეთვე საღვთო წერილის, საეკლესიო გალობის შეუცვლელი შემეცნებითი, სასწავლო-განმავითარებელი ფუნქცია და მისი უარყოფით მიღებული სავალალო შედეგები. წერილებში ასევე აღნიშნულია, რომ არსებული დამთრგუნველი ვითარება საზოგადოებას და, მით უფრო სამღვდელოებას, მოდუნების, სირთულეებთან შეგუების უფლებას როდი აძლევდა... ეს კი ნიშნავდა ხალხის განათლების საქმეში მეტი მზრუნველობის, მტრული ძალებისადმი შეუპოვრობის გამოჩენას, პირადი წვლილის შეტანას

ხალხში მამულიშვილური შეგნების გაზრდასა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო – ქართული ენისა და კულტურის დაცვის ურთულეს ასპარეზზე. ასეთ მაღალ საერისკაცო და სარწმუნოებრივ მნიშვნელობას აკისრებდა საზოგადოება ქართველ სამღვდელოებას.

სასწავლებელში დედა ენის უარყოფის მიზანშეწონილობას სასწავლო უწყების მესვეურები ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების არქონითაც ასაბუთებდნენ. «ტუზემური ენის სწავლებას, ლიტერატურის სიმწირისა და სახელმძღვანელოების არარსებობის პირობებში არავითარი საგანმანათლებლო მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს» – აღნიშნავდა 1871წ. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ნევეროვი. ამასვე ამტკიცებს თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი შოვინისტი ზახაროვი: «სწავლება იმ ენისა, რომელსაც არც შესაბამისი სასწავლო ლიტერატურა გააჩნია და არც გრამატიკა, მხოლოდ საზიანოა სასწავლებლისათვის, რომელსაც ისედაც ძლივს ჰყოფნის დრო კურსის გასავლელად» (35, 59).

საკითხის ამგვარი მოტივირება რუსული ოფიციოზის მხრიდან ერთი შეხედვით საფუძვლიანად გამოიყურება, რადგან XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როცა ქართული ენა სასწავლებლებში გარკვეულ პოზიციებს ჯერ კიდევ ფლობდა, სპეციალური სასწავლო ლიტერატურის სიმწირე მართლაც უშლიდა ხელს სწავლების სათანადოდ ორგანიზებას; მიუხედავად ამისა, ქართული ენის შევიწროების რეალური მიზეზი რუსიფიკატორულ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ, რაც შეეხება ქართულენოვანი ლიტერატურის დეფიციტს, იგი შექმნილი მდგომარეობით იყო განპირობებული და მხოლოდ და მხოლოდ ხელჩასაჭიდ საბაბს წარმოადგენდა, საკითხის არსს ასახავს «მწყემსის» სარედაქციო წერილი, სადაც მთავარ პრობლემად მიჩნეულია არა ქართული სახელმძღვანელოების სიმცირე, არამედ «ზოგიერთების დაჟინებული მოთხოვნა, სწავლება რუსულ ენაზე იყოსო. ამიტომაც არავის შეუდგენია ქართულ ენაზე გეოგრაფია, ზოოლოგია, არითმეტიკა, რადგან ყველა დარწმუნებული იყო, რომ ქართულად აკრძალულია სწავლება (82, №9, 3).

პროგრესულ საზოგადოებას კარგად ესმოდა ქართული მწიგნობრიობის აღორძინების აუცილებლობა, მაგრამ რუსულ ენაზე სწავლების დაკანონება ქართულ სახელმძღვანელოებს უმეტეს შემთხვევაში ფუნქციას უკარგავდა, რაც

ავტორთა მონდომებასაც აკნინებდა. ნიშანდობლივია «მწყემსის» პუბლიცისტის შენიშვნა ვ. ყიფიანის «დაწყებითი ალგებრის» თაობაზე – «ასეთი სახელმძღვანელოს გამოცემა, როდესაც ყოველი საგნის სწავლა რუსულად წარმოებს, ამ საგნისადმი დიდ სიყვარულს ამტკიცებს». ავტორის ენთუზიაზმის წასახალისებლად იგი მოუწოდებს ნასწავლ საზოგადოებას – ამ წიგნითაც გაამდიდროს თავისი წიგნთსაცავი (84, №7, 4).

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული სახელმძღვანელოების შექმნა მშობლიური ენისათვის ბრძოლის ერთ-ერთ ფორმად იქცა. გარდა პედაგოგიური დატვირთვისა, სასწავლო ლიტერატურას გარკვეული პოლიტიკური როლიც დაეკისრა. ყოველი ახალი ქართული სასწავლო წიგნი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ეროვნული პოზიციების დასაცავად. ნიშანდობლივია, რომ ი. გოგებაშვილი «ორპირი ბასრი ხანჯლის» მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმძღვანელოს იმ ქვეყნებში «სადაც სკოლა სურდათ გაეხადათ პოლიტიკურ იარაღად, იგი იყო დაუძინებელი მცველი პედაგოგიურის და ეროვნულის პრინციპებისა» (11, 216).

ქართველმა ინტელიგენციამ ღრმა პატრიოტული შეგნებიდან გამომდინარე, აქტიურად მიჰყო ხელი სასწავლო ლიტერატურის შედგენა-გამოცემას. XX ს-ის დასაწყისში საშუალო სასწავლებლების ყველა კლასი უზრუნველყოფილი იქნა სათანადო საგნების სახელმძღვანელოებით. თუმცა მათი უმრავლესობა მხოლოდ ბიბლიოთეკებისათვის იყო რეკომენდირებული. სწავლება კი კვლავ უნიფიცირებული რუსული სახელმძღვანელოებით მიმდინარეობდა. «მწყემსის» რედაქცია ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მიმდინარე პროცესს, სისტემატურად აუწყებდა საზოგადოებას ლიტერატურული სიახლეების შესახებ, მონაწილეობას ღებულობდა მათ განხილვა-შეფასებაში და ამ გზით ხელს უწყობდა სახელმძღვანელოების პოპულარიზაციას. თავად ჟურნალის რედაქტორი დ. ღამბაშიძე იყო ავტორი წიგნებისა – «დაწყებითი გაკვეთილები საღვთო სჯულის სწავლებაზე», «საქართველოს ეკლესიის ისტორია», აგრეთვე მეთოდური სახელმძღვანელოსი – «დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე». ამ გამოცემათა რეცენზიებში აღინიშნება ავტორის ღრმა პედაგოგიური განსწავლულობა, სახელმღძვანელოთა მეთოდური და შინაარსობრივი გამართულობა, მათი მნიშვნელობა მოსწავლეთა რელიგიურ-ზნეობრივ სწავლებაში (94, №7, 13).

ამ პერიოდში, გარდა აღნიშნულისა, იქმნება შემდეგი სახელმძღვანელოები: მ. ჯანაშვილის «საქართველოს ისტორია» (1884წ.), ნ. ყუბანეიშვილის «საღვთო სჯული» (1885წ.), მ. ნასიძის «პირველდაწყებითი ქართული ქრესტომატია» (1885წ.), ვ. ყიფიანის «დაწყებითი ალგებრა» (1893წ.), გ. იოსელიანის «მოკლე ფორმალური ლოგიკა» (1897წ.), ა. ბენაშვილის «მოკლე ქართული გრამატიკა» (1894წ.) და სხვა.

მეტი აქტივობა შეინიშნება XX საუკუნის დასაწყისში, როცა 1905 წლის მოვლენებმა იმედი ჩაუსახა საზოგადოებას, რომ ქართული ენა სწავლებაში კუთვნილ ადგილს დაიკავებდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუთაისის კერძო ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ გაწეული შრომა – თითქმის ყოველი მათგანი ღებულობდა მონაწილეობას სასკოლო ლიტერატურის შექმნაში.

თითოეული სახელმძღვანელო, მიუხედავად მრავალი ხარვეზისა, თავისი არსებობით ლახვარს სცემდა რუსიფიკატორულ მისწრაფებებს. ამიტომ სასკოლო ლიტერატურაში გაწეული ღვაწლი საგულისხმო ეროვნული მოღვაწეობის ტოლფასი იყო.

ქართული სასწავლო ლიტერატურის სწრაფი გამდიდრება დროის შედარებით მცირე მონაკვეთში მკაფიოდ აისახა ი. გოგებაშვილის სიტყვებში, რომელიც უკვე 1911 წელს აცხადებს: «ოღონდ კი უმაღლესმა ინსტანციამ კანონად დასდოს ყველა საგნის სწავლება დედა ენაზე და საქართველოში ამ კანონის განხორციელებას არანაირი დაბრკოლება არ დაუდგება წინ სახელმძღვანელოების ნაკლებობის მხრივ. ამის შიში და ფიქრი არავის არ უნდა ჰქონდეს» (14, 649).

ქართული ენისა და სახელმძღვანელოების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა ყველაზე თვალნათლივ სწორედ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელო-ებისადმი ბიუროკრატ შავრაზმელთა დამოკიდებულებაში გამოვლინდა. იაკობის სასკოლო ლიტერატურა, მიუხედავად საყოველთაოდ აღიარებული პედაგოგიური ღირსებებისა, ეროვნულ-აღმზრდელობითი ხასიათის გამო სისტემატურ დევნა-შევიწროვებას განიცდიდა. ამასთან უნდა ითქვას, რომ სასწავლო უწყების რუსი მოხელეების შემზღუდავ გადაწყვეტილებებს მხარს უბამდნენ გადაგვარებული ქართველი ჩინოვნიკებიც. მაგალითად, ქართველი ცენზორი ლუკა ისარლიშვილი განსაკუთრებული დაჟინებით ავიწროვებდა იაკობს და სახელმძღვანელოებში გეოგრაფიული ტერმინის «საქართველოს» ხსენებას უკრძალავდა, ხოლო მეორე

მედროვის ნ. ტატიშვლის ტენდენციურ-ცილისმწამებლური რეცენზია გახდა საფუძველი 1875 წელს სემინარიის საბჭოს მიერ სასულიერო სასწავლებლებში «ბუნების კარის» აკრძალვისა.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალ «მწყემსის» რედაქციას, ქართველი სამღვდელოების ძირითადი ნაწილის ეროვნული პოზიციების შესაბამისად, გოგებაშვილის სახელმძღვანელოების მიმართ მართებული, მხარდამჭერი პოზიცია ეკავა. მაგალითად, «მწყემსი» უარყოფითად შეხვდა 90-იან წლებში ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორის, ცნობილი რუსიფიკატორის ლევიცკის მცდელობას – სასწავლებლებში იაკობის «რუსკოე სლოვო» საკუთარი სახელმძღვანელოთი შეეცვალა, რადგან ლევიცკის მუნჯურ («ბუნებრივ») მეთოდზე აგებული წიგნი სასწავლებლებიდან ქართული ენის სრულ განდევნას და ქართველი ბავშვების რუსულ აზროვნებაზე გადაყვანას მოასწავებდა. ამასთან, მის დასამკვიდრებლად ავტორი არ ერიდებოდა ძალაუფლების გამოყენებას და ხშირად სახალხო სკოლების მასწავლებლებზე აშკარა ზეწოლას ახდენდა. «ჯერ არ გაგვიგონია ამის გარდა, სადმე რომელიმე უფროსს თავისი გამოცემა სავალდებულოდ გაეხადოს თავისი ხელქვეითებისათვის» – აღშფოთებით წერდა «მწყემსი» (84, №7, 4) და მოითხოვდა ანგარიში გაეწიათ კავკასიის სასწავლო საბჭოს გადაწყვეტილებისათვის, რომლის მიხედვითაც იაკობის «რუსკოე სლოვო» ძირითად სახელმძღვანელოდ იყო აღიარებული, ხოლო ლევიცკის «კურსი» მხოლოდ და მხოლოდ დამხმარე საშუალებად.

ასეთივე პრინციპული პოზიცია ეკავა «მწყემსს» იაკობის სხვა სახელმძღვანელოთა მიმართაც. «ეს წიგნი შეუცვლელ სასწავლო წიგნს წარმოადგენს ჩვენი სახალხო და სამრევლო სკოლებისათვის» – წერდა ჟურნალი «დედა ენის» შესახებ (81, №21, 19).

აღნიშნულ პრობლემებზე რეაგირების პარალელურად «მწყემსი» აყალიბებს არაერთ საგულისხმო პედაგოგიკურ-მეთოდურ მოთხოვნას სასწავლო ლიტერატურის მიმართ, რომელთა შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ჟურნალში გამოქვეყნებული ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.

უპირველეს მოთხოვნად ჟურნალის რედაქცია ავტორებს სახელმძღვანელოებისათვის მკვეთრად გამოხატული ეროვნული ხასიათის მინიჭებას უყენებდა, რაც უდავოდ რთული ეპოქის გამოძახილი იყო. ამ

მოთხოვნის შესაბამისად, ნაკლები აღმზრდელობითი დატვირთვის მქონე საგნის სახელმძღვანელოც კი, პირდაპირი საგანმანათლებლო-განმავითარებელი მიზნის გარდა, ქართული ცნობიერების ამაღლებას უნდა ემსახურებოდეს. მაგალითად: არითმეტიკა, ლ. ბოცვაძის მოსაზრებით, ხალხის შექმნილი საუნჯეა, ყველა ხალხს და მათ შორის ქართველებსაც, უძველეს მიწათმოქმედ ერს, თავისი არითმეტიკა აქვს, და იგი არა თუ მშობლიურ ენაზე უნდა ისწავლებოდეს, არამედ სახელმძღვანელოში სავარჯიშოები, ამოცანები, ზომა-წონის ერთეულები – სწორედ ადგილობრივი ცხოვრებიდან უნდა იქნეს აღებული. ეროვნული ნიადაგისაგან მოწყვეტა შეასუსტებს საგნის პრაქტიკულ მნიშვნელობასა და მოსწავლეთა დაინტერესებას, რაც პედაგოგიური მიზნების სრულყოფილ განხორციელებას ხელს შეუშლის (85, №6, 3). პატრიოტულ-აღმზრდელობითი ელემენტებით მდიდარი სასწავლო ლიტერატურა – «დაიცავს ეროვნულ თავისებურებებს უფრო მტკიცედ და საიმედოდ, ვინემ ათასი ზარბაზანი და ჭრელ-ჭრელ სიტყვების რახარუხი» (84, №18, 6).

განსაკუთრებული სიფხიზლით ჟურნალი «მწყემსი» სახელმძღვანელოების დახვეწილი, უნაკლო ენით უზრუნველყოფას ადევნებდა თვალყურს; საღვთისმეტყველო ლიტერატურაში, რომელიც, ბუნებრივია, რედაქციის ინტერესების უმთავრეს სფეროს განეკუთვნებოდა, უშეცდომო ქართულს ორმაგი დატვირთვა ჰქონდა – გარდა საკუთრივ ენის სიწმინდის დაცვის აუცილებლობისა, უმნიშვნელო ენობრივ უზუსტობას სერიოზულ დოგმატიკურ შეცდომაში შეეძლო გადაზრდა.

აქედან გამომდინარე, ნ. ყუბანეიშვილის, პ. კონჭოშვილის, ლ. ტურიევის «საღვთო სჯულის» სახელმძღვანელოების ბიბლიოგრაფიული შენიშვნების უმთავრეს თემას სწორედ ენობრივი მასალის განხილვა შეადგენდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართებული, გასათვალისწინებელი შენიშვნების გარდა, «მწყემსის» ზოგიერთ პუბლიცისტთან ვხვდებით ტენდენციას ენის სიწმინდის დაცვა უზრუნველყონ არქაული ფორმების ხელოვნური დამკვიდრებით. ამ თვალსაზრისით ნ. ტურიევის წიგნი შეფასებული იქნა როგორც «ენისა და სჯულის დამახინჯება». სარეცენზიო მიმოხილვის ავტორი ტურიევს ურჩევს ნაცვლად სიტყვებისა – «მსხვერპლი», «მშვენიერი», გამოიყენოს «სხვერპლი», «შვენიერი», ბალღური სიტყვა «ციკანის» მაგიერ – «თიკანი», არა «ყველა

მცენარე», არამედ «ყველა მცენარეები», «ყველა ფრინველები» და ა.შ. (84, №14-15, 4). ამგვარი უცნაური გრამატიკული მოთხოვნები, რაც განპირობებული იყო სწორედ მცდელობით «საღვთო სჯულის» თანამედროვე ენა დაეახლოვებინათ არქაულისათვის, დღეისათვის აბსოლუტურად მიუღებელია.

საყურადღებო მოთხოვნებს უყენებს ჟურნალი «მწყემსი» პირველდაწყებით სახელმძღვანელოებს. მათი უმთავრესი პრინციპი უნდა ყოფილიყო ბავშვის ასაკობრივი უნარების გათვალისწინება და შეგნებული სწავლების უზრუნველყოფა, ამისთვის «მწყემსი» საჭიროდ თვლიდა სწავლების შინაარსის მკაცრად განსაზღვრას ოპტიმალურად შერჩეული მასალით  და დაუშვებლად მიიჩნევდა ზოგიერთი მასწავლების თვითნებობას, რომლებიც გაუმართლებლად მაღალ მოთხოვნებს უყენებდნენ ბავშვებს. ასე მაგალითად, ჟურნალში დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც «მასწავლებლები «ვეფხისტყაოსანს» ისე გადაჯდომიან, როგორც კრუხი წიწილას, აქაოდა შოთა დიდიაო, მთელს წელიწადს მის შესწავლას ანდომებენ». შოთას ენა, იდეა, ღრმა აზრები «მწყემსის» ავტორის აზრით დაწყებითი კლასის მოსწავლისათვის მეტისმეტად რთულია. ამ ასაკში მისაღებია მხოლოდ საგანგებოდ შერჩეული თავების მიწოდება, როგორც ეს «ბუნების კარშია» მოცემული, ხოლო სრული სახით ჰომეროსი, შოთა, დანტე მხოლოდ «მაშინ შეიძლება შეიტკბოს მოსწავლემ, როდესაც ამ მწერალთა ხანა ისტორიულად, პედაგოგიურად და ზნეობრივად ცხადად აქვს წარმოდგენილი» (73, №22, 3), სავსებით სწორია «მწყემსის» დებულება, რომ თვით გენიალური ქმნილების სწავლებასაც ზედმეტი სირთულის შემთხვევაში არაპედაგოგიური შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

ასევე გაუმართლებელია გრამატიკული კანონების მთელი სირთულით, სათანადო განმარტებების გარეშე მიწოდება მცირეწლოვანი აღსაზრდელებისათვის. «ახალ თაობას სძულს, ეჯავრება გრამატიკა თითოეული ენისა, რადგან საგრამატიკო სახელმძღვანელოები ბავშვის ასაკის თანახმად არ არიან შედგენილი» – წერს ცნობილი ქართველი პედაგოგი ილია ფერაძე «მწყემსის» ერთ-ერთ პუბლიკაციაში და ურჩევს მასწავლებლებს ყველაზე საჭირო, გამარტივებულ სინტაქსურ და ეტიმოლოგიურ წესებს დასჯერდნენ და ესეც მსოლოდ სათანადო მაგალითებისა და სავარჯიშოების შემდეგ გააცნონ მოსწავლეებს (84, №16, 6).

რაც შეეხება მათემატიკის სწავლებას, «მწყემსი» გოლდენბერგის მეთოდს ანიჭებდა უპირატესობას, რომელიც პედაგოგიური სიახლე იყო და შეგნებულ სწავლებას მეტად უწყობდა ხელს. რედაქცია სწორედ ამ მეთოდზე დაფუძნებულ ვ. ყიფიანის, ე. ნატროევისა და ჯაჯანიშვილის სახელმძღვანელოებს უწევდა რეკომენდაციას.

გარდა სახელმძღვანელოებისა, სასწავლო პროცესის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მასწავლებლის ოსტატობაზე. «მწყემსი» აღიარებს მეთოდური ლიტერატურის როლს მასწავლებლის მომზადებაში და მოუწოდებს ავტორებს თავიანთ სახელმძღვანელოებს მეთოდური რჩევა-დარიგებანი დაურთონ – «გვიდგენენ სახელმძღვანელოებს და გვავალებენ, რომ შეგნებითა და გონივრულად ვასწავლოთ მცირეწლოვან ყრმებსა, ფსალმუნთა განმარტებას კიდევ ჰპოვებს კაცი და ქართული სასწავლო სახელმძღვანელოებისას კი ვერასდროს ვერსად» (86, №20, 4).

ამრიგად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ «მწყემსის» რედაქცია არა მხოლოდ სწორ ეროვნულ პოზიციაზე იდგა, არამედ საინტერესო, გასათვალისწინებელ პედაგოგიურ შეხედულებებს აწვდიდა მკითხველს. XIX-XX ს.ს. მიჯნა მნიშვნელოვანი პერიოდია ქართული პედაგოგიკის ისტორიაში – სისტემურ სახეს ღებულობს ქართული სასკოლო ლიტერატურა, რითაც სერიოზული საფუძველი მზადდება ეროვნული სკოლის შექმნისათვის. ამ პროცესში, ქართული სახელმძღვანელოების საჭიროების დასაბუთებით, შესაბამის გამოცემათა პოპულარიზაციით, პედაგოგიურ-მეთოდურ მოთხოვნათა წამოყენებით ჟურნალმა «მწყემსმა» სათანადო წვლილი შეიტანა.

## §3. მასწავლებლისა და პედაგოგიურ ურთიერთობათა პრობლემა.

სასულიერო პრესაში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა საკუთრივ მასწავლებლის (მოძღვრის) პედაგოგიური ურთიერთობისა და სწავლებისა და აღზრდის მეთოდებს. ეს საკითხები კომპეტენტურ განხილვას ჰპოვებენ ჟურნალ «მწყემსსა» და სხვა გამოცემებში.

საუკუნეების განმავლობაში ქართული განათლების კერებში (სამონასტრო სკოლები, სემინარიები, აკადემიები) მასწავლებლობას სასულიერო წოდება წარმოადგენდა, რის შედეგადაც ქართულმა სინამდვილემ მოძღვარი (მღვდელი) და მასწავლებელი იგივურ ცნებებად აქცია. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში განათლების ახლებური სისტემის ჩამოყალიბებამ, სწავლების შინაარსის გამრავალფეროვნებამ და საერო საფუძველზე დამყარებამ, პედაგოგიური მოთხოვნების – საგანგებო უნარის, პროფესიული განათლების, პედაგოგიური ოსტატობის წინა პლანზე წამოწევამ და დროის ფაქტორმა – სამღვდელმსახურო და სამასწავლებლო მოღვაწეობაზე ყურადღების თანაბარი გადანაწილების სირთულემ თანდათან გამიჯნა ორი განმანათლებელი მოღვაწე – მოძღვარი და მასწავლებელი. სასულიერო წოდება მოცემულ ეტაპზე ძირითადად სასწავლებლების დამაარსებლად, მზრუნველად და მოამაგედ გვევლინება, ხოლო მისი მასწავლებლობა ძირითადად საღვთო სჯულის სწავლებით შემოიფარგლება (თუმცა იყო არაერთი შემთხვევა, როცა საეკლესიო-სამრევლო სკოლის დამაარსებელი მოძღვარი მთელ სასწავლო პროცესს თავად უძღვებოდა). ისტორიული ტრადიციებიდან, სამოღვაწეო ასპარეზისა და მიზნების სიახლოვიდან გამომდინარე, სამღვდელოების მხრიდან მასწავლებლობა კვლავაც ყველაზე მონათესავე პროფესიად აღიქმებოდა და შესაბამისად განსაკუთრებული ინტერესის ობიექტად რჩებოდა – «სოფლის მღვდელი და სახალხო მასწავლებელი, – წერს ჟურნალი «მწყემსი», – თითქმის ერთსა და იმავე წმინდა ტაძარს – ხალხის გონებითს და ზნეობით ამაღლებას ემსახურებიან» (78, №19, 10). «სკოლა იგივე ეკლესიაა, სადაც სიწმინდეს აღასრულებენ მასწავლებლები, რომელნიც შემეცნების საიდუმლოს აზიარებენ

აღსაზრდელებს. სინათლის ნაცვლად აქ ბავშვთა წმინდა გულები ინთება, ხოლო სარკმეველი მათი მხურვალე ლოცვაა ჭეშმარიტებისა და სიკეთის მარადიული წყაროს მიმართ» – აღნიშნავდა «დუხოვნი ვესტნიკი» (106, №21, 1).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასულიერო პრესაში მოცემული შეხედულებები და რეკომენდაციები მასწავლებლის საზოგადოებრივ როლზე, მდგომარეობაზე, პროფესიულ ვადლდებულებებზე საგულისხმოა არა მხოლოდ წმინდა პედაგოგიური მნიშვნელობითა და აქტუალობით, არამედ საინტერესოა ისტორიული თვალსაზრისითაც, რადგან წარმოადგენს იმ საუკეთესო გამოცდილების, ტრადიციების გაზიარებას ახალი მოღვაწეებისათვის, რომელიც სამღვდელოებამ საუკუნეთა განმავლობაში სასწავლო-საგანმანათლებლო ასპარეზზე დააგროვა.

სამღვდელოებას მთელი სიღრმით ესმის მასწავლებლის უდიდესი როლი საზოგადოების ცხოვრებაში, თითოეული აღსაზრდელის ჩამოყალიბების პროცესში. იგი ამ პროცესის წამყვანი ფიგურაა და ამდენად საზოგადოების გარდაქმნისა და პროგრესის შემოქმედიც არის. მასწავლებლის პიროვნებაზე, მის პროფესიონალიზმსა და კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული აღსაზრდელის განვითარება-ჩამოყალიბება, ხალხში განათლებისა და მაღალი ზნეობრივი პრინციპების შეტანა-დამკვიდრება.

«ბატონო მასწავლებელნო ჩვენის ახალ თაობისა! – მიმართავს მათ დეკანოზი ღამბაშიძე – ძნელად გასაზომია სიდიდე თქვენს მიერ ნაკისრი საქმისა. თქვენზედაა დამოკიდებული ჩვენი მერმისის ბედ-იღბალი, რადგან თქვენ გვიმზადებთ ახალთაობას, რომელმაც უნდა დაიკავოს ჩვენი ადგილი მომავალში. შვილები, რიგი და წესია, ჯობდნენ გონებით და სწავლა-მეცნიერებით თავიანთ მშობელთ...» (78, №1, 7).

იგივე აზრია «მწყემსის» სხვა ავტორთანაც: «მოსწავლეთა გონებრივი და ზნეობრივი განვითარება უმეტეს წილად დამოკიდებულია მასწავლებელზე. რამდენადაც მასწავლებელი კარგი წიგნის ჩვენებით მაღალს აზრს ჩაუნერგავს მოზარდ თაობას გულში, რანაირს ღრმა გრძნობას ჩაუსახავს და ჰუმანურ და კეთილშობილურ ლტოლვილებთა აღძრავს მოზარდის გულში, იმდენად მოსწავლე შეიძლებს გაიგოს თავის დანიშნულება, რომ წრფელის გულით და

მხნეობით გამოადგეს თავის მამულსა, რომ იქმნეს თანამგრძნობი წევრი საზოგადოებისა მის გაჭირვებისა და დალხინების დროს» (81, №2, 3).

უნდა აღინიშნოს, რომ სასულიერო პრესაში მასწავლებლობა არა მარტო დიდი მნიშვნელობითა და პასუხიმგებლობით ხასიათდება, იგი, ამასთან ერთად, სამართლიანად არის აღიარებული განსაკუთრებით რთულ და შრომატევად პროფესიად, რომლის სათანადოდ გაძღოლა მხოლოდ და მხოლოდ მრავალმხრივი ღირსებით შემკულ პიროვნებებს ძალუძთ: «ყველამ კარგად იცის, რომ მასწავლებლის თანამდებობისთანა ძნელი ასასრულებელი არცერთი თანამდებობა არ არის» (74, №13, 5), «მასწავლებლობა მოითხოვს სინდისით და მოთმინებით შემოსილ, დაუზოგველ, გამოცდილ და ოსტატურ შრომას, რომელსაც წინ უნდა უძღოდეს საქმის სიყვარული» (84, №9, 7), – წერს მღვდელი დიმიტრი ბერულავა. აქ, როგორც ვხედავთ, მასწავლებლის აუცილებელ თვისებად პროფესიის სიყვარულიც არის აღნიშნული.

სინამდვილეში, სამწუხაროდ, სასულიერო თუ საერო სასწავლებლებში მოღვაწე კადრის მხოლოდ მცირე ნაწილი აკმაყოფილებდა პროგრესული სამღვდელოების, მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების წარმოდგენას მასწავლებელზე. უმეტესობა კი თავისი გამოუცდელობით, გაუნათლებლობითა და გულგრილობით შორს იდგა მათ მიერ შექმნილი პედაგოგის იდეალური ხატისაგან. სასულიერო პრესაში გამოქვეყნებული არაერთი პუბლიკაცია მოწმობს, რომ ბევრი მასწავლებელი სუსტია, არა აქვს სათანადო მომზადება და პედაგოგიური უნარი. ამასთან, სკოლას ბევრი შემთხვევითი პიროვნება აფარებდა თავს, რომელნიც სასწავლო პროცესს იძულებით სამუშაოდ, დროებით ვალდებულებად თვლიდნენ, და თავიანთი უვიცობის, სიზარმაცის, ზნეობრივი დეგრადაციის დაფარვას უფროსების წინაშე მონური მორჩილებით ცდილობდნენ (92, №15-16, 12). მათი «მოღვაწეობა» დამღუპველი იყო როგორც მოწაფეთათვის, ისე იმ დიდი ეროვნული, საქვეყნო საქმისათვის, რისთვისაც სკოლას და განათლებას უნდა ემსახურა.

სასულიერო პრესის მიუკერძოებლობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ხშირად მისი კრიტიკის ობიექტი სასულიერო წოდების წარმომადგენლებიც ხდებოდნენ. მაგალითად, დეკანოზი დ. ღამბაშიძე სიხარბესა და უპასუხისმგებლობაში ადანაშაულებს მღვდლებს, რომელნიც სოფლის მძიმე

ცხოვრებას გაურბოდნენ, თავს ქალაქს აფარებდნენ და საერო სასწავლებელში საღვთო სჯულის მასწავლებლობას იწყებდნენ, «თუ ბლომად ჯამაგირი ექნა, იმასაც ცდილობენ, ორ-სამ სამსახურში იმსახურონ. იმაზე კი აღარ ზრუნავენ, შეძლებენ თუ არა ყველგან სწავლებას» (75, №32, 3). ზედმეტი დატვირთვა აქვეითებდა მათ შრომისუნარიანობას, გულმოდგინებას, პროფესიულ შემართებას და უარყოფითად აისახებოდა სწავლების ხარისხზე. ამიტომაც «მწყემსი» სიხარულით შეხვდა სინოდის 1891 წლის განკარგულებას, რომელიც საკათედრო და სამრევლო ტაძრების წინამღვრებს გიმნაზიაში საღვთო სჯულის სწავლებას უკრძალავდა, აგრეთვე პენსიადანიშნულებს ათავისუფლებდა სამსახურიდან. «იმედია, ეს განკარგულებები გააცხოველებს საღვთო სჯულის სწავლების საქმეს და გზას გაუხსნის მრავალ ნიჭიერ და ენერგიულ მუშაკთა, რომელნიც ულუკმაპუროდ არიან დაშთენილი» – წერდა დ. ღამბაშიძე (80, №8, 3). ამავე ჟურნალში ვხვდებით მღვდელ დიმიტრი ბერულავას საყვედურს, რომ ბევრ სამრევლო სკოლაში მედავითნეები და მნათეები მასწავლებლობენ, რომელთაც ამ საქმის არაფერი გაეგებათ, და სხვა მრავალ სამართლიან შენიშვნას (84, №9, 7).

სასულიერო პრესის პედაგოგიური პუბლიკაციები უხვად შეიცავენ რჩევა-დარიგებებს, რომელთა გათვალისწინება ახალბედა მასწავლებლებს არაერთი პრაქტიკული სირთულის დაძლევასა და დაოსტატებაში დაეხმარებოდა. გარდა ამისა, ამ პუბლიკაციებში ის ძირითადი კრიტერიუმებიც იკითხება, რითაც მოწინავე სამღვდელოება მასწავლებელს აფასებდა და მის საქმიანობას იმედისმომცემად თვლიდა.

უპირველესი, რაც მომავალ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს, შემდგომი პროფესიონალიზმის ძირითადი ბაზისი, არის თანდაყოლილი **პედაგოგიური ნიჭი**, მიდრეკილება, რომლიც დანაკლისს ვერანაირი განათლება და გამოცდილება ვერ შეავსებს, და პირიქით, უხვად მომადლებული პედაგოგიური ალღო, შემოქმედობითობა და მონდომება მასწავლებელს სასწავლო საგნისა და მეთოდების ცოდნის დანაკლისსაც იოლად დააძლევინებს. «კაცს თუ ნიჭი არ მოსდევს და საქმეს სიყვარულობით არ ეკიდება, მან ათას უმაღლეს სასწავლებელში რომ დაამთავროს სწავლა, მაინც მისგან არა გამოვა რა» (78, №12, 1), «თუ მასწავლებლობისადმი მიდრეკილებას არ გრძნობს ადამიანი, უმჯობესია

ამ პროფესიას ხელი არ მოჰკიდოს. მისი მოღვაწეობა ნიჭისა და უნარის გარეშე წარუმატებელი იქნება» (108, №13-14, 5).

პედაგოგიური ნიჭის პარალელურად, წარმატებული საქმიანობის აუცილებელ ფაქტორად აღიარებულია **პროფესიის სიყვარული** და ღრმა რწმენა, თაყვანისცემა იმ იდეალებისა, რასაც მასწავლებელი და სკოლა ემსახურება. ამგვარი სულისკვეთება სიმტკიცეს, ენერგიას შემატებს მასწავლებელს, და რთულ გზაზე შემხვედრი სიძნელეები გულის გატეხვის ნაცვლად გაამხნევებს და საბრძოლველად განაწყობს (86, №21, 4).

გარდა ზოგადად აღმზრდელობითი საქმიანობისა, «მწყემსის» ერთ-ერთი ავტორის მართებული შენიშვნით, აუცილებელია მასწავლებელს საკუთრივ **თავისი სასწავლო საგანიც გამორჩეულად უყვარდეს,** და სჯეროდეს მისი მნიშვნელობა და განსაკუთრებულობა, რადგან ამგვარი განწყობა ზრდის პასუხისმგებლობას და აიძულებს მას მეტი სერიოზულობით მოეკიდოს მოვალეობას; გარდა ამისა, სწავლებასაც მეტი შთამბეჭდაობა ახასიათებს, რაც ეფექტურობაზე დადებითად აისახება. «მტკიცე აღმზრდელობითი სწავლება ითხოვს, რომ მასწავლებელი იყოს აღჭურვილი ჭეშმარიტებით და აღფრთოვანებული სასწავლო საგნების დიდი მნიშვნელობით. ასეთი მასწავლებელი სწავლების საქმეს მისცემს განსაზღვრულ გზას, ერთობას და სიცოცხლეს... ასეთი მასწავლებელი მოწაფეთ საგნების შინაარსს აუხსნის ცხადად, ცხოველად და თვალსაჩინოდ» (87, №15-16, 7).

აღნიშნული თვისებები მასწავლებლის პროფესიის მყარ საძირკველს წარმოადგენს, რასაც სასწავლო საგნის ღრმა, შეგნებული ცოდნა, პედაგოგიური განათლება და პრაქტიკული უნარ-ჩვევები უნდა დაერთოს. განათლების არსებული სისტემა – გაუაზრებელი სწავლებით, მკაცრი რეჟიმითა და პოლიტიკური სულისკვეთებით ვერ ქმნიდა პირობებს სასკოლო ქსელის სათანადო პედაგოგიური კადრით უზრუნველყოფისათვის. შექმნილი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალს სასულიერო პრესა სწავლების შინაარსის პედაგოგიური ცოდნით გამდიდრებაში, სამაგალითო სკოლების დაარსებასა და პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების გააქტიურებაში ხედავდა. გადამწვეტ მნიშვნელობას კი მასწავლებლის თვითგანვითარებას აკუთვნებდა. რადგან, თუ დამწყები პედაგოგი არ კმაყოფილდება შეძენილი

ცოდნით, აღიარებს თავის თავზე სისტემატური მუშაობის აუცილებლობას, ეძიებს სწავლების ახალ მეთოდებსა და ხერხებს, უთუოდ შეძლებს სპეციალისტად ჩამოყალიბებას. «მასწავლებლის თანამდებობა არის ცოცხალი ხელობა, – წერს მთავარდიაკვანი დ. ბუაჩიძე – ეს ხელობა დღითი დღე იცვლება და წარმატებაში შედის, ამ ხელობის ერთ კალაპოტში ჩაყენება არ შეიძლება და თუ კაცი კვალში არ მისდევს და გამჭრიახი გონებით არ ზომავს, ისე უთუოდ გზას ასცდება, ვეღარც ახალ ცოდნას შეიძენს და ძველსაც დაივიწყებს... ამიტომაც არის ნათქვამი გამოცდილი პედაგოგებისაგან, რომ ვინც თვითონ არის გაჩერებული ერთ ადგილზე, მისთვის ძნელია, რომ სხვა წასწიოს წინ, ვისაც დახშული აქვს ლტოლვა თვითგანვითარებისადმი, მას არ შეუძლია აღაღორძინოს და აღამაღლოს სხვისი გონება და იქონიოს მასზე შესაფერი გავლენა» (82, №23, 6).

დ. ბუაჩიძე საინტერესოდ აყალიბებს თვითგანვითარების გზებსა და საშუალებებს: საუკეთესო საშუალებად ამისათვის სასწავლო პროცესს, მისი თეორიული და პრაქტიკული მხარის ანალიზს მიიჩნევს – ყოველი გაკვეთილის მომზადება, მისი წინასწარი დაგეგმვა და, მით უმეტეს, კონსპექტირება არა მხოლოდ მივიწყებულ ცოდნას აღადგენს და განამტკიცებს, არამედ არაერთ ასპექტს უნებლიედ ახლებურად დაანახვებს მასწავლებელს; ანუ კომენსკისეული პრინციპის – სწავლა სხვისი სწავლების გზით – გათვისება მას ცოდნას გაუღრმავებს და გამოუცოცხლებს. გარდა ამისა გაკვეთილის მიმდინარეობისას მოსწავლეთა ხასიათზე, თავისებურებებზე დაკვირვება მასწავლებელს ერთი მხრივ, ასწავლის რთულ პედაგოგიურ სიტუაციებთან გამკლავებას და ამასთან დადებით როლს ითამაშებს მის პიროვნულ სრულყოფაზე, რადგან ბავშვი თავისი ხალასი, უბოროტო, სიყვარულით სავსე ბუნებითა და გამტანობით თავადაც შეიძლება მასწავლებლისათვის აღმზრდელი, საუკეთესო მაგალითი იყოს.

სასკოლო მუშაობისადმი ამგვარი მიდგომის პარალელურად თვითგანვითარების აუცილებელ პირობად სახელდება პროფესიული (პედაგოგიკური, მეთოდიკური, ფსიქოლოგიური, ანატომიური, ფიზიოლოგიური და ჰიგიენური ლიტერატურის) საფუძვლიანი შესწავლა. ამასთან, ავტორის შეხედულებით სასურველია მასწავლებელი პერიოდულ გამოცემებს არა მხოლოდ

ეცნობოდეს სისტემატურად, არამედ პრესასთან აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს, რაც მის დაინტერესება-მონაწილეობას საქვეყნო-საზოგადოებრივ პრობლემებში უდავოდ გაზრდის. დაბოლოს, აღიარებულია პედაგოგთა პერიოდული შეკრებებისა და პედაგოგიური საუბრების მნიშვნელობა: «ის რასაც ერთი მასწავლებლის გონება ვერ მოერევა, შეერთებული ძალღონით უეჭველად დათრგუნული იქნება». გარდა სიახლეების გაცნობისა, კოლეგიალობა გაამხნევებს, გაახალისებს მასწავლებელს, გაუღრმავებს სიყვარულს თავისი ურთულესი მოწოდებისადმი (83, №7, 5).

მთავარდიაკვან ბუაჩიძის აქ მოყვანილი შეხედულებები სასულიერო პრესის საერთო აზრია, რაც დღევანდელი პედაგოგიური გადასახედიდან სავსებით პოზიტიურად გამოიყურება.

დაუღალავი ზრუნვა ცოდნის სრულყოფაზე, აარიდებს რა მასწავლებელს ცნობისმოყვარე აღსაზრდელთა კითხვებზე დაბნეულ, ყალბ პასუხებს – უვიცობის დაფარვის მიზნით, ხელს შეუწყობს მისი «კეთილი სახელის», ავტორიტეტის განმტკიცებას. მასწავლებლის ავტორიტეტს კი სასულიერო პრესა სასწავლო პროცესის მამოძრავებელ ბერკეტად მიიჩნევს – «მასწავლებლისათვის რომ მან ჯეროვნად შეასრულოს თავისი დანიშნულება, საჭიროა მოსწავლის თვალში იქონიოს ავტორიტეტი და რწმუნება» (78, №14, 1), რადგან ხშირად სწორედ ეს ხდება გადამწყვეტი საფუძველი სკოლისადმი, სწავლისადმი თუ საკუთრივ სასწავლო საგნისადმი აღსაზრდელთა დამოკიდებულებისა. გარდა ამისა, უავტორიტეტობა მკვეთრ გამოხატულებას პოვებს საერთო წესრიგზე, დისციპლინაზე. «ერთი და იგივე მოთხოვნილება, თუ იგი ეკუთვნის კეთილ, სახელიან, ავტორიტეტის მქონე მასწავლებელს, ხალისიანად, დაუყოვნებლივ სრულდება მოწაფეთაგან, მაშინ როდესაც იგივე მოთხოვნილება უავტორიტეტო მასწავლებლის ხელში გამოიწვევს მოწაფეთა მხრით ბევრს სკოლის წესიერების დარღვევას. ბავშვები ხშირად არ არიან მორჩილი მასწავლებლისა მხოლოდ მისთვის, რომ არ აქვთ ხალისი დაემორჩილონ უავტორიტეტო, მძულვარე პირთ. «მოსწავლეთა თვითნებობა, ჟინიანობა, სიზარმაცე, უხეშობა ხშირად მხოლოდ და მხოლოდ მასწავლებლის პიროვნულ თვისებათა უშუალო ასახვაა აღსაზრდელთა ქცევის ხასიათზე», – წერდა ჟურნალ «მწყემსში» ლ. ბოცვაძე (82, №8, 4).

ამგვარად, მასწავლებლის ავტორიტეტს მხოლოდ წმინდა გონებრივი ასპექტი – ერუდიცია და პედაგოგიური უნარ-ჩვევები ვერ უზრუნველყოფს, აუცილებელია ეს თვისებები ზნეობრივი მხარითაც იყოს გამყარებული. მით უმეტეს, რომ მასწავლებელი იმავდროულად აღმზრდელიცაა და მისი ვალია თანაბარი ზრუნვა აღსაზრდელის აკადემიურ წარმატებასა და პიროვნულ სრულყოფაზე. როგორც ეპისკოპოსი გაბრიელი აღნიშნავდა ერთ-ერთ ქადაგებაში, «მასწავლებელმა მარტო წიგნი, ანუ ხელობა კი არ უნდა ასწავლოს მოწაფესა, არამედ უწინარეს ყოველთა პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, ერთი სიტყვით, ქრისტიანობა» (79, №1, 13).

აღმზრდელობითი ზემოქმედების შედეგები სასულიერო პრესამ მართებულად დაუკავშირა მასწავლებლის პიროვნებას და გადამწყვეტ ზომად არა სიტყვიერი შეგონება, არამედ პირადი, ცოცხალი მაგალითი მიიჩნია. «ბავშვებზე სიტყვიერი დარიგება ისე არ მოქმედებს, როგორც მაგალითები, გამოცდილება კაცთა უფრო იზიდავს ბავშვების ცხოველ ბუნებას საქმისადმი» (87, №15-16, 7). შესაბამისად, რათა მასწავლებელი იყოს «მთესავი განათლებისა, ჭეშმარიტებისა და სიკეთისა» და «კეთილი თესლის მაგიერ ღვარძლი არ დათესოს» (82, №19, 6), თავად უნდა იყოს სიმშვიდის, სიყვარულის, პატიოსნების, სიკეთის, სამართლიანობის მატარებელი. მცირეწლოვანთათვის დამახასიათებელი წამბაძველობა წააქეზებს აღსაზრდელებს კეთილი მოქმედებისაკენ და პირიქით, სიტყვასა თუ საქმეში ნებისმიერი წინდაუხედავი, გაუფრთხილებელი ქმედება აღსაზრდელის სულიერ სამყაროს სამუდამო ლაქად შეიძლება დააჩნდეს. «ვერანაირი აღმზრდელობით-დამრიგებლური ტირადები ვერ წაშლის ბავშვის გონებიდან იმ უხეშ სიტყვას, რომელიც მასწავლებელმა მისი თანდასწრებით თქვა; წლების განმავლობაში თავშეკავება ვერ დაავიწყებს ბავშვს იმ წუთს, როცა მთვრალი გნახათ; ვერანაირი მეტანიები ვერ უშველის იმ შხამს, რომელიც ბავშვის სულში ჩაეწვეთა, ეკლესიაში უადგილოდ მომღიმარი რომ შეგამჩნიათ. თუ აჩვენებთ მათ სიწმინდეთა უპატივცემულობას, ყველაფერი დამთავრებულია, შემდგომი ძალისხმევა ფუჭი იქნება... « – წერდა მღვდელი ილია შუბლაძე «დუხოვნი ვესტნიკში» (108, №6, 26).

აღიარებდა რა აღმზრდელობით საქმიანობაში პირადი მაგალითის გადამჭრელ როლს, სამღვდელოება მასწავლებლის ცხოვრების წესს, ზნეობრივ

მხარეს განსაკუთრებული ყურადღებითა და სიფრთხილით ეკიდებოდა. მაგალითად, ილია შუბლაძე თამბაქოს მოწევას, დუქანში ლუდის სმას საზოგადოების რიგითი წევრისათვის სავსებით დასაშვებად, მასწავლებლისათვის კი დასაძრახ საქციელად მიიჩნევს (108, №6, 26). დეკანოზი დ. ღამბაშიძე სასწავლებლების ქალაქიდან მოშორებით, წყნარ, მყუდრო ადგილას დაარსებას უჭერს მხარს, რაც მასწავლებელს დაიცავს ფუჭი, ამაო დროსტარებისაგან (77, №12, 3). «მწყემსის» რედაქცია აღშფოთებული ეხმაურება ერთ-ერთი გიმნაზიის მასწავლებლის საქციელს – «ცოლი გაუშვია და სხვისი ცოლი მოუყვანია სარჩენად...» და მოითხოვს სათანადო ზომების მიღებას, რათა ცუდი გავლენა აღიკვეთოს აღსაზრდელებზე (79, №13, 13). სხვა ანალოგიური მაგალითებიც არის.

მსგავს გადაჭარბებულ მომთხოვნელობაში სამღვდელოების მხრიდან აშკარად იჩენს თავს მასწავლებლისათვის მოძღვრის ფუნქციის ერთგვარი გაზიარება, რასაც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ისტორიულ-ტრადიციული საფუძველი ჰქონდა და მისი მაღალი, განსაკუთრებული მისიის კიდევ ერთხელ აღიარებას წარმოადგენს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აშკარა კონტროლი მასწავლებლის სიტყვასა და საქმეზე (ერთი შეხედვით, ცენზორული სიფრთხილე), რაც სასულიერო პრესის განხილვითაც დასტურდება, რიგ შემთხვევაში მასწავლებელთა უფლებრივ დისკრიმინაციად ფასდებოდა. მით უმეტეს, რომ სამღვდელოების პრინციპული მოთხოვნა სასულიერო სასწავლებელთა პედაგოგების მიმართ იყო სამაგალითო ღვთისმორწმუნეობა: «სამრევლო სკოლის შესაფერისი შეიძლება იყოს მხოლოდ ეკლესიური სულისკვეთებით აღზრდილი მასწავლებელი, რომელიც თავად წარმოადგენს ქრისტიანული ცხოვრების საუკეთესო მაგალითს აღსაზრდელთათვის» (107, №14-15, 16), «ზოგ მასწავლებელს ესირცხვება კლიროსზე დგომა... მათ ძვირად დაინახავთ ეკლესიაშიდ, ეს სამწუხარო და დასაფიქრებელი მოვლენაა» (78, №10, 4), – მსგავსი შინაარსის განცხადებები დამახასიათებელია ქართული სასულიერო პრესისათვის. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ სამრევლო სკოლებისა და სასულიერო სასწავლებლების მიზანს, ელემენტარული განათლების პარალელურად ხალხში ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი სწავლებისა და ზნეობის გავრცელება-განმტკიცებას, ამგვარი სახის დირექტივები სავსებით გასაგებად და ლოგიკურად შეიძლება ჩაითვალოს

– სპეციფიკიდან გამომდინარე, ეკლესიური თვალთახედვით მიუღებელი კადრები სასულიერო სწავლების ამოცანებს ვერ გადაჭრიდნენ. ამიტომ საბჭოთა ისტორიულ და პედაგოგიურ ლიტერატურაში დამკვიდრებული ბრალდებები, «რომ სამრევლო სკოლის მასწავლებლები მღვდლის მიერ ყოველმხრივ შევიწროვებასა და დევნას განიცდიდნენ ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე გამოუცხადებლობისათვის, მოსახლეობაში წერა-კითხვის გავრცელებისა და განათლების შუქის შეტანისთვის» (39, 59), სამღვდელოების «ღვარძლიანი მოქმედება სულს უხუთავდა, ადამიანურ ღირსებას აცლიდა მასწავლებელს და შხამავდა მის სიცოცხლეს» (41, 49) და სხვა მრავალი, გადაჭარბებულად და ტენდენციურად მიგვაჩნია.

რაც შეეხება სიტყვის უფლების შეზღუდვას, ჟურნალი «მწყემსი» მართლაც შეიცავს ერთი შეხედვით ამის დამადასტურებელ რამოდენიმე ცნობას, თუმცა ყოველი მათგანი პრინციპული მოსაზრებითაა მოტივირებული და საკმაოდ საფუძვლიანია. მაგალითად, სოფელ ოფჩის ეკლესიაში მასწავლებელს ქადაგება წაუკითხავს, რომლის შინაარსს იმდენად აღუშფოთებია ეპისკოპოსი გაბრიელი, რომ ბლაღოჩინების მიერ სიტყვის წინასწარი გაცნობისა და შეფასების გარეშე მასწავლებელთათვის ქადაგება აუკრძალავს (74, №11, 9). ამ აკრძალვას დეკანოზი დ. ღამბაშიძეც სავსებით მართებულად მიიჩნევს: «ყველამ რომ იქადაგოს, ვისაც იშტა მოუვა, ბევრი ბოროტება დაიბადება, ხალხისათვის მავნებელი შეიძლება წარმოითქვას რამე. კარგი ღვთისმეტყველი რომ იყოთ, არცერთი მღვდელი არ გეტყოდათ უარს» (78, №20, 16). სამწუხაროდ, რედაქცია არ აკონკრეტებს, თუ რა იქადაგა მასწავლებელმა, მაგრამ უდიდესი ეროვნული მოღვაწისა და მოამაგის, ეპისკოპოს გაბრიელის ესოდენი აღშფოთება თავისთავად ცხადყოფს, რომ ეს გამოსვლა ხალხის სულიერი და ზნეობრივი ამაღლებისათვის ნაკლებად ღირებული უნდა ყოფილიყო. საფუძველს მოკლებული არ იქნება ამ კონკრეტული შემთხვევის განზოგადება, თუმცა სამღვდელოების რიგი წარმომადგენლებისაგან პირადი მოტივით არსებული შუღლის არსებობასაც მასწავლებლის მიმართ, რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავთ. იგივე შეიძლება ითქვას მომდევნო ბრალდებაზეც: «ადგილობრივი მღვდელი სამრევლო სკოლას გამგედ მოევლინა მხოლოდ იმიტომ, რომ საწყალ მასწავლებლებს ყოველ ნაბიჯზე წყალი უმღვრიოს, მთავრობასთან აბეზღოს, ცოტა რამ მიზეზისა გამო

საჩივრები და დავა აუტეხოს, სამსახურიდან დაითხოვოს. ამაში გამოიხატება მღვდლის მზრუნველობა სკოლის საქმეზე».*[1]

სოფლის მოძღვარი, როგორც საეკლესიო-სამრევლო სკოლის დამაარსებელი, ორგანიზატორი და მოამაგე, ვალდებული იყო ეზრუნა მის შემდგომ წარმატებაზეც. შესაბამისად მასვე ეკისრებოდა გარკვეული პასუხისმგებლობა მასწავლებლის საქმიანობაზე, რაც თავის მხრივ სასწავლებლის მომავალს განსაზღვრავდა. მასწავლებლის სიზარმაცისა და გულგრილობის შედეგად სკოლის დახურვის არაერთი ფაქტი ცხადყოფს, რომ მათი ნაწილი თვალყურის დევნებას მართლაც საჭიროებდა. საილუსტრაციოდ შეგვიძლია საქართველოს საისტორიო არქივში დაცული ცნობები მოვიყვანოთ, რომლებიც მანგლისის სამრევლო სკოლის მდგომარეობას ასახავს და ზემოთმოყვანილ ბრალდებას უდავოდ შეამსუბუქებს. როგორც ირკვევა, აღნიშნული სკოლის მასწავლებელი ივანე ვარაზაშვილი საშობაო არდადეგებზე თბილისში გაემგზავრა, რის შემდეგაც რამდენიმე თვე აღარ გამოჩენილა და სასწავლო პროცესიც მთლიანად ჩაიშალა (135, 1). მოგვიანებით ამავე სკოლის ხელმძღვანელი მღვდელი ჩიტაძე საეპარქიო საბჭოს თხოვს მასწავლებლის თამარა სტეფანეს ასულ კუზნეცოვას გათავისუფლებას. კუზნეცოვა, მისი სიტყვებით, როგორც სულით ხორცამდე «ერის ქალბატონი», სამრევლო სკოლისათვის აბსოლუტურად შეუფერებელია. მისი ძირითადი გატაცება სპექტაკლები და ცეკვაა, რის გამოც დროის უმეტეს ნაწილს მახლობლად განლაგებულ ერევანსკი პოლკის შტაბ-ბინაში ატარებს, ღამენათევი და ცეკვისაგან თავბრუდახვეული დილით სკოლაში თვალებდასიებული, ნერვებაშლილი ბრუნდება (თუ მღვდელი მანგლისში არ ეგულება, მეცადინეობაზე საერთოდ არ ცხადდება). წირვა-ლოცვაზე დასწრებას რაც შეეხება, ეკლესიას ახლოსაც არ ეკარება. მისი ცხოვრების ამგვარი წესით დამფრთხალი გლეხობა შვილებს, მით უმეტეს გოგონებს, სკოლაში აღარ უშვებს, რამაც შესაძლოა სკოლა საბოლოოდ დახურვამდეც კი მიიყვანოს (135, 2-3).

---

* წერილი «ხმა სოფლის მასწავლებლისა» 1908 წელს ჟურნალ «განათლებაში» გამოქვეყნდა ([1]1, გვ. 109-114) ანონიმი ავტორის მიერ. სამღვდელოებისადმი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების გამო საბჭოთა ისტორიულ და პადეგოგიურ ლიტერატურაში დიდი მოწონებით სარგებლობდა და სისტემატური ციტირების ობიექტი იყო.

სავსებით გასაგებია, რომ სამღვდელოება ვარაზაშვილისა და კუზნეცოვასაგან განსხვავებულ, მეტი პასუხისმგებლობითა და საქმისადმი ერთგულებით აღვსილ მასწავლებელს ანიჭებდა უპირატესობას. მაგალითად, ისეთს, როგორიც ანასტასია ვასილის ას. ლომინაძე იყო: სრულიად ახალგაზრდამ გაბედული, დაუღალავი შრომის შედეგად ახალი სენაკის სამრევლო სკოლის საქმე სამაგალითოდ დააყენა – მოპოვებული საყოველთაო სიყვარულისა და პატივისცემის შედეგად საგრძნობლად იმატა მოსწავლეთა რიცხვმა, და გარდა ამისა, მზრუნველისა და საზოგადოების მხარდაჭერით ახალდაარსებულ სკოლას მყარი მატერიალური ბაზაც შეუქმნა (90, №21, 4).

ა. ლომინაძე, ბ. ვაშაძე* (89, №9-10, 21), ვ. კოპტონაშვილი (77, №21, 5), ე.ქართველოვი (76, №2, 8), გაბრიჩიძე (88, ¹6, 1), კ. არველაძე, ერ. თოფურიძე (88, №15-16, 15) და სხვანი ღირსეულად უძღვებოდნენ სოფლის მასწავლებლის მძიმე მოვალეობას, მატერიალური სიდუხჭირის მიუხედავად თავდადებით, ერთგულად ემსახურებოდნენ ხალხის განათლებას და სამღვდელოების მხრიდანაც არავითარ «დევნა-შევიწროებას» არ განიცდიდნენ.

ამგვარად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სასულიერო უწყების სასწავლებლებში სამღვდელოების მხრიდან მასწავლებელთა უფლებრივი შეზღუდვის ხაზგასმა იდეოლოგიური წნეხით იყო მოტივირებული. დისკრიმინაცია კი, რომელსაც მოცემულ პერიოდში რეალურად განიცდიდა ქართველი მასწავლებლობა, ეროვნულ-პოლიტიკური ნიშნით განისაზღვრებოდა. განათლების მესვეურები, მიზნად ისახავდნენ რა მომავალი თაობების სწავლა-აღზრდის ჩაყენებას რუსიფიკაციის სამსახურში, განუხრელად ცდილობდნენ სასწავლებლებიდან ეროვნული სულის განდევნას, ავიწროებდნენ არა მარტო მშობლიურ ენასა და ისტორიას, არამედ ზღუდავდნენ ადგილობრივ ელემენტს სასწავლო ადმინისტრაციისა და პედაგოგიური კადრის დაკომპლექტებისას, არაობიექტური, ტენდენციური მიდგომით შეგნებულად აღვივებდნენ ეროვნულ შუღლს რუს და ქართველ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის. ამგვარი საგანმანათლებლო პოლიტიკის მკაფიო მაგალითია თბილისის სასულიერო სემინარიის მშფოთვარე, ბობოქარი ცხოვრება, რომლის დატოვება 1873 წლის

* ბ. ვაშაძე მღვდელი გახდა და შემდეგაც თვალსაჩინო მასწავლებელი იყო.

რეპრესიის შედეგად ისეთ ქართველ პედაგოგ მოღვაწეებს მოუხდათ, როგორიც იყვნენ ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, გ. იოსელიანი, თ. ტურიაშვილი. სემინარიის რექტორები, რუსი ანონიმი პედაგოგის სამართლიანი დახასიათებით, «განათლებული, მაგრამ დესპოტი, ჭირვეული ეგოისტები იყვენენ, რომელთაც მხედველობაში ჰქონდათ მხოლოდ საკუთარი თავი და მდგომარეობა. სიგიჟემდე სწყუროდათ ეპისკოპოსის მიტრა და მზად იყვნენ მიზნის მისაღწევად უდანაშაულო მსხვერპლთა სისხლსა და ცხედრებზე ევლოთ...» (134, 6)*. მათ მიერ შექმნილი ჟანდარმული ატმოსფერო, შავრაზმელ მასწავლებელთა თავგასულობა აღსაზრდელთა სამართლიან პროტესტს იწვევდა და სისტემატური არეულობის საფუძველს ქმნიდა, რაც აფერხებდა სასწავლო პროცესს და «მგლის ბილეთით» გაძევებულ ათეულობით ქართველ ახალგაზრდას უმომავლოდ ტოვებდა.

მდგომარეობის სავალალობას კარგად გრძნობდა ქართველი საზოგადოება. ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ხმა აიმაღლა დაკანონებული უსამართლობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ, გაბრიელ ეპისკოპოსი იყო. მან კერსკის რეპრესიულ წინადადებას ქართული სასულიერო სასწავლებლების ზადამხედველებად რუსი ეროვნების წარმომადგენელთა დანიშვნის აუცილებლობაზე «ნაყოფი უტვინობისა» უწოდა. «კეთილგონივრული დარბაისლობა ითხოვს, რომ არ უნდა მოხდეს ეროვნული გარჩევა იმ პირთა შორის, რომლებიც ცდილობენ ადგილის დაჭერას. ყურადღება უნდა მიექცეს ამ შემთხვევაში ადამიანის კეთილ ზნეობას, პატიოსნებას და ნიჭს... რისთვის უნდა მიიღონ განათლება ქართველებმა, თუმცაღა იგინი არ იქნებიან მიღებულნი სამსახურში და მთავრობა ეჭვის თვალით დაუწყებს მათ ყურებას» (101, ¹11, 9), – წერდა ეპისკოპოსი გაბრიელი. მანვე გაბედულად ამხილა ეგზარქოსი ევსევი ი.გოგებაშვილის მიზანმიმართულ დევნა-შევიწროებაში, რამაც დიდი ქართველი პედაგოგი თვითმკვლელობის მცდელობამდე მიიყვანა (101, №10, 6).

სამღვდელოების სწორ პოზიციას ასახავს ჟურნალი «მწყემსიც», სადაც ოპტიმალური სასწავლო-სააღმზრდელო მიდგომის შერჩევაში მნიშვნელოვან ფაქტორად არის მიჩნეული აღმზრდელის სულიერი სიახლოვე ხალხთან, ანუ იმ წიაღთან, რომლის კულტურა და ტრადიციები განსაზღვრავენ აღსაზრდელთა

* ეს დოკუმენტი მოგვაწოდა პროფ. გ. შენგელიამ, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

ზნეს, ხასიათს, მიდრეკილებებსა და თავისებურებებს. პედაგოგიური მიზნების რეალიზაცია უცილობლად თხოულობს სკოლისა და პოლიტიკის ურთიერთგამიჯვნას, რაც დაიცავს სასწავლებლებს სიძულვილით აღსავსე უცხო ტომელთაგან, რომლისთვისაც «ქართული ენა ძაღლების ენა არის, ქართული საეკლესიო გალობა მგლების ყმუილი», ქართველი მოწაფე კი «თივის ტომარა» (95, №5, 12). «მასწავლებელმა თუ კარგად არ იცის ჩვენი ხალხის შინაური ყოფა ცხოვრება, ღირსება და ნაკლი, გაუჭირდება თავისი საქმის წარმატებით წაყვანა. მისი აღმზრდელობითი ზომები უნაყოფოდ დარჩებიან. დაიბადება აღმზრდელთა და შეგირდთა შორის განხეთქილება  და არა ერთი და ორი შეგირდი განდევნილ იქნება პირველის საფეხურითგანვე სწავლა-განათლებისა, არა ერთი მასწავლებელი მიიღებს შეურაცხყოფას მოწაფისაგან» (77, №22, 1).

მასწავლებლის პრობლემისაგან განუყოფელია პედაგოგიური ურთიერთობის საკითხი. ურთიერთობის ესა თუ ის სახე კი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სწავლებისა და (განსაკუთრბით) აღზრდის მეთოდიკას.

აღმზრდელობითი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს სასკოლო დისციპლინის უზრუნველყოფა. განსახილველ ეტაპზე, მიუხედავად ოფიციალური აკრძალვისა და საყოველთაო უარყოფითი აზრისა, მოსწავლეთა ყურადღების მობილიზების მიზნით არაერთი პედაგოგი მიმართავდა დესპოტურ, სასტიკ ზომებს, როზგით შეიარაღებული აღმზრდელი კვლავ რეალობად რჩებოდა და, შესაბამისად, მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობის საკითხი ისევ და ისევ აქტუალური თემა იყო. ქართულ სასულიერო პრესაში წარმოდგენილია არაერთი პუბლიკაცია, რომელიც შეიცავს მთელ რიგ საგულისხმო მოსაზრებებს დისციპლინარული ზომების რეგულირებისა და სწორი აღმზრდელობითი მიდგომების შესახებ. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ვლინდება მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მოსწავლის დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ზომებისადმი. მასწავლებლის სიმკაცრე და გულფიცხობა ერთხმად არის აღიარებული არაპედაგოგიურ ქმედებად, მით უმეტეს დაუშვებლად მიიჩნევა აღსაზრდელზე ფიზიკური სასჯელით ზემოქმედება. «წკეპლით ცემა, სხეულის დასჯა, ტკივილის აღძვრა – ნაყოფია გონების სიბნელისა, კაცობრიობის უვიცობისა და მოასწავებს, უკეთუ ჩვენს დროში იხმარება სწავლების დროს, აღმზრდელის ბარბაროსობას და მის

უვარგისობას სწავლა-აღზრდის საქმეში» – წერდა ილია ფერაძე «მწყემსის» ერთ-ერთ პუბლიკაციაში (82, №8, 7). მსგავსი შემთხვევები, ასუსტებდა რა მასწავლებლისადმი ნდობასა და სიყვარულს, ძირს უთხრიდა მის ავტორიტეტს, რაც სამღვდელოების შეხედულებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მასწავლებლისათვის პროფესიული საქმიანობის დასაყრდენი უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, უარყოფითად აისახებოდა სასწავლო პროცესზე, რადგან სწავლების ეფექტურობისათვის ღირებულია მხოლოდ შეგნებული, ნებაყოფლობითი წესრიგი, რომელიც ინტერესით მოტივირებულ ყურადღებას ეფუძვნება. შიშით უზრუნველყოფილი «სალდათური» დისციპლინა და დესპოტიზმი შედეგად მხოლოდ ყურადღების ილუზიას ქმნის, იმავდროულად კი თრგუნავს მოსწავლის აქტივობასა და თვითმოქმედებას, ართმევს თავისუფალი, გაბედული აზროვნების ინიციატივას და შესაბამისად სწავლების შეგნებულობა და განმავითარებელი ასპექტი მინიმუმამდე დაჰყავს. «ის მასწავლებელი არ ვარგა, ვინც წამდაუწუმ ბავშვების ცელქობით მოთმინებიდან გამოდის, მრისხანებას ეძლევა და თავის მსმენელებზე იყრის ჯავრს  იმ იმედით, რომ იმათ გახდის გამგონეებად და გულისხმიერ შეგნებულებად, ამნაირად მხოლოდ დააფრთხობს ბავშვებს. ხოლო ფრთხილობა კი სულაც არ უწყობს ხელს შემთვისებლობას, რომლისთვისაც საჭირო არის სულის სიმშვიდე და სიდინჯე-მხიარულება» (82, №1, 3).

საინტერესოა ჟურნალ «მწყემსის» ერთ-ერთი ავტორის ტ. ჯაფარიძის მოსაზრება, რომელსაც მასწავლებელთან დამოკიდებულების მოწაფისეული აღქმა მართებულად მიაჩნია ბავშვის თვითმოქმედების განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად. «მოსწავლე უნდა უყურებდეს მასწავლებელს, როგორც თანამშრომელს, თანამგრძნობსა და ამხანაგს სწავლების საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ როცა მასწავლებელი უმფროსად მიაჩნია, რომლის ბრძანებაც მისთვის კანონია, მაშინ მოსწავლის თავისუფლება შევიწროვებულია და სწავლება ძალდატანებით ხასიათს იღებს, ძალადობა კი ყოლისფერს საქმეში მავნებელია და სკოლიდან მაინც განდევნილ უნდა იყოს. თვითმოქმედება უვარჯიშდება ბავშვს, როცა ის ფიქრობს, რომ მან და მასწავლებელმა ერთად უნდა გაიგონ და ზიარი შრომით გაიცნონ რამე... ამისათვის მათ შორის უნდა იყოს მჭიდრო კავშირი, სიყვარულზე, ნდობაზე და ამხანაგობაზე დამყარებული» (88, №22, 5). ჯაფარიძის მიერ თანამშრომლობითი ურთიერთობის აღიარება და

მისი როლის ხაზგასმა განმავითარებელი სწავლებისათვის მოცემულ ეტაპზე უდავოდ მნიშვნელოვან პედაგოგიურ ნოვაციად უნდა მივიჩნიოთ.

ამგვარად, ქართულმა სასულიერო პრესამ სწორად შეაფასა გადამეტებული სიმკაცრისა და ავტორიტარიზმის სავალალო გავლენა მოწაფეთა შემეცნებითი ძალების განვითარებაზე. გარდა ამისა, წარმოჩენილია ის უარყოფითი როლიც პიროვნების ზნეობრივ ფორმირებაზე, რომელიც მასწავლებლის უხეშ, უტაქტო, ცინიკურ მოპყრობას შეუძლია ითამაშოს. «უნდა შეიგნონ მასწავლებლებმა, რომ ცუდი მოპყრობით მოსწავლე ავდება, შეუფერებელ საქციელს ჩადის» (88, №8, 7). მოსწავლე, აიგივებს რა უხეშ ძალასთან მასწავლებელს («ძალა აქვს და ყვირისო» 103, №5, 3), შიშთან ერთად ძალადობისადმი, უსამართლობისადმი მორჩილებასა და ქედმოხრას ეჩვევა, რაც ზნეობრივი დეგრადაციის დასაწყისია, ან პირიქით – პროტესტის გრძნობით აღვსილი დისციპლინარული დარღვევის ინიციატორი ხდება.

მოსწავლის ჩამოუყალიბებელი, გაუმყარებელი ფსიქიკის ტრავმირება არა თუ ფიზიკურ სასჯელს, უტაქტოდ ფორმირებულ შენიშვნასაც შეუძლია. მასწავლებლის ყოველი აღმზრდელობითი ღონისძიება განსაკუთრებული სიფრთხილითა და წინდახედულობით უნდა ხასიათდებოდეს. ტ. ჯაფარიძეს მაგალითად მოჰყავს ტიპიური შემთხვევა, როცა მასწავლებელი მოწაფეს ქურდობაში კლასის თანდასწრებით ამხელს და საჯარო შერცხვენის გზით დადებითი ზნეობრივი გავლენის მოხდენას ცდილობს. რეალური შედეგი კი, ავტორის მართებული შენიშვნით, საწინააღმდეგოა. ქურდობაში მხილებული მოსწავლე, ელახება რა თავმოყვარეობა, ზიზღით უყურებს მეგობრებს, რომელთა დაცინვის ობიექტი ხდება, და მასწავლებელს – სცენარის ავტორს; ნანობს არა დანაშაულის ჩადენას, არამედ დანაშაულის გამოაშკარავებას, უჩნდება უნდობლობისა და შურისძიების გრძნობა. ამგვარი «ზნეობრივი სასჯელი ბავშვის სულს აწუხებს» და სამუდამო ლაქად რჩება. აღმზრდელობითი ეფექტი მიღწეული იქნება თუ მასწავლებელი განმარტოებით და მაქსიმალური ტაქტით გაესაუბრება აღსაზრდელს, «...მასწავლებელს სრულებით არ უნდა ჰქონდეს სახეში ბავშვი დამნაშავედ გამოიყვანოს და რამე სასირცხო აგრძნობინოს, შემთხვევა ისე უნდა ჩათვალოს მასწავლებელმაც და ბავშვმაც, ვითომც უნებურად და უვიცად უქნია ბავშვს».

არაპედაგოგიურად და უშედეგოდ მიაჩნია იმავე ავტორს სამაგალითო სასჯელის ზეგავლენით მთელი კლასის დამოძღვრა-დაშინება და ამ მიზნისათვის დამნაშავე მოსწავლის თავმოყვარეობისა და ღირსების გრძნობის მსხვერპლად შეწირვა, რადგან ბავშვის დამახასიათებელი თვისებაა მსგავს შემთხვევაში დასცინოს თანაკლასელს, ვიდრე თანაუგრძნოს, ან მის მდგომარეობაში წარმოიდგინოს თავი. უმჯობესი იქნება, თუ მასწავლებელი აღსაზრდელებს ზოგადად განუმარტავს და დაარწმუნებს ქურდობისა და სხვა მსგავს ქმედებათა უზნეობაში, რადგან «გონება ანუ შეგნება და ცოდნა თუ შეაჩერებს ბავშვს ცუდი საქმისაგან, თორემ შიში საეჭვო თავმდებია კარგი ყოფაქცევისა» (88, №23-24, 9-11).

შეგნებული დისციპლინის შემოქმედად სასულიერო პრესა სამართლიანად აღიარებს მასწავლებელს და მის პროფესიონალიზმს. სწორად შერჩეული მეთოდი, საინტერესო რაციონალურად ორგანიზებული გაკვეთილი, მოსწავლეთა აქტივიზაცია და ზომიერი დატვირთვა საუკეთესო გარანტია წესრიგის უზრუნველსაყოფად – «ცხადია, რომ რიგიანი სწავლის მეთოდი ჩინებულად ემსახურება წვრთნილებასა და აუქმებს დასჯათა და სხვა ღონისძიებათა» (103, №5, 4), «ვისაც შეუძლია კარგად სწავლება, იმას შეუძლია კარგად წაიყვანოს სკოლის წესიერება» (82, №8, 4).

მაგრამ უმთავრეს ფაქტორად, რომელიც მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთობის რეგულირებას უწყობს ხელს, აღიარებულია მასწავლებლის მოთმინება, მიმტევებლობა და, რაც მთავარია, გულწრფელი სიყვარული მოსწავლეებისა და საკუთრივ საქმიანობისა. «არა გვგონია, რომ სიყვარულს რომელიმე წრეში იმდენი საპატიო და დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც ამას აქვს პედაგოგიურს ასპარეზზედ... იგი არის ერთი უძლიერესთაგანი იარაღი... თუ პედაგოგი მიზნად დაიდებს თავისი საქმის წარმატებისათვის წინ წაიმძღვაროს, პირველად ყოვლისა, სიყვარული თვისსა და მოწაფეთა შორის, უეჭველად გამარჯვებული დარჩება და მისი სამსახურიც ნაყოფიერი იქნება» (73, №24, 1).

ამგვარ შემთხვევაში მოსწავლე თავადაც საპასუხო ნდობითა და სიყვარულით იმსჭვალება მასწავლებლის მიმართ, აღიარებს მისი შენიშვნების სამართლიანობას, და აგრესია, ურთიერთშუღლი და უხეშობა – ძველი სკოლის ატრიბუტი, უკვალოდ ქრება. როცა «სკოლაში სიყვარული მოქმედობს, სკოლა

ემსგავსება ერთ ჯალაბ პატიოსან ოჯახს. როგორც ოჯახში ყველანი მამის მორჩილი უნდა იყვნენ, ისე სკოლაშიდაც მამობრივი სიყვარული უნდა სუფევდეს» – წერს მ. ბუაჩიძე (82, №19, 6).

ასე წარმოგვიდგება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის უმნიშვნელოვანესი პედაგოგიურ-საზოგადოებრივი პრობლემები და სამღვდელოების დამოკიდებულება მათდამი.

სასულიერო მოღვაწეებს სათანადოდ ესმით განათლების უდიდესი მნიშვნელობა ქვეყნის პროგრესული განვითარებისათვის; ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ქალთა აღზრდა-განათლებას – ოჯახსა და საზოგადოებაში მათი როლის გათვალისწინებით; იბრძვიან მშობლიურ ენაზე სწავლებისა და მღვდელმსახურების უფლებისათვის. სასულიერო პრესის პუბლიკაციათა ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ ქართველი საზოგადოება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მოითხოვდა პედაგოგთა ჰუმანურ ურთიერთობას მოსწავლეებთან, ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი კარგი პედაგოგის უმთავრესი თვისებები.

ამრიგად, ქართველი სამღვდელოების საუკეთესო ნაწილი ერის განვითარების ავანგარდშია, იგი ერთგულად ემსახურება როგორც ქრისტიანული რწმენის განმტკიცებას, ისე ხალხს – მის წინაშე მდგარი პრობლემის გადაწყვეტაში.

## თავი მესამე: მოძღვრის სახე მე-19 საუკუნის ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებაში

### §1. სკოლისა და მასწავლებლის ადგილი თერგდალეულთა ძირითადი მიზნების განხორციელებაში.

ქართველი ხალხის ისტორია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ეროვნული კულტურის თავისთავადობისათვის უწყვეტი ბრძოლის ისტორიაა, რომელიც მე-19 საუკუნესაც მოიცავს, როცა რუსეთთან შეერთებით ქართული მხარის იმედი თანასწორუფლებიანი კავშირის, ქვეყნის მართვის ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემისა და სხვა ეროვნული ინსტიტუტების შენარჩუნებისა, არ გამართლდა. შექმნილი მდგომარეობის სიმძიმე ზედმიწევნით არის ასახული აკაკი წერეთლის სიტყვებში: «ლაგამი ამოგვდეს და მიგვატოვებინეს ძველი გზა. გადაგვახვევინეს საუკუღმართოდ! . . . საიდან მოვდივართ დაგვავიწყეს და სად მივდივართ, აღარ ვიცით! მხოლოდ სხვების ნება-სურვილზე მივჩანჩალებთ... რჯული და სამართალი სხვებს უჭირავს ხელში, სწავლა-განათლებას სხვები უდგანან სათავეში და თავის ნებაზე გაჰყავთ ლარი და ხაზი» (58, 478).

ქართველი ერი მწვავედ განიცდიდა რუსეთის თვითმპყრობელობის ასიმილატორულ, გამარუსებელ პოლიტიკას. სწორედ ამიტომ იყო, რომ რუსეთთან შეერთების პირველივე წლებიდან მოყოლებული ნახევარი საუკუნის მანძილზე თითქმის პერმანენტული ხასიათი ჰქონდა აჯანყებებს, რომელთა მთავარი მიზანი კოლონიური უღლის გადაგდება იყო.

ნახევარი საუკუნის ამაო ბრძოლამ თითქოს მოღალა და ბედს შეარიგა ხალხი. სამოციანელთა ლიდერი ილია ჭავჭავაძე სწორედ მიძინებულს ხედავს დამოუკიდებლობის, თავისუფლების მოპოვების ჟინს («ო, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?») რომლის გამოცოცხლება-გააქტიურების მიზნით, თერგდალეულებმა იდეოლოგიური ბრძოლის გაშლა განიზრახეს, რაც გულისხმობდა ხალხისათვის ღირსეული წარსულისა და

უდიდესი კულტურის შეხსენებას, მის სულიერ გამხნევებას და პოზიციების თანდათანობითი გაძლიერების საფუძველზე პატრიოტული ერთსულოვნებით ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევას.

ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე, ქართველი სამოციანელები ხალხის განათლებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რაც, აამაღლებდა რა საზოგადოების ცნობიერებასა და ზნეობას, ურყევ საფუძველს შეუმზადებდა პროგრესულ გარდაქმნებს. განათლების გავრცელება, უპირველეს ყოვლისა, სკოლის ფუნქცია იყო, თუმცა სკოლა, რომელშიაც თერგდალეულები იზრდებოდნენ და რომელიც უცხოეთიდან დაბრუნებულთ არსებითად უცვლელი დახვდათ, სრულიადაც არ შეეფერებოდა მათ მამულიშვილურ მისწრაფებებს: ასიმილატორული ატმოსფერო, დოგმატიკური მეთოდიკა, მოსწავლეთა წარუმატებლობის არაადეკვატური ახსნა და სასჯელის მძიმე ზომები საშინელ საერთო სურათს ქმნიდა, რომელიც პირველ რიგში, თვითონ ილიამ ასახა თავის შემოქმედებაში. მხედველობაში გვაქვს დაუმთავრებელი მოთხრობა «კაკო»!

კაკო თავადის ვაჟის, კოლას განუყრელი მეგობარია, რომელიც მას, გიმნაზიაში სასწავლად ქალაქში წამოსულს, თან გამოაყოლეს.

კოლა «ნიჭიერი, მახვილი, ცქვიტი და გონიერი ყმაწვილი» იყო (61, 453). თითქოს წარმატებული უნდა ყოფილიყო მისი მოსწავლეობა, მაგრამ გიმნაზიაში ყოფნის პირველივე დღე საბედისწერო აღმოჩნდა კოლასათვის. სოფლიდან ჩამოსული ბიჭის მორიდებულობას ბოროტად იყენებენ ბავშვები და უხეში მოპყრობით წონასწორობიდან გამოჰყავთ. ამასობაში გამოჩნდება მასწავლებელი, რომელსაც პედაგოგის არაფერი სცხია: «შემოვიდა ოსტატი ერთ კაი სქელ და პტყელ ჯოხით. ოსტატის სახე იყო მრისხანე და ზედ ეწერა სურვილი ცემისა». შეშინებული თანაკლასელები ხმაურის მიზეზად კოლას ასახელებენ.

«– მივარდა კოლას გახარებული ოსტატი, რომ მიეცა შემთხვევა ვისიმე ცემისა.

– გამოშალე ხელი! – კოლამ ხელი არ გაუშალა. – შე ძაღლო, არ გესმის? – შეჰყვირა უფრო მრისხანედ.

– რა დავაშავე, რომ ცემას მიპირობთ?

– შენ აქ ბედავ სიტყვა შემომიბრუნო? – და ათჯერ გადააწნა ბეჭებზე სახაზავი. მერე გამოათრია სკამიდან, თმით მოითრია და დაახალა იატაკზედ. დორბლიანმა ოსტატმა ერთხელ კიდევ წაუთავა ლაწანი ყბაში». ასეთი არაადამიანური მოპყრობის ყოველდღიურობა კოლას არწმუნებს, რომ ქვეყნად სამართალი არ არის და ყოველი «კაცი სხვა კაცის საუბედუროდ ცხოვრობს» (61, 456).

1. ამ მოთხრობის სხვადასხვა პასაჟი, რამდენადმე შეცვლილი სახით, შესულია ფართოდ ცნობილ ნაწარმოებებში – "გლახის ნაამბობსა" და "კაცია-ადამიანში".

კოლას შესძულდა სკოლაც და სწავლაც. საქმეს ისიც ართულებდა, რომ მას, პირველკლასელს, რუსული არ ესმოდა. ბიუროკრატ პედაგოგებს ლოგიკაც თავისებური ჰქონდათ. კოლას სისუსტეს სწავლაში ისინი უნიჭობით ხსნიდნენ, და არა უცხო ენაზე სწავლებითა და მასწავლებელთა გულგრილობით.

კოლას ხშირად აძევებდნენ კლასიდან გაკვეთილების მოუმზადებლობისათვის. იგი დაუკავშირდა საეჭვო ქცევის აღსაზრდელებს, მალე გადალახა ღირსების ჯერ კიდევ შემორჩენილი გრძნობა და მათთან ერთად უზნეო, დანაშაულებრივ ცხოვრებას ეწეოდა.

ასე გადააგვარა სასკოლო ცხოვრების ანტიპედაგოგიურმა ორგანიზაციამ ნიჭიერი ბავშვი, რომელიც, სხვა ვითარებაში, უთუოდ საზოგადოებისათვის საჭირო პიროვნება გახდებოდა.

ანალოგიურად აღგვიწერს იმ პერიოდის ოფიციალურ სკოლას აკაკი წერეთელი, რომელიც მოსწავლეობის წლებს „მტანჯავსა და გამაუკუღმართებელს" უწოდებს (50, 51).

აქაც ყველაფერი უკუღმა დგას: გასაგებად ახსნა-განმტკიცების ნაცვლად ბატონობს „კაჭკაჭური" ზეპირობა, ჰუმანურობის დამნერგავი მიდგომის ნაცვლად – აღზრდის სადისტური მეთოდიკა, რომელიც ზნეობრივად რყვნის ყმაწვილებს – ცემა (პასუხისას დაშვებული შეცდომის გამო), თმის აგლეჯა, ყურის ახევა ჩვეულებრივი ამბავია. იშვიათად გამოერევათ მოაზროვნე პედაგოგი (ვინც ზეპირობის ნაცვლად აზრის გაგება-გადმოცემას მოითხოვს და აღსაზრდელებთანაც გულთბილი ურთიერთობა აქვს). მაგრამ ისინი ამინდს ვერ

ქმნიან საერთო აუტანელ ატმოსფეროში. პირიქით, გარიყულნი აღმოჩნდებიან ხოლმე, როგორც უცნაური პიროვნებები.

არა მარტო საერთო აზრი და შეფასება, აკაკის სიტყვებიც კი თითქმის ზუსტად ემთხვევა არაადამიანური ბუნების აღმზრდელის ზემოთ მოყვანილ ილიასეულ დახასიათებას: „ეს ისეთი შეუბრალებელი ვინმე იყო, რომ ყმაწვილის გაროზგვას არა ერჩია რა", – წერს აკაკი გიმნაზიის ინსპექტორზე (50, 68).

ცხადია, ასეთი სკოლა და პედაგოგები ვერ გამოდგებოდნენ თერგდალეულთა დიდი მიზნების განხორციელებისათვის.

გიორგი წერეთლის ხატოვანი თქმით აღსაზრდელების „ტვინი ბუნების საწინააღმდეგო სწავლებით იყო შეწუხებული" (51, 329). მის განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევდა „უცნობს ენაზე პირველდაწყებითი მეცნიერების შესწავლა, «რაც მარტო ეროვნული თავმოყვარეობის შელახვა როდია უძველესი დამწერლობისა და მდიდარი ლიტერატურის მქონე ხალხისათვის, არამედ განვითარების შემაფერხებელ გავლენასაც ახდენს მოსწავლეებზე: „სადაც პეტერბურგის გიმნაზიაში კურსდამთავრებული სტუდენტები მეოთხედს საათს ანდომებდნენ, იქ ჩვენ 2-3 საათი უნდა გვეშრომა . . . " (51, 319).

თუ რამდენად არაადეკვატური იყო სწავლების მეთოდიკა და რამდენად უგულვებელყოფდა საქართველოს ინტერესებს სწავლების შინაარსი – კარგად ჩანს ცნობილი ქართველი მწერლის ვასილ ბარნოვის მოგონებიდან: „უმთავრესი რასაც ვერ შევგუებოდი, ის იყო, რომ მისვლისთანავე ე.წ. „ბუკვარი" გადამაშლევინეს და უთავბოლოდ მათუთიყუშებდნენ „ბრა-ბრი-ბრუ, გრა-გრი-გრუ, დრა-დრი-დრუ ...", და როდესაც მრავალი ქოჩრის ამოგლეჯისა და „როზგების" მიღების შემდეგ ანბანს მოვრჩი, პირდაპირ კითხვაზე და გრამატიკაზე გადამიყვანეს. ცოცხალი ენის ნაცვლად უნდა გვებრუნებინა, ვთქვათ, თუნდაც ეს „პრეჟნაია ზაბავა", „პრეჟნეი ზაბავი" თუ „პრეჟნოი ზაბავი»... რად ვზეპირობდით ყველა ამას, არ გვესმოდა, როგორც არა გვესმოდა რა თვითონ სიტყვების შინაარსისა, არც „პრეჟნისა" და არც „ზაბავისა" (23,24).

ვაჟა-ფშაველას მოგონება კიდევ ერთხელ ნათელყოფს ძველი სკოლის ჯოჯოხეთურ სინამდვილეს. საშობაოდ სოფელში დაბრუნებული ყმაწვილი ბედნიერია იმით, რომ კარგახანს ვეღარ გაიგონებს თავისი მტანჯველი პედაგოგების ხმას: „ჯერ ერთი, გადავრჩი ბერძნულის მასწავლებელს. ჯერ

ქართული ანაბანა არ ვიცოდი და ის კი მოგვიყვა ბერძნულს ენას, დაგვადგებოდა თავზე და გვაზეპირებდა: „ალფა, ბეტა, ღამა, დელტა” (17,41).

ძველ სკოლაში, როგორც ვხედავთ, ბერძნულიც ისწავლებოდა, ლათინურიც, რუსული – რაღა თქმა უნდა. უარყოფილი იყო მხოლოდ მშობლიური ქართული ენა, რაც განსაკუთრებით უმძიმებდა სწავლას ყველაზე ნიჭიერ მოსწავლეებსაც კი (როგორიც აქ მოყვანილ მოგონებათა ავტორები იყვნენ), რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვეულებრივ მოსწავლეებზე, მათ უმრავლესობაზე.

ქართველი სამოციანელების მიზანი სწორ პედაგოგიურ პრინციპებზე დამყარებული, ცხოვრებისეული და პატრიოტული მიმართულების სკოლის შექმნა იყო, რაც მხოლოდ ოცნებად შეიძლებოდა დარჩენილიყო ორი მიზეზის გამო: ბატონყმური ურთიერთობა გამორიცხავდა ფართო სასკოლო განათლებას, ისევე როგორც კოლონიური პოლიტიკა ვერასგზით ვერ შეეგუებოდა საკუთრივ ქართული პატრიოტიზმის გაღვივებას.

ილიასა და მის თანამოაზრეებს მდგომარეობის გამოუვალობისა და ოფიციალური სკოლის უვარგისობის შეგნება ფარ-ხმალს როდი აყრევინებს. გაივლის დრო და ისინი ჩამოაყალიბებენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისათვის, მოზარდი თაობის რეალური ცოდნით შეიარაღებისათვის სათანადო სკოლებს გახსნის. მანამდე კი დიდი ქართველი ერისკაცები, როგორც მათი ლიტერატურული შემოქმედება ცხადყოფს, ყურადღებას სასოებით მიაპყრობენ ქართულ სასულიერო წოდებას, მის საუკეთესო წარმომადგენლებს, რომლებსაც საქართველოს ისტორიაშიაც დიდი როლი ჰქონდათ შესრულებული და აქტუალური ამოცანების გადაწყვეტაშიც არანაკლები წვლილის შეტანა შეეძლოთ.

## §2. მოძღვრის სახე ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

როგორც ზემოთ ითქვა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებისაგან ძალზე შორს იდგა სკოლა, როცა ილია და მისი თანამოაზრენი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მათ შემოქმედებაში ფართო ადგილი დაიკავა მოძღვრის სახემ, რომელიც არა მარტო ახალგაზრდობის, – მთელი საზოგადოების კეთილი დამრიგებელი, ეროვნულობის დამცველი და მაღალი ზნეობის მქადაგებელია. აუცილებელია ისიც აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც პროგრესულმა ქართველმა ინტელიგენციამ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ჩამოაყალიბა და საკმაოდ გაიხსნა ეროვნული საერო სკოლები, სამღვდელოება კვლავაც უდიდეს როლს ასრულებდა როგორც ამ სკოლებთან თანამშრომლობით, ისე სამრევლო სკოლების ქსელის განუხრელი გაფართოებით.

პირველ რიგში განვიხილოთ მოძღვრის სახე ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, კერძოდ კი – «გლახის ნაამბობში». ნაწარმოები 1859 წელს, ე.ი. ბატონყმობის გაუქმებამდეა დაწერილი, ამასთან, 22 წლის ახალგაზრდის მიერ და გვაოცებს როგორც სიბრძნით, აზროვნების მასშტაბურობით, ისე შემოქმედებითი ოსტატობის მაღალი დონით.

«გლახის ნაამბობის» მთელი პათოსი ბატონყმობის ინსტიტუტის წინააღმდეგ არის მიმართული. თავადის ვაჟი დათიკო და ყმა გლეხის შვილი გაბრიელი ერთად იზრდებოდნენ და განუყრელ მეგობრებად იქცნენ, თუმცა გაბრიელს ყოველთვის ახსოვს, რომ დათიკოს ყმა და მსახურია, არ ავიწყდება აქედან გამომდინარე მოვალეობები.

როცა დათიკო ქალაქს გაგზავნეს სასწავლად, გაბრიელიც თან გააყოლეს, როგორც მეგობარი და მსახური. ორივე კმაყოფილია, თუმცა მათი ურთიერთობა თანასწორთა ურთიერთობა არ არის: ყმა უზადოდ ასრულებს მოვალეობებს თავადი მეგობრის წინაშე, თავადი კი აფასებს მის ერთგულებასა და პიროვნულ თვისებებს. მათ თითქოს უკონფლიქტოდ უნდა გაევლოთ წუთისოფელი, მაგრამ თავადმა თვალი დაადგა გლეხის გოგოს თამროს, და მას შემდეგაც არ

შეუწყვეტია მის დამორჩილებაზე ფიქრი, როცა შეიტყო, რომ იგი გაბრიელის საცოლე იყო. დათიკოზე არ ჭრის გაბრიელის ხვეწნა-მუდარა. იგი მუხანათური გეგმით აისრულებს სურვილს, რის შედეგადაც იღუპება ყველა – თავად დათიკოც, მისი უერთგულესი (ერთ დროს) ყმა გაბრიელიც, პეპიაც და თამროც (რომელიც დამარხულად თვლის წინანდელ თამროს, რაკი «ავლაბრის უნამუსო» გამხდარა).

მოთხრობა ცხადყოფს, რომ ბატონყმობა არა მარტო ყმა გლეხთათვის არის უბედურება, არამედ მებატონეთა გადაგვარებისა და დანაშაულებრივ გზაზე დადგომის მიზეზიც შეიძლება გახდეს.

ასეთია ნაწარმოების ქარგა. მღვდელი (მოძღვარი) თითქოს შემთხვევით შემოვა პერსონაჟების, უფრო – გაბრიელის ცხოვრებაში, როცა იგი დათიკოსთან ერთად ქალაქში იმყოფება.

პირველი, რაც ერთბაშად იქცევს ყურადღებას ახალგაზრდა მღვდლის საქმიანობაში, არის უანგარო ზრუნვა წერა-კითხვის გავრცელებაზე. იგი თავად ეძებს ყმაწვილებს, არწმუნებს მათ სწავლის დიდ სიკეთეში და სრულიად უსასყიდლოდ და საკმაოდ წარმატებით ასწავლის კითხვასა და წერას, აწვდის პირველდაწყებით ცოდნას. თან ავალებს, თავადაც ვინმეს შეასწავლონ «წიგნი». ერთ-ერთი მშობელი შვილს აღარ უშვებს მღვდლის სკოლაში – რადგან სწავლა გლეხკაცის საქმედ არ მიაჩნია. მღვდელი ტაქტიანად უხსნის მას, რომ ისიც ცოდნაა, რის საფუძველზეც მას სარჩო-საბადებელი მოჰყავს, და რომ არაფრის მცოდნე კაცი არაფრად გამოსადეგი არ არის, რომ წიგნი სხვა არაფერია, თუ არა სხვადასხვა სფეროში დაგროვილი გამოცდილების, ცოდნის ასახვა. მღვდელი არწმუნებს გლეხკაცს და იქ მყოფ საზოგადოებასაც, რომ ცოდნის დანიშნულება სწორედ მძიმე შრომის შემსუბუქება და მისი ნაყოფიერების ამაღლებაა. გლეხს თითქოს თვალი აეხილა, – შვილის ცოდვაში ვდგებოდიო, – ჩაილაპარაკა მოძღვრისადმი პატივისცემით აღვსილმა (62, 382).

მღვდელი ყოველნაირად ცდილობს გააფართოოს შეგირდთა კონტინგენტი, ახალი მოსწავლის გამოჩენა მისთვის სიხარულია, რადგან იცის, რომ ამით ერის კეთილდღეობას ემსახურება, ხოლო ღირებული საერო საქმის აღსრულება, ქვეყნის სასიკეთოდ გარჯა მისთვის იგივე ღვთისმსახურებაა.

თუ როგორ ასწავლიდა მოძღვარი, როგორი იყო მისი მეთოდიკა, გაბრიელი შემდეგნაირად აღგვიწერს: «დერეფანში ერთი უბრალო ტახტი იდგა, ზედ ისხდნენ შვიდიოდე პატარა ბიჭები. შუაში თავმოხდილი იჯდა ჩვენი მღვდელი. ზოგს აწერინებდა, ზოგს აკითხებდა...» სასწავლო მუშაობის ასეთი სხვადასხვაობა შუასაუკუნეობრივი (საეკლესიო, სამონასტრო) სკოლებისათვის იყო დამახასიათებელი, სადაც სხვადასხვა დროს მოდიოდნენ (იწყებდნენ სწავლას) შეგირდები, რაც შეუძლებელს ხდიდა მათ ერთობლივ (ერთსა და იმავე საკითხზე) მუშაობას. სამაგიეროდ, მოძღვარს ისეთი დიდაქტიკური ელემენტებიც აქვს, რომლებიც დღესაც სასურველად ითვლება. მხედველობაში გვაქვს ინდივიდუალური მიდგომა: გაბრიელმა დიდი მონდომება და ნიჭი გამოიჩინა: «სამ-ოთხ თვეზედ არამც თუ წიგნის კითხვა შემეძლო, ლოცვებიც გავიზეპირე. მოძღვარმა სხვა შეგირდებს დამაშორა. მიბრძანა: შენ, ჩემო გაბრიელ, შევარდენი ყოფილხარ. მე და შენ უნდა ცალკე ვიაროთ. სხვა შეგირდები ტაატით მიდიან, შენ კი მირბი. ამას იქით ისინი დილაობით ივლიან, და შენ კი საღამოობით მოდი ხოლმე. მოდი, მივუჯდეთ წიგნსა, შენ მე წამახალისე, მე კიდევ შენ წაგახალისებ» (62, 300). აქ მღვდელი დამატებით შრომას კისრულობს, როცა საღამოს ცალკე იბარებს წარჩინებულ აღსაზრდელს, რადგან მისთვის მთავარია არ შენელდეს ძლიერი მოსწავლის განვითარების ტემპი. ამგვარ ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს თანამედროვე დიდაქტიკაც. გარდა ამისა აქ თანამშრომლობის პედაგოგიკის საწყისებსაც ვხედავთ. მღვდელი აპირებს ფართოდ (სუბიექტის დონეზე) ჩართოს სწავლების პროცესში ეს შეგირდი. «შენ მე წამახალისე, მე კიდევ შენ წაგახალისებო».

გვერდს ვერ ავუვლით ერთ საყურადღებო მომენტს, რომელიც ახალგაზრდა მღვდლის სწორ მეთოდიკურ ალღოზე მეტყველებს. მოძღვარი სასულიერო ტექსტებთან ერთად ფართოდ იყენებს «ვეფხისტყაოსანს». მაგრამ მის შესწავლას შესავლის გარეშე, უშუალოდ როსტევან მეფის ამბიდან აწყებინებს. ასეთი მიდგომა სწორად მიგვაჩნია. შესავალი იმდენად ღრმა და მრავალმხრივია, რომ მისი შესწავლა, ჩვენი აზრით, მართლაც უმჯობესია პოემის შინაარსის კარგად დაუფლების შემდეგ. ამგვარი მეთოდიკური ხერხი დღევანდელი მასწავლებლებისათვისაც გასათვალისწინებელია.

რაც შეეხება სწავლების სულისკვეთებას, იგი უაღრესად ეროვნულია და საქართველოს ახალი აღორძინების ნატვრითაა გაჯერებული. ამაზე, ბევრ სხვა მონაცემთან ერთად, ნათლად მეტყველებს მოძღვრის მიერ თამარ მეფის ღვაწლის შეფასება: «თუ წელში გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა, ეგ იმის მეფობის დროს გაიმართა; მზეს თუ როდისმე საქართველო გაუნათებია და გაუთბია – იმის დროს ყოფილა; სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია, გულსა სიმტკიცე, მკლავსა სიმაგრე – ეგ დალოცვილის მეფის თამარის დედობის დროს მომხდარა!.. დრო ყოფილა, ჩემო ძმაო (ეუბნება მოძღვარი გაბრიელს – თ.მ.), ქართველობით თავი მოგვიწონებია... დედაკაცი იყო, კურთხეულ არს სახელი მისი, და დედაბოძად კი შეექმნა ჩვენს ქვეყანასა» (62, 394). მოძღვრის ოცნებაც სწორედ ასეთი საქართველოა, როცა სიტყვასაც (მეცნიერებას, ლიტერატურას) ძალა ექნება და მკლავსაც – დარბევა-აწიოკებას ვეღარ ბედავს მტერი.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოძღვრის შეგირდები საზოგადოების უდაბლესი ფენის წარმომადგენლები არიან (ყმა გლეხის შვილები, ვაჭართა მოჯამაგირეები, მსახურები), რომლებსაც სხვაგან არსად შეუძლიათ სწავლა – უუფლებობისა და უსახსრობის გამო. სწორედ ასეთ ახალგაზრდებს ეძებს და ასწავლის ილიას მოძღვარი.

ყველა მოსწავლე გაბრიელივით უნარიანი და მონდომებული როდია. მღვდელს საკმაო ძალისხმევა სჭირდება არა მარტო ნაკლებ შეგნებული მშობლების, არამედ მოზარდთა დასარწმუნებლადაც, რომ ცოდნა დიდი სიმდიდრეა და სწავლა აუცილებელია. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მოძღვრის ფუნქცია გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე დოგმატიკური ოფიციალური სკოლის კედლებში გამომწყვდეული მასწავლებლისა, რომელსაც გარე სამყარო საერთოდ არ აინტერესებს. ილიას მოძღვარი ბევრ რამეს ასწავლის საზოგადოებას (თავის მრევლს), შველის მას სწორი ნაბიჯების გადადგმაში, სიბრძნით სავსეა მისი რჩევა-დარიგებები, ხალხისადმი გულშემატკივრობით ხასიათდება მისი საუბრებიც და საქმეებიც.

გარდა ამ კეთილი ნებისა, რომელიც უღარიბესთა განათლებაზე ზრუნვით გამოიხატა, ყურადღებას იპყრობს მოძღვრის ურთიერთობა აღსაზრდელებთან. ოფიციალური სკოლის პედაგოგთა აბსოლუტური უმრავლესობა, როგორც ვნახეთ, უკიდურესად ავტორიტარული სტილის მატარებელია, ჩვეულებად

ქცევიათ აღსაზრდელთა ფიზიკური დასჯა, რაც ბევრ მათგანს სიამოვნებასაც კი გვრის. «გლახის ნაამბობის» ახალგაზრდა მღვდელი ამ მხრივაც განსხვავდება მათგან, მას მეგობრული, მეტიც – მამაშვილური დამოკიდებულება აქვს აღსაზრდელებთან, რასაც დღევანდელი ტერმინოლოგიით, თამამად შეიძლება ეწოდოს ურთიერთობის ჰუმანურ-დემოკრატიული სტილი. გლახუკას (სომხის მოჯამაგირე, რომელიც გაბრიელს უანგარო ოსტატის შოვნას პირდება), დიდი ხნის უნახავს, ასე ხვდება : «გლახუკას გაუმარჯოს, ჩემს გლახუკას! რასა იქ, როგორა ხარ?.. სადა ხარ, რომ აღარა სჩანდი? ერთხელ მაინც როგორ არ მინახულე, ბიჭო?» როცა მღვდელი შეიტყობს, რომ გლახუკა «აღას ახლდა კახეთში» და არც აქ, თბილისში, აქვს მოცლა, ასე ეტყვის: – ეგა სჯობია ჩემს ნახვასა, ჩემო გლახუკავ! შენს საქმეზედ იყავ ბეჯითი, გულმოდგინე, ერთგული, რომ ღმერთიც მადლობელი იყოს და კაციც» (62, 383-384).

რა თქმა უნდა, ისევე, როგორც ყველა აღსაზრდელთან, მას გაბრიელთანაც გულთბილი ურთიერთობა აქვს.

მოძღვარს მთელ საზოგადოებასთან ასეთი ურთიერთობა აქვს – კეთილმოსურნეობითა და მომთხოვნელობით აღსავსე. ხალხსაც მისი ნდობა და იმედი აქვს. დამახასიათებელია შემდეგი ეპიზოდი: წირვა გამოვიდა. ხალხი საყდრის მახლობლად შეჯგუფდა. «მღვდელი შუაში იდგა, ხალხი ბუზსავით ირეოდა მის გარშემო, ზოგს იგი ელაპარაკებოდა, ზოგიც დაუზარებლად პასუხს აძლევდა, ზოგი გაეხუმრებოდა, ზოგს თითონაც გაუხუმრებდა, და მაშინ უნდა გენახათ გულიანი ხარხარი ერისა.ზოგი კიდევ სულგანაბული შესცქეროდა, თითქოს დაჯერებულიაო, იმის პირიდამ ოქრო გადმოვარდება, და შიშობს, ხელიდამ არ წამივიდესო. ბევრი სიკეთე უნდა დაეთესოს კაცსა, რომელსაც ეგრე სიყვარულით გარს არტყია ხალხი» (62, 398).

კეთილგანწყობით, ლმობიერებითა და შინაგანი სიმტკიცით სავსეა ზემოთ მოყვანილი საუბარი მამა-შვილთან ცოდნისა და სწავლის საჭიროებაზე.

თავისი მრევლის, მთელი საზოგადოების ავტორიტეტულ დამრიგებლად და მზრუნველ პატრონად წარმოგვიდგება მოძღვარი მომდევნო ეპიზოდში: ორ ძმას, უკმაყოფილება აქვთ ერთმანეთში. მღვდელი: «– ზაქარიავ! არა გრცხვენიან, კაცო, რომ ძმასთან ვერ მოთავსებულხარ, ძმასთან! ვინც შეიტყობს, რას იტყვის? სირცხვილია, სირცხვილი! თავზედ ერთი ბეწვიც აღარ გაქვს შავი და მაგისთანა

საქმეებს კი სჩადი». ზაქარიამ თავის მართლება სცადა. «– ნუ სცრუობ მაგ-დროული კაცი, ცოდვაა! დღეს არ გეუბნებოდით საყდარში, რომ ქრისტე-ღმერთმა მტრის სიყვარულიც ბრძანა, და შენ კი, მტერი კი არა, ღვიძლი ძმა ამოგიძულებია... ორივ მტყუანები ხართ ღმერთთანაც და კაცთანაც... ამ ხალხთან გეუბნებით შენცა და შენს ძმასაცა! თუ ერთიერთმანეთის პატივი არ გექნებათ, საყდარში აღარ შემოგიშვებთ» (62, 389).

საზოგადოების ყველა წევრისადმი უბრალო, ჰუმანური დამოკიდებულებით მოძღვარი მშვიდობიანი განწყობილების, ნდობის ატმოსფეროს ამკვიდრებს და ახალგაზრდობის მიუხედავად, წინამძღოლად, მზრუნველ მამად აღიქვება მრევლში.

მასწავლებლის, მოძღვრის საქმიანობაში, პირველ რიგში, სასწავლო პროცესის აგებისა და მოსწავლეებთან ურთიერთობის თავისებურებები გვაინტერესებს. ამ თვალსაზრისით, როგორც ვხედავთ, ნაყოფიერ მასალას შეიცავს «გლახის ნაამბობი». გარდა ამისა იგი საინტერესოა მსოფლმხედველობრივი ელემენტებითაც, რომლებიც მოძღვრის მაღალ ზნეობას, უსაზღვრო თავმდაბლობას, მთელ მის საქმიანობას განსაზღვრავს. მოძღვარი პირნათლად, გულწრფელად ასრულებს სასულიერო მოღვაწის მოვალეობებს, მღვდელის ყველა ფუნქციას. ამასთან განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ერთმანეთს ასკეტურად არ უპირისპირებს სააქაო და საიქიო ცხოვრებას, მისი ფიქრი და მოღვაწეობა ამქვეყნიურ საქმეთა უკეთ მოგვარებაზეა ორიენტირებული, ადამიანთა მდგომარეობის შემსუბუქებას, მათში განათლების, კულტურის, კაცთმოყვარეობის, ნდობის, მიტევებისა და დახმარებისათვის მზადყოფნის დანერგვას ემსახურება. ნიშანდობლივია, რომ მღვდელს «ვეფხისტყაოსანი» სიბრძნის უშრეტ წყაროდ მიაჩნია, ხშირად იმოწმებს რუსთაველის აფორიზმებს. როდესაც გაბრიელი სწავლაში დაწინაურდა, მღვდელი სწორედ «ვეფხიტყაოსნით» ასაჩუქრებს: «აი, ძმაო, ეს წიგნი არის ქართველების გულის საუნჯე, რაც კი რამ გვაქვს ჩვენს ენაზედ, ამას ჯერ არა სჯობია-რა.

– საღმრთოა? – შეეკითხა გაბრიელი.

– ყველაფერი საღმრთოა, ჩემო ძმაო, რაც კაცის გულს გაუთბია, თვითონ დამწვარა სანთელსავით, და სხვისთვის კი გაუნათებია», (62, 391). – მრავლის მთქმელია მოძღვრის პასუხი. იგი «ვეფხისტყაოსანს» საღვთო თხზულებად

თვლის მასში გამჟღავნებული  წრფელი და ამაღლებული გრძნობების გამო, იმის გამო, რომ აქ მოყვასის სიყვარული, მეგობრისთვის თავდადება, ადამიანური მოვალეობის პირნათლად მოხდაა ნადიდები.

როცა «ვეფხისტყაოსნის» შესწავლისას მიადგებიან სტროფს:

«უნდა კაცი კაცისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად»...

მოძღვარი იტყვის: «–საღმრთო არ არის? მაშ რა არის? ქრისტე ღმერთმაც ეგ არ გვიბრძანა?» ადამიანთა ურთიერთსიყვარულში, დანდობაში, ჭირვარამისა და სიხარულის გაზიარებაში ხედავს იგი ღვთაებრივის გამოვლინებას, და სწორედ ამ მიმართულებით ავითარებს თავისი შეგირდების გულსა და ცნობიერებას. ოფიციალური სკოლის მიზანთროპმა პედაგოგებმა კი საპირისპიროში დაარწმუნეს კოლა: ერთი ადამიანი მეორის საუბედუროდ ცხოვრობსო ...

ასევე ღვთაებრივია, მოძღვრის სწორი გაგებით, აფორიზმი – «რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია». უნდა გასცე სითბო და მოიმკი დაფასებასა და სიყვარულს, უნდა დაეხმარო, რითაც შეგიძლია, გაჭირვებულს, და ასმაგად დაგიმადლებს სოფელი, შენი კეთილი სახელი თაობებს გადაეცემა – ასე უხსნის მოძღვარი ამ სტრიქონების აზრს გაბრიელს, და ისევ და ისევ არწმუნებს როგორც კეთილი განზრახვებისა და საქმეების, ისე «ვეფხისტყაოსნის» ღვთაებრიობაში. მოძღვრისთვის ეს აზრები ლიტონი სიტყვები როდია. ეს მისი ცხოვრების კანონია, და ამასვე – ადამიანის სიბრალულს, პატივისცემას, სიყვარულს – მოითხოვს სხვებისგანაც.

«როცა ადამიანს პირს არიდებ, – ამბობს მოძღვარი, – ვითომ ქრისტე-ღმერთისთვის მოგირიდებია პირი. იესომ ბრძანა, განკითხვის დღეს გეტყვითო მწყურვალი ვიყავ – არ მასვით, მშიერი ვიყავ – არ მაჭამეთ, შიშველი ვიყავ – არ ჩამაცვით, სნეული ვიყავ – არ მომიარეთ... როცა მეტყვიან: უფალო, სადა გნახეთ, რომ არ გიშველეთო, მე ვეტყვი: ყოველი გაჭირვებული კაცი, თქვენგან არგაკითხული, მე ვიყავიო. ასეა, ძმაო! სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა, აი, ხიდი ცხონებისა, აი, გასაღები სამოთხისა».

ამასთან მოძღვარს გულწრფელად სჯერა, რომ სიკეთეს ადამიანი სახელისათვის არ უნდა ჩადიოდეს. სიკეთის ქმნა წმინდა გულით უნდა იყოს ნაკარნახევი, სახელი კი ამას თავისთავად მოსდევს.

მსოფლმხედველობის ცნება სოციალურ შეხედულებებსაც მოიცავს. მოძღვარი ადამიანების თანაწორობას ცნობს და მისთვის მიუღებელია ბატონყმობის ინსტიტუტი, ერთი ადამიანის მონური მორჩილება მეორისადმი, იდეალი კი პიროვნული თავისუფლებაა.

ბატონყმობის საწინააღმდეგო განწყობილება მოძღვარმა გაბრიელთან პირველი შეხვედრისთანავე გამოამჟღავნა, გაბრიელის სიტყვებზე – ყმა გახლავარო, «ღვდელმა უგემურად გაიქნია თავი» (62, 385).

როცა ავთანდილისა და შერმადინის მეგობრობით აღტაცებული გაბრიელი ნატვრით იტყვის: «ვენაცვალე შენს დამწერსა! აი, ბატონ-ყმობა თუ იყოს, ამისთანა!» – მოძღვრის რეაქცია ასეთია: «მართალი ხარ, უარესს ეგა სჯობია... იმას კი არა შეედრება-რა, როცა ცა ქუდად გაქვს და დედამიწა ქალამნადა! (62, 404). ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ბატონყმობის საწინააღმდეგო პოზიცია.

ბატონყმობისადმი აშკარად უარყოფითი განწყობა ხელს არ უშლის მოძღვარს ჩვეულებრივი, გულთბილი დამოკიდებულება გამოიჩინოს თავადიშვილის, დათიკოს მიმართ. როცა შეიტყობს, რომ მამის გარდაცვალების გამო მას გადაწყვეტილი აქვს სწავლის მიტოვება და თავის მამულში დაბრუნება, მღვდელი მიდის მასთან და ცდილობს დაარწმუნოს, რომ გიმნაზიაში სწავლის ბოლომდე მიყვანა აუცილებელია – საზოგადოებისა და პირადად მისი კეთილდღეობისათვის «ვერა გავაწყე-რა... ღმერთმა სიკეთის შეძლება მისცეს», – სინანულით ამბობს იგი (62, 407).

მოძღვარი ბატონყმობის წინააღმდეგია, მაგრამ ყმებს (გაბრიელს, რაჭველ გლახუკას, რომელიც სომეხ «აღასთან» დგას მოჯამაგირედ და სხვ.) დაუმორჩილებლობისაკენ როდი მოუწოდებს. პირიქით, არაერთგზის აფრთხილებს მათ, რომ სწავლა (მასთან სკოლაში სიარული) ისე შეუხამონ თავიანთ მოვალეობებს, რომ პატრონის უკმაყოფილება არ გამოიწვიონ (რაც ლუკმაპურის დაკარგვის ტოლფასი იყო მათთვის).

მოძღვრის ასეთი პოზიცია სავსებით ემთხვევა თერგდალეულთა მიზნებს, რომელთაც გასაწირავად (სალიკვიდაციოდ) არცერთი ფენა არ ემეტებოდათ, უარყოფდნენ სოციალური გარდაქმნების რევოლუციურ გზას და «ჩატეხილი ხიდის» გამრთელების თანმიმდევრულად გატარებული რეფორმებით ფიქრობდნენ.

ასეთია «გლახის ნაამბობის» მოძღვრის მსოფლმხედველობა: ამ ქვეყნისათვის, საზოგადოებისათვის სასიკეთო საქმეები ღვთაებრივი მნიშვნელობისაა, სამოთხის გზა ადამიანთა სიყვარულზე, თანადგომაზე, გაჭირვებულის შველაზე გადის, ღვთის შექმნილი ადამიანები თანასწორნი არიან და ერთის ბატონობა მეორეზე გაუმართლებელია.

ამგვარი მსოფლმხედველობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მოძღვრის **ზნეობას**. იგი ადამიანთა თანასწორობას მხოლოდ სიტყვიერად როდი სცნობს, მისი სიტყვა და საქმე ერთია. მიუხედავად იმისა, რომ თავადაც ხელმოკლედ ცხოვრობს, შეგირდებისაგან, რომლებსაც გაჭირვებულ ფენებში ეძებს, არასოდეს იღებს გასამრჯელოს. ხოლო თუ მოწაფე დავალებულად გრძნობს თავს, მღვდელი ამშვიდებს: შენც ვინმეს, შენსავით კარგ ყმაწვილს ასწავლე წერა-კითხვა, და ვალსაც ამით მოიშორებო. დამახასიათებელია ასეთი ეპიზოდი: როცა გლახუკამ სომეხი «აღასაგან» ჯამაგირი მიიღო, ორი მანეთი მღვდელს მიუტანა მადლიერების ნიშნად. მან კი ასე უთხრა: «შენთვის შეინახე, თუ მეტია შენთვის, იმას მიეცი, ვინც მე და შენზედ უფრო ღარიბია, მაგას უფრო მოგიწონებს ღმერთი. აგერ, ამ თქვენი ქუჩის ბოლოს, ერთი ღარიბი სახლობა არის, პურის შოვნის ილაჯი არა აქვთ. მე და შენ კი ყოველდღე მაძღრები ვართ»...

გლახუკა მართლაც ასე იქცევა.

მღვდელი გულთბილად ხვდება მოხუც ხელმოკლე მანდილოსანს, რომელიც დავრდომილ მეუღლესთან ერთად მეზობლად ცხოვრობს, დედას სთხოვს ისევ გაატანოს ავადმყოფისთვის წამლები. როცა ძალიან გაუჭირდა ამ ოჯახს, წელიწადნახევარს, თურმე, მოძღვარი ინახავდა. მღვდელი ამაზე დუმდა, რადგან კეთილ საქმეს მადლს უკარგავს თავის გამოჩენა, და გაბრიელმაც შემთხვევით შეიტყო მისი ფარული ქველმოქმედების შესახებ.

მოძღვარი ლაპარაკობს კაიკაცობით მოპოვებული ლუკმის სიტკბოებაზე, რაშიც, პირველ რიგში, ცხადია, შრომით შემოსავალს გულისხმობს. ბატონყმობის პირობებში, როცა საზოგადოების ზედა ფენა შრომას სათაკილო საქმედ მიიჩნევდა და მშრომელ გლეხსაც თავს არ უყადრებდა, «გლახის ნაამბობის» მღვდელი გულწრფელად, როგორც თავის სწორებს, ისე ესაუბრებოდა უბრალო ხალხს. მოძღვარი ათამამებს, ღირსების გრძნობას უღვივებს თავის შეგირდებს, რომლებსაც, სოციალური მდგომარეობის გამო, ბევრი ამცირებდა. როცა მან წერა-

კითხვის სწავლება აღუთქვა გაბრიელს, გახარებულმა მორცხვად დახარა თავი. ამაზე მოძღვარი ეუბნება: «თავი რად ჩაღუნე? მარტო პირუტყვი იყურება დაბლა, კაცმა კი ცას უნდა უყუროს, თითქო ჩემი შეგრცხვაო... აბა შემომხედე, მეც შენისთანა კაცი ვარ» (62, 385). გამამხნევებელია მოძღვრის ოპტიმისტური ფრაზაც: «ვინ იცის, ძმაო, ხვალ ბედი რომ გადატრიალდება, ვინ წინ მოექცევა და ვინ უკან... რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და კაციცა» (62, 382).

მოძღვარი მთელი თავისი ცხოვრებით ასახიერებს ღვთაებრივ მცნებას – მოყვასის სიყვარულს, რუსთაველის მოწოდებას – «თავი ჭირსა არ დამრიდად». ეს ყველაზე ნათლად გამოჩნდა, როცა ადიდებულ მტკვარში დაუფიქრებლად გადაეშვა და წყალწაღებული გადაარჩინა. გაბრიელის საყვედურს – რომ რამე მოგსვლოდა, დედას ვის უტოვებდიო, პასუხობს: «სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა» (62, 402). ეს სიტყვები სავსებით ემთხვევა ილიას პლეადის შეხედულებას ადამიანის მოვალეობაზე, მის ამქვეყნიურ დანიშნულებაზე.

ამგვარად, მოძღვარი ილიას «გლახის ნაამბობში» უანგაროდ ავრცელებს წერა-კითხვას საზოგადოების უღარიბეს ფენებში. აქვს საღი პედაგოგიური ალღო, რაც მას სწორ მეთოდიკურ გადაწყვეტილებებსა და მოსწავლეებთან ჰუმანურ ურთიერთობას კარნახობს. მღვდლის პედაგოგიური მოღვაწეობა, აღსავსე კაცთმოყვარეობითა და სამშობლოს აღორძინების ოცნებით, რადიკალურად განსხვავდება ოფიციალური (რუსული) სკოლების მასწავლებელთა საქმიანობისაგან. მღვდელი ადამიანთა სიყვარულს, მეგობრობას, თანადგომას ქადაგებს, სკოლაში კი საპირისპიროს გარდაუვალობაში რწმუნდებიან აღსაზრდელები. მოძღვრის ფუნქცია ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე «პედაგოგისა», იგი მთელი საზოგადოების კეთილი მრჩეველი, მისთვის თავდადებული მოღვაწეა, რომელიც ამქვეყნიურ მოვალეობათა ღირსეულ აღსრულებაში ღვთისათვის სათნო ქცევას ხედავს. მოძღვრის პროგრესული პოზიცია ჩანს შემდეგში: მას ღვთაებრივ თხზულებად მიაჩნია ქართველთა საამაყო წიგნი – «ვეფხისტყაოსანი», და მთელი არსებით წინააღმდეგია ადამიანთა უთანასწორობის – ბატონყმური ურთიერთობისა.

ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო ძეგლია ილიას პოემა «განდეგილი». მასზე განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას ილიას მემკვიდრეობის მკვლევარი ლიტერატურათმცოდნეები, მით უმეტეს – მოძღვრის პრობლემით დაინტერესებული ავტორები, რამდენადაც აქ დგას მარად აქტუალური საკითხი ცოდვებით დამძიმებულ სამყაროში სიცოცხლის უცოდველად გატარების გზის ძიებისა. პოემა მიმზიდველი, საინტერესო შინაარსით ხასიათდება, ამასთან შინაარსი მოწოდებულია ადეკვატური ფორმით, ამაღელვებელი მხატვრული თხრობით, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია მკითხველის ყურადღების მისაჯაჭვავად, ავტორი თავის პოზიციას მზამზარეულად როდი გვთავაზობს, არამედ თანდათან მივყავართ ღვთაებრივისა და ამქვეყნიურის ურთიერთობის მისეულ გაგებამდე.

მოქმედება ვითარდება ბეთლემის მონასტერში, რომელიც მაღალ მთებში, ყინულოვან კლდეებში გამოუკვეთავთ ოდესღაც წმინდა მამებს. დამაარსებლების გარდაცვალების შემდეგ უკაცური გამხდარა, მაგრამ ერში არ გამქრალა მათი ხსოვნა და მოწიწება ამ წმინდა ადგილებისადმი:

«და ის ადგილი, ის არემარე ესოდენ წმინდად სწამს დღესაც ერსა,

რომ ნასროლ ნადირს, მუნ შეფარებულს, მონადირეც კი ვერ ახლებს ხელსა» (62, 175).

გადის ხანი, ბეთლემის მიუვალ ტაძარს ისევ

«მეუდაბნოე შეჰკედლებია,

საიქიოსთვის ეს სააქაო დაუთმია და განშორებია,

განშორებია, ვით ცოდვის სადგურს, ვით სამეუფოს ბოროტისასა,

სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს განსაცდელსა მას ეშმაკისასა».

ბერს დაუგდია ქვეყანა,

«სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია, სადაც ძმა ჰხარობს სისხლსა ძმისასა,

სად ცილი, ზაკვა ძულებადა ჰხდის წმინდა სიყვარულს მოყვასისასა» (62, 175).

ასე წარმოუდგება მეუდაბნოეს ქვეყანა, რეალური სამყარო, და ამაში მას არც ილია ეკამათება, – აქ ჩამოთვლილი მანკიერებანი, სამწუხაროდ, ფართოდ არის გავრცელებული ადამიანთა შორის და სხვადასხვა სიტუაციაში მეტ-ნაკლები სიმძაფრით იჩენს თავს. ილიამ თავისი პირითაც, უშუალოდ აღნიშნა არაერთი

ჩვენი ნაკლოვანება («რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით», «ბედნიერი ერი» და სხვ.) რომელთაგან ბევრი არა მარტო ნაკლოვანებაა, მძიმე ცოდვაც არის. მეუდაბნოეს გადაუწყვეტია შეურყვნელი სულით წარსდგეს უფლის წინაშე, ამიტომაც დაუთმია ყველა ამქვეყნიური სიამე, რომლებიც ხშირად არის გადახლართული უღირს ზრახვებთან და საქმეებთან.

«განდეგილა და ამ ყინულებში სულ მარტოდ-მარტო დაყუდებულა,

და გვამი მისი ცოდვილთ ფიქრთაგან იმ დღიდმან აღარ შეძრწუნებულა.

განუდევნია გულიდამ ყველა მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი,

რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა სულით განწმენდილ და განბანილი. (62, 176).

ბერი ლოცულობს, ცრემლით ალტობს წმინდა წიგნებს, მარხულობს, ხორცით დასუსტებულია, მაგრამ სულიერად ამაღლებულა. მიწიერი წადილი და მისი მიღწევის მოლოდინი მას არ აღელვებს, შეუგნია ყოველივე ამქვეყნიურის ამაოება და მათზე მაღლა დამდგარა. ღმერთსაც შეუწყნარებია მისი ლოცვა და ვედრება: როცა ბერი ლოცულობს, წმინდა წერილს კითხულობს, სენაკში შემოჭრილი მზის სხივი თავისთავად იჭერს წიგნს!

ასე იხსნა ღრმად მორწმუნე ბერმა თავისი სული, მაგრამ მოულოდნელი შემთხვევა მთლიანად შეცვლის მის მდგომარეობას.

საღამოს ნეტარი ბერი ბუნების მშვენიერებით ტკბებოდა. მოულოდნელად შეიყარა ღრუბლები და საშინლად გაავდრდა:

«თითქოს ღმერთი სჯის ქვეყანას ცოდვილს დღეს მას საშინელს განკითხვისასა.

ამ დროს ის მწირი სენაკში იყო, ცრემლით ალტობდა ღვთისმშობლის ხატსა,

და ხელაპყრობით ევედრებოდა წაწყმედისაგან ქვეყნისა ხსნასა».

ბერს ადამიანის ხმა ჩაესმის, რომელიც თავშესაფარს ითხოვდა. მან მიიღო სტუმარი, რომელიც მშვენიერი ახალგაზრდა მწემსი ქალი აღმოჩნდა:

«ნაზად, ამაყად ცეცხლის პირს იჯდა, ვით მინდვრის შველი ყელმოღერებით.

ეშხისა მფრქვევსა მის შავსა  თვალებს თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა,

მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი, ვითა ძლეული, უკუ-ჰკრთებოდა» (62, 181).

როცა ბერი მასთან საუბარში თავს «ერთს დავიწყებულს და განდეგილს მწირს» უწოდებს, ქალი გაკვირვებული იტყვის:

– «განა ქვეყნადა შენ არავინ გყავს, ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?» – ბერი პასუხობს: – «მყვანდნენ და ყველას გამოვეთხოვე, აქ მოველ და ღმერთს შევწირე თავი».

– «მოშორდი და აქ სულ მარტოკა ხარ?» – «ეგეთი არის, სჩანს, ნება ღვთისა» ...

– «როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში უნდა ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?

განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?.

ან შენ როგორ ძლებ უწუთისოფლოდ, მერე იცი კი რარიგ ტკბილია,

აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე, აქ ჭირია და იქ კი ლხინია».

ქალს გულწრფელად უკვირს – როგორ უნდა მოშორდეს ადამიანი ყველას და ყველაფერს.

– «რა გითხრა, შვილო? ყველაზე უფრო სული ტკბილია» ... (62, 186).

– «მაშ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წავწყდებით, ვეღარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?»

– «ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა ესეთი მერგო მე... უბედურსა».

მწყემსი არა მარტო თავისი მშვენიერებით უტევს ბერის პოზიციას, არა მარტო სილამაზით აღვივებს მასში კარგა ხნის მინავლებულ გრძნობას თუ ვნებას, არამედ თავისი გულწრფელი, უმწიკვლო შეხედულებითაც ამქვეყნიურობაზე, რომელიც მას სულაც არ ესახება ცოდვების ბუდედ, ქვეყანა მისთვის მშვენიერების, ახლობლებთან სიყვარულით სავსე ურთიერთობის, იმედისა და ბედნიერების სამყაროა. ეს უფრო ძლიერსა და მოუგერიებელს ხდის მის ზემოქმედებას ბერის არჩევანზე. ლოგიკას მოკლებული არ არის მისი გაკვირვება: «ღმერთს რაში უნდა ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?»

ბერი, როგორც ვნახეთ, პასუხობს, რომ სწორედ ასეთია მის მიერ არჩეული ხსნის გზა, თანაც ამას იგი დანანებით ამბობს: ამქვეყნიური მშვენიერებისა და სითბოს წამიერმა განცდამ მას დაავიწყა, რომ ქვეყანა, როგორც მას მიაჩნია, ცოდვით სავსეა.

ბერი შეშფოთებულია მის მიერ უნებლიედ გამოთქმული სინანულით, გრძნობს, რომ ამით მისმა სულმა დაკარგა მრავალი წლის ლოცვითა და მარხვით მოპოვებული სიმაღლე.

ილია პოემაში ერთმნიშვნელოვნად არ წყვეტს განსახილველ პრობლემას, მაგრამ მიგვაჩნია, რომ იგი, როგორც ავტორი, მწყემსი ქალის პოზიციას იზიარებს. – თავად ბერს ათქმევინებს, რომ ხსნა ყველგან არის. ამდენად აქტიური პოზიცია – ცოდვით სავსე საზოგადოებაში ბრძოლა უსამართლობასთან, ძალმომრეობასთან, ჩაგვრასთან და სხვა მანკიერებებთან არა ნაკლებ შეთავსებადია საღვთო ცნებებთან, ვიდრე განდგომა, საზოგადოებისაგან მოწყვეტა და განმარტოებით ლოცვა, მით უმეტეს მაშინ, როცა შექმნილ ურთულეს ვითარებაში ყოველი ღირსეული პიროვნება ერისათვის საჭირო და შეუცვლელი იყო.

ილია დიდი მოკრძალებით, პატივისცემით, გულწრფელი დაფასებით წერს ბეთლემში მოღვაწე ბერებზე, მაგრამ ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ საზოგადოების მიტოვება კი არა, მასში ტრიალი, მისი მტკივნეული პრობლემების მოგვარებისათვის ზრუნვა უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია, ვიდრე ზრუნვა საკუთარი სისპეტაკის შენარჩუნებისათვის. სწორედ ასე იქცევა მღვდელი «გლახის ნაამბობში». უზომოდ დიდი დანაკლისი იქნებოდა საზოგადოებისათვის (მრევლისთვის) ამგვარი წინამძღოლის არყოლა.

ზოგიერთი მკვლევარი (მაგ., ლ.ბარბაქაძე) მიიჩნევს, რომ «განდეგილის» ბერი, როგორც მოძღვარი, შედგა, რადგან ქალს, უკვე მძინარეს, არ უნახავს მისი ძრწოლა, არ გაუგია, რომ იმ დღის შემდეგ მზის სხივი ბერის ლოცვანს აღარ იჭერდა.

ეს დასკვნა მართებულად არ მიგვაჩნია. მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ასე გვეფიქრა, ბერის სიტყვებს რომ ქალზე ზეგავლენა მოეხდინა, მის ცხოვრებაში თუ ქცევაში რაიმე კორექტივები შეეტანა. აქ კი პირიქით მოხდა: ქალის პოზიციამ, რომლის პირითაც ამქვეყნიური ცხოვრების ხალისი მეტყველებდა, გატეხა ბერი და უბედური ვარო, ათქმევინა. ასე რომ აქ მოძღვრის (დამრიგებლის) როლში, თანაც – წარმატებულის, მწყემსი ქალი გვევლინება.

ამრიგად, ღვთისათვის სათნო საქმეთა კეთება საზოგადოებაშიც შესაძლებელია («ხსნა ყველგან არის»), და ურყევი რჩება ილიას მიერ უკვე

«ღლახის ნაამბობში» გატარებული აზრი – ქვეყნის სამსახური იგივე ღვთის სამსახურია.

## §3 მოძღვრის სახე აკაკი წერეთლის შემოქმედებაში

აკაკი წერეთელი იცნობდა ქართველი ერის ისტორიას, მძიმედ განიცდიდა მის აწმყოს და თავისი მხატვრული შემოქმედებითა და პუბლიცისტური თხზულებებით ცდილობდა სამშობლოსათვის უკეთესი მომავლისაკენ გზის გაკვალვას.

აკაკის შემოქმედებაში მოძღვრის სახეებს ვხვდებით «თორნიკე ერისთავში» (1884), «ბაში-აჩუკში» (1896) და «გამზრდელში» (1898).

ისტორიული პოემა «თორნიკე ერისთავი» მეათე საუკუნის მოვლენებს ასახავს, როცა ბიზანტიის ხელისუფლებას აუჯანყდა ერთ-ერთი პროვინციის მმართველი ბარდა სკლიაროსი და დამხობის რეალური საფრთხე შეუქმნა მას. დარბაზის ერმა გადაწყვიტა დახმარებისათვის მიემართათ ქართველთა მეფის დავით კურაპალატისათვის, რომლის თანადგომამ ბრძოლის ბედი მათ სასარგებლოდ წარმართა.

პოემა ძალზე საინტერესოდ იწყება: ქართველთა მეფის სასახლეში ლხინია. დიდებულთაგან აკლიათ სახელგანთქმული სარდალი თორნიკე ერისთავი, რომელსაც, უკვე მრავალი ომის მომგებს და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილს, ბერად შედგომა განუზრახავს, რათა დარჩენილი სიცოცხლე ღვთის სამსახურს შესწიროს, ლოცვით შეეწიოს მშობელ ქვეყანას და თავადაც სულიერი ამაღლების ნეტარება იგრძნოს.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ თორნიკე არ ყოფილა რიგითი, საშუალო ღირსების მეთაური, რაზეც მეტყველებს მეფის აშკარა უკმაყოფილება, როცა მისი არყოფნის მიზეზს შეიტყობს. მან მეორე დღისათვის ბრძანა დარბაზის საგანგებოდ შეკრება, რომელსაც თორნიკეც უნდა დასწრებოდა, რათა პირადად განემარტა წასვლის მიზეზი. ამ დარბაზობაზე მეფემ თორნიკეს მისცა სიტყვა.

«აქ ჩამოვარდა სიჩუმე, პასუხს ელიან სარდლისას,

წრფელ სინიდისის მექონის და მასთან სიტყვამართლისას» (59, 31).

თორნიკე ერისთავი ბერად შედგომას იმიტომაც ბედავს, რომ, როგორც ვნახეთ, ჯერ კიდევ ერისკაცობაში, მოუპოვებია «წრფელ სინიდისის მექონისა» და «სიტყვამართლის» სახელი.

თორნიკე იხსენებს მის წინამორბედ მთავარსარდალს იოანეს, მის უდიდეს დამსახურებას ქვეყნის წინაშე, რომლის წინამძღოლობითაც ქართველი მხედრობა ყოველმხრივ შემოსეულ მტერს გაუმკლავდა და ქვეყანას მშვიდობა და აღორძინება მოუტანა... თავისი ძლევამოსილი ხმალი და სახელი მან ყველაზე გამორჩეულ ახალგაზრდას თორნიკეს გადაულოცა, რომელიც უკვე ჭაღარამორეული ითხოვს სხვას დაეკისროს მთავარსარდლობა. მით უმეტეს, მისგანვე გაწვრთნილი ახალგაზრდები ღირსეულად შეძლებენ ამ მოვალეობის აღსრულებას.

«ბევრია, რომ ჩემზე უფრო დღეს შეშვენის მას სარდლობა,

და რად დახვდეს ღობე-ყორედ იმათ ჩემი პირველობა?...»

მეფეს გული მოულბო თორნიკეს გულწრფელმა სიტყვებმა და მისი თხოვნა დააკმაყოფილა, ოღონდ შორს გაშვება ეძნელება.

«უცხო მხარეს გადაკარგვა, ვფიცავ, შენი მიმძიმდება!

ნუთუ ჩვენი ქვეყნის ტაძრებს არ აქვს იგივ ძალ-დიდება?»

გამგზავრების საჭიროებას თორნიკე ასე ხსნის: სამშობლოში რომ დავრჩე, ბევრი მნახველი მეყოლება და სააქაო ზრუნვისაგან ვერ გავთავისუფლდები,

«იქ კი  არვინ მეყოლება შემაცდენი უცხო მხარეს,

დღეყოველ და ყოველ წამსა ცრემლებს დავღვრი მე მდუღარეს,

და ვითხოვ, რომ ღმერთმა, მეფევ, გადიდოს და გადღეგრძელოს,

და წყალობა არ მოაკლოს ჩვენს პატარა საქართველოს!» (59, 19).

თორნიკე მართლაც მიემგზავრება საბერძნეთს, და ათონის მთაზე დამკვიდრებული, იოანესთან ერთად, ლოცულობს და იღწვის მშობელი ქვეყნისათვის.

საბერძნეთი ამ დროისათვის საკმაოდ დასუსტებულია და არა მარტო გარეშე მტრები აწუხებენ, «შინაურებიც ბრიყვობენ, გლეჯენ მას ნაწილ-ნაწილად და ერთმანეთში იყოფენ» (59, 43-44). ბოლოს კი აჯანყდა და ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად მოიწევს ბარდა სკლიაროსი. იგი, სადაც არის, დედაქალაქს მოადგება.

მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი საბერძნეთის სამეფო კარი დასახმარებლად საქართველოს მიმართავს. დავით კურაპალატი ჯარს უხმობს, მაგრამ მეთაურები კატეგორიულად მოითხოვენ, რომ მთავარსარდლობა ისევ თორნიკემ იკისროს.

«წაგვიძღვეს ძველი არწივი, ჩვენ მივყვეთ შევარდნულადო,

ფიცხელი ომი ავსტეხოთ, საქები ადრინდულადო».

თორნიკესათვის, რომელიც მტკიცედ შესდგომია ბერულ ცხოვრებას, ამგვარი წინადადება მოულოდნელიც არის და მიუღებელიც.

«ვერ ავასრულებ თქვენს თხოვნას, გულმკვდარი ვამბობ ვარსაო,

აწ ვეღარ გავცვლი ფარ-ხმალზე ქრისტეს ხატსა და ჯვარსაო», – ეუბნება იგი სათხოვნელად მისულ პირებს. გადაწყვიტეს მიემართათ არსენ კათალიკოსისათვის, რომელსაც ერთადერთს შეეძლო თორნიკეზე ზეგავლენის მოხდენა.

არსენ კათალიკოსი განათლებული, შემოქმედებითად მოაზროვნე პიროვნებაა, მჭერმეტყველებით გამორჩეული, ძლიერი მქადაგებელი და მწვალებელთათვის დამაჯერებელი პასუხის გამცემი. იგი უდიდესი პატივისცემით სარგებლობს საზოგადოებაში.

კათალიკოსი, რომელიც ღიმილით ეტყვის კრძალვით თავდახრილ თორნიკეს,:

«დიდი არს მხოლოდ ღმერთი-უფალი ამ ქვეყანაზე და ცათა შინა!

რისთვის მეკრძალვი? მომიახლოვდი, დამიჯექ გვერდით, ვით მეგობარი!» – უთუოდ მოგვაგონებს «გლახის ნაამბობის» მოძღვრის უბრალოებას. თორნიკეს პასუხი კათალიკოსის კითხვაზე – შეასრულებს თუ არა ქვეყნის სურვილს, შეუვალია:

«რაკი ერთხელვე ესე სოფელი დავივიწყე და უარი ვყავი,

ვერ გავტეხ აღთქმას, ზეცას ეკუთვნის ცოდვილი სული და ჩემი თავი.

მღვდელ-მონაზონსა საიქიოსკენ უნდა ეჭიროს ყოველთვის თვალი!

აღარ შემშვენის, რომ ხელმეორედ სისხლით შევღებო ჩემი ფარ-ხმალი»

ასეთი მოტივაცია თითქოს გამორიცხავდა თორნიკეს დაყოლიებას, მაგრამ არსენ კათალიკოსის გულწრფელი, იშვიათი ლოგიკურობით აღსავსე სიტყვა ბევრად ძლიერი და დამაჯერებელი აღმოჩნდა. მისმა მონოლოგმა ხელი გაუხსნა

ბერად შემდგარ ყოფილ სარდალს, რათა კვლავ ბრძოლით ეღვაწა ქართველთა სახელის სადიდებლად, ქართული სახელმწიფოს გასაძლიერებლად (ბერძნები დახმარებისათვის «აღმოსავლეთის ტერიტორიებს» სთავაზობდნენ დავით კურაპალატს).

«ნუთუ შენ მართლა რამე გგონია ცარიელ სიტყვით ღვთისა დიდება?
განა ღვაწლია ხორციელისგან ამა საფლისა კრძალვა-რიდება?
და ეს ქვეყანა მშვენებით სავსე, შემოქმედების გამომხატველი,
ნუთუ მიტომ გვაქვს მონიჭებული, რომ ჩვენის ნებით ავიღოთ ხელი?
ვინცა იწუნებს თავმოყვარებით ამ მიუწდომელ დიდსა ქმნილებას
და უარსა ჰყოფს კანონიერსა ბუნების ყოვლგვარ მოთხოვნილებას,
ის უარსა ჰყოფს თვით შემოქმედსა!» (59, 53)

არსენ კათალიკოსი აღიარებს კეთილი საქმის (სამშობლოსათვის მოღვაწეობა) აუცილებლობას, რათა უზენაესისაგან ლოცვა-ვედრება იქნას შეწყნარებული. ამავე დროს ქვეყნისაგან განდგომა, მისი პრობლემების უგულვებელყოფა, «ბუნების ყოველგვარ მოთხოვნილებათა ჩახშობა» გაგებულია, როგორც თვით ღვთის უარყოფა. ამით აკაკი წერეთელი, სულ სხვა ფონზე, შორეულ ისტორიულ კოლიზიებზე თხრობისას ამბობს იმასვე, რასაც «გლახის ნაამბობის» მღვდელი თავისი ყოველდღიური საქმით გვიჩვენებდა, და რაზეც, როგორც ზემოთ ითქვა, მკითხველს მიუთითებს «განდეგილის» პერსონაჟთა დიალოგი.

კათალიკოსი თორნიკეს მოაგონებს, რომ ქრისტე სააქაო ცხოვრებას არ უარყოფდა:

«თუ დადიოდა დაბად და სოფლად, ხალხის ჭირს და ლხინს შუა იყოფდა,
თვითონ  არ დაჰგმო ფარისევლების გზაჯვარედინზე ლოცვა საქვეყნო,
და ნაცვლად მოგვცა მოკლედ სათქმელი საყოველდღეო «მამაო ჩვენო»?
ასე არ ბრძანა: «თვინიერ საქმის, სიტყვითი ლოცვა, უწყით, მკვდარ არსო?
და მრავალისა მეტყველებითა ვერვინ გაიღებს სამოთხის კარსო?
საქმეა, მხოლოდ საქმე საჭირო, გულიცა წმინდად დაბადებული,
და ქვეყნიურის კეთილ ზრახვებით სული სიწრფელით გაახლებული!» (59, 54).

ამაში მდგომარეობს ქრისტეს მოძღვრება და ქრისტიანის ვალი.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, «ძლიერ მოქმედი» არგუმენტებია, და თირნიკესაც დაეტყო დიდი მოძღვრის სიბრძნის ზემოქმედება. მან ესღა უპასუხა:

«ეგ ყველა კარგი, მაგრამ ამ სოფლად შესრულებული ვისაც აქვს ვალი

და რომ გააგრძოს კიდევ რამ, მისთვის არ დარჩენია ღონე და ძალი!

ნუთუ არა სჯობს უქმად ყოფობას, გადგეს უდაბნოდ მმარხველ-მლოცველად

და არ გაუხდეს სხვებს ამა სოფლად ურგებ ტვირთად და ხელის შემშლელად?» (59, 54).

როგორც ვხედავთ, თორნიკემ მიიღო კათალიკოსის დამოძღვრა, შესიტყვებას კი ხანდაზმულობაზე აგებს, რათა «უკეთესებს გზა არ დაუხშოს».

კათალიკოსი მტკიცედ მოითხოვს თორნიკესაგან ძალის მოკრებას და კიდევ ერთი დიდი გამარჯვების მოპოვებას, და ამჯერადაც მის სიტყვებში ღვთაებრივისა და ამქვეყნიურის ერთიანობის მოტივე ისმის:

«არა! «ხმა ღვთისა – ხმა ერისაო», ხომ კარგად იცი ეს შენც, მამაო?

დღეს ერი გირჩევს ერთხმად წინამძღვრად, და უარის თქმა არის ამაო!..

შეიბ მახვილი!» (59, 55).

მეორე დღეს თორნიკემ შეჰყარა კიდეც ჯარი და მისი სარდლობით კიდევ ერთი სასახელო გამარჯვება მოიპოვეს ქართველებმა. ომის მოგების შემდეგ თორნიკე ისევ მოძღვრის სულიერ სამყაროს დაუბრუნდა. უაღრესად ჰუმანურია მისი განკარგულება:

«ბრძანა თორნიკემ: – გაურჩეველად, ქართველი იყოს, გინდა სპარსელი,

გინდა ბერძენი, გინდა სომეხი, სულ ერთიანად მოჰკიდეთ ხელი!

სიკვდილი ყველას ათანასწორებს, თვისიანს, უცხოს, მტერს და მოყვარეს!..

ვეცადოთ ყველა და ნუ დავაკლებთ დაჭრილებს მოვლას და მკვდრებს სამარეს.»

თორნიკემ ასევე მოითხოვა, ტყვეებისათვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ:

«ნურვინ გაბედავს, დატყვევებულებს რომ მიაყენოს შეურაცხყოფა!

ვაჟკაცს რომ ბედი სხვას დაუმონებს, დასატანჯავად ისიც ეყოფა» (59, 73).

ამგვარ ქართულ-რაინდულ სულს გაცილებით ადრე შოთა რუსთაველთან ვხვდებით:

დატყვევებული რამაზ-მეფე ტარიელმა ფარსადანს მიჰგვარა. მოსალოდნელი იყო მისი სამაგალითო დასჯა, მაგრამ:

«ტკბილად ნახა ხელმწიფემან, ვითა შვილი სააკვანე».

ამგვარი შემწყნარებლობა უდავოდ ქართული გენისათვის დამახასიათებელი გულმოწყალებისა და კაცთმოყვარეობის გამოვლინებაა.

საბერნეთის ხელისუფლებამ გაწეული დახმარებისათვის დავით კურაპალატს მნიშვნელოვანი ტერიტორიები გადასცა სამფლობელოდ, ხოლო დიდ სარდალს, თორნიკეს, აურაცხელი ოქრო, ვერცხლი და თვალ-მარგალიტი უძღვნა. მას სურს ამ განძის ნახევარი მეფეს მიართვას, ნახევარი კი ქვრივ-ობლებს დაურიგოს. მეფე ამ განძს არ მიიღებს, მით უფრო არ სჭირდება იგი ბერს თორნიკეს და საბოლოოდ ამ სახსრებით ომში დაცემულთა სულების მოსახსენიებლად კიდევ ერთ დიდებულ სალოცავს აღმართავენ უცხოეთის მიწაზე, რომელიც მომავალში ქართული კულტურის მძლავრ კერად ჩამოყალიბდება.

ამ შესანიშნავი პოემის მიზანი საქართველოს სახელოვანი წარსულის წარმოჩენაში მგდომარეობს, როცა ძლიერი იყო როგორც საერო ხელისუფლება, ისე ქართული ავტოკეფალური ეკლესია.

თორნიკე ერისთავი თვალსაჩინო პერსონაჟია, როგორც ქვეყნის, ისე ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურებით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უდიდესი მოძღვარი, პირველი მღაღადებელი ჭეშმარიტებისა (რომელსაც სავსებით იზიარებდნენ თერგდალეულები) პოემაში არსენ კათალიკოსია. მისი ზემოთ მოყვანილი მონოლოგი სახელმძღვანელო დებულება უნდა ყოფილიყო ყველა ქართველი პატრიოტისათვის.

ისტორიული მოთხრობა «ბაში-აჩუკი» საქართველოსათვის დრამატულ პერიოდს – შაჰ-აბასის შემოსევების ხანას ასახავს. თურქმანული მომთაბარე ტომის – ელების ჩამოსახლებამ კახეთი რეალური გადაგვარების საფრთხის წინაშე დააყენა. «ბაში-აჩუკში» საქართველოს გმირული წარსულია ასახული. მისი პერსონაჟები ცნობილი გმირები არიან. აღსანიშნავია, რომ ავტორი მათ გვერდით ღირსეულ ადგილს მიუჩენს ზაალ ერისთავის კარის მოძღვარს – კირილეს, რომლის სიმბოლური სიზმრითაც იწყება თხზულება:

ალავერდის ტაძარს გველეშაპი შემოხვევია. მისი შიშით ტაძარში ვერავინ შედის, აღარც წირვაა და აღარც ლოცვა. გველეშაპი ხანდახან გამოიღვიძებს და

ადამიანებს ნთქავს. ყოველი მისი გამოღვიძება მუსრია ქვეყნისთვის. მოულოდნელად გამოჩნდა სამი მეომარი. ერთი მათგანი მიმართავს ზარდაცემულ ხალხს: «ვინ ქართველი და ვინ გულგატეხილობა? ცხვრებივით დაგიდვიათ თავი, არ გიჯობთ, რომ წინააღუდგეთ უწმინდურს და ბრძოლაში დალიოთ სული?» ამ სიტყვამ ხალხი გამოაფხიზლა. მას წინ წაუძღვნენ მეომრები, მიუახლოვდნენ გველეშაპს, ერთად გასტყორცნეს სამი ისარი, მაგრამ მისმა ქერცლმა სამივე აისხლიტა. გამოიღვიძა გველეშაპმა და ცუდად იყო საქმე, თუ ის მეომრები სამივ მხრით არ მისდგომოდნენ და ბრძოლა არ დაეწყოთ. მაგრამ ურჩხულს ყოველი ახალი ჭრილობა თითქოს ძალას მატებდა. ამ დროს გამოჩნდა მთიდან მომავალი თეთრცხენიანი შუბოსანი მხედარი, რომელმაც გველეშაპი განგმირა. სიზმრის ბოლო: ტაძრის აღსავლის კართან ის სამი მეომარი ასვენია, თეთრცხენოსანი მხედარი კი არა ჩანს.

ზაალი და მარიამიც (მეუღლე) ძლიერ ააღელვა მოძღვრის სიზმარმა. მათი გასვლის შემდეგ «კირილე იქვე დარჩა მარტო, მოიყარა მუხლები, ააპყრო ხელები და სასოებით წარმოთქვა: «ღმერთო, მოხედე შეჭირვებულ საქრისტიანოს და სიზმარი კეთილად აგვიხდინე!» დიდხანს იდგა გაქვავებული, მხოლოდ ტუჩებს ანძრევდა და ცრემლები ღაპაღუპით ეცემოდნენ სპეტაკ წვერებზე» (50, 197).

არაგვის საერისთავო ქართლის სამეფოში შედიოდა. ის, რომ კახეთის ბედი ქართლელ მღვდელს ესიზმრა, ქართველ ხალხში ეროვნული ერთიანობის შეგნების მუდმივად არსებობაზე მეტყველებს (სამეფო-სამთავროებად დანაწევრების პერიოდშიც კი); ამასთან ქართული ეკლესიის, როგორც ეროვნული განუყოფლობის სიმბოლოზე მიუთითებს, რადგან იგი მუდამ საქართველოს მთლიანობის სადარაჯოზე იდგა. ეს, გარდა ამისა, სამღვდელოების განსაკუთრებულ სიახლოვესაც ნიშნავს ქვეყნის სიხარულთან თუ სატკივართან, რომელიც მაშინაც ფხიზლობს და ღმერთს ქვეყნის შეწყალებას ევედრება, როცა საზოგადოების სხვა ფენები თავდავიწყებულ ლხინს და გართობას ეძლეოდნენ (ნადირობა, რაინდული შეჯიბრება და სხვ.).

ზაალ ერისთავს ყიზილბაშთა წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულება უპერსპექტივოდ მიაჩნია ძალების სიმცირის გამო (კახეთში სამოციათასი მტრის ჯარი დგას); გარდა ამისა, მისი მონაწილეობა შაჰს საბაბს მისცემს ქართლზეც

გამოილაშქროს, რასაც იგი, მიუხედავად «მეგობრული» კავშირისა, კარგა ხანია ეძებს.

ამიტომ უარს ამბობს აჯანყებულთა დახმარებაზე.

ამასობაში ზაალ ერისთავის რეზიდენციას მოადგებიან ქსნის ერისთავები – შალვა და ელიზბარი, რომლებშიც კირილე მოძღვარი თავისი სიზმრის გმირებს შეიცნობს. ამავე დროს მას გაახსენდება, რომ მესამე გმირი ბიძინა ჩოლოყაშვილი იყო ...

სწორედ კირილეს სიზმარი ხდება გადამწყვეტი ზაალ ერისთავის დასაყოლიებლად.

მაგრამ მას არ შეუძლია აშკარად განუდგეს ქართლის მეფის პოლიტიკას, რომელიც შაჰის «ერთგულია». – «მე მეფის ურჩი ვერ გავხდები. მაგრამ თუ კირილე მოძღვრის შეგონებით ჩემი საყმოდან წამოგყვებათ ვინმე, არ დავუშლი, მით უფრო, რომ მე არა ვიცი-რა! – გაიცინა და ჩაილაპარაკა: მამაო კირილე, იმედია, შენ თუ შეაგონებ და ჯვრით ხელში წინ წარუძღვები, წაგყვებიან».

– «ღმერთო, შენით! – თქვა კირილემ, გამოისახა პირჯვარი და ემთხვია ხატს» (50, 38).

კირილემ მართლაც შეაგროვა ჯარი, რომელსაც თავად გაუძღვა წმინდა გიორგის ხატით. მათ ქსნის ერისთავებიც შეუერთდნენ თავიანთი ლაშქრით და კახეთისაკენ გასწიეს.

ისევე როგორც თორნიკე ერისთავი, კირილე მღვდელიც მონაწილეობს სამხედრო საქმეში. ცხადია, კირილეს არა აქვს მხედართმთავრის გამოცდილება, მაგრამ იმდენად ავტორიტეტულია, როგორც მოძღვარი, რომ მთავრის მითითების გარეშე მიჰყვება ხალხი საომრად.

როცა სამშობლო და სარწმუნოება საფრთხის წინაშეა, სასულიერო პირები (თორნიკე, კირილე) სულაც არ გვევლინებიან პაციფისტებად, ისინი სწორედ ღვთაებრივ ვალად თვლიან სამშობლოსა და სარწმუნოების დაცვას.

მოძღვარი თერგდალეულთა შემოქმედებაში გულწრფელი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს. გავიხსენოთ ხალხის დამოკიდებულება «გლახის ნაამბობის» ახალგაზრდა მღვდლისადმი, იოანესა და თორნიკესადმი, კირილეც ავტორიტეტით სარგებლობს ერისთავის კარზე (მისი სიზმარი გადამწყვეტ როლს ასრულებს).

როცა მშვიდობაა და ცხოვრება შედარებით ნორმალურად მიდის, კირილე მოძღვარი მთავრის კარის ეკლესიის გალამაზება-კეთილმოწყობაზე ზრუნავს: ზაალი მოურავს ავალებს შეაგროვოს მორები, რომლებიც ადიდებულ არაგვს ჩამოაქვს «კირი გვაქვს დასაწვავი, რომ საყდარი შევაკეთოთ როგორმე. მოძღვარი აღარ მასვენებს და ქალბატონსაც დაუჟინია – უნდა შევლესოთო! კარგი ა! სულის საქმეა! წყლის მოტანილი შეშა წმინდა იქნება და წმინდა საქმეს უნდა მოხმარდეს!» (50, 128).

«ბაში-აჩუკში», თორნიკე ერისთავისაგან განსხვავებით, მოძღვრის როლი ეპიზოდურია, მაგრამ კირილეც მეტად თვალსაჩინო მოღვაწეა. მან, ვითარებათა გამო, მეომართა რაზმი შეკრიბა და მისი წინამძღვრობაც კი იკისრა. კირილე შემკულია მოძღვრის ყველა კეთილი თვისებით, რის გამოვლენასაც კი მისი მოქმედების ასპარეზი ანებებს.

მოძღვრის პრობლემას ეძღვნება აკაკის პოემა «გამზრდელი», რომელსაც ნამდვილი ამბავი უდევს საფუძვლად. «ვუძღვნი ჩვენს პედაგოგებს», პირდაპირ აცხადებს პოეტი. აქ ზნეობასთან დაკავშირებული მრავალი საკითხია წამოჭრილი, მაგრამ ყველაზე მთავარი პედაგოგიური პასუხისმგებლობის პრობლემაა.

პოემის მთავარ გმირს ბათუს მყარად აქვს შესისხლხორცებული ხალხური ტრადიციები, ხალხური წარმოდგენები მეგობრობაზე, სტუმარ-მასპინძლობაზე, ანუ ის განათლება, რასაც, რა თქმა უნდა, მხარს უჭერდა და ავრცელებდა მოძღვარი, გლეხის აღმზრდელი იქნებოდა იგი თუ თავადის.

საშინელ ავდრიან ღამეს ბათუს ფაცხას საფარ-ბეგი ეწვევა, რომლის სტუმრობის მიზეზი საკმაოდ საჩოთიროა; სილამაზით გამორჩეულ, მაგრამ ვერაგ ზია-ხანუმს საფარ-ბეგი მოუხიბლავს, და, ჩვულებისამებრ, მიჯნურის განსაცდელში ჩაგდება განუზრახავს: «დამიჩემა, თუ გიყვარვარ, ინალიფას ლურჯი ცხენი ამ სამ დღეში მომგვარეო»...

ინალიფა შეუპოვარი ვაჟკაცია, რომელიც ნებით ბედაურს არავის დაუთმობს. ერთადერთი გზა არის მოპარვა. ბათუს არ მოსწონს სტუმრის გადაწყვეტილება, მაგრამ, სატრფოს წინაშე შერცხვენა მასაც შეუფერებლად მიაჩნია ვაჟკაცისათვის. ამასთან იგი საფარ-ბეგის ძიძის შვილია, რაც ძმობის, ახლო მეგობრობის ტოლფასად ითვლება როგორც აფხაზური, ისე ქართული (და საერთოდ,

კავკასიური) ტრადიციით. ბათუ დავალების შესრულებას თავად კისრულობს. ახერხებს ცხენის მოპარვას და სიხარულით ბრუნდება შინ, სადაც კვლავ საოცარ ნებისყოფას, მოვალეობის შეგნებას, ადათ-წესების ერთგულებას ავლენს. მიუხედავად იმისა, რომ მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმა შინაგანად ანადგურებს, ერთი წამითაც არ ღალატობს მასპინძლობის წესებს და მშვიდად აღვიძებს საფარ-ბეგს.

«ხან ესა სთქვეს, ხან ისა სთქვეს, ისაუბრეს ჯერ ერთხანად,

მერე წყალიც მოუტანა მას ხელ-პირის დასაბანად.

გამოაწყო, არ დააკლო რაც წესია, სამსახური»...

მხოლოდ სახლიდან მოშორებით, როცა სტუმარს უნდა გამოთხოვებოდა, მასპინძელმა ხმას აუმაღლა:

«საფარ-ბეგო, პირშავობა ვიცი შენი, შემიტყვია ...»

საფარ-ბეგი გრძნობს დანაშაულს და სინდისის ქენჯნით შეპყრობილი მასპინძელს სიკვდილს სთხოვს: «მაზღვევინე, რაც შეგცოდე, სინიდისი გამიმრთელე!»

ბათუ ბოლომდე ერთგულია ჰუმანური ადათ-წესებისა და საუკუნეობით ჩამოყალიბებული ტრადიციებისა:

«არა! შენ ვერ შეგეხება სასიკვდილოდ ჩემი ტყვია,

დედიჩემის გაზრდილი ხარ, მისი ძუძუ გიწოვია...»

ბათუმ მხოლოდ ერთი რამ დაავალა საფარ-ბეგს, თავისი სამარცხვინო საქციელი მისი მოძღვრისთვის ეთქვა.

მოძღვარი არც დიდგვაროვანია, არც მდიდარი. მისი ერთადერთი ავლა-დიდება ჭკუა-გონებაა. მას დიდი სახელი აქვს გავარდნილი, როგორც აღმზრდელს.

«ხელ-ფეხს ერჩის, თვალსაც უჭრის, არ ტყუილი ქადილია,

სადაც კია გვარიშვილი, ყველა მისი გაზრდილია.

საფარ-ბეგიც მან გაზარდა, ისე, როგორც სხვები ყველა,

მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა?» (59, 247).

ნებისყოფის უქონლობა, სულსწრაფობა, მოუთმენლობა სწორედ მემკვიდრეობითი უნდა იყოს საფარ-ბეგში. მას «ბუნებამ ვერ უშველა», თორემ

აღზრდა, წესრიგსა და ზნეობაში წვრთნა ჰაჯი-უსუბს არც მისთვის დაუკლია – მან ხომ «შვილივით გამოზარდა» საფარ-ბეგიც.

ყურადღებას იპყრობს ის მომენტი, რომ აკაკი წერეთელს პიროვნების ჩამოყალიბების რთული პროცესი მხოლოდ აღზრდაზე არ დაჰყავს, იგი აღზრდას ყოვლისშემძლედ არ მიიჩნევს. ამგვარი თვალსაზრისი ახასიათებდა საბჭოთა პედაგოგიკას, რომელიც ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა მემკვიდრეობასაც და სოციალურ გარემოსაც. აღზრდის აღიარებით უმნიშვნელოვანეს, გადამწყვეტ ფაქტორად პედაგოგები დაუძლეველ ტვირთს კისრულობდნენ.

რა თქმა უნდა, აღზრდის (პედაგოგიური ზემოქმედების) როლი დიდია, მაგრამ იგი ყოველთვის გულისხმობს ნორმალურ მემკვიდრეობასა და ჰუმანურ სააღმზრდელო (სოციალურ) გარემოს. ეს, როგორც ვხედავთ, კარგად ესმოდა აკაკის, ამიტომ გადაჭარბებად უნდა შევაფასოთ ჰაჯი-უსუბის რეაქცია: შინაგანი (ფსიქოლოიური) ფაქტორის ავ-კარგზე მას არ შეეძლო არსებითი ზემოქმედების მოხდენა. ჰაჯი-უსუბმა, დამწუხრებულმა საფარ-ბეგის მიუტეველი საქციელით, დამბაჩა შეაყენა. საფარი მორჩილად ელის სიკვდილს,

«მაგრამ უსუბ ეუბნება: «შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ,

სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!»

გამზრდელმა თავი მოიკლა აღზრდილის უღირსი ნაბიჯის გამო. მან ისევე ვაჟკაცურად დაისაჯა თავი, როგორ ვაჟკაცურადაც ბათუმ არაფერი ავნო მისი ოჯახის შემრცხვენელს.

ასეთ მონუმენტურ ლიტერატურულ ნაწარმოებს სწორედ ამგვარი ვაჟკაცურ-გმირული ფინალი შეჰფეროდა. ამით აკაკიმ განსაკუთრებული ძალით, მეტი დაბეჯითებით გაუსვა ხაზი აღმზრდელთა უშუალო პასუხისმგებლობას აღზრდილთა საქმეებისათვის, მათი ცხოვრების წესისათვის, იდეალებისა და მათკენ სწრაფვისათვის.

საყურადღებოა, რომ ღირსეულ, პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებულ აღმზრდელს აკაკი წერეთელიც სასულიერო მოღვაწეებს შორის, ხალხთან და ხალხის ტრადიციებთან ახლოს მდგომ პიროვნებებში ხედავს.

## §4. მოძღვრის სახე ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში

ალექსანდრე ყაზბეგი ქართველი ხალხის ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერალია. «მოძღვარი» მისი ბოლო ნაწარმოებია (1885), რომელიც სრულყოფილად ასახავს მწერლის წარმოდგენას ღირსეულ სასულიერო მოღვაწეებზე.

მოძღვრის შემოსვლა მოთხრობის სიუჟეტში ორი ახალგაზრდის ტრაგიკულ სიყვარულს უკავშირდება.

მეცხვარე ონისეს და მაყვალას ერთმანეთი უყვართ, მაგრამ მამა გელას მიათხოვებს მას, რადგანაც, როგორც იასაული, დიდ კაცად მიაჩნია. გელა რუსული მმართველობის ერთგული და თემობის უარმყოფელია. ამპარტავანი და უხეშია, ცოლს ეპყრობა, როგორც უკანასკნელ მონას. მაყვალა ცდილობს შეურიგდეს ბედს, მაგრამ გელა სულ უფრო აუტანელი ხდება, საბოლოოდ მაყვალა ონისესთან ერთად გაქცევას გადაწყვეტს. გელა მძიმედ დაჭრის მის წასაყვანად მოსულ ონისეს.

თემმა სამივე მოიკვეთა და დასწყევლა, როგორც მამა-პაპათა ადათის დამრღვევნი.

მაყვალა მოხევეთა საზაფხულო საძოვრებზე – «ბურსაჭირის ღელეში» იმალება, მხოლოდ ღამით გამოდის ქოხიდან. იგი შენიშნა კეთილმა ჯათიამ, რომელიც მალულად უზიდავს საზრდოს, რადგან მოკვეთილის შემწეობა თემის საწინააღმდეგო მოქმედებაც იყო.

ახლოვდება ზამთარი. მაყვალა გადაწყვეტს ქართლს შეაფაროს თავი, და როცა ძალიან აცივდება და ჯათიას დატოვებული სანოვაგეც გაუთავდება, ციცაბო კლდის ბილიკით ბრუნდება გაუკაცრიელებული საძოვრებიდან. თოვლიან გზაზე დაღლილს ჩაეძინება და ნამქერი დამარხავს.

მეორე დღეს გზაზე მგზავრი გამოჩნდება. მოხუცებულს სახე სარწმუნოებითა და გულკეთილობით უბრწყინავს. ახოვანი და ჯანიანია, ნიჩბით მიიკვლევს გზას. ეს კაცი გახლდათ გუდამაყრის მოძღვარი ონიფრე, «რომელსაც ხალხში ცხოვრება დამძიმებოდა, გამოსულიყო ბურსაჭირის გამოქვაბულებში და თავის დღეებს იქ ღვთის ლოცვაში ატარებდა და გაჭირვებულს მგზავრებს შემწეობას აძლევდა ხოლმე» (55, 625).

ძაღლი, რომელიც მოძღვარს მოსდევს, «ჩაჩუმქრულ» ადამიანს იყნოსავს. მღვდელმა წაიყვანა თავის ბინაში – ბურსაჭირის კლდის გამოქვაბულში.

მოძღვარი ონოფრე გვაგონებს ილიას განდეგილს (ამავე სახელწოდების პოემიდან), მასაც «დამძიმებია» ხალხში ცხოვრება და პირქუში კლდის გამოქვაბულში გახიზნულა. მაგრამ ონოფრეს არ გაუწყვეტია ადამიანებთან კავშირი, და არც თავად დავიყწებია ხალხს. «მისი სახელი გონიერებითა და გულკეთილობით, სიწმინდითა და თავგანწირულობით მთაში შორს გავარდნილიყო. დაუზარებელი მლოცველი განუწყვეტლად მარხულობდა არა თუ მხოლოდ ხორცით, არამედ ყოფაქცევითაც, რათა ხორცის შეწუხებით სული ღირსეულ სიმაღლემდის აეყვანა და <u>მოძღვრის საპატიო სახელი დაემსახურებინა</u> (ხაზი ჩვენია, თ. მ.). ის იდგა უბრალო გამოქვაბულ კლდეში, რომელიც ორს ოთახად განიყოფებოდა. სადგურის მორთულობას შეადგენდა ტახტად შეკრული სიპი ქვა, თავისგანვე უბრალოდ გაკეთებული ხის სტოლი და რამდენიმე ხის სკამი. ამის გარდა, ჰქონდა ქვისგან აშენებული საკურთხეველი, რომელზეც ჯვარი და სახარება ესვენა» (55, 701).

ონოფრე არა მარტო ლოცვა-ვედრებით ცდილობს შეეწიოს ხალხს, არამედ დახელოვნებული მკურნალიც არის და ამ ფუნქციის შესასრულებლად მუდამ მზადყოფნაშია. «კედლებში რამდენსამე ადგილს გამოთხრილს თახჩებში ელაგა სხვადასხვა ბალახები, თიხის ჭურჭელი და სხვა იარაღი, რომელიც ექიმობის დროს სჭირდებოდა ხოლმე» (55, 701). ღრმა რწმენას, ძლიერ ნებისყოფას, უტყუარ ღირებულებათა წვდომას სათანადოდ გარდაუქმნია ეს ადამიანი: «ყოველთვის მარტოდ-მყოფელი, სახორციელო ნაკლულევანობას სულიერის სიმდიდრით ივსებდა და სიღარიბეშიც ახერხებდა თავისი ცხოვრებით და მდგომარეობით კმაყოფილი შექმნილიყო. მუდამ მლოცავი, სულიერს განწმენდაში მყოფი, <u>დაუზარებლად სამწყსოში მხოლოდ მაშინ გამოვიდოდა</u> (ხაზი ჩვენია, თ.მ.), როდესაც ვინმე ავადმყოფი სულით ან ხორცით მის სამსახურს მოითხოვდა. ამ შემთხვევაში ღვთიურ სითბოებით აღსავსეს, დარწმუნებულს თავის მოქმედების სიწმინდეში, მოხუცს ძალა ეძლეოდა გნსაცვიფრებლის ბეჯითობისა. ავადმყოფთან ის იყო ექიმი, დამყუჩებელი ტკივილის, მოძღვარი და მაჩვენებელი გზისა მართალთასა და მოამბე, მომგონებელი კაცთა დიდებისა»ანუ უებარ ხალხურ სამკურნალო საშუალებებთან ერთად ფსიქოლოგიურ

ზემოქმედებასაც მიმართავს სნეულთა დასახმარებლად. იგი ამ დროს განდეგილი კი არა, თავდადებული მკურნალია, უანგარო მზრუნველი იმისათვის, რომ ადამიანს ამქვეყნიური არსებობა გაუხანგრძლივოს. ონოფრეში, თითქოს, სინთეზირდება ილიას ორი ცნობილი პერსონაჟის – განდეგილისა და «გლახის ნაამბობის»მოძღვრის უმთავრესი ნიშნები – ღმერთის, უზენაესი ნების ყოვლისმომცველობისა და შეუვალობის რწმენა და ერის სასიკეთოდ გარჯის მოთხოვნილება, გაჭირვებულთა შველის უდიდეს მადლად მიჩნევა. ამავე დროს ონოფრე არ არის არცერთი მათგანის ასლი. იგი ორიგინალური პიროვნებაა არა მარტო განდეგილობისა და «სოფლის კაცობის» შეხამებით, არამედ ყოვლისმომცველი ჰუმანიზმით (რომელიც ცხოველებსა და მცენარეებზედაც კი ვრცელდება), თავისი კუთხის – მთიანეთის წეს-ჩვეულებათა სიყვარულითა და ერთგულებით, უბრალოებით, უდიდესი ნებისყოფით, აღსარების საიდუმლოს შენახვით იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამას მისთვის საბედისწერო მნიშვნელობა აქვს.

ონოფრესათვის, ისევე როგორც «გლახის ნაამბობის» მღვდლისთვის, კირილესათვის («ბაში-აჩუკი»), არსენ კათალიკოსისა და (ამ უკანასკნელის ჩაგონებით) თორნიკე ერისთავისათვის – ხალხისა და ქვეყნის სამსახური იგივე ღვთის სამსახურია: «ონოფრე ემსახურებოდა ხალხსა, ცხოვრობდა მისთვის, და მაშინაც კი, როდესაც ყველასაგან განმარტოებული უზენაესს სულით უერთდებოდა, არ ივიწყებდა მოძმეთ, გულმხურვალე მოციქულად შექმნილი, <u>სცდილობდა ქვეყნის კეთილდღეობისათვის</u> (ხაზი ჩვენია, თ. მ.), არასოდეს მამა ონოფრეს არ ენახა განსაცდელში მყოფი კაცი ისე, რომ თავისთავზე ზრუნვა არ გადავიწყებოდა, პირველადვე სხვისი შველის გულისთქმა არ გაღვიძებოდა» (55, 702). ასეთივე იყო «გლახის ნაამბობის» მღვდელიც.

ხალხის დამოკიდებულებაც მოძღვრისადმი – შესაბამისია – იგი უყვართ, სწამთ მისი სიტყვა და საქმე, «და ამის გამო სულით და ხორცით მრავალ დავრდომილთათვის მოძღვრის დანახვაც კი საკმარისი იყო გასამხნევებლად» (55, 702).

ასეთია ონოფრეს ზოგადი პორტრეტი, რომელსაც არ შეიძლება არ დავუმატოთ რამდენიმე შტრიხი.

ონოფრე, პირველ რიგში, ურყევი რწმენის ღვთისმსახურია. იგი ზედმიწევნით ასრულებს სამღვდელო მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ყველა რიტუალს, მაგრამ ლოცვა-კურთხევას დაუფიქრებლად როდი არიგებს. მისი მეოხებით – მრევლმა იცის, რომ ცოდვილი ჯვართან მიკარების ღირსი არ არის, რომ ცოდვის ღრმად მონანიებამდე მისი ზიარება არ შეიძლება და ა.შ.

გონს მოსულ მაყვალას ონოფრე უხსნის, რომ სულიერ მამასთან იმყოფება, რომელიც ზეციერმა მეუფემ მის საშველად გამოგზავნა და ჯვარს გაუწოდებს, მაგრამ ქალმა სიწმინდის შეხების ღირსად არ სცნო თავი. მოძღვარი მიხვდა, რომ რაღაც ამძიმებდა. ამის შემდეგ მისი ყველა სიტყვა და მოქმედება ქალთან ურთიერთობისას იქითკენ არის მიმართული, რომ სინანულის გრძნობა აღუძრას, ადამიანურად გაუთბოს გული, სინდისის ქენჯნა აგრძნობინოს და ასე დაუბრუნოს ღმერთს გზასაცდენილი შვილი.

ქალი არ ამხელს ვინაობას, რასაც აგრეთვე მშვიდად ხვდება მოძღვარი – ძალდატანებით არ სურს რაიმე ათქმევინოს, რომ გული უარესად არ ეტკინოს «დარჩი აქა....ეს სადგური უფალმა მომცა და ამის ჭერქვეშ ყოფნა ყველა გაჭირვებულს და შეწუხებულს შეუძლიან», – ეუბნება იგი. ადამიანური დამოკიდებულება მაყვალას გულს უთბობს (55, 629-630). ერთ შაბათ საღამოს «მოძღვარი ლოცვად დადგა». ისიც დაჩოქილი, შენდობას ევედრებოდა ღმერთს, რაც შემზარავ ქვითინში გადაიზარდა. ეს კი მოძღვრის ტაქტიანი ზემოქმედებით მიღწეული სინანული იყო. სახეგაბრწყინებულმა მოძღვარმა ჯვარცმაზე მიუთითა: –»ემთხვიე, შვილო, ზეციერი მამა შეგიწყნარებს, ჯვარი პატიოსანი შვებას მოგცემს...ილოცე, ილოცე, შვილო, რამეთუ ლოცვა განწმენდს სულსა და მძიმე ტვირთს შეუმსუბუქებს» (55, 705). მაყვალამ მოძღვარს დაწვრილებით უამბო თავისი თავგადასავალი.

სასულიერო პირის სიფრთხილესა და პასუხისმგებლობას ვხედავთ ონისესთან მიმართებაშიც. მძიმედ დაჭრილი ონისე ზიარებას სთხოვს მოძღვარს, მაგრამ აღსარების თქმა, რომ საკუთარი ხელით გამოასალმა სიცოცხლეს მაყვალა, რომელიც უსაზღვროდ უყვარდა უძნელდება, მღვდელი, მართალია, შიშობდა, უზიარებლად არ მომკვდრიყო ონისე, მაგრამ არ აჩქარებულა მიეტევებინა ადამიანისათვის, რომელიც მხოლოდ ზოგადად აღიარებდა თავის მძიმე ცოდვას. როცა მან დაუფარავად და დიდი სულიერი ტანჯვით მოუთხრო ყოველივე,

მხოლოდ შემდეგ შეავედრა უფალს მისი შენდობა. «–მეუფეო, აჰა შენანებული და დაბრუნებული შენს წინაშე! ნუ აარიდებ მოწყალე თვალს...ნუ მოაკლებ შენს მფარველობას, მიეც მეტი ძალა, რათა ადიდოს სახელი შენი და შეიძლოს ხალხსა და ქვეყანას ემსახუროს» (55, 737). ეს ფრაგმენტი იმითაც არის საყურადღებო, რომ აქაც, ყაზბეგის შემოქმედებაშიაც, თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება ღმერთისა და ქვეყნის სამსახურს (ადიდოს სახელი შენი და შეიძლოს ხალხსა და ქვეყანას ემსახუროს).

ცოდვასთან პრინციპული შეურიგებლობა ასეთი პასაჟიდანაც ჩანს. მოძღვარი წააწყდება მთიულს, რომელიც გზის მახლობლად აღმართულ მშვენიერ ხეს ჭრის. მთიული მას მორიდებით მიუახლოვდა ლოცვა-კურთხევის მისაღებად. მაგრამ მღვდელმა ხელი არ მისცა სამთხვევად. იგი უხსნის კაცს, რომ ეს მშვენიერი ხეც ცოცხლი არსებაა და მისი მოჭრაც ცოდვაა, მით უმეტეს, რომ ტყეში საკმარისად არის ხმელი შეშაც. კარგა ხანს ესაუბრა მოძღვარი მთიულს, და მისი გავლენიანი სიტყვით გამოწვეული სინანული რომ შეატყო, მხოლოდ მაშინ მისცა ლოცვა-კურთხევა» (55, 703-704).

ონოფრეს, როგორც ითქვა, წესად ჰქონდა გასაჭირში მყოფ ადამიანთა დახმარება, მათთვის მძიმე ხვედრის შემსუბუქება, სასოწარკვეთილის შემობრუნება ამქვეყნიური ცხოვრებისაკენ. მას ყოველთვის თან დააქვს პირველი საჭიროების სამკურნალო საშუალებები, არაერთი სნეული და მძიმედ დაჭრილი გადაურჩენია საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასადაც კი.

მისმა წამლობამ დააყენა ფეხზე მაყვალა, მისმა საუბრებმა და ქადაგებამ დაუბრუნა მას სიცოცხლის ხალისი და სასარგებლო საქმისათვის მოაკიდებინა ხელი – მოძღვარს ეხმარებოდა სამკურნალო მცენარეების შეგროვებაში, წამლების დამზადებაში, თვითონ ჩაულაგა ჩანთაში ყოველივე აუცილებელი, როცა ონოფრე ღამით, საშინელ გრიგალსა და წვიმაში, შვიდი დაჭრილის საშველად მიეშურებოდა.

ონოფრემ მოჰგვარა ერთგვარი შვება ტანჯვისაგან სულიერად შერყეულ ონისეს იმით, რომ მისი ნანადირევისაგან იგი ლორსა და ძეხვეულს ამზადებდა გაჭირვებაში ჩავარდნილი მგზავრებისათვის.

ეს ყველაფერი ონოფრეს უანგარობაზე, გულკეთილობაზე, კაცთმოყვარეობაზე მეტყველებს. მისი ჰუმანიზმი კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს

ეპიზოდებში, როცა იგი მძიმედ განიცდის მისგანვე გადარჩენილი და ქოხში შეფარებული მაყვალას მოულოდნელ სიკვდილს. აღსანიშნავია შემდეგი მომენტიც: აღშფოთებული ხალხი მკვლელის მოძებნასა და სამაგიეროს გადახდას მოითხოვს. მოძღვარი კი იტყვის: «ძმანო, არა სისასტიკითა, სისხლითა და ხმლითა მოიქცევიან ცოდვილნი, არამედ შთაგონებით შეინანებენ ცოდვათა თვისთა» (55, 719). «იმ დღიდან თითქმის ყოველდღე, მზის ჩასვლისას, ნახავდით საფლავის პირას ქუდმოხდილს, დაჩოქილს მოძღვარს, რომელიც უზენაესს ევედრებოდა განსვენებულის სულისათვის და შესთხოვდა, რომ მისი მომკვლელი მოებრუნებინა და მიეცა ძალა შეეგნო, მოენანია შეცოდება თვისი» (55, 721) მკვლელზეც კი ზრუნავს ქრისტიანული ჰუმანიზმით გამსჭვალული მოძღვარი.

უსაზღვრო სიყვარულსა და მზრუნველობაზე მეტყველებს ონოფრეს სახე ონისეს აღსარების მოსმენისას: «ბოლოს ონოფრემ აიღო თავი და პირისახე გამოუჩნდა. მდუღარე ცრემლს დაელორთხა მწუხარებით და ზრუნვით დაღარული ღაწვები და გაფითრებულს სახეს განუსაზღვრელის ტანჯვის ბეჭედი დასდებოდა» (55, 734). ონისეს კი ეუბნება: «ჩემთან დარჩი მოკეთებამდე, შემდეგ წადი, საითაც გულმა გაგიწიოს, ოღონდ დღიურ ლუკმა-პურზე მომუშავე იყო, თუ მბრძანებელი მბრძანებელთა ზედა, – ნუ დაივიწყებ, რომ კაცი ხარ და შენს გარს მყოფნიც შენისთანავე კაცები არიან» (55, 736).

ონოფრეს უკიდეგანო ჰუმანიზმი და ქრისტეს მცნებათა ერთგულება მთელი ბრწყინვალებით ჩანს ეპიზოდიდან, როცა ის სასამართლოზე არა თუ არ ამჟღავნებს ონისეს საიდუმლოს, არამედ მხურვალედ ლოცულობს მისი სიწმინდის ვერდამნახავი მსაჯულებისათვის, რომლებმაც პატივი აჰყარეს და საციმბიროდ გაამწესეს: «კრებულნო! დამნაშავე მე არა ვარ...შესცდით-მეთქი, და ამ შეცოდებისათვის მოგიტევოსთ უზენაესმა! – აქ ხმა აუმაღლა, სახე გაუბრწყინდა: – მეუფეო ცხოვრებისა ჩვენისაო! მიუტევე შემცდართა, რამეთუ არ იციან, რასა იქმენ!» (55, 770).

მისი კაცთმოყვარეობა, იშვიათი ტაქტი და თავდაჭერა განაპირობებს იმას, რომ ონოფრე აღსარების მიღებისას, რა მძიმეც უნდა იყოს, არასოდეს გამოხატავს უკმაყოფილებას, ისმენს დამტუქსველი ჟესტისა და მიმიკის ოდნავი გამოვლენის გარეშე. მაყვალას, რომელმაც ბოლოს ძალა მოიკრიბა და დაწვრილებით

მოუთხრო თავისი ამბავი, «მოძღვარი მოუსმენდა სრულის ყურადღებით, თანაგრძნობით და მის უბედურებას უერთდებოდა. მას კარგად ესმოდა, რომ ამ წუთებში მოძღვრის მძიმე მოვალეობას აღასრულებდა და ქალის სიტყვებს განსაკუთრბითს ყურადღებას აძლევდა. ონოფრე თავის მოვალეობადა თვლიდა, გარდა უბრალო მოსმენისა, ეშველა გაჭირვებულისათვის, მიეცა დასუსტებულის სულისათვის შვება და დაუძლურებულის, იმედგადაწყვეტილისათვის ხელახლად ნუგეში ცხოვრებისათვის საჭირო ყავარჯნად მიეშველებინა» (55, 707).

ამ რთულ მიზანს მან მიაღწია როგორც მაყვალას, ისე ონისეს მიმრთ: მაყვალამ, როგორც ითქვა, სამკურნალო ბალახების შერჩევა, მათგან წამლის დამზადება ისწავლა და საჭირო დახმარებას უწევდა მოძღვარს. ონისეც კმაყოფილი ჩანდა, რადგან მისი ნანადირევით, ონოფრეს მეშვეობით, შორი გზიდან მომავალი (გასაჭირში ჩავარდნილი) მგზავრებიც სარგებლობენ. შემდეგ კი ხევსურეთში «გადაიკარგება», სადაც თავგანწირვით იცავდა თანასოფლელთა საქონელს ქურდ-ბაცაცებისაგან.

ამგვარად, ონოფრე ხელს უწყობს ცოდვილს ახალი ცხოვრების დაწყებაში. ყურადღებას არ ამახვილებს მისი დანაშაულის სიმძიმეზე, პირიქით, ცდილობს საზოგადოების ნორმალურ წევრად აგრძნობინოს თავი. ონოფრეს სისპეტაკე და უბრალოება, გზასაცდენილთა საშველად მზადყოფნა დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობას ანიჭებს ყაზბეგის თხზულებას.

მოძღვარი ონოფრე ბუნებასთან დამოკიდებულების თვალსაზრისითაც სანიმუშოა, მას ესმის, რომ ცოცხალ არსებას, კერძოდ, ადამიანს, მატერიალური საზრდო სჭირდება. მაგრამ ისიც ესმის, რომ ყველა არსებას, ღმერთის შექმნილს, სიცოცხლის უფლება აქვს და ქვეყნიერების საერთო მშვენიერებაშიც თავისი წვლილი შეაქვს. «მოძღვარს თავისი თავი იქამდის მოკრძალებით ეჭირა, რომ ნების ნებად არცერთ ცხოველს, არცერთ ქმნილებას, ბუნებისაგან გაჩენილს, ხელს არ ახლებდა, არ მოუსპობდა სიცოცხლეს და ცოდვათა სთვლიდა ქვეყნის საერთო მშვენებისაგან მის გამოკლებას» (55, 702). გავიხსენოთ მისი დამრიგებლური საუბარი მთიულთან, რომელმაც მშვენიერი ხე მოჭრა შეშად. «ასე ცხოვრობდა მოძღვარი, ასე ასწავლიდა თავიანთის სიმდიდრის გაფრთხილებას, შებრალებას თვით იმ ქმნილებათაცა, რომელთაც არა თუ ლაპარაკი, არამედ დაკვნესებაც კი არ შეეძლოთ» (55, 704). საინტერესოა შემდეგი

ნაწყვეტიც: «მოძღვარი ცდილობდა, რომ შტოების გაწევის დროს, უცაბედი მოძრაობითაც არის, გაფურჩქვნილის ფოთლებისათვისაც არა ევნო-რა და მით საედემო მშვენების ჰარმონია არ დაერღვია» (55, 746).

მოძღვარი ონოფრე – მოყვასის კეთილდღეობაზე მზრუნველი და გაჭირვებულთა თავდაუზოგავი მშველელი ხალხის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს: «ხალხი უზიდავდა მას საზრდოს, როგორც მისთვის თავდადებულს, აფასებდა მის სამსახურს და ამით აკმაყოფილებდა მის გაურყვნელს და მარტივს მოთხოვნილებას» (55, 702).

დაჭრილი ონისე ასე ეთხოვება მოძღვარს: «შენთანაც ჩამოვალ ხოლმე, გული უშენობასაც ვეღარ გაუძლებს» (55, 737).

იყო შემთხვევა: გზად მიმავალმა ხევსურებმა შეისვენეს მოძღვრის ქოხის შორიახლოს  მომდინარე წყაროსთან. მოძღვარი ხონჩით ჩავიდა მათთან. როცა ხევსურებმა შეიტყვეს, რომ იგი ონოფრეა, «ისეთი მოკრძალებით სავსე პატივისცემა აღმოუჩინეს, როგორიც უფალს ეკადრებოდა» (55, 753).

მოძღვრის ღირსეული დაფასება და საყოველთაო სიყვარული ჩანს მთავარი დეკანოზის გამოსვლაში, როცა ცნობილი გახდა სასამართლოს აღმაშფოთებელი გადაწყვეტილება: «ხალხო»! მზე კრთება და ბნელდება სირცხვილისაგან...ცა გაიპო და მრისხანება ზარსავით დაგვეცა თავსა, გასკდა დედამიწა და თან ჩატანას გვიპირებს... ხალხო! თქვენ გყვანდათ მამა, რომლის მაგალითიც გზას გიშუქებდათ...თქვენა გყვნდათ მოძმე, რომელიც ღვთიურს ჭეშმარიტებას გასწავლიდათ...თქვენა გყვანდათ ღვთიური და ის უბრალო ჭიასაც არ ავნებდა...ის იყო თქვენი სახელი, თქვენი სიამაყე, თქვენ შეგეძლოთ ამაყად გეთქვათ: ეგ ჩვენია, ჩვენს მთაში ნაშობი და აღზრდილი, მთა ამაყობს, თემი ბედნიერია, რომ მაგგვარი კაცი ჰყავს, ჩვენში აღზრდილი და ჩვენში დაბადებული» (55, 776).

ონოფრეს საქმეები ისეთივე მნიშვნელოვანი და საპატიოა, როგორიც იყო თორნიკე ერისთავის გმირობა და კირილეს თავდადება. ონოფრეც თანამოძმეთა ისეთივე წრფელ სიყვარულს იმკის (ოღონდ უფრო მასშტაბურს), როგორსაც ილიას ახალგაზრდა მღვდელი «გლახის ნაამბობში».

ონოფრეს სახით ალ. ყაზბეგმა შეავსო სასულიერო პირთა ნათელი გალერეა, რომელიც ილიამ და აკაკიმ შექმნეს. ეს სახეები დამაჯერებლად მეტყველებენ

სამღვდელოების, როგორც სოციალური ფენის, დიდ მნიშვნელობაზე ერის ისტორიაში, მის თვალსაჩინო დამსახურებაზე ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ქართული ლიტერატურის მკვლევარები, ცნობილი კრიტიკოსები (დ. ბენაშვილი, მ. ზანდუკელი, გ. ქიქოძე, ა. ბაქრაძე და სხვ.) მოძღვრის პრობლემაზე მსჯელობისას სავსებით სამართლიანად ჩერდებიან სვიმონ ჩოფიკაშვილისა და ხევისბერ გოჩას სახეებზე, განიხილავენ და ღირსეულად ახასიათებენ მათ.

ალექსანდრე ყაზბეგისავე თქმით, სვიმონ ჩოფიკაშვილი «ხევის ბურჯად», «განმანათლებლად» «ხალხის ნუგეშად» იყო სახელგანთქმული და შესაბამისად დიდი ზნეობრივი გავლენა ჰქონდა საზოგადოებაზე. მაგრამ სვიმონი სასულიერო პირი არ არის, იგი საუკეთესო საერო მოღვაწეა, «სანთლით საძებარი» სახელმწიფო მოხელეა.

იგივე შეიძლება ითქვას ხევისბერ გოჩაზე, რომელიც ხევის (მოხევეების) მმართველი და ამ კუთხის მოსახლეობის წინამძღოლია, – ყველასათვის საყვარელი და სამაგალითო, მაგრამ არა სამღვდელო პირი.

ჩვენი ნაშრომი ეძღვნება სასულიერო წრის წარმომადგენლებს, რომლებიც კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენდნენ ხალხზე, ზრუნვდნენ მის განათლებაზე, ზნეობის ამაღლებასა და სოციალურ კეთილდღეობაზე.

ამიტომ ამ ორ უაღრესად საინტერესო პერსონაჟზე – სვიმონ ჩოფიკაშვილსა და ხევისბერ გოჩაზე აქ არ შევჩერდებით.

მოძღვართა სახეებს ვხვდებით დიდი პოეტის – ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც (ბერდია «ალუდა ქეთელაურიდან», მინდია «გველის მჭამელიდან»... (ისინიც თემობის ადათების დამცველნი არიან, მხნეობასა და სარწმუნეობას უდგანან დარაჯად.

ლიტერატურათმცოდნეები, როგორც წესი, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მინდიას, პოემა «გველის მჭამელის» გმირს, და მსჯელობენ მის უაღრესად ჰუმანურ პოზიციაზე, რომლისთვისაც არა თუ ადამიანზე ხელის აღმართვა, ცხოველისა და მცენარის მოკვდინებაც ცოდვაა.

მინდიას ესმოდა ცხოველთა, ფრინველთა, მცენარეთა ენა, და თანამოძმეებს უქადაგებდა – არ მოესპოთ სიცოცხლე ნადირ-ფრინვლისათვის, არ მოეჭრათ ხები, საზრდოდ ეკმარათ მარცვლეული, საწვავად – თივა, ჩალა, «ხმელი წიწკრები» და წივა.

მაგრამ ხალხმა, პირველ რიგში კი – საკუთარმა ოჯახმა – ვერ გაიზიარა ეს მოთხოვნები, შეუძლებლად მიიჩნიეს უხორცოდ და უშეშოდ არსებობა. ცოლმა აიძულა ძველებურად გაძღოლოდა ოჯახს, რის შემდეგაც მინდია კარგავს ზეცნობიერებასა და უძლეველობას – მისი წინამძღოლობით სალაშქროდ წასული ჯარი მარცხდება, თვითონ კი თავს იკლავს.

საგულისხმოა, რომ მინდიას უპირველესი საზრუნავიც, ისევე როგორც ზემოთ განხილული მოძღვრებისა, ქვეყანა იყო; «ვეღარას ვარგებ ქვეყანას, მტრის მამგერებელს ჯარშიაო», – ნაღვლობდა იგი (6, 232-233).

მინდია არ განეკუთვნება იმ მოძღვართა კატეგორიას, რომელსაც ჩვენ წინამდებარე გამოკვლევას ვუძღვნით (არ არის სასულიერო პირი).

გარდა ამისა, მის მოძღვრებას (შეგონებებს) გარდაუვლი წარუმატებლობა ელოდა, რადგან ადამიანები არსებობენ მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ გარემოში, რომელსაც ათასეულ წლობით ეგუებოდნენ ისინი და რომლის იგნორირება იშვიათად თუ ვინმეს შეუძლია.

რა თქმა უნდა, ეკოლოგიური პრობლემების დღევანდელი სიმწვავის პირობებში სასურველია პედაგოგებმა გამოიყენონ ეს ნაწარმოები იმ ზიანის აღმოფხვრისათვის მოსწავლეთა განსაწყობად, რასაც ხშირად განიცდის ბუნება ადამიანთა წინდაუხედაობის შედეგად.

# დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

1. ქართული სასულიერო წოდების თვალსაჩინო წარმომადგენლებისათვის ნიშანდობლივია რწმენა, რომ ხალხის სამსახური (კაცთა მსახურება) იგივე ღვთის მსახურებაა. ეს რწმენა და მოცემული პერიოდის საქართველოს სინამდვილე (კოლონიური მდგომარეობა, რუსიფიკატორული პოლიტიკა) განსაზღვრავს მათ თვისებებს, იდეებსა და ფუნქციებს.

2. თვისებებიდან, გარდა უზენაესის თაყვანისცემისა, აღსანიშნავია კაცთმოყვარეობა, ჭეშმარიტი ჰუმანიზმი, ხალხთან სიახლოვე, ადამიანთა თანასწორობის შეგნება და აქედან გამომდინარე შეურიგებლობა ბატონყმობასა და ყოველგვარ ჩაგვრასთან, ქმედითი პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტური იდეების მიუღებლობა, დახმარებისათვის მზადყოფნა, სამართლიანობა და პრინციპულობა.

3. სამღვდელოების იდეები და მოთხოვნები თითქმის იდენტურია თერგდალეულთა მისწრაფებებისა, მაგრამ ეს იდეები და სულისკვეთება ნასესხები კი არ არის, არამედ ერის საკეთილდღეოდ მრავასაუკუნოვანი მოღვაწეობის ლოგიკური გაგრძელებაა, რომელიც ამ პერიოდის პროგრესული ინტელიგენციის შეხედულებათა თანმხვედრი აღმოჩნდა.

4. სამღვდელოების მოწინავე წარმომადგენლები საზოგადოების წინაშე წამოჭრილ ყველა პრობლემას ეხმაურებოდნენ, მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ მათ მოგვარებაში ერის საკეთილდღეოდ.

პედაგოგიური პრობლემებიდან მათი ყურადღების ცენტრში იყო სწავლა-განათლების გაფართოების, ქალთა სპეციფიკური აღზრდის, სწავლებისა და წირვა-ლოცვის ენის, ეროვნული სახელმძღვანელოების, მასწავლებლის პიროვნების, პედაგოგიური ურთიერთობის, სწავლების და აღზრდის მეთოდებისა და სხვა საკითხები, რაც სისტემატურ ასახვას პოვებდა მათ ქადაგებებსა და პუბლიკაციებში.

5. მიაჩნდათ რა განათლების ფართოდ გავრცელება ეროვნული თვითშეგნების გაღვივების (გამაჰმადიანებულ რეგიონებში), კონსოლიდაციისა და სოციალური პროგრესის პირობად, მღვდელმთავრები და სხვა გავლენიანი სასულიერო პირები მრავლად აარსებდნენ სამრევლო

6. მოძღვრები რადიკალურად განსხვავდებიან ოფიციალური სკოლის დოგმატიკოსი მასწავლებლებისაგან. მათ შეიმუშავეს ახალი მეთოდიკა, უდავოდ პროგრესული იმ დროისათვის, რომლის მეოხებითაც ცოდნის შეგნებულად ათვისებას აღწევდნენ. ზრუნავდნენ მოსწავლეთა ჰორიზონტის გაფართოებისათვის (საერო ლიტერატურის რეკომენდება სასულიეროს პარალელურად), გონებრივ ძალთა განვითარებისათვის. ცნობდნენ თამაშების, გონებრივი და ფიზიკური შრომის მონაცვლეობი//ს მნიშვნელობას და რეალურად ახორციელებდნენ მათ. ეს ცვლილებები დადებითად მოქმედებდა როგორც აკადემიურ მაჩვენებლებზე, ისე მოსწავლეთა ყოფა-ქცევასა და ჯანმრთელობაზე.

7. თვალსაჩინო სასულიერო პირები ქალის აღზრდას მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე ვაჟისას. მათ მიაჩნდათ, რომ დედათა სქესს კაცობრიობის უკეთესი მომავლის შექმნა შეუძლია, თუკი მათი სწავლება ქრისტიანული სულისკვეთებით იქნება გამსჭვალული და გონივრულად ორგანიზებული. ქალთა სასულიერო სასწავლებლებს, კერძოდ, მიზნად უსახავდნენ ღრმად მორწმუნე, თავმდაბალი, საკმაოდ განათლებული და ყოველგვარი ხელსაქმის მცოდნე ქალიშვილების მომზადებას, რომლებიც გლეხის ქალებისთვისაც სამაგალითონი უნდა ყოფილიყვნენ.

მოითხოვდნენ ქალის თანასწორუფლებიანობას ოჯახსა და საზოგადოებაში, რითაც მნიშვნელოვნად უსწრებდნენ დროს.

8. სასულიერო წოდება უკომპრომისოდ იცავდა დედა ენის უფლებებს სკოლასა და ეკლესიაში. სასულიერო ჟურნალი «მწყემსი» გამოდიოდა ქართული სახელმძღვანელოების შექმნის მოთხოვნით – სკოლის ყოველი საფეხურისათვის.

9. მასწავლებლებისათვის აუცილებელ თვისებებს შორის ასახელებდნენ თავისი სასწავლო საგნის განსაკუთრებულობის რწმენას. უარყოფდნენ ავტორიტარიზმსა და სიმკაცრეს, მხარს უჭერდნენ ჰუმანურ ურთიერთობასა და სწავლებისა და აღზრდის სათანადო მეთოდიკას.

10. მოძღვართა საქმიანობაში დიდი ადგილი ეკავა ქადაგებებს – ოჯახის სიმტკიცესა და ტრადიციულ პატიოსნებაზე, კარგად აღზრდილ ქალთა მნიშვნელობაზე საზოგადოებისათვის, აღზრდის უმცირესი ასაკიდან დაწყების საჭიროებაზე, მოზარდთათვის სამართლიანობისა და სათნოების ჩანერგვაზე, შრომითი საქმიანობის მრავალმხრივ მნიშვნელობაზე, განათლების აუცილებლობაზე ყველა ფენისათვის, მოსწავლეთა სიბეჯითის, წესრიგისა და დისციპლინის პრობლემაზე, მასწავლებელთა დიდ პასუხისმგებლობაზე ღვთისა და ერის წინაშე, სოციალური სამართლიანობის დამყარების გზებზე და ა.შ.

11. ნაშრომში წარმოდგენილი სასულიერო პირები ღრმად განსწავლულნი იყვნენ და ნაყოფიერ კვლევით მუშაობას ეწეოდნენ – ფსიქოლოგიაში, ქართული ეკლესიის ისტორიაში, არქეოლოგიაში, ფოლკლორისტიკაში, ეთნოგრაფიაში, ლექსიკოლოგიასა და სხვა დარგებში. გამოსცეს მრავალი საეკლესიო და საერო თხზულება. ეძებდნენ, იწერდნენ, პოპულარიზაციას უწევდნენ ქართულ საგალობლებს.

12. მოძღვართა ღრმა ჰუმანიზმიდან მოდის მათი უსაზღვრო ქველმოქმედება. მათი მატერიალური დახმარებით ასობით ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო საფუძვლიანი განათლება. მათი ყურადღების ცენტრში იყო ეკლესია-მონასტრების აღდგენა-შეკეთება და მშენებლობა, საეკლესიო სიწმინდეებისა და განძის დაცვა, მუდამ მზად იყვნენ გაჭირვებულთა დასახმარებლად, საქვეყნო საქმეების მხარდასაჭერად.

13. მოძღვარი ოფიციალური სკოლის ტიპიერი მასწავლებლისაგან, გარდა საპატიო ფუნქციების სიმრავლისა, იმითაც განსხვავდებოდა, რომ საყოველთაო პატივისცემითა და სიყვარულით იყო მოსილი.

14. ბუნებრივია, რომ ილია ჭავჭავაძემ, დარწმუნდა რა იმდროინდელი სკოლის სრულ უვარგისობაში ეროვნული თვითშეგნების გაღვივედბისათვის, სწორედ  სასულიერო წოდებას მიაპყრო თვალი, დაგვიხატა იდეალური მოძღვარი («გლახის ნაამბობში»), რომელიც დიდ რეალურ მოძღვართა (ალექსანდრე, გაბრიელი, კირიონი ...) ყველა დადებითი თვისებისა და იდეის მატარებელია. მოძღვართა შთამბეჭდავი სახეები მოგვცეს აკაკი წერეთელმა და ალექსანდრე ყაზბეგმა. ლიტერატურულ მოძღვართათვისაც

ხალხის მსახურება ღვთის მსახურებაა, ისინიც თავდადებით იბრძვიან ქვეყნის საკეთილდღეოდ თუ უბრალო ადამიანების დასახმარებლად.

15. უსამართლო და ტენდენციური იყო საბჭოთა პროპაგანდა, როცა სამღვდელოებას რეაქციულ ძალად ნათლავდა. მას დიდი სამსახური აქვს გაწეული ერისა და ქვეყნისათვის როგორც საერთოდ, ისე, კერძოდ, XIX საუკუნეში.

# ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა


1. ათეიზმის ისტორია და თეორია. რედაქტ. ო. გაბიძაშვილი. თბილისი, 1980
2. მ. ალექსიძე. ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა თბილისის სემინარიაში. საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1998.
3. გ. ასათიანი. ილია ჭავჭავაძე – პოეტი და მოაზროვნე. თბილისი, 1978.
4. ლ. ბარბაქაძე. მოძღვრის სახე მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. ავტორეფერატი, თბილისი, 2002.
5. ი. ბასილაძე. გაბრიელ ეპისკოპოსის (გერასიმე ქიქოძის) ქრისტიანული პედაგოგიკა. ქუთაისი. 2000.
6. ა. ბაქრაძე. ილია და აკაკი. თბილისი, 1992.
7. დ. ბენაშვილი. ალექსანდრე ყაზბეგი. თბილისი, 1978.
8. ვ. გაგუა. სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმისშემდგომ საქართველოში. თბილისი, 1974წ.
9. სვ. გამსახურდია. სწავლა განათლება ძველ საქართველოში. თბილისი, 1996.
10. ი. გოგებაშვილი. ბუნების კარი. თბილისი, 1976.
11. ი. გოგებაშვილი. თხზულებანი. ტ. I, თბილისი, 1989.
12. ი. გოგებაშვილი. თხზულებანი. ტ. II, თბილისი, 1990.
13. ი. გოგებაშვილი. თხზულებანი. ტ. III, თბილისი, 1990.
14. ი. გოგებაშვილი. თხზულებანი. ტ. IV, თბილისი, 1990.
15. ი. გოგებაშვილი. თხზულებანი. ტ. V, თბილისი, 1990.
16. ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი. მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა. თბილისი, 1985.
17. ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი. ტ. IV, თბილისი, 1993.
18. ს. ვარდოსანიძე. კირიონ II. ოზურგეთი, 1993.
19. ს. ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდი. თბილისი, 2000.
20. ი. ზურაბიშვილი. კარგ ქართველთა ხსოვნისათვის. პარიზი, 1962.
21. გ. თავზიშვილი. რჩეული პედაგოგიური თხზულებანი. ტ. I, თბილისი, 1974.

22. გ. თავზიშვილი. სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში. ნაწ. II, თბილისი, 1948.
23. დ. კასრაძე. იაკობ გოგებაშვილი. ბიოგრაფია. თბილისი, 1940.
24. მ. კელენჯერიძე. გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა. ქუთაისი, 1913.
25. დ. კლდიაშვილი. მემუარები. თბილისი, 1932.
26. იან ამოს კომენსკი. რჩეული პედაგოგიური თხზულებანი. ტ. I, თბილისი, 1949.
27. დ. კოჟორიძე. განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში. თბილისი, 1986.
28. ი. მაისურაძე. ივანე გვარამაძე. სახალხო განათლების მოღვაწენი და სახალხო მასწავლებლები. კრებული III, თბილისი 1968.
29. ი. მეგრელიძე. ევქთიმე თაყაიშვილი. თბილისი, 1989.
30. მეცნიერული ათეიზმის ძირითადი საკითხები. რედაქტ. ო. გაბიძაშვილი, თბილისი, 1972.
31. ნარკვევები ქართული პედაგოგიკის ისტორიიდან. კრებული. რედაქტორები – ნ. შეროზია, ო. გიორგაძე, ბათუმი, 1988.
32. ი. ნებოძირელი. იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი. თბილისი, 1902.
33. ა. ნიკოლეიშვილი. აბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე). თბილისი, 1990.
34. ქ. პავლიაშვილი. საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში. თბილისი, 1995.
35. ნ. პაპავა. სახალხო განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. თბილისი, 1963.
36. პედაგოგიკის ისტორია. რედაქტ. ნ. ვასაძე. თბილისი, 2004.
37. ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული. თბილისი, 1990.
38. გ. როგავა. რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, 1999.
39. ტ. სარიშვილი. სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში (1901-1921). თბილისი, 1956.
40. სახალხო განათლების მოღვაწენი და სახალხო მასწავლებლები (კრებული I). რედაქტ. ვ. ქაჯაია, თბილისი, 1953.
41. ს. სიგუა. ნარკვევები სახალხო განათლებისა და პედაგოგიკურ იდეათა განვითარების ისტორიიდან საქართველოში (1900-1907). თბილისი, 1959.

42. ს. სიგუა. სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში (1907-1917). თბილისი, 1969.
43. სულმნათ გაბრიელის საუნჯე. კრებული. 1897.
44. სწავლა აღზრდის ისტორია საქართველოში. მასალების კრებული. თბილისი, 1937.
45. ს. სხირტლაძე. წერილები. თბილისი, 1977.
46. ფსალმუნნი. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა. თბილისი, 1997.
47. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. I., თბილისი, 1989.
48. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. II., თბილისი, 1989.
49. ქართული პედაგოგიკის ისტორია. რედაქტ. გ. სიხარულიძე. თბილისი, 1974.
50. ქართული პროზა. ტ. IX (აკაკი წერეთელი), თბილისი, 1985.
51. ქართული პროზა. ტ. X (გიორგი წერეთელი), თბილისი, 1985.
52. ვ. ქაჯაია. გამოჩენილი ქართველი პედაგოგები. თბილისი, 1973.
53. გ. ქიქოძე. რჩეული თხზულებანი. ტ. I, თბილისი, 1963.
54. ნ. ქოქრაშვილი. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II ეროვნულ საზოგადოებრივი და საისტორიო შეხედულებანი. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, 2001.
55. ალ. ყაზბეგი. რჩეული. თბილისი, 1974.
56. ნ. ყრუაშვილი. ივანე გვარამაძის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა და პედაგოგიური იდეები. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, 2003.
57. თ. ჩხიტუნიძე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა. თბილისი, 1980.
58. ა. წერეთელი. თხზულებანი. ტ. IV. თბილისი, 1961.
59. ა. წერეთელი. თხზულებანი. ტ. V. თბილისი, 1956.
60. ვ. წვერავა. საქართველოს საეგზარქოსის სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, 1999.
61. ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად. ტ. II, თბილისი, 1988.

62. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა. თბილისი, 1984.
63. სიმვოლო სარწმუნოებისა (პამფლეტი). თბილისი, «სამშობლო», 1997.
64. კ. ჭელიძე. თბილისის სასულიერო სემინარიის რევოლუციური წარსულიდან. თბილისი, 1988.
65. ზ. ჭიჭინაძე. ნიკოლოზ ბესარიონის ძე ღოღობერიძე და ქართული სტამბა. თბილისი, 1913.
66. ზ. ჭიჭინაძე. სიტყვები და წერილები ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეზე. თბილისი, 1903.
67. ტ. ხუნდაძე. ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან (XIX საუკუნე). თბილისი, 1951.
68. ტ. ხუნდაძე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. თბილისი, 1960.
69. ტ. ხუნდაძე. ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები). თბილისი, 1940.
70. Гершельман Ф. Причины неурядиц на Кавказе. Спб., 1908.

პერიოდული გამოცემები.

ა) ჟურნალები

71. განათლება, 1908.
72. განათლება, 1911.
73. მწყემსი, 1884.
74. მწყემსი, 1885.
75. მწყემსი, 1886.
76. მწყემსი, 1887.
77. მწყემსი, 1888.
78. მწყემსი, 1889.
79. მწყემსი, 1890.
80. მწყემსი, 1891.
81. მწყემსი, 1892.
82. მწყემსი, 1893.

83. მწყემსი, 1894.
84. მწყემსი, 1895.
85. მწყემსი, 1896.
86. მწყემსი, 1897.
87. მწყემსი, 1898.
88. მწყემსი, 1899.
89. მწყემსი, 1900.
90. მწყემსი, 1901.
91. მწყემსი, 1902.
92. მწყემსი, 1904.
93. მწყემსი, 1905.
94. მწყემსი, 1909.
95. მწყემსი, 1910.
96. საქართველოს სასულიერო მახარობელი, 1864.
97. საქართველოს სასულიერო მახარობელი, 1865.
98. საქართველოს სასულიერო მახარობელი, 1866.
99. საქართველოს სასულიერო მახარობელი, 1867.
100. საქართველოს სასულიერო მახარობელი, 1868.
101. ჯვარი ვაზისა, 1906.
102. Духовный вестник Грузинского экзархата, 1890.
103. Духовный вестник Грузинского экзархата, 1891.
104. Духовный вестник Грузинского экзархата, 1893.
105. Духовный вестник Грузинского экзархата, 1897.
106. Духовный вестник Грузинского экзархата, 1899.
107. Духовный вестник Грузинского экзархата, 1900.
108. Духовный вестник Грузинского экзархата, 1903.
109. Русская мысль, 1894.
110. Церковные ведомости, 1896.

ბ) გაზეთები

111. დროება, 1880.
112. დროება, 1881.

113. დროება, 1882.
114. დროება, 1884.
115. დროება, 1909.
116. თემი, 1911.
117. ივერია, 1887.
118. ივერია, 1888.
119. ივერია, 1889.
120. ივერია, 1891.
121. ივერია, 1895.
122. ივერია, 1897.
123. ივერია, 1898.
123[1]. ივერია, 1899.
124. ივერია, 1901.
125. ივერია, 1903.
126. კვალი, 1893.
127. კვალი, 1902.
128. კვალი, 1903.
129. ცნობის ფურცელი, 1897.
130. ცნობის ფურცელი, 1898.
131. ცნობის ფურცელი, 1899.
132. ცნობის ფურცელი, 1900.

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი.
133. ფონდი 1458, საქმე №155.
134. ფონდი 1458, საქმე №187.
135. ფონდი 436, საქმე №149.